ძვირა

675
1969 / 2

675 / 2

4. 1969

საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



1969

მაცნე

(Вестник)

ОРГАН ОТДЕЛЕНИЯ
ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК
АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

4

49

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ 1969

მაცნე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილების ორგანო

11172

4
49

გამომცემლობა «მეცნიერება»
თბილისი 1969

სარედაქციო კოლეგია

ალ. ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), პ. გუგუშვილი, გ. მელიქიშვილი,
ე. მეტრეველი, ვ. ფანჩვიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
ალ. ფრანგიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ჭავჭავაძე

პასუხისმგებელი მდივანი ნ. ებრალიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Барамидзе А. Г. (главный редактор), *Гугушвили П. В.*, *Меликишвили Г. А.*,
Метревели Е. П., *Панчвидзе В. Н.* (заместитель главного редактора),
Прангишвили А. С. (заместитель главного редактора), *Чавчавадзе Н. З.*,
Чубинашвили Г. Н., *Церетели Г. В.*

Ответственный секретарь Н. Эбралидзе

წ ე რ ი ლ ე ბ ი

არჩილ გარამიძე

მასალები ქართველი ხალხის ეთნოგენეზისათვის XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

XIX ს-ის პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში ხალხთა წარმოშობის (ეთნოგენეზი) საკითხი ნაკლებ ემყარებოდა მეცნიერულად სანდო ანალიზის გზით მოპოვებულ ფაქტებსა და დასკვნებს. ეს ახასიათებდა არა მარტო ქართულ ისტორიოგრაფიას, არამედ მთლიანად მის თანადროულ რუსულსა და დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიასაც.

იმჟამად ხალხთა წარმოშობის თეორია სამ ძირითად მეთოდს ემყარებოდა: ა) გენეალოგიურ პრინციპს, ბ) წინაპართა პოვნისა და გ) წინარე სამშობლოს იდეას. ამასთან, პირველი გულისხმობს ამა თუ იმ ხალხის დაყვანას მისი ლეგენდარული ფუძემდებლის პიროვნებამდე. ამგვარი მეთოდი გამოყენებულია ზოგიერთი ანტიკური მწერლისა და ბიბლიის ავტორთა მიერ. იგივე პრინციპი გვაქვს ლეონტი მროველის კონცეფციაშიც ქართველთა წარმოშობის შესახებ.

წინაპართა პოვნის მეთოდი, პირველთან შედარებით, უფრო საფუძვლიანია და გულისხმობს ამა თუ იმ ხალხის გაიგივებას რომელიმე უძველეს ეთნოსთან, უკეთ რომ ვთქვათ, წინაპართან. ასე იქცეოდნენ, მაგალითად, ქართველთა მიმართ XIX ს-ში. იმჟამად ფართო გასაქანი პოვა იდეამ იმის შესახებ, რომ ქართველები დიდ ინდოევროპულ ხალხთა ოჯახის წევრებს წარმოადგენდნენ და ჩვენ ენას ძველსპარსულთან აახლოებდნენ[1]. უნდა ითქვას, რომ გენეალოგიური თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, ეს „წინაპართა თეორია“ რიგ შემთხვევაში გამართლებას პოულობდა, მაგრამ ამ კონცეფციის ძირითადი თეზისი, რა თქმა უნდა, უარსაყოფია. საქმე ისაა, რომ ფეოდალური და ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ხალხს მარადიულ კატეგორიად თვლიდა. საქმე ისე იყო წარმოდგენილი, თითქოს ესა თუ ის ეთნიკური წარმონაქმნი უცვლელი და ერთსახიანი იყო. ამიტომ იმჟამინდელი ეთნოგენეტიკოსები, მაგალითად, პირდაპირ აიგივებდნენ ისტორიულ თუბალსა და ქართველებს და სხვ. ასეთი ცდები, გარკვეული თვალსაზრისით მაინც წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა[2].

---

[1] M. Brosset, L'art libéral, au grammaire géorgienne, Paris. 1834. მისივე, Element de la langue géorgienne. Paris, 1837.

[2] С. А. Токарев, К постановке проблем эгногенеза. „Советская этнография“, № 3, 1949, გვ. 12—36. გ. ჩიტაია, აკად. ს. ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა, „მიმომხილველი“, ტ. I, თბილისი, 1949. გვ. 1.

რაც შეეხება მესამე მეთოდს, ანუ წინარე სამშობლოს მოძებნას, ეს მეთოდი უნივერსალური იყო და იგი თავისი წარმოშობით ადრე შუასაუკუნეების ისტორიოგრაფიაში იღებდა სათავეს. ეთნოგენეზის აღნიშნულ მეთოდებში ძნელი არ უნდა იყოს მათი წყაროსთავის ბიბლიის მიგნება. ბიბლია შუა საუკუნეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მასზე მითითება უკვე არგუმენტსა და მტკიცებას ნიშნავდა[3]. ამიტომ ეთნოგენეზის თეორიაც თავის წარმოშობით ბიბლიური გენეალოგიური კლასიფიკაციის სვეტს ემყარებოდა. ამგვარი მეთოდით სარგებლობს აგრეთვე ძველი ქართველი ისტორიკოსიც, ლეონტი მროველი თავის სქემაში ქართველთა წარმოშობის შესახებ. მას მიაჩნია, კერძოდ, რომ ქართველობაც წარმოშობით ბიბლიურ ნოედან მომდინარეობს. ძირითადად ემყარებოდა რა „დაბადების“ ამ სქემას, ლეონტი მროველის კონცეფცია მაინც განსხვავდება ბიბლიის გენეალოგიისაგან. მის წყაროს წარმოადგენს, როგორც ჩანს, V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“. ამ უკანასკნელის მიხედვით, თარგამოსი (მოსე ხორენელით თორგომი) ნოეს მეხუთე თაობა იყო — ნოე-იაფეტი-გომერი (ლეონტისთან გომერის სახელი გამოტოვებულია და აღნიშნულია „ძისწული იაფეთისი“)-თირასი (ლეონტისთან თარში)-თორგომა (ლეონტისთან თარგამოსი). ეს გენეალოგია საკმაოდ შემოკლებული და შეკვეცილი ჩანს „დაბადებასთან“ შედარებით. ავტორს მნიშვნელოვნად გაუმარტივებია ბიბლიის ცნობები. „საღვთო წიგნის“ მიხედვით, ნოეს ერთ-ერთ შვილს, იაფეტს, ჰყავდა: „ღამერ, მაგოგ, მადაიმ, იოავან, ელისა, თუბალ, მოსოქ, თირას“ (1, 10, 2). ხოლო ღამერს: „ასქანაზ, რიფათ, თორღომა“ (1, 10, 3). „ძენი იოავანისნი: ელისა, თარშის, კიტელნი და როდელნი (1, 10, 4). მაშასადამე, განსხვავება საკმაოდ საგრძნობია: მაგოგ, მადაიმ, იოავან, ელისა, თუბალ, მოსოქ საერთოდ არ არიან დასახელებულნი მოსე ხორენელთან. ასევეა ეს ლეონტი მროველთანაც, თუმცა მასთან თირასის მაგივრად თარში იხსენიება. ამასთან, მოსე ხორენელთან ღამერი და თირასი, მართალია, იაფეთის შვილებად იხსენიებიან, მაგრამ თორღომას იაფეთის შვილად ჩათვლა კი „დაბადების“ ტექსტს არ შეეფერება, ვინ ღამერის ძეა და არა მისი ღვიძლი ძმა. აქედან ჩანს, რომ მ. ხორენელმა თავისებურად შეამოკლა, გაამარტივა და გადააკეთა „ბიბლიური“ გენეალოგია, რაც თავის მხრივ გადაუღია ლეონტი მროველსაც, თუმცა თირასის ნაცვლად თარში დაუწერია. ამით ლ. მროველმაც დაუშვა გარკვეული შეცდომა, სახელდობრ, ღამერის შვილად ცნო თარში, მაშინ, როდესაც იგი, ბიბლიის მიხედვით, ლეონტის მიერ მოუხსენებელი იოავანის (ღამერის ძმის) შვილი იყო. „დაბადებაში“ მოხსენიებულია, როგორც თირასი, ისე თარში. ლეონტი მროველმა კი „დაბადებაზე“ დაყრდნობით თირასის ნაცვლად თარში დაასახელა. მაშასადამე, ლეონტიმ მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში არ მიიღო მოსე ხორენელის მიერ დასახელებული ეთნარქი და გაიზიარა პირდაპირ ბიბლიის ცნობა. სხვა მხრივ, ლეონტის ეთნოგენეტიკური სქემა ემყარება მოსე ხორენელის გენეალოგიურ ტაბულას[4]. ძირითადად, როგორც მოსე ხორენელის, ისე ლეონტი მროველის ეთნოლოგიური კონცეფცია „ბიბლიური“ წარმომავლობისაა.

---

[3] Е. А. Косминский, Историография средних веков, Москва, 1963, გვ. 29.

[4] История Армении Моисея Хоренского, новый перевод Н. О. Эмина, Москва, 1893, წიგნი 1, თავი 5, გვ. 8.

ამრიგად, როგორც აღინიშნა, თარგამოსი ნოეს მეხუთე შთამომავალი იყო. ხოლო თარგამოსის შვილთა შორის ქართლოსი მისი მეორე ვაჟია. მაშასადამე, ქართველობა, ლეონტი მროველის მიხედვით, გენეტიკურად ნოეს უკავშირდება. ქართლოსი, მეექვსე შტოა ბიბლიური გენეალოგიური ხისა და იგი ქართველთა ეთნარქად და ეპონიმად გვევლინება.

ამ ლეგენდაში, რა თქმა უნდა, ძნელი დასანახი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩვენს წინაშეა შუა საუკუნეებში შექმნილი ეთნოგენეტიკური თეორიის უბრალო მიბაძვა, ბიბლიის ჭეშმარიტების დასაბუთების ქართული ცდა. უნდა აღინიშნოს, რომ XIX ს-ის პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფია (დავითი, ვახტანგი, თეიმურაზი, ნ. დადიანი, მ. ბროსე) ძირითადად და არსებითად ამ კონცეფციის ნიადაგზე დგას. ესაა საერთო წესი, რომელიც გაბატონებული იყო იმჟამინდელ ისტორიოგრაფიაში. გამონაკლისს ამ საერთო წესიდან მხოლოდ დიდი ფრანგი ფილოსოფოსი ფრანსუა ვოლტერი (1694-1778) წარმოადგენდა. მას აინტერესებდა საკითხი, თუ როგორ ყალიბდებოდა ესა თუ ის ხალხი, რა ეთნიკურ ნაწილებს შეიცავდა იგი და სხვ.[5]. სამწუხაროდ, დავით ბატონიშვილი — ფ. ვოლტერის მიმდევარი მეფის უფლების „განათლებული აბსოლუტიზმის“ (მონარქიის) საკითხში, ეთნოგენეზის პრობლემებს იკვლევს „ქართლის ცხოვრების“ სქემის მიხედვით. მისი სიტყვით: „Прежде всех поселился в Грузии основатель оной Картлос[6]. „Картлосово поколение происходит от роду Сима и Афета, Ноевых детей, таким образом: Афет имел сына Авенана, от которого рожденный Фаршис был отец того самого Таргамоса, от которого происходят армяне с прочими другими народними“ (стр. 6), „Второй (сын а. б.) был Картлос“ (стр.12). და ამგვარად მოჰყვება ქართველთა წარმომავლობის ბიბლიურ ლეონტისეულ კონცეფციას.

როგორც ვხედავთ, დავითის „ისტორიაში“ ახალი არაფერია ქართველთა ეთნოგენეზზე. იგი არსებითად ემყარება ლეონტის, თუმცა იოავანის თაობაზე პირდაპირ ბიბლიიდან იძლევა ცნობას. დავითის სქემაში წარმოდგენილი სურათი ძალზე მარტივია. მისი აზრით, ქართველთა ეთნარქი ქართლოსი საქართველოს პირველი მკვიდრია და იგია ამასთან ამ ქვეყნის სახელის მიმცემიც. ქართველები სახლდებიან არარატისა და მასისის მთათა შორის მდებარე ქვეყანაში, სადაც ისინი მოსულან ბაბილონიდან ენათა აღრევის შემდეგ. აქაც, მაშასადამე, გვაქვს ლეონტის კონცეფცია, ორიგინალობას იგი აბსოლუტურად მოკლებულია. ქართველთა მოსვლა (მიგრაცია) სამხრეთიდან ჩვეულებრივი ამბავია ფეოდალური ისტორიოგრაფიისათვის და ამ წესს ემორჩილება ჩვენი ავტორიც.

ქართველთა ეთნოგენეზში ლეონტის კონცეფციას მნიშვნელოვნად სცილდება ვახტანგ ბატონიშვილის წარმოდგენები, თუმცა მისი თეორიაც „ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარეობს. მისი ნაშრომი: „Обозрение истории грузинского народа“ შეიცავს ნიშანდობლივ მსჯელობას ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. „Летописи грузинского народа, — აღნიშნავს იგი, — признают

[5] Р. Ю. Виппер. Общественные учения и исторические теории XVIII-XIX вв. (Теория прогресса). Иваново-Вознесенск, 1925, გვ. 57. შდრ. Е. А. Косминский, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

[6] Царевич Грузинский Давид. Краткая история Грузин со времен первого во оной населения, СПБ., 1805, გვ. 5.

родоначальником всех вообще грузинцев некоего Картлоса, предавшего имя свое обитаемой им страны, ибо Грузия обыкновенно называется на тамошнем языке Картли... Впрочем, вероятно, что Картлос был правитель, вождь и законодатель грузинцев, а не родоначальник. Но как бы то ни было, Картлос принадлежит тому малому числу мужей древности, кои творили, так сказать, целые народы. Хотя он и не именовался царем, но тем не менее был почитаем и уважаем своими соотечественниками за его благоразумие и добродетели“[7].

ვახტანგ ბატონიშვილი ეთნოგენეზის საკითხში ახალს არაფერს გვთავაზობს. მართალია, იგი თითქოს უარყოფს ქართლოსის ფუძემდებლურ როლს ქართველთა წარმოშობაში და მას წარმოგვიდგენს ვითარცა მმართველს, მელადსა და კანონმდებელს, მაგრამ, ამასთან, აღნიშნავს, რომ „იგი მიეკუთვნება ძველი დროის მამაკაცთა იმ მცირე რიცხვს, რომელნიც ჭმნიდნენ, ასე ვთქვათ, მთელ ხალხსა“-ო. როგორც ჩანს, ვახტანგი ინტუიციით გრძნობდა ეთნარქი ქართლოსის „უძლურებას“ ქართველი ხალხის წარმოქმნა-გაჩენის საქმეში, მაგრამ მისი ცოდნა ადამიანის წარმოშობის შესახებ იმდენად პრიმიტიული იყო და „დაბადებაზე“ დამყარებული, რომ იძულებულია ტრადიციული სქემის მონაცემები ან გაიზიაროს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, საკითხი ღიად დატოვოს.

ქართველთა ეთნოგენეზის საკითხში „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციული სქემის მიმდევარია აგრეთვე თეიმურაზ ბაგრატიონიც. მასაც ყველაფერი ისე სჯერა, როგორც ეს „დაბადებასა“ და ლეონტისთანაა წარმოდგენილი. მაგრამ მის შეხედულებებში ბევრი სიახლეც იჩენს თავს. თუ დავით და ვახტანგ ბაგრატიონები ლაპარაკობენ ერთიან „ქართლოსიან“ ქართველობაზე და არ გამოყოფენ „ქართლოსიანთაგან“ არც ერთ ქართველ ტომს, თეიმურაზი უკვე იცნობს ეთნიკურ ტერმინებს: თემს (გვ. 1), გვარეულობას (გვ. 1), ტომებს (გვ. 4), ერს (გვ. 1). ცალკე გამოყოფს ქართველ ტომებს: „იმერლებს, კახელებს, სამცხეჯავახებს ანუ მესხებს, მეგრელებს, აფხაზებს, ლეკებს“ და სხვას[8]. იგი ქართველ ტომთა ეთნოგენეზის საკითხს სპეციალურ თავს უძღვნის, რომელსაც უწოდებს: „პირველი უწყებანი შთამომავლობათა ივერიელთა თემისა“ (გვ. 9-13). თ. ბატონიშვილი თავისი ეთნოგენეტიკური კონცეფციისათვის იყენებს ანტიკური ხანის ისტორიკოსთა თხზულებებს, განსაკუთრებით ჩერდება ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის ცნობებზე იბერთა ტომზე. მაგრამ ყველაფერი ეს მაინც მეორეხარისხოვანი მასალაა და მისი ძირითადი წყაროა „ქართლის ცხოვრების“ ცნობები. „მოთხრობანი ჩვენნი, — აღნიშნავს იგი, — ე. ი. ივერიელთანი და სომეხთანიცა იტყვიან თარგამოსისგან, რომელიცა იყო შვილის შვილთაგანი ნოეს ძის იაფეთისა; და ამა თარგამოსისა ძენი იყვნეს: ქართლოს ნათესავთ-მთავარი სრულიად ივერიელთა და სხვანი ძმანი მათნი ექვსნი ხელის-ქვეშენი ქართლოსისანი“ (გვ. 9.) ამ ლეონტისეულ კონცეფციას იგი უპირისპირებს იოსებ ფლავიუსის ცნობას. მისი სიტყვით:

---

[7] Грузинский царевич Вахтанг. Обозрение истории грузинского народа, СПБ., 1814, გვ. 1—2.

[8] თეიმურაზი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა. სანკტპეტერბურღი, 1848, გვ. 25. ცხადია, აფხაზები და ლეკები ქართველ ტომებს არ მიეკუთვნებიან.

„იოასაფ ფლავიოს მწერალი იუდიანთა ისტორიისა, ძველთა ებრაელთა მოთხრობათა შინა წიგნსა პირველსა, ნაწილსა და თავსა 6-სა, მოუთხრობს ესრეთ: „სულ ძველად ქართველთა, ესე იგი ივერთა თობელნი ეწოდებისო. ვინაიდგან იგინი შთამომავლობანი არიან იაფეთის ძის თობელისნი“... საღმრთოსა მიერ წერილისა (ესე იგი მოსეს წიგნისაგან გვეუწყების), ვითარმედ იაფეთის შვილნი იყვნენ: თობელ და მოსოხ, მხოლოდ ესე ვუწყით. ხოლო მოთხრობისამებრ იოსიფოს ფლავიასსა თობელისაგან იშვნესო ივერიელნი, ესე იგი ქართველნი და მოსოხისაგან კაბადუკიელნი, არამედ საკუთარი ისტორია საქართველოსა უძველესიცა და შემდგომნიცა ამტკიცებენ ამას, რომელ არა თუ თობელისაგან, არამედ ღამერისაგან არს ქართლოსიანნი, ესე იგი ივერნი და სომეხნიცა ამისგანვე... ხოლო ქართლოსის ძის მცხეთოსისაგან იშვნეს ზემო ქართლელნი, რომელნიცა არიან მესხნი, სამცხე, სამესხეთო, სამცხეთო: ესე იგი მცხეთოს სახელისაგან გამოვალს მსხეთოს, მესხნი, მესჭნი, მესჭანნი, მესჭანია და სხვანი. ესე უმეტეს ამით დამტკიცდების, რომელ მესხნი ნამდვილ შთამომავლობანი მცხეთოსისანი არიან; ამისთვის, რომელ მესხთა ბუნებითი და საკუთარი ენაი არს ქართული და ჩვეულებაცა. არავინ სხვათა მსოფლიოთა ისტორიკოსთაგანი, არცა ბერძენნი და არცა სხვანი სწერენ ძველნი, გინა შემდგომნი ამას ზედა წინააღმდეგსა, რომელ საქართველოისა, ესე იგი ივერიისა ისტორია, ვითარცა მოუთხრობს ქართლოსისა და შთამომავლობათა მისთათვის პირისპირ მისსა იყოს; მაშასადამე, ამით ჩანს, რომელ რაიცა შთამომავლობისათვის ისტორიათა შინა ივერიისათა, ესე იგი ქართლოსიანთა არს აღწერილ, იგი შეიცავს სიმართლესა. თუმცაღა იოსიპოს თობელისაგან იტყვის. მაგრამ მოსე საღმრთოსა შინა წერილსა ბიბლიასა თობელის შთამომავლობისათვის არა რაისა იტყვის, არცა მოსოხისა შთამომავლობისათვის, თუ რომელთა ერთაგანი არიან შთამომავლობანი მათნი, არამედ იაფეთისა შთამომავლობასა იტყვის. „იაფეთ შვა ღამერ, და ღამერმან თარღამა, რომელსა ჩვენ ვუწოდთ თარგამოსს და ქართლოს შვილად მისსა ვიცნობთ“ (გვ. 9-10).

ამ ვრცელი ამონაწერიდან ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ თ. ბატონიშვილი XIX ს-ის პირველი ნახევრის ქართველ ისტორიკოსთა შორის პირველია, სავანგებოდ რომ ჩერდება ქართველ ტომთა წარმოშობის საკითხზე და მას სპეციალურ თავსაც უძღვნის. მარტოოდენ ამ ფაქტითაც იგი უკვე წინ უსწრებს თავის წინამორბედ ისტორიკოსებს. გარდა ამისა, მას ქართველთა ეთნოგენეზის საკითხში შემოაქვს, ერთი მხრივ, ანტიკური ხანის წყაროები და მეორე მხრივ, როგორც თვით აღნიშნავს, „ყოველნი მსოფლიო ისტორიკოსთა“ (გვ. 13) ნაშრომებიც, რათა თავის გამოკვლევას მეტი მეცნიერულობა მიანიჭოს. მაგრამ, როგორც ქართული ეროვნული ისტორიოგრაფიის ტრადიციებზე აღზრდილს, თეიმურაზს ეთნოგენეზის საკითხში ჭეშმარიტი მასალა მარტოოდენ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებში ეგულება და ახალ, მის მიერვე პირველად შემჩნეულს, შემდგომში ისტორიულად გამართლებულ წყაროებს (იგივე ი. ფლავიუსის ცნობა), უგულებელყოფს. ეს გარემოება, ცხადია, თეიმურაზის ისტორიული მეთოდის მერყეობაზე მიუთითებს. ამას თითქოს საკუთრივ ჩვენი ავტორიც გრძნობს: „ამა მიზეზთა ზემოთქმულთა ძალით იძულებულ ვარ და თანამაცს, რათა ვითარცა პირველ ჩემსა მყოფთა იწყეს დასაბამი ნათესაობათა და ნათესავთმთავარ[ა]თვის ივერიისა თემთა, მეცა ეგრეთვე შევუდეგ მათ... რომელ ვიცოდეთ მხოლოდ ქართლოს ნათესავთ-მთავრად

პირველად ჩვენსა, რომელიცა იყო უწინარეს მრავალთა საუკუნეთა და ვიწყოთ მისგან, ვითარცა ახლისა კაცითგან წყება ყოვლისა ქვეყანისა ნათესავთა შთამომავლობისა“ (გვ. 12-13)[9]. და ამგვარად მიჰყვება ქართლოსის ცხოვრების აღწერას ლეონტი მროველის მიხედვით. ქართლოსის გაჩენით კი თავისთავად წყდება ქართველების წარმოშობის ბედიც: ქართველთა ფუძემდებელია ეთნარქი ქართლოსი, რომელიც მოვიდა და დაჯდა „პირისპირ მცხეთისა გაღმით მტკვრისა მდინარისა მაღალსა ზედა მთასა და უწოდა მას სახელითა თვისითა მთაი ქართლოსისა და მის ძლით ყოველსა მას ქვეყანას ეწოდა საქართველოი, კასპიის ზღვიდგან ვიდრე შავს ზღვამდე... პირველი ნათესავთმთავარი ყოველთა ნათესაობათა თვისთა ზედა იყო ქართლოს, მფლობელი ძმათა, ძეთა და ერთა მათთა ზედა და შთამომავლობათა, რომლისათვის ქართლოს იწოდებოდა ნათესავთმთავართა მთავრად“ (გვ. 26-27).

ასე მარტივად წყვეტს ქართველთა ისტორიულ წარმოშობას თეიმურაზ ბატონიშვილი. მას არავითარი კორექტივი არ შეაქვს „დაბადება“ — ლეონტის შუასაუკუნეებრივ კონცეფციაში და დასახელებული გენეალოგიური-პრინციპის მიხედვით გამოყავს ქართველობა ისტორიის ასპარეზზე.

ქართველთა წარმოშობის საკითხის გადაწყვეტის „ბიბლიური“ ეტაპი უკავშირდება აგრეთვე მარი ბროსეს სახელს. ახალგაზრდობაში მიღებულმა საკმაოდ ძლიერმა რელიგიურმა განათლებამ მ. ბროსეს მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა იქონია, რაც მის ქართველოლოგიურ ნაშრომებსაც ემჩნევა. მას სწამს „დაბადებაში“ მოთხრობილ ამბავთა ისტორიული რეალობა. ასე, მაგალითად, როდესაც იგი ერთმანეთს უდარებს „დაბადებისა“ და „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის ამბებს, აღნიშნავს, რომ „ეთნოგრაფიული მხრით... ეს მატიანე („ქართლის ცხოვრება“, ა. ბ.)... ხშირად არ ეთანხმება დაბადების თქმულებას, უთუოდ იმიტომ, რომ, როდესაც ზეპირგადმოცემა ქართველი ერისა დაწერილ იქნა, ის უმეცრების გამო უკვე დამახინჯებული იყო“[10]. მაშასადამე, მ. ბროსეს აზრით, ქართველთა ზეპირგადმოცემა ისტორიულად „ბიბლიური“ წარმოშობისა იყო, მაგრამ დამწერლობის უქონლობის გამო გვიან ჩაწერილა და ამიტომ დამახინჯდაო. ამის მიუხედავად, „ქართლის ცხოვრება“ საკმაოდ სანდო ისტორიული ძეგლიაო და მასში დაცული ზეპირგადმოცემების საფუძველზე არეკლილი ამბები გამართლებას პოულობს სპარსელთა და სომეხთა თქმულებებში (გვ. 1). ამრიგად, „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილი ვითარება სანდოა. ამ შესავლის ერთ-ერთი მნიშვნელობა, საბოლოო ჯამში, ისაა, რომ გამართლებულად იქნეს მიჩნეული ქართველთა წარმოშობის „ბიბლიური“ სქემა. „ქართველები ძველი ზეპირგარდმოცემით, — აღნიშნავს ბროსე, — თავის მამამთავრად ქართლოსს, თარგამოსის შვილს, ნოეს შვილის-შვილს იაფეტის შთამომავლობიდამ აღიარებენ. ბაბილონის ენების შერევნის შემდეგ 3317 წ[11]. დასაბამიდან სოფლისა, 2191 წ. ქრ. შ. წინეთ.

9 თ. ბატონიშვილის კრიტიკა ამ საკითხზე მოცემული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს. იხ. მისი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბილისი, 1950, გვ. 227. შდრ. ა. ბარამიძე, საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, თბილისი, ტ. III, 1964, გვ. 133.

10 მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. პირველი, თბილისი, 1895, გვ. 1.

11 აქ ივულისხმება ბერძნული წელთაღრიცხვა (5508 წელი) ქვეყნის გაჩენიდან. 5508-3317-2191.

ქართლოსმა დასტევა სომხეთში თავისი ძმა ჰაოსი, სომეხთ წინაპარი, გარდავიდა ჩრდილოეთში და დაემკვიდრა თავის მამის, თარგამოსის მიერ მიცემულ მხარეში, რომელიც მდებარეობდა მდ. ივრის, ბამბაკის მთის, შავი ზღვის, ლიხის და კავკასიის მთების შუა. იმავე დროს ორი მისი ძმა დაესახლენ: „ჰეროსი იორს და ალაზანს შუა, ეგროსი — რიონის ხეობაში და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე... ერის ზეპირგარდმოცემით ამ დროს მხოლოდ ერთი დიდი შემთხვევა მოხდა ივერიაში. ეს იყო ბრძოლა ნებროთთან, სპარსეთის პირველ მფლობელთან. თარგამოსის თემებმა, ჰაოსის წინამძღოლობით შეერთებულებმა, მოჰკლეს ეს ამაყი ხელმწიფე და გაფანტეს იმის ჯარი 3388 წ. დასაბამიდან სოფლისა, 2120 წ. ქრ. შობამდი[12]. ამის შემდეგ ქართლოსი წავიდა თავის სამფლობელოში და დაიწყო ციხის შენება მთაზე. ამ მთას ქართლოსის აქ მყოფობისა გამო დაერქვა სახელად ქართლის მთა, სადაც შემდეგ იყო არმაზი. იმ მხარეს კი, სადაც ქართლოსის შვილები დამყარდენ, დაერქვა ქართლი, საქართველო და თვით ერს — ქართველი. ქართლოსის შვილთა შორის, უფროსმა, მცხეთოსმა ააშენა მცხეთის ციხე იქ, სადაც არაგვი შეერთვის მტკვარს. მცხეთოსს სამი შვილი ჰყავდა: ოძრახოს, ...ჯავახოს, ...უფლოს, რომლის საკუთარი სამფლობელო არაგვიდამ და არმაზიდამ დაწყებული ტასის-კარამდი იყო. მცხეთოსი და იმის საკუთარი შთამომავლობა ითვლებოდა ქართლოსის ნათესავთა მიერ უმთავრეს მამასახლისად ანუ პატრიარქად მთელის ქართლისა“ (გვ. 7-10).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მ. ბროსეს ეთნოგენეტიკური თეორია ძირითადად „დაბადება“-ლეონტის ცნობებზეა აგებული. მართალია, იგი ხაზგასმით შენიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის ავტორს გამოყენებული აქვს ერის ზეპირგადმოცემა, მაგრამ მასში არეკლილი ცნობები სანდო ღირებულებისაა. ბროსეს სწამს ეთნარქ ქართლოსისა და მისი შვილების ისტორიულობა, იზიარებს აგრეთვე თარგამოსის არსებობასაც, და მის შთამომავლობაში ცალკეულ ქართველ ტომთა ჯგუფებს (თემებს) გამოყოფს, რომლებიც შემდგომში მამასახლის-პატრიარქ მცხეთოსის სიკვდილის შემდეგ ერთიმეორეს პირველობისათვის ეცილებოდნენ (გვ. 10). ქართველთა მთელი ისტორია ესაა მამასახლის-პატრიარქთა მოღვაწეობა, ხალხის გამრავლება-გაძლიერების მიზნით შთაგონებული. მაშასადამე, მ. ბროსეს ეთნოლოგიური კონცეფცია არსებითად პატრიარქალურ-გენეალოგიურია და არაფერს ახალს არ შეიცავს, რაც მას განასხვავებდა მის წინამორბედ ქართველ ისტორიკოსთაგან.

ქართველთა ეთნოგენეზის აქ განხილული მასალები ძირითადად ერთ მეთოდს ემყარება, ესაა ბიბლიური გენეალოგიური პრინციპი, საიდანაც სათავეს იღებს აგრეთვე ჩვენი წყაროს ეთნარქ-ეპონიმების სქემა. ადრე შუა საუკუნეებში გაჩენილი ეს თეორია ძალზე პოპულარული იყო მსოფლიო ისტორიოგრაფიაში. როგორც დავინახეთ, იგი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე XIX ს-ის პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. ამ ხანის ქართველი ისტორიკოსები — „დაბადებასა“ და „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციაზე აღზრდილნი ბრმად იზიარებდნენ მათში მოთხრობილ ეთნოგენეტიკურ კონცეფციას პატრიარქების შესახებ. მათი აზრით, პატ-

12 3388+2120=5508. აქაც სახეზეა ბერძნული წელთაღრიცხვა.

რიარქები მთელი ხალხის (ეთნოსის) შემქმნელ ძალას წარმოადგენდნენ. ქართველები ამ პატრიარქთა მემკვიდრეებად, შვილებად იგულისხმებიან. ამიტომ ამ ხანაში ეთნოგენეზის პრობლემის გადაწყვეტა გენეალოგიურ-პატრიარქალურია. ასეთია ქართველთა ეთნოგენეზის შესწავლის პირველი ეტაპი.

ეთნოგენეზის საკითხში გარკვეული წინსვლა ეტყობა ქართულ ისტორიოგრაფიას პლატონ იოსელიანის ნაშრომების გამოქვეყნების დროიდან. ესაა გასული საუკუნის 30-70-იანი წლები, როდესაც საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევა-ძიების საქმეს ხელს ჰკიდებს უაღრესად განათლებული, დიდი ერუდიციისა და შესანიშნავი ნიჭის მქონე მკვლევარი პ. იოსელიანი. მართალია, იმჟამად შეუძლებელი იყო ქართველი ხალხის ეთნოგენეზზე სწორი მეცნიერული შეხედულებების შექმნა (ქართული არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ენათმეცნიერების არარსებობის გამო), მაგრამ მის მრავალრიცხოვან ნაშრომებში ძალზე ხშირად საუბარია საქართველოს ისტორიის იმ უძველესი ხანის შესახებ, რომლის შესახებაც ჩვენი ეროვნული ისტორიული წყაროები არას გვეუბნებიან. პ. იოსელიანის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება ისაა, რომ მან ძველი ისტორიის დარგში გამოიყენა იმჟამად არსებული კომპლექსური მასალა: ქართული წყაროების გარდა, იგი უხვად სარგებლობდა ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროებით საქართველოს შესახებ, სადაც ქართველ ტომთა (კოლხები, იბერები, სასპერები, მესხები, თუბალები და მრავალი სხვ.) ისტორიული ცხოვრებისა და გავრცელების საინტერესო სურათია წარმოდგენილი. ანტიკურ წყაროებს თავის მხრივ ემატება აგრეთვე „ბიბლიური“ ცნობებიც თუბალ-მეშეხის თაობაზე. ეს საკითხი ძალზე პოპულარული შეიქმნა სწორედ XIX ს-ის ისტორიოგრაფიაში. მაგრამ, სამწუხაროდ, პ. იოსელიანს ერთიანი ქართველი ხალხის წარმოშობის პროცესი დაჰყავს თუბალ-მეშეხის ისტორიამდე, რომელშიც იკარგება სხვა მრავალი ქართველი ტომის ინდივიდუალობა. ცხადია, ეს მეორე უკიდურესობაა, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია.

პ. იოსელიანის მრავალრიცხოვან საისტორიო ნაშრომებში დიდი ადგილი ეთმობა ქართველ ტომთა წარმოშობა-განსახლების საკითხს. მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი ხელნაწერი ნაშრომი: „Историческое и географическое описание древней Грузии“[13]. ამ ნაშრომის მიზანს შეადგენს საკუთრივ ქართველ ტომთა წარმოშობისა და ისტორიული განსახლების საკითხის შესწავლა იმჟამად მის ხელთ არსებული როგორც ქართული, ისე განსაკუთრებით ანტიკური წერილობითი წყაროების მონაცემთა გათვალისწინებით. ამასთან, ავტორს გამოყენებული აქვს აგრეთვე იმდროინდელი სათანადო საისტორიო (ქართული, რუსული, დასავლეთევროპული) ლიტერატურაც, ყველაფერი ამის გათვალისწინებისა და გააზრების შედეგად, პ. იოსელიანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქართველთა წარმოშობის „ქართლის ცხოვრებისეულ“ კონცეფციას მყარი ნიადაგი არ მოეძებნება. მან კარგად იცის, რომ ქართლოსი და სხვა ეთნარქები არარეალური პიროვნებებია, რომ მათს შესახებ ცნობები ლეგენდარული და ზღაპრულია. „Летописи наши, — აღნიშნავს იგი, — всех обитателей Иверии производят от Таргамоса правнука Иафетова... Нет никакого сомнения, что таковыя мнения, происхождения народов суть плоды позднейших времен, отражавших начало происхождения народов через переводы на их языки священного писания“ (გვ. 64).

[13] П. Иоселиани, Историческое... Тифлис. 1938.

მაშასადამე, ავტორის აზრით, ქართველთა წარმოშობის „ბიბლიური“ კონცეფცია საქართველოში გაჩენილი უნდა ყოფილიყო ამ წიგნის ქართულად თარგმნის დროისათვის. მაგრამ, ამასთან, მას არა სწამს თარგამოს-ქართლოსის ისტორიულობა და „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნაწილში დაცულ გადმოცემას ეთნარქებზე „არაკად“ (басни) მიიჩნევს (გვ. 62). ეს საკითხის ერთი მხარეა. ხოლო რაც შეეხება „შესაქმეთა“ წიგნის მე-10 თავში არეკლილ ცნობებს თუბალისა და მეშეხის თაობაზე, პ. იოსელიანის აზრით, მათი ისტორია სავსებით სანდო და დამაჯერებელია, რამდენადაც მსგავსი მასალა საკმაოდ უხვად შემოუნახავს აგრეთვე ანტიკური ხანის მწერლობას ტიბარენთა და მოსხთა შესახებო. თუბალის ქვეყნის ქართველობასთან გენეტიკური ნათესაობისათვის, პ. იოსელიანის შეხედულებით, შესანიშნავ ცნობას იძლევა ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში მცხოვრები ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი, რომელიც აღნიშნავდა, რომ „დაბადების“ თუბალი მის დროს „იბერად“ იწოდებოდაო[14]. ამ ისტორიული ცნობის გარდა, პ. იოსელიანი მიუთითებს აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურაზეც, სახელდობრ, ფრანგი განმანათლებლის ფრანსუა ვოლნეის (1757-1820) ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომ თუბალი და თბილისი ერთიმეორის იდენტური სახელებია[15]. ფრანგი განმანათლებლის ამ მოსაზრებას ჩვენი ავტორი შემდეგი გარემოებით ასაბუთებს. მან ყურადღება მიაქცია წინასწარმეტყველ იეზეკიელის ცნობას მეშეხისა და თუბალის (resp. თბილისის) მიერ ტვიროსში მონათა ვაჭრობის შესახებ. რაკი „დაბადების“ მეშეხი იგივე მესხია (მცხეთა), ხოლო თბილისი მესხეთთან ანუ მცხეთასთან გეოგრაფიულად (ტერიტორიულად) ახლოსაა, ამიტომ სავსებით დამაჯერებელი უნდა იყოსო, რომ თუბალი თბილისის იდენტური სახელწოდებაა.

ცხადია, პ. იოსელიანის ეს დასკვნები არადამაჯერებელია. მაგრამ რაც შეეხება იოსებ ფლავიუსის ცნობას, იგი მეტად საგულისხმოა. ანგარიშგასაწევია პ. იოსელიანის მოსაზრებაც, რომ „მცხეთაში“ სავარაუდოა მესხთა ტომის სახელის დანახვა[16]. ეს მოსაზრება, როგორც ჩანს, თეიმურაზ ბატონიშვილისაგან უნდა მომდინარეობდეს, თუმცა ქრონოლოგიურად ჩვენს ავტორს უფრო ადრე აქვს დაბეჭდილი. პ. იოსელიანის თქმით, მესხთა ისტორიაც შორეულ წყვდიადში იკარგება. მათს შესახებ პირველ ცნობებს კვლავ „დაბადება“ გადმოგვცემს. მასში დაცული ცნობების თანახმად, თობელი და მეშეხი (მოსხი) ერთ ხალხს უნდა შეადგენდეს („შესაქმეთა“, X, 2; იეზეკიელი, 38, 2-3), რაც თავის მხრივ ანტიკურ ტიბარენ-მოსხის ტომთა ერთიანობითაც მტკიცდება. მართალია, პ. იოსელიანს ქართველნი „ბიბლიურ“ თუბალ-მეშეხამდე დაჰყავს, მაგრამ ამ ტომთა დიფერენციაციას მოჰყვა კოლხების, სასპერიტების და იბერების აღმოცენება. აქედან იწყება უკვე საკუთრივ ამ ტომთა ისტორიის თხრობა.

---

[14] П. Иоселиани, Различные наименования гвузинов. Журнал министерства внутренних дел. 1844, № 6, გვ. 117, შენ. 1.

[15] F. Volney, Voyage en Egipte et en Syzie, т. II, გვ. 104, შენ. 2, Paris, 1825. შდრ. П. Иоселиани, Древние памятники Тифлиса, ЖМВД, 1844, № 1, გვ. 93. მისივე, Описание древностей города Тифлиса, Тифлис, 1866, გვ. 10—11. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ა. ბარამიძე, მცირე შენიშვნა, „ლიტერატურული საქართველო“, № 30, 1965, გვ. 4.

[16] П. Иоселиани, Туземные города, существовавшие и существующие в Грузии. ЖМВД, 1844, № 6, გვ. 408.

პ. იოსელიანის აქ განხილული მოსაზრებები მეტად საინტერესოა. იგი არღვევს მის წინამორბედ ისტორიკოსთა ეთნოგენეტიკურ თეორიებს და თუმცა „ბიბლიასაც“ იშველიებს, მაგრამ უკვე ისე, როგორც ეს ნამდვილ ისტორიკოსს შეეფერება. მისთვის ნათელია, რომ „დაბადება“ რიგ შემთხვევაში სანდო ისტორიულ ცნობებს შეიცავს და ქართველ ტომთა (თუბალი, მეშეხი) თაობაზე მასში დაცული მასალები ნდობის ღირსია. ესაა ახალი მიდგომა და იგი თანდათან გზას იკვლევს სხვა ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებშიაც.

აღნიშვნას საჭიროებს აგრეთვე პ. იოსელიანის კვლევა-ძიების მეთოდი. მას ახასიათებს წყაროთა ერთმანეთთან შეჯერება და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა მიმართ თავისი პირადი პოზიციის გამომჟღავნება. ამგვარი ხერხი ეფექტური იყო ეთნოგენეტიკური კვლევა-ძიებისათვის, მაგრამ მთელ რიგ სამეცნიერო დისციპლინათა არ არსებობამ წინასწარ განსაზღვრა პ. იოსელიანის „მარცხი“ ქართველთა ეთნოგენეზის საკითხში. თუ მის წინამორბედ ისტორიკოსთა ეთნოგენეტიკურმა კონცეფციებმა შექმნეს პირველი ეტაპი, პატრიარქალური თეორიის ნიადაგს რომ ემყარებოდა, ჩვენი ავტორის საქმიანობა ამ მიმართულებით მეორე ეტაპის, ე. წ. თუბალ-მეშეხის ეტაპის წამომწყებია. მან ხელი შეუწყო ამ ტომთა ისტორიის შესწავლის საქმეს. ამ ეტაპს ახასიათებს ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისადმი ინტერესის გაღვივება და მასალის შემდგომ გამდიდრებაზე ყურადღების გამახვილება. ეთნოგენეზთან ერთად დღის წესრიგში დგებოდა ამ ძველაღმოსავლურ ხალხთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის შესწავლის საკითხიც. ეს პერიოდი ამზადებს ნიადაგს მომავალი, მეთოდურად გამართლებული, მეცნიერული თეორიების წარმოსაქმნელად.

* * *

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველთა ეთნოგენეზის შესწავლა წინამავალ პერიოდთან შედარებით გაცილებით შორსაა წასული. ჩვენ ვხვდებით ფართო მსჯელობებს, სხვადასხვა ვარაუდებს და მოსაზრებებს ქართველთა წარმომავლობის შესახებ. დაძლეულია „დაბადებისეული“ ეთნარქ-პატრიარქების სქემა. მეტად საგულისხმოა ისტორიკოს სულხან ბარათაშვილის მსჯელობაში ენათმეცნიერებისა და ფიზიოლოგიის მონაცემთა გათვალისწინება. „ახლანდელ დროში, — წერს იგი, — ენათ ცოდნა და ფიზიოლოგია უმტკიცეს საშუალებად მიაჩნიათ რომელიმე ხალხის დასაწყისის გამოკვლევისათვის, მაგრამ გამოკვლევის ამგვარ საბსარს ჯერ არ აქვს ფეხი მოდგმული“[17]. ამიტომ იგი სხვა მეთოდს მიმართავს. ამასთან, ს. ბარათაშვილი ერთგვარ ხარკს უხდის „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს და აღნიშნავს, რომ ამ წყაროს მიხედვით ქართველობა უკავშირდება „დაბადების“ ნოეს. შემდეგ მოთხრობილია ქართლოსსა და მის ჩამომავლობაზე და დასკვნილია, რომ ქართველობა არაა კავკასიის მკვიდრი, აბორიგენი მოსახლე და რომ იგი სამხრეთიდანაა მოსული (გვ. 9-11).

უარყოფს რა „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა ჭეშმარიტებას ქართველთა წარმოშობის საკითხში, ს. ბარათაშვილი გადადის ანტიკური ხანის მწერლობის ცნობათა განხილვაზე, იძიებს, თუ რამდენად სარწმუნო მასალებია

17 ს. ბარათაშვილი, საქართველოს ისტორია. რვეული 1, საქართველოს ძველი ისტორია, ქუთაისი, 1895, გვ. 6.

დაცული მასში ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო. პასუხი აქაც უარყოფითია. „უცხო ქვეყნების ძველ მწერლებს, — შენიშნავს ავტორი, — სხვადასხვა აზრი მოჰყავთ ქართველთ მომდინარეობის შესახებ: მაგალითად, ტაციტის აზრით, იბერნი და ალბანნი თავის თავს თესალიელთა შთამომავლებად რიცხავდნენ, რომელნიც იაზონს მოჰყოლიან კოლხიდაში, და ამ აზრის დასამტკიცებლად ტაციტი ამბობს, რომ სახელი იაზონი ადგილობრივ ხშირად იხმარებაო. მაგრამ ეს აზრი იმდენად არის სარწმუნო, რამდენადაც დიონისის აზრი, რომელიც გვარწმუნებს, რომ იბერნი პირენეის ნახევარკუნძულიდან. იბერიიდან, არიან გამოსულნიო. ამას გარდა, ქართველთ მომდინარეობის შესახებ მსგავსივე ღირსების მოსაზრება მრავალი შეგიძლიათ წაიკითხოთ დიოდორის, სტრაბონის, იუსტინის, იოსების, კედრენის, ზონარის და სხვების თხზულებებში“ (გვ. 11-12). მაშასადამე, ავტორის აზრი ჩვენთვის საკმაოდ ნათელია: ანტიკური წერილობითი წყაროები შეიცავენ მრავალ საინტერესო ცნობას ქართველთა წარმოშობის თაობაზე, თუმცა ისინი შორს არიან ჭეშმარიტებისაგან. ანტიკური ისტორიოგრაფია ვერ იძლევა პასუხს ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხზე.

ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ ქართული და ანტიკური ნარატიული წყაროები არ იძლევიან სწორ პასუხს ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ, მაშინ რა საშუალებითაა შესაძლებელი ამ პრობლემის გადაწყვეტა? ამაზე პასუხს გვაძლევს საკუთრივ ჩვენი ავტორი. მისი აზრით, სავსებით სწორ პოზიციაზე დგას გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოს-გეოგრაფი (მისი სიტყვით, ეთნოგრაფი, ა. ბ.) ლუი ვივიენ დე სენ-მარტენი, რომელსაც ქართველობა „ინდოკელტურ ოჯახობად“ მიაჩნდა (გვ. 12)[18]. ფრანგ მეცნიერს ეს მოსაზრება დამყარებული აქვს არსებითად ტოპონიმიკურ და ჰიდრონომიკურ მონაცემებზე და არა ქართული ენის გრამატიკულ წყობაზე. მაინც, რაკი თანამედროვე მკვლევართ დასაშვებად მიაჩნიათ ქართველურ ენებში უძველესი ინდოევროპული სუბსტრატის არსებობა[19], ჩვენ შეგვიძლია ნაწილობრივ დავეთანხმოთ ს. ბარათაშვილს ქართველურ ენებში ინდოევროპული სუბსტრატის არსებობის აზრით. ქართველობა, მისი წარმოდგენით, „გაჩენილა ძველის-ძველ დროში და უცხოვრია ცალკე, როგორც ბინადარ ხალხს“ (გვ. 13). ამ უძველეს ხანად მას აღებული აქვს ძველი წელთაღრიცხვის XVIII საუკუნე, როდესაც ტრადიციის მიხედვით უცხოვრია მოსე წინასწარმეტყველს და რომლის თხზულებაში („დაბადება“, X თ.) ლაპარაკია თოგორმას, მესეხისა და თუბალის შესახებ. ებრაულ ცნობებს მოჰყვება სეზოსტრისის ლაშქრობა კოლხეთში, რომლის დროს (1565-1499) საქართველოში ეგვიპტელთა გავლენით გავრცელებულა მზის, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავის თაყვანისცემა. დაბოლოს, ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნეში უმოგზაურიათ ფრიქსეს, არგონავტებსა და ულისს, რომელთაც უნახავთ კოლხთა უძველესი ქალაქი ეა (გვ. 15-17).

აქ განხილული მასალებიდან ჩანს, რომ ს. ბარათაშვილი ქართველთა ეთნოგენეზის საკითხში ახალ თვალსაზრისზე დგას; იგი იზიარებს ლ. ვივიენ

---

[18] Vivien de Saint-Martin, Recherches sur les populations primitives et les plus ansiennes du Caucase. Paris, 1847, გვ. 3, 4, 81, 103-07, 132-134.

[19] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბილისი, 1965, გვ. 203-247. თ გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.

დე სენ-მარტენის მოსაზრებას ქართველ ტომთა ინდოკელტური წარმოშობის შესახებ. ამასთან, დასაშვებად მიაჩნია აგრეთვე ენათმეცნიერებისა და ფიზიოლოგიის გამოყენებაც ამ პრობლემის კვლევაში. მან თავი მოუყარა მეტად მნიშვნელოვან საისტორიო მასალას და მისი ანალიზის საფუძველზე საინტერესო სურათი შექმნა ქართველი ხალხის წარმომავლობისა და მისი გავრცელების შესახებ.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხით დაინტერესებულა აგრეთვე ცნობილი ენათმეცნიერი (ლექსიკოგრაფი), პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი დავით ჩუბინაშვილი. მისი გამოკვლევა „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“[20] მიზნად ისახავს კაპადოკიის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხის შესწავლას ძირითადად ანტიკური (ბერძნულ-რომაული) ნარატიული წყაროების მიხედვით. ამ წყაროთა შესწავლას ავტორი დაურწმუნებია, რომ ფართოდ გაგებულ კაპადოკიაში (მცირე აზია, შავი ზღვის სამხრეთაღმოსავლეთი ნაწილი, პონტოს სამეფო და კოლხეთი) „მცხოვრებნი ხალხნი იყვნენ ერთისა ნათესავისა და ლაპარაკობდნენ ერთსა და იგივე ენაზედ“ (გვ. 7), „კაპადოკიის ხალხსა ჰქონდა მონაოესაობა საქართველოს ხალხთან“ (გვ. 10-11). ამით ავტორს იმის თქმა სურს, რომ კაპადოკიაში სახლობდა მხოლოდ ერთი ხალხი, რომელიც ქართველურ ენაზე მეტყველებდა. ეს ხალხი ძირითადად ჭანებია. ამ თეზისის დასამტკიცებლად დ. ჩუბინაშვილი იმოწმებს I ს-ის გეოგრაფის სტრაბონის ცნობას: „სახელი კაპადოკიელი ეკუთვნის სრულებით ერთსა ხალხსა, რომელნიც არიან ერთ ნათესავნი და ლაპარაკობენ ერთს ენაზედ და სახლობენ შემდგომთა საზღვართა შორის: „სამხრეთით მთა კილიკიის ტავრი, აღმოსავლეთით სომხითი, კოლხიდა, და მათ შორის ადგილები და მცხოვრებნი, მოლაპარაკენი უცხოს ენაზედ; ჩრდილოეთით პონტოს ზღვა შესართავამდე ჰალიზის მდინარისა, დასავლეთით პაფლაგონია, გალატია, ფრიგია და ლიკაონია“ (გვ. 7-8). ავტორის თარგმანი საკმაოდ მოძველებულია. ზუსტი თარგმანი ასე იუწყება: კაპადოკიელები „ერთ ენაზე მოლაპარაკენი არიან, განსაკუთრებით ისინი, ვინც შემოსაზღვრულნი არიან სამხრეთისაკენ ე. წ. კილიკიის ტავრით, აღმოსავლეთისაკენ არმენიით, კოლხიდით და ამათ შორის მოსახლე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომებით, ჩრდილოეთისაკენ ევქსინით, ვიდრე ჰალისის შესართავებამდე, დასავლეთით პაფლაგონიელთა ტომით და გალატელთა (ტომით), რომელიც ფირგიაში მოსახლეობს ლიკაონელებამდე და იმ კილიკიელებამდე, რომლებიც კლდოვან კილიკიაში ცხოვრობენ“[21]. დ. ჩუბინაშვილი მხოლოდ ნაწილობრივაა მართალი; ძირითადად მართალია იგი კაპადოკიის ტერიტორიის იმ რაიონების მიმართ, რომელ-

---

20 ეს ნაშრომი დაუწერია დ. ჩუბინაშვილს რუსულად: „Этнография народов населяющих древнюю континентальную и приморскую Каппадокию (Понт римских писателей“). სამწუხაროდ, იგი რუსულად არ დაბეჭდილა. ი. ჭავჭავაძის ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, რომ ეს რუსული ხელნაწერის ტექსტი მისთვის გამოუგზავნია დ. ჩუბინაშვილს „ივერიის“ თანამშრომლის ვასილ მაჩაბლის ხელით, ხოლო ილიას უთარგმნინებია ქართულად და დაუბეჭდავს „ივერიაში“ 1877 წელს.

21 სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. გამოცემა თ. ყაუხჩიშვილისა. თბილისი, 1957 (წიგნი XII, თ. I, გვ. 199). შდრ. Страбон, География, Москва, 1964, გვ. 502.

საც შეადგენდა პონტოს სამეფო და კოლხეთი. ეს ტერიტორიები მართლაც უხსოვარ დროიდან ქართველი ტომებით იყო დასახლებული[22]. ძირითადი წყარო დ. ჩუბინაშვილისა არის ქსენოფონტის „ანაბასისი“, საიდანაც იგი კრებს მასალებს ქართველ ტომებზე (გვ. 29-32, მოტანილია ტექსტი). ეს ცნობები ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეს ეკუთვნის.

დ. ჩუბინაშვილის აზრით, ქსენოფონტის მიხედვით შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: პირველი ტომი, რომელსაც იგი ახსენებს, — ფაზიანნი, ეთნიკურად არც ქართველები იყვნენ და არც სომხები; და, როგორც ჩანს, ჰეროდოტეს ალაროდიელებს ენათესავებოდნენ. მათ მოჰყვებათ ქართველი ტომი ტაოხებისა — ტაოელნი, რომელთა ჩრდილოეთით მდებარეობდა სპერი, ქართველთა ისპირის ხეობა; ტაო და სპერი შეადგენდა კლარჯეთის საერისთავოს. მესამე ხალხს ხალიბნი წარმოადგენდნენ; ისინი უნდა იყვნენ „ილიადაში“ მოხსენიებულნი ჰალიბეს ხალხი და გამოსულან მდინარე ალაზნის ველიდან, კახეთიდან. მეოთხე ტომი მაკრონებია. ისინი სტრაბონისა და პლინიუსის სანებია, არიანეს ტძანები და ბიზანტიელთა ტცანები, ქართველთა ჭანი და სკილაქსის მაკროცეფალებია. მაკრონებს, მთებში რომ სახლობდნენ, ეწოდებოდათ სეპტაკომეტები (შვიდკოშკელები). აქედან ჩანს, რომ მოსინიკები და მაკრონები ერთი და იგივე ხალხია. მათ მოჰყვებიან ტიბარენები; ისინი ქ. კოტიორას (ორდუს) მახლობლად სახლობდნენ. ტიბარენები და ხალიბები ცხოვრობდნენ როგორც კოტიორას რაიონში, ისე სამცხესა და ქართლში. ტიბარენები „საღვთო წერილის“ თობალია.

„კაპადოკიაში“ მცხოვრებ ტომთა შესახები ცნობების დ. ჩუბინაშვილისეული ინტერპრეტაცია, და მათი ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრა თავისი დროისათვის სავსებით დამაკმაყოფილებლად გამოიყურება. კითხვას იწვევს მხოლოდ ის გარემოება, თუ რატომ არ ჩათვალა ჩვენმა ავტორმა ფასიანები ქართველ ტომებში? ფასიანები ქართული ეთნიკური სამყაროს ერთერთ შემადგენელ ნაწილს შეადგენენ[23].

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, უნდა ვაღიაროთ, რომ დ. ჩუბინაშვილის ეთნოგენეტიკური კონცეფცია ბევრ საგულისხმო დაკვირვებას შეიცავს. დამაჯერებელია მისი შეხედულება პონტო-კოლხეთის ტერიტორიის მოსახლეთა ეთნიკური შედგენილობის შესახებ. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც სერიოზული ყურადღება მიაქცია სტრაბონის ცნობას და სრულიად ორიგინალური (თუნდაც მიუღებელი) გააზრება წარმოგვიდგინა. მის მიერ სწორადაა შენიშნული ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან ცალკეულ ქართველ ტომთა არსებობა. დ. ჩუბინაშვილისა და მის წინამორბედ ისტორიკოსთა წვლილი ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხში, განსაკუთრებით სათანადო საისტორიო მასალათა შეგროვება-გაანალიზების თვალსაზრისით, ერთობ დიდია ქართული ისტორიოგრაფიისათვის და იგი ნიადაგს ამზადებს მომავალი ეთნოგენეტიკური კონცეფციებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ მასთან უკვე იხსენიება ძველაღმოსავლურ ეპიგრაფიკულ წყაროთა (ასურული, სპარსული) სიმრავლე და მნიშვნელობა ქართველი

[22] H. Gelzer, Cappadocien und seine Bewohner. ჟურნ. „Zeitschrift fur Aegyptische Sprache“. 1875, გვ. 14—26. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959. გ. გოზალიშვილი, მთრ დატე პონტოელი, თბილისი, 1962, გვ. 5-229.

[23] თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბილისი, 1967, გვ. 124-127. იქვეა სათანადო ლიტერატურა.

ხალხის უძველესი განსახლების საკითხისათვის, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან მოხმობილი ქართველთა ეთნოგენეზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროს სახით.

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, როდესაც ჩვენ ქვეყანაში ადგილი აქვს ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესს და ქართველი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბებას, ქართულ ისტორიოგრაფიაში, კიდევ უფრო მდიდარი ისტორიული მასალების მოშველიებით, ისმის საკითხი ეთნოგენეზის შესახებ. ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბებას ისტორიოგრაფიაში სინქრონულად მოჰყვა ეთნოგენეზის საკითხში მესამე ეტაპის დაწყებაც. იგი, უწინარეს ყოვლისა, აღინიშნა ძველაღმოსავლურ წყაროთა შედარებით მეტი გამოყენებით. ამ ეტაპის წამომწყები და პირველი დიდი წარმომადგენელია დიმიტრი ბაქრაძე. მის მდიდარ და მრავალფეროვან შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველ ტომთა წარმოშობა-განსახლების საკითხს. ავტორის ნაშრომები საქართველოს შესახებ ძველაღმოსავლური (ასურული, სპარსული, ებრაული) წყაროების, ანტიკური ხანის ისტორიკოსების, ბიზანტიელ ავტორთა ცნობებისა და იმჟამინდელი არქეოლოგიის მონაცემთა საფუძვლიან ცოდნაზეა დამყარებული. მისი „ისტორია საქართველოსი“ ძალზე მდიდარ მასალას შეიცავს საქართველოს უძველესი ისტორიისას. აქაა მოთხრობილი „საზოგადო ცნობები ისტორიის წინა-დროებაზე“ (გვ. 1-20). „კავკაზი და იმისი უძველესი ისტორია“ (გვ. 21-37), „საქართველო და იმისნი უძველესნი ადგილობრივი ცნობანი“ (გვ. 38-75). სამივე ეს თავი იმჟამინდელი მეცნიერების (გეოლოგია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია) მონაპოვართა სინათლეზეა წარმოდგენილი და ნაჩვენებია საგულისხმო სურათი ქართველთა უძველესი ცხოვრებისა. აქვეა მოცემული ავტორისეული კონცეფცია ქართველთა წარმოშობაზეც.

პირველწყაროთა გარდა, საქართველოს უძველესი ისტორიისათვის ჩვენ ავტორს ფართოდ აქვს გამოყენებული აგრეთვე ევროპული სამეცნიერო ლიტერატურა ძველი აღმოსავლეთის შესახებ, სახელდობრ, იგი ხშირად ახსენებს ცნობილი ორიენტალისტის ფრანსუა ლენორმანის (1837-1883) ნაშრომს[24].

ამა თუ იმ ხალხის ისტორიის გადმოცემა ჩვეულებრივ მისი ადგილსამყოფელის განსაზღვრით იწყება. ასე დგას ეს საკითხი დ. ბაქრაძის შრომებშიც. მისი წარმოდგენით, ქართველი ტომები ძველი წელთაღრიცხვის 1 ათასწლეულში ვრცელდებოდნენ მცირე აზიიდან, ვიდრე კავკასიონის ქედამდე. მაგრამ მას არ აკმაყოფილებს ცალკეულ ქართველ ტომთა ის ლოკალიზაცია, რომელიც მოცემული აქვს ფ. ლენორმანს. იგი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ქართველ ტომთა საცხოვრებელი ადგილები და ერთი მეორის საზღვარი არეული უნდა იყოს“-ო[25].

მართლაც, თუ ჩვენ დავუკვირდებით ფ. ლენორმანის რუკებს, სადაც მოცემულია ცალკეული ქართველი ტომების ადგილსამყოფელის განსაზღვრა (რუკები III, VII, XI, XIII, XVIII)[26], დავინახავთ, რომ საძიებელ ტომთა

---

24 დ. ზ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, თბილისი, 1889.

25 F. Lenorman. Histoire ancienne de l'Orient jusquáux gerres mediqus, Paris, 1881.

26 დ. ბაქრაძე, ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართველი ტომის დასაწყისზე, თბილისი, 1881.

ადგილსამყოფელი ფრანგ მეცნიერს ძალზე ზოგადად აქვს მოხაზული. მისი ლოკალიზაცია ხშირ შემთხვევაში არა დამაკმაყოფილებელია, იგი კონკრეტულობას მოკლებული ჩანს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მესამე რუკა, რომელზედაც თუბალს მთელი თანამედროვე საქართველო უკავია, მაშინ როდესაც XI რუკაზე მუშქების (მუსკაია) საცხოვრისი ქართლ-კახეთშია გადატანილი. ამ ფონზე სრულიად სამართლიანია დ. ბაქრაძის შენიშვნა ქართველ ტომთა ფ. ლენორმანისეული ლოკალიზაციის მცდარობის თაობაზე.

მაგრამ, თუ დ. ბაქრაძე სწორ შეხედულებებს გამოთქვამს ცალკეული ქართველი ტომების ადგილსამყოფელის შესახებ, იგივე არ ითქმის ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხზე. მის შრომებში იგი შედარებით სუსტად გამოიყურება. გამოწვეულია ეს, უწინარეს ყოვლისა, იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების განვითარების დაბალი დონით. მართალია, XIX საუკუნის ისტორიულ მეცნიერებას გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა ამ მიმართულებით, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართული არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ენათმეცნიერება, რომ მათს საფუძველზე სწორად ყოფილიყო გაშუქებული ეთნოგენეზის საკითხები. ამასთან, ხსენებულ მეცნიერებათა წარმატებით განვითარებას აფერხებდა მყარი მეცნიერული მეთოდოლოგიის უქონლობა.

ყველაფერ ამას, რა თქმა უნდა, უარყოფითი შედეგი ჰქონდა დ. ბაქრაძისთვისაც. იგი ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხში მიგრაციის თეორიის პოზიციებზე დგას. მას დასაშვებად მიაჩნია, კერძოდ, ქართველი ხალხის ჩამოყალიბება არა საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე, არამედ შუა აზიაში უძველეს დროს სემიტების, ინდოევროპელებისა და ქამიტების საგრძნობი კულტურული გავლენების პირობებში. მრავალი, უთუოდ ქართული წარმოშობის სიტყვა, მას უცხოური წარმომავლობისად მიაჩნია[27].

განსაკუთრებით ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ავტორის მტკიცება ქართველი ხალხის უძველესი წინაპრების შუა აზიიდან მოსვლის შესახებ. მისი აზრი ეხმაურება XIX საუკუნეში გაბატონებულ ტენდენციას — ხალხთა წარმოშობის მათს მიგრაციაზე დაყვანამდე. მართალია, ჩვენ არ უარვყოფთ მიგრაციის ცალკეულ ფაქტებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ისტორიაში, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია მარტოოდენ გადასახლებებზე დავიყვანოთ ხალხის წარმოშობის საკითხი.

დ. ბაქრაძისათვის ქართველი ტომების მეორე სამშობლოს მცირე აზია წარმოადგენს. აქ გაუჩაღებიათ მათ თავისი ცხოვრების ახალი კერა. ამრიგად, დ. ბაქრაძის აზრით, ქართველი ტომები უკვე ჩამოყალიბებული სახით მოსულან თავის პირვანდელი სამშობლოდან, წამოუღიათ იქაური უძველესი კულტურა და მხოლოდ ამის შემდეგ დასახლებულან მცირე აზიაში.

მცირე აზია, დ. ბაქრაძის სამართლიანი განცხადებით, კავკასიის უძველესი ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი მხარეა. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს უძველეს ისტორიასთან[28].

ქართველი ტომების უძველესი კულტურა, ავტორის სიტყვით, თურანული წარმოშობისაა (შუააზიური). მათი მატერიალური კულტურის ძეგლები თურანული სამყაროსათვის დამახასიათებელ ნივთებს შეიცავენ. ხოლო შუა აზია კი XIX ს-ის ისტორიოგრაფიაში ხალხთა წარმოშობის ერთადერთ კე-

27 დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, თბილისი, 1889, გვ. 31-33.

28 დ. ბაქრაძე, საქართველო. პირველი რვეული. შესავალი: კავკაზია, თბილისი, 1871, გვ. 22.

რად განიხილებოდა. დ. ბაქრაძეს ქართველ ტომთა კულტურის ეს თურანული წარმომავლობა ნასესხები აქვს არქეოლოგ ჟიულ სიურისაგან, რომელიც თაბალებსა და მოსხებს თურანელებად თვლიდა[29]. ეს აზრი საწყისს პოულობს ცნობილ ენათმეცნიერ მაქს მიულერთან (1823-1900), რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში ქართველურ ენებს დიდი თურანული ოჯახის წევრებად გულისხმობდა[30].

მართალია, დ. ბაქრაძე ქართველ ტომთა მატერიალურ კულტურას თურანულად თვლიდა, მაგრამ იგი არ იზიარებს ქართველ ტომთა ენის თურანულობას[31]. დ. ბაქრაძისთვის ძირითადი ეთნიკური ნიშანია ენა, რომლის შესწავლა, მისი აზრით, ნათელს ჰფენს ამა თუ იმ ხალხის ეროვნულ კუთვნილებას[32]. ჩვენი ავტორის ამ ზოგადი დებულებიდან უნდა გამოვიდეთ ეხლაც, როდესაც ვიკვლევთ მის შეხედულებებს ქართველი ხალხის ეთნოგენეზზე. ვფიქრობთ, დ. ბაქრაძე სავსებით სწორად მოიქცა, როდესაც ქართველი ტომების წარმოშობის საკითხში არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა ენას და არა არქეოლოგიას — ენობრივად თუბალები და მეშეხები იმჟამად მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, ქართულ ენაზე მოლაპარაკე ტომები იყვნენ, თუმცა მატერიალური კულტურის მიხედვით, თურანელებს მიეკუთვნებოდნენ.

ამრიგად, დ. ბაქრაძის ეთნოგენეტიკური შეხედულებების განხილვა გვარწმუნებს, რომ მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს უძველესი ისტორიის გამოჩენილ მკვლევართან. იგი შესანიშნავად იცნობს ამ ხანის ისტორიულ წყაროებსა და საფუძვლიანად იყენებს მის მონაცემებს. ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ენას, როგორც ერთ-ერთ ძირითად ნიშანს ხალხის ეთნიკური კუთვნილების განსასაზღვრად. ენასთან ერთად ეთნოგენეზის საკითხის გადაწყვეტისათვის დახმარების გაწევა შეუძლია აგრეთვე გათხრითს არქეოლოგიასაც. მაგრამ დ. ბაქრაძის კვლევა-ძიება მთელი რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება. ავტორი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველთა წარმოშობას წინა აზიის უძველესი მოსახლეობისაგან (თუბალი, მეშეხი), რადგან, ცხადია, ძველ აღმოსავლურ ხანაში (I ათასწლეული) ქართველ ტომებს, მცხოვრებთ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, უკვე გააჩნდათ თავისი ენობრივი და ეთნიკური ინდივიდუალობა[33]. მართალია, დ. ბაქრაძე გრძნობდა კიდეც, რომ ქართველი ხალხის წარმოშობისათვის მნიშვნელო-

[29] I. Soury, L'Asie-Mineure d'aprés les nouvelles d'ecouvertes archéoligiques. Revu de Deux Mondes. 15 octobre, 1873, გვ. 909-910.

[30] Max Müller. The languages of the seat of war in the east. etc... 2 editt., Londone Leipzig, 1855, გვ. 124.

[31] დ. ბაქრაძე, ისტორია... გვ. 28, შენ. 1.

[32] დ. ბაქრაძე, „ქართლის ცხოვრების" პირველ-გადმოცემათა წყაროები და მათი ხასიათი. „ივერია", № 1, 1985, გვ. 55; მისივე. Об источниках и характере первоначальных преданий „Картлис цховреба" или грузинских летописей. ИКОИА, ტ. 1, ნაკვ. 1, თბილისი, 1882, გვ. 35.

[33] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 13.

ბა აქვს საკუთრივ მისი ტერიტორიის არქეოლოგიურ შესწავლას, რომლის შესწავლილობის იმჟამინდელი ეტაპი სასურველ შედეგს არ იძლეოდა, მაგრამ გადამწყვეტ ფაქტორად ქართველთა ეთნოგენეზში, მას მაინც ეს ძველაღმოსავლური ტომები (თუბალი, მეშეხი) წარმოედგინა. ამასთან, როგორც თავისი ეპოქის შვილი, დ. ბაქრაძეც არაა თავისუფალი მიგრაციის თეორიის მავნე გავლენისაგან. მიუხედავად ამისა, იგი XIX ს-ის ქართული ისტორიოგრაფიის უდიდეს ფიგურას წარმოადგენს.

ქართველი ხალხის წარმომავლობა-განსახლების პრობლემას არა ერთი საყურადღებო გამოკვლევა მიუძღვნა აგრეთვე მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა. ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომი: „Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии“[34], სადაც ძველაღმოსავლური და ანტიკური წყაროების ცნობათა ანალიზის შედეგად მოცემულია ქართველი ტომების გავრცელების დადგენის საინტერესო ცდა. უნდა ამთავითვე ითქვას, რომ ეს ამოცანა ავტორმა შესანიშნავად გადაწყვიტა, როგორც ისტორიული, ისე ენობრივი მასალების მიხედვით.

დ. ჩუბინაშვილის მსგავსად, ჩვენ ავტორსაც აინტერესებს მცირე აზიაში (კაპადოკია-პონტო) მცხოვრები ტომების ეთნიკური კუთვნილების საკითხი. იგი ასევე იყენებს სტრაბონის წყაროს, რომელზედაც არსებითად იყო დამყარებული დ. ჩუბინაშვილი, თუმცა ა. ხახანაშვილი შედარებით ფრთხილია და ცდილობს კრიტიკულად მიუდგეს სტრაბონის ცნობას კაპადოკიაში მცხოვრები ტომების ეთნიკურ ერთიანობაზე. იგი ყურადღებას აქცევს სტრაბონის ჩვენებას „ტიბარენული ტომების“ შესახებ, რომლის კრებითი, ზოგადი სახელწოდების ქვეშ იგულისხმება სანების, მაკრონების, ტსანების (ტძანები), სანიგების, მაკრონების (მაკროკეფალები), მოსინიკებისა და მარების ტომები. მისი სიტყვით, ყველა აქ ჩამოთვლილი ტომის ქართული დასახელებაა ჭანი, რომელიც ადრე შუა საუკუნეებში ლაზების სახელწოდებით იცვლება და რომელიც მეგრულ-ჭანური, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით, დასავლურ-ქართული მოსახლეობის ზოგადი, შემკრებლობითი სახელია.

ა. ხახანაშვილი ამასთან იზიარებს ანტიკურ ტიბარენთა იგივეობას „ბიბლიურ“ თუბალთან და ძველაღმოსავლურ თაბალთან, ერთი მხრივ, ხოლო ძველბერძნულ მოსხთა, „დაბადების“ მეშეხთა და ასურული „მუსკის“ ტომებთან, მეორე მხრივ. ამ იგივეობის წყაროს, მისი აზრით, შეადგენს „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი თხზულების ავტორთან დასახელებული ეთნარქთა (უფლოსი, მცხეთოსი) სახელწოდებები. მკვლევარი ამ ფაქტის უბრალო აღნიშვნით არ კმაყოფილდება. თუ მისი წინამორბედი ისტორიკოსები საძიებელ საკითხს უპირატესად ისტორიული მეთოდით იკვლევდნენ, ჩვენი ავტორი ამ დებულებას მყარსა ხდის ენათმეცნიერული მასალების გათვალის-

[34] ЗКОИРГО, ტ. XXII, ნაკვ. 6, გვ. 1-64, თბ., 1902.

წინებით. კერძოდ, მას მიაჩნია, რომ მეშეხი და მოსხი ერთი კონკრეტული ეთნოსის ორი სხვადასხვა ვარიანტთაგანია (გვ. 3, 34). ამ სახელწოდებათა შორის არსებობს მხოლოდ ფონეტიკური სხვაობა, სახელდობრ, შ — ს-სა და ე—ო-ს სახით. თუ „დაბადებაში“ ხსენებულ ხალხს მესეხი (მეშეხი) ეწოდება, ანტიკურ ხანაში მას მოსხი ცვლის (გვ. 3).

ამგვარი ხერხით შესაძლოა, მისი აზრით, „დაბადების“ თუბალისა და ანტიკური ხანის ტიბარენების სახელწოდებათა მსგავსებისა და იგივეობის მტკიცება. იგი ჰეროდოტეს ტიბარენებში, ლ. ვივიენ სენ-მარტენის მიხედვით, გამოყოფს ქართულ „ენ“[35] სუფიქსს, რომლის მოცილების შემდეგ რჩება ფესვი „ტიბარ“-ი. სწორედ ეს უკანასკნელი ძალზე ახლოს დგას „დაბადების“ თუბალთან“[36].

ჩვენ შეგვეძლო კიდევ მრავალი მასალის მოტანა, როგორც საკუთრივ ა. ხახანაშვილის ნაშრომებიდან, ისე მისი წინამორბედი ისტორიკოსების თხზულებებიდან ქართველთა წარმოშობის საკითხზე. მაგრამ აღნიშნულიც, ვფიქრობთ, საერთო შთაბეჭდილებას ქმნის, გვისურათებს იმას, თუ რა მეთოდებით და ხერხებით აწარმოებდნენ კვლევა-ძიებას XIX ს-ის ქართველი ისტორიკოსები აქ აღძრულ საკითხთა გარშემო. ამიტომ ჩვენ ამაზე მოვათავებთ საუბარს და ზოგადი დასკვნების გაკეთებას შევეცდებით.

აქ განხილულ ეთნოგენეტიკურ შეხედულებებს, ჩვენთვის, უწინარეს ყოვლისა, ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ქართველთა ეთნოგენეზის საკითხის განხილვის პირველი ეტაპი უკავშირდება ძალზე პრიმიტიულ, მარტივ კონცეფციას, რომელიც ეთნარქ-პატრიარქთა ბიბლია-ლეონტის თეორიას ემყარება. ამ კონცეფციას მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს. აქაა გაბატონებული ბიბლიური გენეალოგიური სქემა, რომელსაც მექანიკურად დაუკავშირეს ქართველთა ლეგენდარული წინაპარი ქართლოსი. ამ უკანასკნელის გარშემო თავს იყრის მისი შთამომავლობა — ქართველობა, რომელიც ხალხად ყალიბდება. ამავე გენეალოგიური კონცეფციის წიაღში თანდათან გზას იკვლევს შედარებით რაციონალური იდეა ქართველთა გაჩენისა ბიბლიური თუბალისაგან. ეს უკანასკნელი იბერთა წინაპრად ცხადდება და თითქოს ნიადაგს ამზადებს ეთნოგენეზის საკითხის სწორად გადაჭრისათვის. მაგრამ თეიმურაზი ამ თეორიას უარყოფს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე მითითებით, აღნიშნავს, რომ ეს წყარო ამ კონცეფციას არ იცნობდა და ამიტომ მიუღებელია.

ქართველთა წარმოშობის მეორე ეტაპი პ. იოსელიანის ნაშრომთა გამოქვეყნებიდან იწყება. ეს უკანასკნელი უარყოფს ეთნარქ-ეპონიმთა ისტორიულ რეალობას და ამით საფუძველს აცლის გენეალოგიურ სქემას. იგი უკვე

35 როგორც ჩანს, ა. ხახანაშვილი მართალია, როდესაც აცხადებს, რომ „ენ“ სუფიქსი ქართული წარმოშობისა არისო (იხ. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის „მოამბე“, ტ. I, თბილისი, 1937, გვ. 211, 213, 214).

36 ლ. ვივიენ სენ-მარტენი, დასახ. ნაშრომი. გვ. 49, შენ. I.

კომპლექსური მეთოდით ხელმძღვანელობს და ბიბლია-„ქართლის ცხოვრების“ ცნობებთან შედარებით წინა პლანზე აყენებს ანტიკური (ბერძნულ-რომაული) ნარატიული წყაროების ჩვენებებს ქართველი ტომების წარმომავლობისა და ისტორიული განსახლების შესახებ. მაგრამ არც მისი კონცეფციაა მყარ ნიადაგზე დაფუძნებული. ბიბლიური მეშეხი და თუბალი თუნდაც რომ კონკრეტული სახით იყვნენ წარმოდგენილი „დაბადებაში“, მაინც ძალზე მცირე მასალას იძლევიან ქართველთა ეთნოგენეზის განსაზღვრისათვის. მიუხედავად ამისა, პ. იოსელიანის ცდა ქართველი ხალხის წარმოშობის ახსნისა, თავის დროისათვის საინტერესო და საგულისხმო ჩანს. ამასთან, მან საკითხის შესახებ მასალათა შემდგომი შეგროვების მიმართულებით დიდი სამუშაოს შესრულება შეძლო.

XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი კიდევ უფრო მეტად უახლოვდება მეცნიერულ დონეს. ყურადღებას იქცევს ს. ბარათაშვილის ცდა — პრობლემის შესწავლისათვის გამოიყენოს ენაათმეცნიერებისა და ფიზიოლოგიის მონაცემები. მასვე ეკუთვნის ქართველთა დაკავშირება ინდოევროპულ ხალხთა ოჯახთან და ამით ქართველი ხალხის წინაპრების მოძებნის „ინდოევროპული გზით“ სვლა. მას უპირისპირდება დ. ჩუბინაშვილ- ა. ხახანაშვილის კონცეფცია ქართველი ტომების წარმოშობა-განსახლების არეთა შესახებ, რომელიც მიუთითებს მცირე აზია-კაპადოკია-პონტო-კოლხეთის ვრცელ ტერიტორიაზე და იქ მარტოოდენ ქართული ეთნიკური ელემენტით დასახლებას ვარაუდობს. ეს ტერიტორია, მათი აზრით, ძირითადად დასავლურ-ქართული ეთნიკური მასივით (ჭანი, ლაზი) უნდა ყოფილიყო დასახლებული. მათს გზას გაჰყვა აგრეთვე დ. ბაქრაძეც. მისი მოღვაწეობის დროისათვის საქართველოში დასრულდა პროცესი ქართველი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბებისა. ეს გარემოება კი საჭიროს ხდიდა ამ პროცესის დასაბუთებას ისტორიულ-თეორიულად, რისი შესრულება წილად ხვდა დ. ბაქრაძესა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადს ი. ჭავჭავაძეს. მათ ქართველი ხალხის წარმოშობა ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემას დაუკავშირეს და ამ საქმისათვის მოიმარჯვეს როგორც ზოგადი მსოფლიო ისტორიული თეორიები ქართველთა წარმომავლობის შესახებ[37], ისე განსაკუთრებით ენა და ენობრივი მონაცემები. ამასთან, დ. ბაქრაძეს ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევა-ძიებისათვის გამოყენებული აქვს მრავალფეროვანი მასალა: ქართული წყაროები, ბიბლიის ცნობები, ანტიკურ მწერალთა მონაცემები და ძველაღმოსავლურ (ასურული) ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაცული მასალები ქართველ ტომთა (თუბალი, მუსკი) შესახებ. წერილობითი წყაროების გარდა, დ. ბაქრაძე ქართველი ხალხის უძველე-

---

37 გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბილისი. 1965, გვ. 32-33. პ. რატიანი. ილია ჭავჭავაძე. თბილისი, 1965.

სი ხანის ისტორიის შესასწავლად და მათი წარმომავლობის დასადგენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არქეოლოგიას, რომელიც მის ხელში გადაიქცეოდა, ალბათ, რეალურ წყაროდ ქართველთა ეთნოგენეზის კვლევაში, მაგრამ გათხრითი არქეოლოგიური მასალის მეტისმეტმა სიმცირემ ხელი ააღებინა ავტორს ამ რიგის წყაროთა გამოყენებაზე. ლ. ბაქრაძით იწყება მესამე ეტაპი ქართველთა ეთნოგენეზის კვლევა-ძიებაში. ეს ეტაპი თავისი მეცნიერული მნიშვნელობით გაცილებით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე მისი წინამორბედი ორი ეტაპი. მაგრამ მიუხედავად საკმაოდ დიდი განსხვავებისა, სამივე ეს ეტაპი ძირითად ხაზებში მაინც შეიძლება ერთმანეთს დაუკავშირდეს, გაერთიანდეს, რაკი მათ საფუძვლად ედოთ ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც ცნობათა სამი კომპლექსისაგან შედგებოდა: ბიბლიის, ანტიკური ხანის მწერალთა მონაცემებისა და ძველ-აღმოსავლურ წყაროთაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, „მაცნე“, 1969, № 4

ვიტალი კაკაბაძე

არაცნობიერი ფსიქიკის ცნება კ. გ. იუნგის ანალიზურ ფსიქოლოგიაში*

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

სიღრმის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობებიდან ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში დიდი გავრცელება მოიპოვა კ. გ. იუნგის (1875-1961) მიერ შექმნილმა „ანალიზურმა ფსიქოლოგიამ“, რომელიც „კომპლექსური ფსიქოლოგიის“ სახელითაც არის ცნობილი[1]. იუნგი საკუთარი ფსიქოლოგიური კონცეფციის ორიგინალობას აღნიშნული ტერმინების გამოყენებითაც მიუთითებს. მისი აზრით, ანალიზური ფსიქოლოგია განსაკუთრებული მიმართულებაა ფსიქოლოგიაში, რომელიც დაინტერესებულია რთული სულიერი ფენომენებით. ეს მიზანდასახულება განასხვავებს მას ე. წ. ფიზიოლოგიური ანუ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისაგან, რომელიც რთული ფენომენების შემადგენელ ელემენტებზე დაყვანისაკენ მიისწრაფვის. ანალიზური ფსიქოლოგია არ სწავლობს ცალკეულ ფუნქციებს (შეგრძნებებს, ემოციებს, აზროვნების პროცესებს და ა. შ.) იზოლირებულად, ექსპერიმენტულ პირობებში. პირიქით. იგი ამოცანად ისახავს ფსიქიკის, როგორც ბუნებრივად არსებული მთლიანი მოვლენის, უმაღლესად კომპლექსური წარმონაქმნის წვდომას.

კ. იუნგის მითითებით, ტერმინი „ანალიზური“ გამოიყენება იმ ფაქტის აღსანიშნავად, რომ ეს ფსიქოლოგიური მიმართულება ზ. ფროიდის ფსიქოანალიზიდან აღმოცენდა. ანალიზური ფსიქოლოგიის ცნება იმასაც გულისხმობს, რომ ისაა „რეაქცია ცნობიერების გადამეტებული რაციონალიზაციის წინააღმდეგ“[2].

იუნგის ღრმა რწმენით, ანალიზური ფსიქოლოგია პრაქტიკული მეცნიერებაა იმ გაგებით, რომ მისი მიზანი არ ამოიწურება ფსიქიკის მთლიანობითი ბუნების მხოლოდ შემეცნების საფეხურით, იგი იმავდროულად დამხმარე საშუალებაა სამედიცინო და პედაგოგიური საქმიანობისათვის. აკადემიური მეცნიერების საპირისპიროდ, ანალიზური ფსიქოლოგია გამოყენებითი მეცნიერების ფუნქციას ასრულებს.

საერთოდ, იუნგი თავისი ფსიქოლოგიური კონცეფციის საბოლოო მიზნად სახავს სიცოცხლის წვდომას, როგორადაც ის წარმოდგენილია ადამიანის ფსიქიკის სახით.

---

[1] საკუთარი ფსიქოლოგიური კონცეფციის აღსანიშნავად იუნგი „ანალიზური ფსიქოლოგიის“ ტერმინს 1913 წლიდან იყენებს, როცა განხეთქილება ფროიდთან მოუხდა. ტერმინი „კომპლექსური ფსიქოლოგია“ მან უფრო გვიან იხმარა.

[2] Seelenprobleme der Gegenwart, 1946, გვ. 333.

* წაკითხულია მოხსენებად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, 1963 წელს.

იუნგის ამოსავალი გნოსეოლოგიური დებულებაა: სულის მთლიანობა არ შეიძლება მხოლოდ ინტელექტით იქნეს შემეცნებული, რადგანაც სულში რაციონალურს გარდა ირაციონალური სინამდვილეცაა. ფსიქიკა, როგორც ბუნებრივი გეშტალტი, ირაციონალური მოცემულობაა.

იუნგი ანალიზურ ფსიქოლოგიას უწოდებს ახალი სახის ბუნებისმეტყველურ ფსიქოლოგიას, რომელიც პირველ რიგში უშუალო გამოცდილებას ეფუძნება. ფსიქოლოგიას ბუნებისმეტყველებასთან აკავშირებს დაკვირვების მეთოდი და ემპირიული ფაქტობრივობის დადგენის მიზანი. მიუხედავად კოლექტიური არაცნობიერის სფეროში რამდენიმე ათეული წლის მუშაობისა, ავტორის მიხედვით, არ დამდგარა დრო ზოგადი თეორიის შემუშავებისა, რაც მოიცავდა და გაითვალისწინებდა ფსიქიკურის ყველა ფენომენს. ამიტომ იუნგი საკუთარ შეხედულებებს თვლის ერთგვარ ცდად და წინადადებად ახალი ფსიქოლოგიის შექმნისათვის. იუნგის ძირითადი მიზანია ფაქტების კვლევა. ფაქტის აღმოჩენა ყოველგვარი თეორიის შექმნაზე მაღლა დგას. ფსიქოლოგიის სფეროში თეორია დამანგრეველია. მაგრამ, მეორე მხრივ, თეორიის გარეშე ემპირიული კვლევა ვერ განხორციელდება. გარკვეული თეორიული თვალსაზრისი საჭიროა მისი მაორიენტირებელი და ევრისტული ღირებულების გამო.

იუნგმა სისტემატური კვლევა-ძიების საგნად გახადა არაცნობიერი ფსიქიკური. მიუთითებენ, რომ კოლექტიური არაცნობიერის ცნება საერთოდ სიღრმის ფსიქოლოგიის მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რაშიაც გადამწყვეტი სიტყვა ანალიზურმა ფსიქოლოგიამ თქვა. იუნგის კონცეფციაში არაცნობიერი ფსიქიკის ცნება პრინციპულად უკავშირდება ორ მომენტს. ესენია: კოლექტიური არაცნობიერი და ფსიქიკური ენერგია.

როცა იუნგი ლაპარაკობს ანალიზურ ფსიქოლოგიაზე, როგორც ახალი ტიპის ბუნებისმეტყველურ დისციპლინაზე, მას მხედველობაში აქვს ის ობიექტი, რომელიც მანამდე, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, „ყამირი“ იყო და შემდეგ მასზე მუშაობამ შეგვძინა კოლექტიური არაცნობიერის ცნება. ავტორი ჯერ კიდევ 1912 წ.-ს წერდა, რომ ჩემი განზრახვაა არაცნობიერი ფსიქიკის არსის ახალი გაგების შესახებ ორიენტაციის მოცემაო[3]. რას წარმოადგენს ფსიქიკა აღნიშნული, ე. წ. ახალი გაგებით?

იუნგის მიხედვით, ფსიქიკა ურთიერთშემავსებელი ცნობიერი და არაცნობიერი პროცესების მთლიანობაა, ერთიანობაა. ცნობიერი და არაცნობიერი არა მარტო ავსებენ ერთმანეთს, არამედ ერთმანეთისადმი კომპენსატორულ დამოკიდებულებაშიც არიან. ფსიქიკური სისტემა დახშულია და თვითრეგულირებადია. კომპენსაცია თვითრეგულირების პრინციპია, იგი ძირითადი წესია ფსიქიკური მოქმედებისა. ცნობიერება ფსიქიკის მცირე ნაწილია, მას გარს აკრავს უსასრულოდ ვრცელი და ღრმა არაცნობიერი, რომლის შესახებაც ის ვიცით მხოლოდ, რომ ის არსებობს და გავლენას ახდენს ცნობიერებაზე[4].

ცნობიერების სუბიექტია „მე“. ეს უკანასკნელი წარმოადგენს წარმოდგენათა კომპლექსს, რომელიც შეადგენს ცნობიერების ველის ცენტრს და

[3] Über die Psychologie des Unbewufsten, 1948, გვ. 8.

[4] Psychologie und Religion, 1939, გვ. 152.

მოჩანს როგორც უწყვეტი და იგივეობრივი. ფსიქიკური შინაარსი მაშინაა ცნობიერი, როცა იგი კავშირშია მე-კომპლექსთან. „მე“ განსხვავდება „თვითონ“-ისაგან (Selbst), რომელიც არის მთლიანი ფსიქიკის სუბიექტი, ცენტრი. „თვითონ“ მოიცავს „მე“-ს[5].

იუნგის მიხედვით, გავრცელებული ფსიქოლოგიური ემპირიზმი არაცნობიერ ფსიქიკას წარმოიდგენს ისე, რასაც ტერმინი „არაცნობიერი“ მიუთითებს პირდაპირი მნიშვნელობით, ე. ი. ცნობიერების არარსებობას, ჩრდილის მსგავსად, რაც სინათლის უარყოფა, არარსებობაა. არაცნობიერი ფსიქიკის ამგვარი გაგება იუნგს არ აკმაყოფილებს. იგი სრულიად საპირისპირო შეხედულების დამცველად გვევლინება, როცა აცხადებს, რომ არაცნობიერი ფლობს შემოქმედებითობას, რაც ჩრდილის ბუნებას, როგორც ასეთს, არ მიეწერება. არაცნობიერი წარმოადგენს ცნობიერების შემქმნელს, იგი „შემოქმედი დედაა“ ცნობიერებისა[6].

თვითონ არაცნობიერი ფსიქიკა, იუნგის აზრით, ორი ნაწილისაგან შედგება. ერთია პიროვნული არაცნობიერი, რომელიც იწოდება არაცნობიერი ფსიქიკის ზედაპირულ ფენად; ხოლო მეორე — კოლექტიური არაცნობიერი. პიროვნული არაცნობიერი მოიცავს ფსიქიკის ყველა იმ შინაარსს, რაც უკავშირდება ადამიანის ინდივიდუალურ ცხოვრებას. ესენია: ცნობიერების ყოფილი შინაარსები, რომლებიც გარკვეული ვითარების გამო დავიწყებული იქნენ; აქვე თავსდება ცნობიერების ქვეზღურბლური, სუსტი ინტენსივობის მქონე შთაბეჭდილებები, პერცეფციები; წარმოდგენათა კომბინაციები, რომლებიც სუსტი და არაცხადია; ყველა ის შინაარსი, რომელიც ცნობიერ განწყობასთან ერთიანობაში ვერ თავსდება, რის გამოც განდევნილის ბუნებას ამჟღავნებს[7]. საერთოდ, პიროვნული არაცნობიერი შინაარსებისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ ისინი ცნობიერებაში გამოვლენილნი, განიცდებიან საკუთარი მე-ს კუთვნილებად, წინააღმდეგ კოლექტიური არაცნობიერის შინაარსებისა, რომლებიც უცხოდ და გარედან მოსულად განიცდებიან[8].

კოლექტიური არაცნობიერი წარმოადგენს ობიექტურ ფსიქიკას, საპირისპიროდ პიროვნული არაცნობიერისა, რომელიც სუბიექტური ფსიქიკაა. კოლექტიური არაცნობიერი, იუნგის მითითებით, მოიცავს კოლექტიურ შინაარსებს, ე. ი. ისეთებს, რომლებიც ეკუთვნიან მთელ კაცობრიობას. ესენი არ არიან ინდივიდუალური არსებობის შენაძენნი, არამედ წარმოადგენენ ადამიანთა მოდგმის თაწმობილ სულიერ ფორმებს[9]. ტერმინი „კოლექტიური“, მაშასადამე, მიუთითებს არაცნობიერის ზოგად ბუნებაზე, ინდივიდებში მის იგივეობაზე, იდენტურობაზე, რაც ამის გამო ქმნის ზეპიროვნული ხასიათის სულიერ საფუძველს[10].

პიროვნული არაცნობიერის შინაარსებია გრძნობადი კომპლექსები, ხოლო კოლექტიური არაცნობიერისა — არქეტიპები[11]. იუნგის განმარტებით,

[5] Psychologische Typen, 1950, გვ. 26.

[6] Psychologie und Erziehung. 1946, გვ. 93.

[7] იქვე, გვ. 94.

[8] Psychologische Abhandlungen, II, 1928, გვ. 216.

[9] იქვე, გვ. 214.

[10] Bewufstes und Unbewrstes, 1957, გვ. 12.

[11] იქვე, გვ. 12. ტერმინი არქეტიპი იუნგმა პირველად იხმარა 1919 წელს. მანამდე მის აღსანიშნავად იყენებდა ტერმინებს: „პირველადი ხატი“, „კოლექტიური არაცნობიერის დომინანტი“.

არქეტიპი არის კაცობრიობის მუდმივად განმეორებადი გამოცდილების ნალექი, სუბიექტური რეაქციების მრავალგზის განმეორების კვალი; ტიპიური გამოცდილების „დაღის“ გარდა, იგი იმავე დროს არის ძალა და ტენდენცია გამოცდილების განმეორებისაკენ[12].

სიღრმის ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ არაცნობიერი ფსიქიკის სახეებიდან ფროიდმა განსაკუთრებით პიროვნული არაცნობიერი იკვლია, რომ ფროიდის ფსიქოანალიზის თეორია არსებითად პიროვნული არაცნობიერის თეორიაა; იუნგმა კი აღმოაჩინა კოლექტიური არაცნობიერი. როგორც აღინიშნა, კოლექტიური არაცნობიერი ეს ისეთი ფსიქიკაა, რომელიც საერთოა ყველა ადამიანისათვის, იგი მის ფილოგენეზს უკავშირდება. ასეთი რამ კი ფსიქოანალიზისათვის უცხო არაა. პირიქით, ფროიდის ცნებები არაცნობიერი ფსიქიკისა, როგორიცაა: „იგი“ (ლტოლვები) და „ზე-მე“ (არქაული მემკვიდრეობა) სწორედ რომ ზოგადადამიანურ არაცნობიერ ფსიქიკურ თვისებებზე მიუნიშნებენ და ამით ემსგავსებიან არქეტიპს[13]. თვითონ იუნგიცა და ფროიდიც კოლექტიური არაცნობიერის ცნებასთან დაკავშირებით ერთმანეთს მიუთითებენ[14].

ჩვენი ავტორი ერთმანეთისაგან განასხვავებს ცნებებს: არქეტიპი თავისთავად (Archetypus perse), რომელიც ფსიქიკურ სტრუქტურაში პოტენციური არსებობაა, და — ცნობიერებაში გამოვლენილი არქეტიპული წარმოდგენა (archetypische Vorstellung), რომელიც არსებობს ცნობიერების შინაარსის ან პროცესის სახით. მისი გამოვლენის ფორმა ვარიაციას განიცდის და დამოკიდებულია კონსტელაციაზე[15].

თავისთავადი არქეტიპები, გარკვეული აზრით, განსაზღვრული არიან, — ფორმალურად და შინაარსობლივად. იუნგი თავისთავად არქეტიპს ადარებს კრისტალის ფორმის შესაძლებლობას, რაც ერთგვარად პრეფორმირებულია გარეშე მატერიალური არსებობისა; აღნიშნულით განპირობებულია კრისტალის სტერეომეტრიული სტრუქტურა და არა მისი კონკრეტული ინდივიდუალობა[16]. არქეტიპი ფაქტორია, რომელიც ფსიქიკურ ელემენტებს აწესრიგებს გარკვეულ ხატებად. არქეტიპი ცნობიერების წინარე არსებობაა და ქმნის ფსიქიკის სტრუქტურულ დომინანტს. არქეტიპი ბიოლოგიაში კარგად ცნობილი — „pattern of behaviour-ის“ სპეციალური ფსიქიკური შემთხვევის აპრიორი პირობაა. ისე, როგორც ბიოლოგიური ძირითადი გეგმის (ცოცხალი არსების სპეციფიკური სახის მიმნიშნებლის) გამოვლენა განვითარების მსვლელობაში შეიძლება შეიცვალოს, ასევე ცვალებადია არქეტიპის მანიფესტაციაც[17].

---

[12] Über die Psychologie dec Unbewufsten, გვ. 126, 127,

[13] ზ. ფროიდის არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ იხილეთ ჩვენს გამოკვლევაში — „არაცნობიერი ფსიქიკურის ცნება ზ. ფროდის ფსიქოანალიზის თეორიაში“. „მაცნე“, 1968 წ. № 4; აგრეთვე „Понятие бессознательного психического в глубинной исихологии“, Проблемы сознания, материалы симпозиума, Москва, 1966.

[14] იხ. იუნგის Psychologische Abhandlungen, II, გვ. 214; ასევე ზ. ფროიდის Gesammelte Werke, XII, გვ. 131. იუნგისაგან დამოუკიდებლად არაცნობიერში არქეტიპის მსგავს მოძენტზე მიუთითა (1909 წ.) ზილბერერმა „Elementartypen“-ის სახელწოდებით.

[15] აღნიშნულ განსხვავებაზე იუნგი ლაპარაკობს 1946 წლიდან.

[16] Von den Wcrzelen des Bewufstseins, Psichologische Abhaudlungen, IX, 1954, გვ. 95.

[17] Psychologische Abhandlungen, VI, გვ. 374.

არქეტიპის ბუნება რომ უფრო ცხადად იქნეს ნაჩვენები, იუნგი მას სხვადასხვა ასპექტში წარმოგვიდგენს:

ა) არქეტიპი ფსიქოიდური ფაქტორია, რომელიც ფსიქიკური სპექტრის არათვალსაჩინო ულტრაიისფერ ნაწილს ეკუთვნის[18].

ბ) თავისთავადი არქეტიპი შეიძლება შეედაროს ინსტინქტს, რამდენადაც იგი სულიერი ცხოვრების რეგულატორია. ინსტინქტი შეიძლება დახასიათდეს ორი ასპექტით: დინამიურითა და ფორმალურით. არქეტიპი ინსტინქტის ფორმალური ასპექტის აღნიშვნაა[19]. ისე, როგორც ინსტინქტები განაპირობებენ ადამიანის სპეციფიკურ ქცევას, ასევე არქეტიპები უბიძგებენ და აიძულებენ მას სპეციფიკური ადამიანური ჰვრეტის ფორმირებისაკენ. არქეტიპი ინსტინქტის კორელატური ცნებაა[20]. იგი წარმოადგენს „instinctual pattern"-ს.

გ) არქეტიპი არ ვრცელდება ტრადიციით, ენით და მიგრაციით. ის წარმოადგენს აპრიორული ფსიქიკური წყობის ფორმას[21]. იგი ყველგან და ყოველთვის სპონტანურად აღმოცენდება, არ საჭიროებს რა გარედან ბიძგს ან ზეგავლენას. მართალია, არქეტიპი არაცნობიერია, მაგრამ იგი არაცნობიერებით ინაქტუალურად არ იქცევა, ის მზაობაა, მუდმივ არსებულია (ewige Präsenz)[22].

დ) არქეტიპი ფსიქიკის ისეთი თვისებაა, რომელიც დაკავშირებულია ტვინის სტრუქტურასთან. ის მემკვიდრეობით გადმოეცემა ინდივიდს ტვინის სტრუქტურასთან ერთად. არქეტიპი ტვინის სტრუქტურის ფსიქიკური ასპექტია[23]. ტვინში ძევს პრეფორმირებულად ინსტინქტები და არქეტიპები[24]. კოლექტიური არაცნობიერი მემკვიდრეობით მიღებული ტვინის სტრუქტურის ფუნქციობაა[25].

ცნობიერებაში გამოვლენილი და აღქმული არქეტიპი, ე. ი. არქეტიპული წარმოდგენა, სიმბოლოა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თავისთავადი არქეტიპი პოტენციური სიმბოლოა, სანამ იგი გამოხატავს იმას, რაც ბოლომდე წვდომილი, გაგებული არაა. თუკი მისი შინაარსი გაგებულია და მის უკან ფარული აღარაფერია, იგი კონვენციონურ ნიშნად იქცევა[26].

იუნგი ცდილობს, როგორც ითქვა, არაცნობიერი ფსიქიკა თვითკმარ რეალურ სინამდვილედ წარმოგვიდგინოს. ფსიქიკის იმანენტური რეალიზმის დამცველი ვალდებულია იზრუნოს არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთებისათვის. ამისათვის კი მან ერთადერთი ლოგიკურად სწორი გზა უნდა გაითვალისწინოს — წინასწარ უნდა მოხდეს არაცნობიერი ფსიქიკის გარკვეულობის,

[18] Psichologische Abhandlungen, ტ. IX, გვ. 497.

[19] იუნგის წინასიტყვაობა ი .იაკობის წიგნზე — Komplex, Archetypus, Symbol in der Psychologie C. G. Jungs, 1957, გვ. IX.

[20] Jnstinkt und Unbewufstes, Psychologische Abhandlungen, II, გვ. 192, 198.

[21] Jung und Pauli, Naturerklärung und Psyche. 1952, გვ. 90, 97.

[22] Psychologie und Alchenie, 1952, გვ. 305.

[23] Selenprobleme der Gegenwart, გვ. 179.

[24] Psychologische Abhaldlungen, II, გვ. 214—215.

[25] Psychologie und Erziehung, გვ. 95. დღეს სიღრმის ფსიქოლოგიაში მიუთითებენ არაცნობიერი ფსიქიკის კიდევ ერთ რომლობაზე, ესაა ე. წ. ოჯახური, შინაურული არაცნობიერი („Familiares Unbewufste"), რომელზეც ლ. სცონდიმ მიუთითა. აღნიშნული არაცნობიერი ფსიქიკა ზოგადობის მიხედვით შუა ადგილს იჭერს პიროვნულ და კოლექტიურ არაცნობიერს შორის. ის საერთოა ადამიანთა მცირე ჯგუფისათვის. არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთების თვალსაზრისით ლ. სცონდის თეორიაში—„ბედის ანალიზი" — ახალი არაფერია. იხ. L. Szondi, Ich - Analyse, 1956.

[26] Psychologische Typen, გვ. 643.

არსებობის ფორმის ცხადყოფა, რათა დაისვას და გადაიჭრას საკითხი აღნიშნული ფსიქიკური გარკვეულობის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. არაცნობიერად, არსებობის შესახებ. რა ვითარებაა ამ მხრივ იუნგთან? იუნგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ არაცნობიერთან პირდაპირი მისასვლელი არ არსებობს. რამდენადაც პროცესი არაცნობიერია, ბუნებრივია, მის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება, რაც გარკვეულობის, არაცნობიერი შინაარსების არსებობის ფორმის საკითხს უკავშირდება[27]. იუნგის მსჯელობა აქ უნდა დასრულებულიყო, მას რომ წინასწარ მიღებული აზრი არ ფლობდეს და უბიძგებდეს არაცნობიერის ფსიქიკურად კვალიფიკაციისაკენ. თუკი არ ვიცით, როგორი გარკვეულობით არსებობს არაცნობიერი, რატომ ჩაითვალა ის, მიუხედავად ამისა, ფსიქიკურ რომელობად?! იუნგის პასუხს დასმულ კითხვაზე განაპირობებს მისი ფილოსოფიური შეხედულება, რომლის შესახებაც ქვემოთ იქნება მსჯელობა.

ანალიზური ფსიქოლოგიის თავგამოდებული დამცველები ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ იუნგმა თავისი „ასოციაციის მეთოდით“ არა მარტო დაასაბუთა სულის არაცნობიერი სფეროს არსებობა, არამედ მოგვცა არაცნობიერი ფსიქიკის ცნობიერებაზე ზემოქმედების უშუალო დაკვირვებისა და ექსპერიმენტალური გამოკვლევის შესაძლებლობა[28]. რას წარმოადგენს იუნგის ასოციაციის მეთოდი და როგორ „საბუთდება“ მისი გამოყენებით ფსიქიკის არაცნობიერება, როგორ ხორციელდება მასზე უშუალო დაკვირვება[29].

ცდისპირს ეძლევა წასაკითხად სიტყვების რიგი. მან ყოველ წაკითხულ სიტყვაზე უნდა უპასუხოს სიტყვითვე, რომელიც მის ცნობიერებაში აღმოცენდება თავისთავად, ასოციაციურად. ამ დროს ყურადღება ექცევა დროის ხანგრძლივობას, რაც საჭირო იყო საპასუხო სიტყვის აღმოცენებისათვის, და, ასევე, გახანგრძლივებულ რეაქციათა სიხშირეს. არაიშვიათად ხდება ხოლმე, რომ ცდისპირები რომელიმე სიტყვაზე პასუხს დაგვიანებით იძლევიან. მაგალითად, ჩვეულებრივი პასუხისათვის თუ საჭირო იყო 3 სეკუნდი, ახლა პასუხი ყოვნდება 15-20 სეკუნდამდე. აღნიშნული ფაქტიური ვითარებიდან გამოყავდათ დანასკვი: მაშასადამე, პასუხის შეფერხება გამოიწვია არაცნობიერად არსებულმა ფსიქიკამ, მისმა გავლენამ ცნობიერების შინაარსზე.

ამ შემთხვევაში, და საერთოდ ყველგან იქ, სადაც ლაპარაკია არაცნობიერი ფსიქიკის ემპირიული საშუალებებით უშუალო გამართლებაზე, დასაბუთებაში დაშვებულია ადვილად შესამჩნევი ლოგიკური შეცდომა. Petitio principii — წინდაწინვე გადაჭრილადაა ნაგულისხმევი ის საკითხი, რისი უშუალო დადასტურებაც მოეთხოვება ემპირიულ მონაცემებს, „ფაქტს“. კერძოდ, ჩვენს მაგალითში თავიდანვეა მიღებული დებულება: შეფერხება ცნობიერებაში შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ იმ ფსიქიკამ, რომელიც არ განიცდება, არაცნობიერად არსებობს. მოხდა შეფერხება, მაშასადამე, იგი გამოიწვია არა-

---

27 იქვე, Definition, 57.

28 იხ. მაგალითად, იაკობის ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 8.

29 იუნგი გარდა ასოციაციის მეთოდისა კიდევ სამ მეთოდზე მიუთითებს, რომელთაც იგივე ამოცანა აკისრიათ არაცნობიერად არსებული ფსიქიკის მიგნება-გამოვლენისა. ესენია: სიმპტომის ანალიზი, ანამნეზური ანალიზი და არაცნობიერის ანალიზი. აღნიშნულ მეთოდებს არაცნობიერი ფსიქიკის „დასაბუთების“ ერთნაირი ლოგიკური ძალა აქვთ. ამიტომ მათი ამ კუთხით ცალ-ცალკე განხილვა ზედმეტიცაა.

ცნობიერმა ფსიქიკამ. აქ იმთავითვეა უარყოფილი აზრი შეფერხების მიზეზად არაფსიქიკურის (მაგ., ფიზიოლოგიურის) შეწყნარებისა[30].

ახლა თვითონ არაცნობიერი ფსიქიკის ე. წ. ფაქტის შესახებ. სხვა თუ არაფერი, უხერხულია, სერიოზულად ვამტკიცოთ არაცნობიერი ფსიქიკის ფაქტების არსებობა, როცა არაცნობიერი ფსიქიკის ფაქტში იგულისხმება ისეთი რამ, რაც ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად ფსიქიკის არსებობაზე მიუთითებს (როგორც ეს ხდება საერთოდ სიღრმის ფსიქოლოგიაში, სადაც მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება). არაცნობიერი ფსიქიკა, სიღრმის ფსიქოლოგიის მიხედვით, არის ისეთი ფსიქიკა, რომელიც თავისი შინაგანი ბუნებით არასოდეს ეძლევა ცნობიერებას, მის, როგორც ასეთის, შესახებ ცნობიერებამ არაფერი იცის. რადგანაც არაცნობიერი ფსიქიკა არასოდეს გვეძლევა ცნობიერებაში, სწორედ ეს საქმის ვითარება აუქმებს არაცნობიერი ფსიქიკის ფაქტის სახით მოცემულობას. ფაქტი, ამ შემთხვევაში, გამოცდილებაში, ცდაში უშუალო მოცემულობაა. არაცნობიერი ფსიქიკა არ გვეძლევა უშუალოდ ცდაში, გამოცდილებაში. ამიტომ იგი ამის გამო ვერც იქნება ფაქტი.

ანალიზურ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთების არაპირდაპირ გზას. იუნგი, რომელიც გვევლინება არაცნობიერი ფსიქიკის რეალიზმის თეზისის დამცველად, არაცნობიერ ფსიქიკას მიაწერს ცნობიერი ფსიქიკის შექმნის, წარმოშობის უნარს: „ცნობიერება არის არაცნობიერი სულის გვიანდელი ნაშიერი"[31] „არაცნობიერი ცნობიერების შემოქმედი დედაა". არაცნობიერი ფსიქიკა ვლინდება სიმპტომების, მოქმედების, აფექტების, ფანტაზიების, სიზმრების სახით; თავისთავადი არქეტიპები ხორცშესხმული არიან მითებში, თქმულებებში, ზღაპრებში და კულტურის ნაქმობებში. მოვლენილში ამოკითხული უნდა იქნეს ის, რაც გამოვლინდა, რაც ჩვენგან დაფარულია[32]. ესაა ანალიზური ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური გზა არაცნობიერი ფსიქიკის შემეცნებისა. ამ შემთხვევაში იგულისხმება ონტოლოგიური ასპექტი: მოვლენამ, ცნობიერების ფსიქიკურმა შინაარსმა უნდა მითხრას იმის შესახებ, რაც მისი საფუძველია, წარმოშობილია, ბუნებრივი მიზეზია. არაპირდაპირობა დასაბუთებისა აქ იმაში მდგომარეობს, რომ, მართალია, ცნობიერი ფსიქიკის საფუძველი, სუბსტრატი უშუალოდ არ გვეძლევა, მაგრამ მის შესახებ მაინც ხდება დასკვნა შედეგიდან. დასკვნა ასეთია: ის, რაც მოვლენილია, ფსიქიკაა, მაშასადამე, მი-

---

30 იუნგთან არაა დასაბუთებული ფიზიოლოგიურის უკმარობა ცნობიერი ფსიქიკის ახსნის საქმეში. ის გვერდს უვლის საკითხის პრინციპულად განხილვას და კმაყოფილდება მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ მისი ცდა ფსიქიკის თვითკმარი და დახშული სისტემის სახით წარმოდგენისა პროვიზორულია, რამდენადაც ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი საბოლოოდ ფსიქო-ფიზიკური ურთიერთობის საკითხი. თუკი თვითონ იუნგის მიერ არ იქნებოდა დავიწყებული მისი ეს მეთოდოლოგიური მრწამსი თავისი შედეგებით, მას უფლება არ აქვს კატეგორიულად განაცხადოს — „ფანტაზიის სფეროს არ სცილდება არაცნობიერის გამოცხადება ფიზიოლოგიური პროცესის სახით". (Psychologische Typen, Definition, 57).

იუნგი დარწმუნებულია, რომ ზ. ფროიდმა ემპირიულად დაასაბუთა არაცნობიერი ფსიქიკის არსებობა. იგი წერს: (Erhat empirisch das Vorhaudensein einer unbewufsten Psyche bewiesen, die zuvor nur als ein philosophisches Postulat existiert hatte"... Erinnerungen, Fräume Gedanken, von C. G. Jung, Zürich-Stuttgart, 1963, გვ. 173.

31 Wirklichkeit der Seele, 1947, გვ. 9.

32 Die Beziehungen zwischen dem Ich und dem Unbenwufsten, 1938, გვ. 97.

სი წარმომშობიც ფსიქიკა უნდა იყოს. აღნიშნული დასკვნა შედეგიდან მიზეზზე ლოგიკურად სწორი არაა. ჯერ უნდა გადაიჭრას საკითხი, თუ რას წარმოადგენს არსებობის ფორმით ის სუბსტრატი, რაც წარმოშობს ცნობიერ ფსიქიკას, რათა გვქონდეს ლოგიკური საფუძველი ერთმნიშვნელოვნად დავასკვნათ ცნობიერი ფსიქიკიდან მისი სუბსტრატის ონტიური ბუნების შესახებ. ჩვენს შემთხვევაში ჯერ უნდა დასაბუთდეს ცნობიერი ფსიქიკის წარმომშობის ფსიქიკურობა (რომ ის არაცნობიერი ფსიქიკაა), რომ ცნობიერი ფსიქიკა არ შეიძლება წარმოიშვას არაფსიქიკიდან, რათა სწორად ჩაითვალოს ზემოაღნიშნული დასკვნა მიზეზიდან შედეგზე. როგორც დავინახეთ, არაცნობიერი ფსიქიკის სასარგებლოდ არ მეტყველებს იუნგის არაპირდაპირი დასაბუთების გზა, რამდენადაც აქ ნაცადია ცნობიერი ფსიქიკურიდან მისვლა არაცნობიერ ფსიქიკამდე, ცნობიერი ფსიქიკით არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთება. ცნობიერება, როგორც ასეთი, ვერაფერს გვეტყვის არაცნობიერად არსებულის ფსიქიკურობის შესახებ. კარგადაა ცნობილი არაპირდაპირი დასაბუთების ბუნება, — რამდენადაც დასაბუთება არაპირდაპირია, იგი მუდამ შემცველია ჰიპოთეზური მომენტისა. კამათი შეიძლება გაიშალოს აღნიშნული ჰიპოთეზის კანონიერების ირგვლივ.

არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემის შინაგანი ბუნება მოითხოვს ამ პრობლემის ფილოსოფიური ასპექტით განხილვას. მხოლოდ თეორიულმა მსჯელობამ უნდა გადაწყვიტოს საბოლოოდ ფსიქიკის არაცნობიერად არსების საკითხი[33]. იუნგის ანალიზური ფსიქოლოგია იმ თეორიულ წინამძღვრებს ეფუძნება, რომლებმაც ფსიქიკის რაობის გაგების საქმეში მას უბიძგეს არაცნობიერი ფსიქიკური რომელობის დაშვებისაკენ. არაცნობიერი ფსიქიკის გამართლების საფუძვლები კარგადაა ცნობილი. ფსიქიკის უწყვეტობის თეზისი ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმის მოთხოვნას უპასუხებს და არაცნობიერი ფსიქიკის აღიარების საკმაო საფუძველს წარმოადგენს[34]. ფსიქო-ფიზიკური დუალიზმის ნიადაგზე დგომამ, რაც საერთოდ წარმოადგენს სიღრმის ფსიქოლოგიის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე პრინციპს, განაპირობა იუნგთან ფსიქიკური სინამდვილის წარმოდგენა დახშული სისტემის სახით.

თუკი გავითვალისწინებთ იუნგის შემეცნების თეორიულ თვალსაზრისს, ეს უკანასკნელი საბოლოოდ ნათელ სურათს მოგვცემს ანალიზური ფსიქოლოგიის მეცნიერული ღირებულების შესახებ. იუნგი გნოსეოლოგიური სკეპტიციზმის ნიადაგზე დგას. მისი მიხედვით, აბსოლუტურად არსებულისა და არსის მქონეს შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით[35]. შემმეცნებელი გონი იმთავითვე უძლურია, რაიმე არსებითი და ჭეშმარიტი თქვას ბუნების შესახებ, ადამიანის გონება ვერ აღწევს ბუნების გულში, ასევე არაცნობიერში. ადამიანური შემეცნება ესაა „თითქოს“ („gleichsam — als-ob[36]). მაშასადამე, გამო-

---

33 ფსიქოლოგიაში არაცნობიერის პრობლემისა და მისი თავისებურების შესახებ იხ. А. Т. Бочоришвили, Проблема бессознательного в психологии, Тбилиси, 1961; აგრეთვე, „Можетли психика (переживание) существовать вне сознания?“ Проблемы сознания, Москва, 1966; მისივე, ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისათვის, თბილისი, 1966, თავი V, VI.

34 იხ. ვ. კაკაბაძე, არაცნობიერის პრობლემა ლაიბნიცის ფილოსოფიურ კონცეფციაში, „მოამბე“, 1963, № 2.

35 Die Beziehungen zwischen dem Ich urd dem Unbewufsten, გვ. 170.

36 იქვე, გვ. 97.

დის, რომ იუნგის მთელი ცდა ფსიქიკის დახასიათებისა მხოლოდ ჰიპოთეზა, ერთგვარი დაშვება ყოფილა, რომლის გამართლება არასოდეს მოხდება, რადგანაც შემმეცნებელ ცნობიერებას პრინციპულად არ შესწევს უნარი, ნამდვილად არსებულს სწვდეს თავის გარკვეულობაში.

როგორც აღინიშნა, იუნგის კონცეფციაში არაცნობიერი ფსიქიკა უკავშირდება ფსიქიკური ენერგიის — ლიბიდოს — ცნებას. განსხვავებით ფროიდის ლიბიდოს ცნებისა, რაც ფსიქოანალიზში ნიშნავს არაცნობიერი ფსიქიკის ერთ-ერთი რომელობის, სახელდობრ, საკუთრივი არაცნობიერის სექსუალურ ლტოლვებს, ანალიზურ ფსიქოლოგიაში ლიბადო არის საერთოდ ფსიქიკური ენერგია, რაც იგივე სიცოცხლის ენერგიაა[37].

ყოველი მოვლენა შეიძლება განიხილოს, იუნგის გაგებით, ორი თვალსაზრისით — მექანისტური და ენერგეტიკული თვალსაზრისით. მექანისტური თვალსაზრისი წმინდა კაუზალურია. აქ მხედველობაშია მიღებული მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება მოვლენათა შორის. ენერგეტიკული თვალსაზრისი კი მიზნობრივია. აქ ენერგია თავსდება მოვლენათა ცვლილების საფუძველში. ფსიქიკური სინამდვილეც ექვემდებარება განხილვის ზემოაღნიშნულ ორ წესს. ფსიქიკის ენერგეტიკული თვალსაზრისით განხილვისათვის საჭიროა ფსიქიკური ენერგიის დაშვება. ენერგეტიკული და მექანისტური პრინციპები, როგორც აღინიშნა, თვალსაზრისებია, აზროვნების აპრიორული პირობებია[38]. ამიტომ ფსიქიკური ენერგიაც, როგორც ენერგეტიკული განხილვის წესის გატარებისათვის აუცილებელი და საჭირო მომენტი, ჰიპოთეზური ოპერაციაა, შემმეცნებელი გონის მუშაობის საშუალებაა[39]. ფსიქიკური ენერგიის ცნება ფსიქიკური სინამდვილის თავისთავადი ბუნების ცხადყოფას საერთოდ არ გულისხმობს. იგი ამიტომ არაცნობიერი ფსიქიკის რეალობის არც დასაბუთებას იძლევა და არც მისი შინაგანი გარკვეულობის საკითხს ეხება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იუნგი ე. წ. ფსიქიკური ენერგიის კვანტიტეტურ ცნებას აიგივებს კვალიტეტურ მომენტთან, ფსიქიკის ღირებულებითს მხარესთან, რაც გამართლებულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

კოლექტიური არაცნობიერის ცნების ანალიზიდან ირკვევა, რომ იუნგი ყოველთვის ლოგიკურად თანამიმდევრული არაა მისი შინაარსის დადგენის დროს. ძირითადი წინააღმდეგობა იმაში გამოიხატება, რომ არქეტიპი ხან მოაზრებულია, როგორც ფსიქიკის აპრიორული საქმის ვითარება, ხანაც იგი წარმოდგენილია, როგორც ცნობიერი ფსიქიკიდან წარმოშობილი მდგომარეობა, — გაჩენილი წინაპართა განმეორებადი მსგავსი ფსიქიკური მოვლენების „დამთხვევითა“ და „დალექვით“. შემდეგ, თუ კოლექტიური არაცნობიერი (თავისთავადი არქეტიპი) მიიღება ცნობიერი ფსიქიკის დალექვის გზით, მაშინ აზრი ეკარგება იუნგის მტკიცებას, რომ ცნობიერი ფსიქიკა გენეტურად მომდევნო საფეხურია არაცნობიერი ფსიქიკისა, რომ არაცნობიერი შემოქმე-

---

[37] Energetik der Seele, Psychologische Abhandlungen, II, გვ. 31.

[38] იქვე, გვ. 10, 48—49.

[39] იქვე, გვ. 28, 31. ამის შემდეგ უცნაურადაც კი გვეჩვენება იუნგის განცხადება: ბუნებას არ უნდა ვუკარნახოთ, თუ გვინდა დავაკვირდეთ მის შეურყვნელ მოქმედებას. იხ. წინასიტყვაობა შრომაზე „Beziehungen zwischen dem Ich und dem Unbewufsten“.

დია ცნობიერებისა[40]. ჩვენს ავტორს არათანამიმდევრული პოზიცია უჭირავს არქეტიპის (ფსიქიკის) ფიზიოლოგიურთან (ტვინთან) კავშირის საკითხშიც. მას არქეტიპი დახასიათებული აქვს ორი ერთმანეთის გამომრიცხველი მომენტით: არქეტიპი ზოგჯერ, მართალია, ტვინის ფუნქციად ცხადდება, მაგრამ ტვინთან კავშირით იგი ტვინზე არ დაიყვანება, ზოგჯერ კი იგი ტვინის პროცესად წარმოგვიდგება[41]; იგი ფსიქიკურის მსგავსია (ფსიქოიდია) და არა ფსიქიკური[42]. არქეტიპზე მსჯელობისას იუნგთან ზოგიერთ მომენტში ისეთი მდგომარეობა იქმნება, რომ თავისთავადი არქეტიპის ცნებაში, საფიქრებელია, ავტორი გულისხმობდეს ფსიქიკის კანონს. ამ შემთხვევაში ფსიქიკის კანონის არაცნობიეროპიდან, ჯერ ერთი, არ შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნის, ფსიქიკის, როგორც სინამდვილის, არაცნობიერობის შესახებ და, შემდეგ, გარკვევას მოითხოვს თვითონ ფსიქიკის კანონის ონტიური თავისებურების ბუნება, არის თუ არა ფსიქიკის კანონი ფსიქიკური.

იქ, სადაც მსჯელობაა მხოლოდ არაცნობიერი ფსიქიკის არსებობაზე და მისი გავლენის შესახებ ცნობიერებაზე, და არაა გადადგმული ნაბიჯი თეორიულ პლანში ამ არაცნობიერი ფსიქიკის შინაგანი გარკვეულობისა და მისი არსებობის შესაძლებლობის დასაბუთების მიმართულებით, არაცნობიერი ფსიქიკის ასეთი ცნება მეტაფიზიკური შინაარსისაა.

---

40 განწყობის ფსიქოლოგიაში კარგადაა შემჩნეული, რომ არაცნობიერი ფსიქიკა იმ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ცნობიერი ფსიქიკის ისტორიული განვითარების ნამდვილ წინა საფეხურად, თუ იგი გაგებული იქნება როგორც ცნობიერი ფსიქიკური შინაარსის, განცდის გადასვლა ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ხასიათდება ცნობიერების არქონებით მხოლოდ. იხ. დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ფსიქოლოგია, ტ. VI, თბილისი, 1949 წ.

41 Psychologische Abhandlungen, II, გვ. 29.

42 იქვე, IX, გვ. 123.

ჟუჟუნა ნეფარიძე

განწყობა და ყურადღების სახეები

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა)

როგორც ცნობილია, დღემდე გავრცელებული შეხედულების თანახმად, ფსიქოლოგიაში ყურადღების ფორმებს ორგვარი აზრით განასხვავებენ. ერთი თვალსაზრისი ყურადღების აღმოცენების ბუნებას შეეხება, — იმას, თუ რამდენადაა დამოკიდებული მისი ამოქმედება სუბიექტზე (პასიური და აქტიური ყურადღება). მეორე თვალსაზრისზე დაყრდნობით ყურადღების სახეებს იმის მიხედვით გამოყოფენ, თუ რა საგნობრივ შინაარსზეა მიმართული ადამიანის ყურადღება. უკანასკნელი მოსაზრების მიხედვით, ყურადღების სამ სახეს გამოყოფენ: გრძნობადს (სენსორულ), მოტორულს და ინტელექტუალურს. პირველ შემთხვევაში ყურადღების საგანი ის სენსორული შინაარსია, რომელზედაც პიროვნების ყურადღებაა შენარჩუნებული, მეორე შემთხვევაში ყურადღების საგანს საკუთარი ან სხვისი მოძრაობები შეადგენს, ხოლო მესამეში ინტელექტუალური ყურადღების საგანს რაიმე აზრი, მოგონება ან სხვა საგნობრივი შინაარსი წარმოადგენს. ვინაიდან ყურადღებას საკუთარი შინაარსი არ გააჩნია და მის საგნად შეიძლება ყოველგვარი საგნობრივი შინაარსი გადაიქცეს, ამდენად სამი სახე აღარ იქნება საკმარისი მის დასახასიათებლად, „რადგან ყურადღების საგნის თვალსაზრისით ყურადღების აქტები ბევრად უფრო მრავალსახოვანი არიან"[1].

არც ის მოსაზრება დამკვიდრდა ფსიქოლოგიაში, რომლის თანახმად ყურადღების სახეები იმისდა მიხედვით უნდა განვასხვავოთ, თუ საითაა მიმართული სუბიექტის ყურადღება — მის გარეთ არსებულ სინამდვილეზე თუ თვით საკუთარ სულიერ სამყაროზე. საბჭოთა ფსიქოლოგია ფსიქიკას განიხილავს როგორც ადამიანის აქტივობის გამოვლინებას; ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედებს მთლიანი პიროვნება, რომელსაც გარკვეული სამოქმედო მიზანი აქვს. ობიექტურ სინამდვილესთან ურთიერთობას ამყარებს არა თვითონ ყურადღების ფუნქცია, არამედ ყურადღებადი სუბიექტი. ყოველივე აღნიშნულის გამო, კანონიერად მიგვაჩნია, რომ ყურადღების სახეები განწყობის თეორიის თვალსაზრისით განვიხილოთ.

რიგ სახელმძღვანელოებში ყურადღების სახეები მათი აღმოცენების ბუნების მიხედვითაა გამოყოფილი (პასიური და აქტიური). პასიური ყურადღების აქტი უნებურობით ხასიათდება, სუბიექტი ყურადღების ამა თუ იმ საგანზე უნებურად მიმართავს, წინასწარი განზრახვისა და მოფიქრების გარეშე. სუბიექტის ყურადღების მიმართულებას მისი აქტუალური მოთხოვნილება და ინტერესი წარმართავს. ნებისმიერი ყურადღება იმით განსხვავდება

---

1 რ. ნ ა თ ა ძ ე, 'ზოგადი' ფსიქოლოგია, 1956, გვ. 215.

უნებურისაგან, რომ იგი სუბიექტის უშუალო, აქტიური მოთხოვნილების იმპულსს კი არ ემორჩილება, არამედ სუბიექტის წინასწარი განზრახვითაა პირობადებული და მის საფუძველზე ნებისმიერად აღმოცენდება.

სუბიექტი თვითონაა აქტიური თავისივე ყურადღების ამოქმედებაში, იგი ისე ახდენს საკუთარი ყურადღების რეგულაციას, რომ შესაძლებელია, სრულიად არ შეესატყვისებოდეს მისი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს.

დღემდე არსებულ ფსიქოლოგიურ სახელმძღვანელოებში გამოყოფენ უნებლიე ყურადღების გამომწვევ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს. ზოგიერთი თანამედროვე ავტორი გამოთქვამს შეხედულებას, რომ ასეთი დაყოფა პირობითია, რომ ყურადღების გამომწვევ გარეგან ფაქტორებს იმდენად აქვთ მნიშვნელობა სუბიექტისათვის, რამდენადაც ისინი შინაგან განწყობებს აღძრავენ. მაგალითად, მშიერი ინდივიდი უფრო ადრე შეამჩნევს სამზარეულოს. ბროდბენტი, მანი, ჰები, ბერლაინი და სხვები თვლიან, რომ ყურადღების სელექციური მოქმედება განწყობითაა პირობადებული და ამ უკანასკნელის გამოვლინებად უნდა ჩავთვალოთ. ერთ-ერთ ავტორს (ჰოფშტეტერი) მიაჩნია, რომ ყურადღება განწყობისეულად მიიმართება იმ შემთხვევაშიც, როცა მოქმედება შექმნილი განწყობის საფუძველზე დასრულდება და მოთხოვნილებაც დაკმაყოფილებულია, როცა სუბიექტისათვის საძიებელი საგანი ნაპოვნია (საფოსტო ყუთში ბარათის ჩაგდების შემდეგ სუბიექტი ისევ სხვა საფოსტო ყუთს აქცევს ყურადღებას). ეს არაცნობიერი დაპირისპირებაა წერილის მიმართ, ამბობს ავტორი. ამ შემთხვევაში ყურადღების მოქმედება განისაზღვრება უკვე მხედველობაში მიღებული და აგრეთვე შემთხვევით მოქმედი განწყობით. ყურადღების მოქმედების ეს სახე თავისი ბუნებით უნებურია, ისე როგორც მაშინ, როცა ძლიერი ინტენსივობის გამღიზიანებელი უნებურად იქცევს სუბიექტის ყურადღებას. ჰოფშტეტერი ასკვნის, რომ აქტუალური მოთხოვნილების გარეშე, როცა ყურადღების მოქმედების იმპულსი აღარ არის, შესაძლებელია ყურადღების უნებური მიმართვა.

თანამედროვე ინგლისელი ავტორი მანი ნებისმიერი და უნებური ყურადღების გვერდით ჩვეულ ან ჩვევითს ყურადღებასაც გამოყოფს. რა უნდა გვესმოდეს ჩვევითს ყურადღებაში? თითოეული ჩვენთაგანი მეტ-ნაკლებად ხანგრძლივადაა განწყობილი გარკვეული რეცეფციისადმი და ყურადღებაც ამ მხრივაა მიმართული. ექიმი დღისითა თუ ღამით სულ ზარს ელოდება, ეს მისი მუდმივი განწყობაა. ანდა ესა თუ ის სპეციალისტი სულ მისთვის საჭირო ნივთებს ეძებს და ამიტომაც ამჩნევს მათ. იმის მიხედვით, თუ როგორ ვართ განწყობილი ამა თუ იმ ადამიანისადმი, სწორედ იმგვარ თვისებებს ვამჩნევთ. ამიტომ ხშირად ვხედავთ მეგობრებში უფრო კარგს და მტრებში კი ცუდს. დასახელებული მაგალითები ჩვეული ყურადღების ან ჩვეული განწყობების მაგალითებია. ჩვენი ყურადღების აქტების უმრავლესობა განუწყვეტელი, მუდმივია და არა უეცარი. ეს ის განწყობებია, რომელთაც ჩვენ არ ვაცნობიერებთ, ისინი მოდიან ჩვენი მოტივებიდან და დაკავშირებული არიან მიდ-

რეკილებებთან და მისწრაფებებთან. ის მაგალითები, რომლებზეც ზემოდასახელებული ავტორები მიუთითებენ ცხოვრებისეული მაგალითებია, მაგრამ გვაძლევს თუ არა ექსპერიმენტი იმის თქმის უფლებას, რომ უნებური ყურადღების სახე განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ყურადღებაა?

ამ მიზნით ჩვენ შევისწავლეთ ასოთამწყობისა და ლინოტიპისტის ყურადღების მოქმედების თავისებურებანი სტამბური ბეჭდვის დიდი რაოდენობის მასალაზე[2]. აწყობის დროს დაშვებულ კანონზომიერ შეცდომათა ფსიქოლოგიური ანალიზის შედეგად უნდა ვიფიქროთ, რომ სტამბური ბეჭდვის შეცდომების უმრავლესობა განწყობის მოქმედების საფუძველზე უნდა აიხსნას. რედუქციას, გემინაციას, ანალოგიას, ასიმილაციას და შეცდომათა სხვა სახეებს ერთი საფუძველი უნდა ჰქონდეს. შეცდომათა მიზეზი სუბიექტის განწყობაში უნდა ვეძიოთ. ამაზე შეცდომათა პროგრესული ხასიათი მეტყველებს; როგორც წესი, წინა ასო გავლენას ახდენს მომდევნოზე, იკარგება ან ორმაგდება, ემსგავსება ან იცვლება და სხვ. შეცდომები არა საკუთრივ ყურადღების შეცდომებია, არამედ გამოწვეულია განწყობის ფიქსირებული მოქმედებით, რომელიც განსაზღვრავს ყურადღების ამა თუ იმ მიმართულებას. ამ მოსაზრების დასადასტურებლად საკმარისია შეცდომათა V ჯგუფი დავასახელოთ. შეცდომათა V ჯგუფის მაგალითები იმაზე მიუთითებს, რომ სიტყვაში ზედმეტადაა ჩართული ის ასო, რომელიც წინა სიტყვაში რამდენჯერმეა ნახმარი.

მაგალითად:

აწყობილია	უნდა იყოს	წინ უძღვის
ქვეროდან	ქვეროიდან	ღ-სამჯერ
მირმართავს	მიმართავს	რ-ერთჯერ
შშალყა	ალყა	შ-ორჯერ
პროსტულატს	პოსტულატს	რ-ერთჯერ
მოხმადრებაში	მოხმარებაში	დ-ერთჯერ
ნამოღვაწარეი	ნამოღვაწარი	ე-ორჯერ

ასევე ზედმეტად მეორდება პირველ ანაწყობში არა მარტო ასო, არამედ სიტყვა და ზოგჯერ მთელი წინადადებაც კი. ასოთამწყობი ან ლინოტიპისტი „გაბატონებულ“ ან „ფიქსირებულ“ ასოს ეძებს მაშინ, როცა ის სრულიად ზედმეტია მომდევნო სიტყვაში. სუბიექტის ყურადღება არაცნობიერი ფსიქიკურის საფუძველზე აღმოცენდება და მიიმართება. ასე რომ არ ყოფილიყო, სუბიექტი ისეთ გრძელ წინადადებას, როგორიცაა „სახელგანთქმული სარდალი გიორგი სააკაძის პატრიოტული თავგანწირვა, როდესაც მან სამშობლოსათვის“ ხელმეორედ ვერ აანყობდა. სუბიექტს ყურადღებით უნდა მოეძებნა წინადადებისათვის საჭირო ასოები და სიტყვებად შეეკრა. გაწყობისეულმა მოქმედებამ ცნობიერებაში არ შემოუშვა სხვა შინაარსი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცნობიერებას არ მისცა სხვა მხრივ მიმართულება. შეცდომის მი-

[2] იხ. Ж. Непаридзе, Психологические особенности типографских ошибок, экспериментальные исследования по психологии установки, т. IV.

ზეზი სწორედ სუბიექტის განწყობაში უნდა ვეძიოთ და არა თვით ყურადღების მოქმედებაში. შეცდომათა ფსიქოლოგიური ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ყურადღება თავისი ბუნებით უნებურია, სუბიექტი პასიურადაა ჩართული განწყობისეულ ქცევაში და როდი ახდენს ყურადღებული საგნის ობიექტივაციას. როგორც აღვნიშნეთ, ყურადღების ასეთი განწყობისეული მიმართულება შეინიშნება იმ შემთხვევაშიც, როცა ქცევა დასრულდება, მიზანი მიიღწევა. ყურადღების განწყობისეული მოქმედება ყურადღების უნებური ფორმის თავისებური გამოვლენაა. უნებური ყურადღების გამომწვევი იმპულსი მუდამ აქტუალური მოთხოვნილებით და ინტერესით განისაზღვრება. დაკმაყოფილდება რა მოთხოვნილება და ნაპოვნი იქნება თუ არა საძიებელი საგანი, ყურადღება მაშინვე ისპობა და სხვა იმპულსს ემორჩილება. განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ყურადღების თავისებურება ისაა, რომ მისი მოქმედება აღვილად არ აღიკვეთება. ფიქსირებული განწყობის საფუძველზე ყურადღება ისევ იმ საგნისაკენ მიიმართება. ამ დაკვირვებას გამოთქვამენ მაი და ჰოფშტეტერი. ასეთი განწყობები ზოგჯერ დადებით გავლენას ახდენენ, ზოგჯერ კი უარყოფითს.

ისმის საკითხი: თუ განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ყურადღება უნებურია და მთლიანად შთანთქმულია განწყობისეული ქცევის აქტით, მაშინ რა უდევს საფუძვლად ნებისმიერი ყურადღების აღმოცენებას?

დიმიტრი უზნაძე „განწყობის თეორიის ძირითად დებულებებში“ მიუთითებს, რომ ნამდვილი ადამიანური ყურადღება ობიექტივაციის საფუძველზე აღმოცენებული ყურადღებაა. „Для того, чтобы иметь возможность работы нашего внимания, необходимо допустить предварительное наличие акта объективации. Следовательно, нет работы внимания без предварительной активности объективации“[3].

ამ დებულების დასადასტურებლად ჩვენ ვეცადეთ შეგვექმნა ისეთი ექსპერიმენტი, სადაც შესაძლებლობა გვექნებოდა დავკვირვებოდით ყურადღების განწყობისეულ მოქმედებას და ობიექტივაციის საფუძველზე აღმოცენებულ ყურადღების მოქმედებას.

ცდის მასალად გამოვიყენეთ ზ. ხოჯავას მიერ შემუშავებული ნეიტრალური შრიფტი. გერმანულ სიტყვებში შიგადაშიგ შერეულია რუსული სიტყვები; მათი წაკითხვა შეიძლება როგორც გერმანულად, ისე რუსულადაც. ცდისპირებს ვთხოვდი წაკითხული სიტყვების თარგმნას. თუ სიტყვა სწორად არ იქნებოდა წაკითხული, ცდისპირი სიტყვას ვერ გადათარგმნიდა. ზ. ხოჯავასა და ა. მოსიაგას ცდებში გამოვლინდა, რომ სუბიექტი რუსულ კრიტიკულ სიტყვას კითხულობს და წერს განწყობისეულად (არაადეკვატურად). ჩვენ ვვარაუდობდით, რომ შეუძლებელი უნდა იყოს სიტყვის თარგმნა ისე, თუ მის

[3] Д. Н. Узнадзе, Основные положения теории установки, 1961, стр. 197.

მნიშვნელობას ვერ ჩასწვდა სუბიექტი, თუ სიტყვა ადეკვატურად არ იქნა წაკითხული. სიტყვების თარგმნის მეთოდით ჩვენ ხელოვნურად ვუქმნიდით სუბიექტს შეფერხებას, რათა გაგვერკვია, რამდენად შეძლებდა იგი ერთხელ ფიქსირებული განწყობის დარღვევას. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსული კრიტიკული სიტყვა არ გადაითარგმნებოდა. ჩვენს მიზანს შეადგენდა გვეკვლია, რა ფსიქიკური ფაქტორი განსაზღვრავდა ყურადღების სელექციურ მოქმედებას სუბიექტის პრობლემურ სიტუაციაში მოხვედრამდე და თვით პრობლემურ სიტუაციაში.

ცდის I ვარიანტი

ცდისპირებს ევალებოდათ: უცხო სიტყვები ხმამაღლა წაეკითხათ და ქართულად გადაეთარგმნათ. არ ეუბნებოდით, რომ გერმანულ სიტყვებში

ცხრილი 1

კრიტიკული სიტყვები	თარგმნა I ვარიანტში	
Вид	5%	ცდისპირთა რაოდენობა 20
Репа	—	
Сучок	5%	
Вода	25%	
Порча	10%	
Дача	20%	
Дева	15%	
Река	25%	
Почва	25%	
Довод	35%	
Радио	55%	

რუსულიც იყო შერეული. როგორც გერმანული, ასევე რუსული სიტყვები ყოველდღიურია და სათარგმნელად მარტივი. ცდისპირები არ იყვნენ შეზღუდული დროით. ცდები ჩავატარეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენათა ფაკულტეტის მეხუთე კურსის 20 სტუდენტზე.

ცდების შედეგები და ანალიზი

ცდის I ვარიანტის მიმდინარეობა ასეთია: მწკრივში ყოველ მომდევნო გერმანულ სიტყვას ცდისპირი კითხულობს და თარგმნის ყოველგვარი შეფერხების გარეშე. წაკითხვისთანავე სიტყვის მნიშვნელობას სწვდება: ამ ენობრივი სტრუქტურის მიმართ განწყობილი სუბიექტი რუსულ კრიტიკულ სიტყვებსაც განწყობისეულად კითხულობს. ასე წაკითხული რუსულ ასოთა კომპლექსი მნიშვნელობას მოკლებულია. ამიტომ ცდისპირები ფერხდებიან და სრულიად მარტივ რუსულ სიტყვას ვერ თარგმნიან. საკმარისია იგივე სიტყვა რუსულ კონტექსტში წაიკითხონ, რომ მნიშვნელობას ჩასწვდნენ. ფიქსირებული განწყობაა მიზეზი იმისა, რომ რუსული კრიტიკული სიტყვები იკითხება გერმანულად, ამიტომ მათი თარგმნა შეუძლებელი ხდება.

როგორც ცხრილი I გვიჩვენებს, რუსული კრიტიკული სიტყვა „Репа“ ვერცერთმა ცდისპირმა ვერ თარგმნა, ხოლო „Вид“ და „Сучок“ მხოლოდ თითო ცდისპირმა. ასევე ცდისპირთა მცირე რაოდენობა თარგმნის დანარჩენ სიტყვებს. ყველაზე მეტად თარგმნილია ის კრიტიკული სიტყვები, რომლებიც ტექსტის ბოლოსაა მოქცეული.

თარგმნა იმიტომ კი ვერ ხერხდება, რომ სიტყვები თავისთავად ძნელია, არამედ იმიტომ, რომ ცდისპირი ერთი ენობრივი სტრუქტურის მიმართ შექმნილი განწყობის საფუძველზე კითხულობს რუსულ სიტყვებს და ყურადღებაც ამ მიმართულებით მოქმედებს.

ცდის II ვარიანტი

I ვარიანტისაგან განსხვავებით ცდისპირებს წინასწარ ვაფრთხილებდით, რომ გერმანულ სიტყვებში რუსულიც იყო შერეული. ვვარაუდობდით, რომ რუსული სიტყვების გერმანულად წაკითხვის შემთხვევაში წარმოშობილ შეფერხებას თავს დააღწევდნენ, მოახდენდნენ სიტყვის ობიექტივაციას და რუსულ კრიტიკულ სიტყვებს ადეკვატურად თარგმნიდნენ. ცდის შედეგები მოცემულია მეორე ცხრილში. ცოდნამ იმის შესახებ, რომ გერმანულ სიტყვებში შიგადაშიგ შერეულია რუსული სიტყვები, გადამწყვეტი გავლენა ვერ მოახდინა (იხ. ცხრ. 3). ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ სიტყვათა 100% უნდა თარგმნილიყო. I ვარიანტთან შედარებით II ვარიანტი შემდეგი თავისებურებით ხასიათდება: უმრავლეს შემთხვევაში რუსული კრიტიკული სიტყვები ორგვარად იკითხება, ჯერ განწყობისეულად, გერმანულ ენაზე, შემდეგ ობიექტივაციის საფუძველზე. აქ არ შევეხებით იმ ცალკეულ ჯგუფებს, მაგრამ არ შეიძლება არ გამოვყოთ უკანასკნელი V ჯგუფი. ეს ის ცდისპირებია, რომელთაც კრიტიკული რუსული სიტყვა ორგვარად წაიკითხეს, ჯერ გერმანულ ენაზე, განწყობისეულად, შემდეგ კი რუსულად. განწყობისეული კითხვის დროს, წააწყდნენ რა წინააღმდეგობას, ცდისპირებმა მოახდინეს სიტყვის ობიექტივაცია, რა სიტყვაა ეს? იქნებ რუსულია? და, მართლაც, სიტყვა ადეკვატურად

ცხრილი 2

№№	1 Вид	2 Репа	3 Сучок	4 Вода	5 Порча	6 Дача	7 Дева	8 Река	9 Довод	10 Почва	11 Радио
1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
3	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
4	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
6	—	—	—	—	—	—	— ?	— +	+	— +	+
7	—	—	?	— +	—	—	—	+	+	+	+
8	—	—	—	+	—	+	—	—	— +	—	?
9	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
10	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
11	—	—	—	+	+	— +	+	+	+	+	+
12	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	+ ?
13	—	—	+	—	—	—	—	—	—	—	— +
14	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	+
15	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
16	—	—	—	+	+	+	+	+	+	+	+
17	+	—	—	—	—	—	—	—	—	—	+
18	—	—	—	+	—	+	+	+	+	+	+
19	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	— +
20	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	— +
თარგმნა	1	—	1	5	2	4	3	5	6	5	11
ვერ თარგმნა	19	20	19	15	18	16	17	15	14	15	9

— ნიშნავს, ვერ თარგმნა, + ნიშნავს, თარგმნა.

თარგმნეს. ხმამაღლა კითხვისა და თარგმნის მეთოდის გამოყენებამ საშუალება მოგვცა დავკვირვებოდით, თუ რა როლია ერთი ენობრივი სტრუქტურის მიმართ შექმნილი განწყობიდან თავის დაღწევა. ამასთანავე ჩვენს მიზანს შეადგენდა გაგვერკვია: რა ფსიქიკური ფუნქცია განსაზღვრავდა ყურადღების მიმართულებას პრობლემურ სიტუაციამდე და პრობლემურ სიტუაციაში. რა ფსიქიკური ფაქტორი უდევს საფუძვლად უნებური და ებისმიერი ყურადღების აღმოცენებას?

როცა ცდისპირი ლათინური შრიფტით დაწერილ გერმანულ სიტყვებს კითხულობს და თარგმნის, მას ამ ენისადმი ვანწყობა უმტკიცებდა. ყოველი მომდევნო სიტყვა გერმანულია, ამიტომ ცდისპირი კითხულობს და თარგმნის სიტყვას თავისუფლად. ასევე თავისუფლად გადათარგმნიდა სრულიად მარტივ ყოველდღიურ სიტყვებს, დაბრკოლებას რომ არ შეხვედროდა. გერმანულ სიტყვებში რუსულიც გაერია და მასაც გერმანულად კითხულობს. სუბიექტი უაზრო ბგერათა კომპლექსს, რა თქმა უნდა, ვერ გადათარგმნის, თუ სიტყვა სწორად არ იქნა წაკითხული; ამ შემთხვევაში საქმე თარგმნის სიძნელე კი არ არის, არამედ ის, თუ როგორ დააღწიოს სუბიექტმა თავი შექმნილ განწყობას, ამოერთოს ქცევის იმპულსური პლანიდან და იგივე საგანი თეორიულ დონეზე განიხილოს. როგორ ახერხებენ ამას ჩვენი ცდისპირები? გამოვლინდა, რომ ერთი და იგივე კრიტიკული რუსული სიტყვა ფსიქიკური მუშაობის ორ დონეზე აისახა: ერთი — განწყობის დონეზე, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი მი-

ცხრილი 3

კრიტიკული სიტყვები	თარგმნა II ვარიანტში	
Вид	25%	ცდისპირთა რაოდენობა 20
Репа	35%	
Сучок	45%	
Вода	80%	
Перча	75%	
Дача	65%	
Дева	55%	
Река	80%	
Довод	70%	
Почва	65%	
Радио	85%	

სი გადათარგმნისათვის (რუსული სიტყვა წაკითხული იქნა გერმანულად) და მეორე — ობიექტივაციის დონეზე. განწყობის თეორიის თვალსაზრისით, ობიექტივაციის შემთხვევაში საგანი კი არ იქმნება, არამედ ხელმეორედ წარსდგება სუბიექტის წინაშე როგორც იდენტური, იგივე საგანი. ცდისპირმა რუსული კრიტიკული სიტყვა „Репа“ წაიკითხა განწყობის საფუძველზე და ამიტომ ვერც გადათარგმნა. წააწყდა რა დაბრკოლებას, მის წინაშე დაისვა საკითხი: რა სიტყვაა ეს? ხომ არ შეიძლება მისი სხვა ენაზე წაკითხვა? როცა მან მოახდინა იგივე სიტყვის ობიექტივაცია და საგანი თეორიულ პლანში განიხილა, ამით დაარღვია შექმნილი ან განმტკიცებული განწყობა და ამოცანაც გადაჭრა. „Репа“ ჯერ წაიკითხა როგორც „პენა“ და შემდეგ კი — როგორც „რეპა“.

ერთი ენობრივი სტრუქტურის მიმართ შექმნილი განწყობა სუბიექტის ყურადღებას მხოლოდ ამ მიმართულებით წარმართავს, 15 გერმანული სიტყვას ისე თარგმნის ცდისპირი, რომ არ ფერხდება. სუბიექტის ქცევა მთლიანად მოქმედი განწყობის საფუძველზე გაიშალა და ამ მიმართულებით აღმოცენებული ყურადღება უნებურობით ხასიათდება.

პრობლემურ სიტუაციაში სუბიექტი ფერხდება, ახდენს სიტყვის ობიექტივაციას, ამოერთვება განწყობისეული ქცევის მიმდინარეობიდან და სიტყვა საგანგებო დაკვირვების საგნად იქცევა. ხომ არ შეიძლება მისი სხვა ენაზე წაკითხვა? — ფიქრობს ცდისპირი. იგივე სიტყვა ყურადღებითაა შერჩეული სუბიექტის ცნობიერებაში მანამ, სანამ საკითხი გადაწყდებოდეს, სიტყვის

ცხრილი 4

№№	1 Вид	2 Репа	3 Сучок	4 Вода	5 Порча	6 Дача	7 Дева	8 Река	9 Довод	10 Почва	11 Радио
1	—	—	—+	—+	—+	—+	—+	+	+	+	+
2	—+	—+	—+	+	+	—+	+	+	—+	+	—+
3	—+	—+	+	—+	—+	—+	—+	+	+	—+	+
4	—+	—+	—+	+	—+	—+	—+	+	—+	—+	+
5	—	—	+	+	+	—	—	+	—	—	—
6	—	—	+	—	—	—	—	—?	—	—	—
7	—	—	—	+	+	—	—	+	—	+	+
8	—	—	—	+	+	—+	—+	+	+	—+	+
9	—	—	—	—+	—+	—+	—+	+	—+	—	+
10	—	—	—?	+	—	—	—	+	+	—	+
11	—	—	—	—	+	—	—	—+	+	+	+
12	—	—+	—+	—+	—	—+	—	+	—+	—	+
13	—+	—+	—+	—+	—+	+	—+	+	+	+	+
14	—+	+	—+	—+	+?	—+	—+	+	+	+	+
15	—	—	—?	—+	—	—+	—+	+	+	—+	+
16	—	+	—	—	—	—	—	—	—	—	+
17	—	—	—?	+	+?	—+	+	+	+	+	+
18	—?	—	—	+	—	—+	—?	—	—	—	+
19	—	—	—	+	+	—+	+	+	+	+	+
20	—	—	—	—	—	—	—	—	—	—+	+
თარგმნა	5	7	9	16	15	13	11	16	14	13	17
ვერ თარგმნა	15	13	11	4	5	7	9	4	6	7	3

— ნიშნავს, ვერ თარგმნა, + ნიშნავს, თარგმნა

მნიშვნელობას ჩასწვდებოდეს. თურმე სიტყვა „Вид“ „ბუგ“ კი არ ყოფილა, არამედ რუსული „ვიდ“, მხოლოდ ობიექტივაციის, სიტყვის თეორიულ პლანში განხილვის შედეგად გახდა შესაძლებელი კრიტიკული რუსული სიტყვების ადეკვატურად თარგმნა (იხ. ცხ. 4). ობიექტივაციის აქტის საფუძველზე აღმოცენებული ყურადღება ნებისმიერია, აქტიურია, ხოლო განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ყურადღება პასიურია და მთლიანად განწყობის დინებას მიჰყვება. ვფიქრობთ, ყურადღების ფუნქცია ორივე შემთხვევაში — ქცევის განწყობისეულ და ობიექტივირებულ დონეზე ერთი და იგივეა: შეაკავოს ცნობიერებაში საგანი იმანამ, სანამ ამოცანა გადაიჭრება, ქცევა დასრულდება. ყურადღებას რომ ერთ შემთხვევაში სხვა ფუნქცია ეკისრებოდეს და მეორე შემთხვევაში კი სხვა, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა მისი მონაწილეობა ქცევის რთულ აქტებში. ყურადღებას ჩვენ ყველგან ვხვდებით აღქმებში, წარმოდგენებში, ფანტაზიაში, აზროვნების ყველა ფორმაში. მისი ფუნქცია ყველგან ერთი და იგივეა: შეაკავოს ან შეაჩეროს საგანი მანამ, იანამ

ქცევა დასრულდება. იგი ცნობიერებაში საგნის შემაკავებელი ან შემარერებელი ფუნქციაა და მას არ ეკითხება, თუ რა საგანი შემოვა ცნობიერებაში.

განწყობის საფუძველზე ყურადღება ამა თუ იმ საგნისაკენ მიიმართება და შინაარსეული ხდება. იგი ყოველთვის ამ განწყობით გაშლილი ქცევის ჯაჭვშია ჩართული. როცა ქცევა ფერხდება და მისი გააზრებაა საჭირო, ობიექტივაციის აქტის შედეგად იგივე საგანი ისევ შემოდის ცნობიერებაში, ყურადღება ისევ შემაკავებელ ფუნქციად გვევლინება. ხაზგასასმელი ისაა, რომ ასეთი შეკავება, შეჩერება, ან შემონახვა საგნობრივი შინაარსისა ერთ შემთხვევაში განწყობის დონეზე ხდება, მეორეში — ობიექტივაციის დონეზე. განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ყურადღება პასიურია, ობიექტივაციის საფუძველზე აღმოცენებული კი — ნებისმიერი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, „მაცნე", 1969, № 4

რევაზ სირაძე

სახის ცნება ბიზანტიურ ესთეტიკაში

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ)

ქართული აზროვნების მიერ ადრეულ შუა საუკუნეებში წამოჭრილი ცალკეული ესთეტიკური საკითხების ზუსტად დადგენისათვის საჭირო ხდება ჩავიხედოთ ბიზანტიურ ესთეტიკაში და პირიქით — ქართული წყაროები გვეხმარებიან სწორად გავიგოთ თვით ბიზანტიური ესთეტიკის პრობლემატიკა.

არ იქნებოდა სწორი, გადაჭარბებით შეგვეფასებინა ბიზანტიური ესთეტიკის გავლენა ქართულ აზროვნებაზე. ჩვენ განვიხილავთ იმ ავტორთა მოსაზრებებს, რომლებიც მეტნაკლებად ცნობილი იყვნენ ძველ ქართულ მწერლობაში.

სპეციალური გამოკვლევა ბიზანტიური ესთეტიკის შესახებ ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება. ამითაც გვინდა ერთგვარად გავამართლოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნარკვევი.

დამახასიათებელია, რომ ნარკვევში, რომელსაც ეწოდება «Византийская эстетика», ვ. ნ. ლაზარევი წერს: ესთეტიკას ჯერ კიდევ არ შეუძენია თვითმყოფადი მნიშვნელობაო[1]. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალურად აღნიშნულია, რომ ხელოვნების თეორიას — კლასიკური შინაარსით — შუა საუკუნეები არ იცნობს: „შუა საუკუნეების სქოლასტიკას ხელოვნების თეორიის ფრონტზე არ მოუცია ისეთი ღირსშესანიშნავი ნაშრომი, რომელიც თავისი ღირსებით გაუტოლდებოდა ყოველივე იმას, რაც შეჰქმნა ერთის მხრივ ანტიკურმა ქვეყანამ, და მეორეს მხრივ, რენესანსის ეპოქამ". — წერს აკად. გ. ჯიბლაძე[2]. აღნიშნულიდან ის როდი გამომდინარეობს, რომ შუა საუკუნეები საზოგადოდ მთლიანად დაცლილია ესთეტიკური ნააზრევისაგან. ჯერ ერთი, მთლიანად კავშირი არ გაუწყვეტიათ ანტიკურ ესთეტიკასთან: „ძნელი არ არის, — შენიშნავს აკად. გ. ჯიბლაძე, — ტერტულიანესა და ავგუსტინეს შეხედულებებში აღმოვაჩინოთ ძველი ბერძნების თეორიულ სისტემათა კვალი"[3]. სხვა მკვლევარებიც ანგარიშს უწევენ იმ გარემოებას, რომ „ესთეტიკა საშუალო საუკუნეებში არ მოსპობილა ქრისტიანობის მორალური ზემოქმედებით და მთლიანად არ დაბნელებულა თეოლოგიით. საშუალო საუკუნეებში ახალი ესთეტიკის დასაბუთებისას არა მხოლოდ მიმართავდნენ ძველ ხელოვ-

[1] Лазарев, В. Н., Византийская эстетика, История византийской живописи, т. I, М., 1947, стр. 23.

[2] გ. ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, I, თბ., 1955, გვ. 254.

[3] იქვე, გვ. 438.

ნებასა და ფილოსოფიას. წამოყენებულ იქნა ახალი ფილოსოფიური დებულებანი"[4].

როგორი გადაჭარბებაც არ უნდა იყოს ეს შეფასება, ერთი ცხადია, რომ იმდროინდელი ესთეტიკა, ასე თუ ისე, მაინც ორგანული ნაწილია ესთეტიკური აზრის ისტორიული განვითარებისა[5]. ამ შეფასებაში საყურადღებოა ის მომენტი, რომ ახალმა ესთეტიკამ სცადა თავისი შეხედულებები თავისებურად გაემართლებინა ახალი ფილოსოფიური დასკვნებით. „ბიზანტიური ესთეტიკა რომ გავიგოთ, აუცილებელია წინასწარ გავაშუქოთ ფილოსოფიური წინამძღვრები, რომლებიც საფუძვლად ედო არა მარტო ბიზანტიურ, არამედ, რამდენადმე, მთელ აღმოსავლურ ქრისტიანულ რელიგიასაც", — წერს ვ. ნ. ლაზარევი[6]. მართლაც, ბიზანტიური ესთეტიკა არაა გამოცალკევებული ქრისტიანობის რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემიდან. იგი ამ ფილოსოფიურ მოძღვრებასთანაა შერწყმული და მასშია გათქვეფილი.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობის რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემის ლოგიკური გამოსავალია უპირველესი დოგმატი, რომ ღმერთი არის ერთი („ერთ არს ღმერთი". ჭიმ. 2,5)[7]. ასახსნელი რჩება სამყაროს მრავალფეროვნების ფაქტი. ქრისტიანობამ აქ მოიშველია რელიგიურად მოდელირებული პლატონური მოძღვრება სულთა სამყაროსა და ამქვეყნიური საგნების ურთიერთმიმართების შესახებ. მატერიალური სამყარო მხოლოდ ღვთიური საწყისის გამონაკრთომად იქნა მიჩნეული. „შესაქმეთა" წიგნის მიხედვით, სამყარო არარაობისაგან იქნა გაჩენილი ღვთიური ძალით. მაშასადამე, ღვთიურობის გარეშე სამყაროს არსება არარაობაა. არარაობის ცნება არსებობის ცნებასთან მიმართებული ნეგატიური მნიშვნელობის ცნებად კი არ მიიჩნეოდა — იგი მატერიალური სამყაროს არსებით თვისებად ცხადდებოდა. მიაჩნდათ, რომ ღმერთში თავს იყრის ყველა დადებითი უმაღლესი ძალა (ბუნებითი, მორალური, თუ ესთეტიკური). წარმართული პოლითეიზმის საპირისპიროდ, არ დარჩენილა არც ერთი დადებითი ძალა, რომლის პერსონიფიცირება ქრისტიანულ ღმერთში არ მომხდარიყო. „ქრისტიანიზმში მთელი საზოგადოებრივი და ბუნების ძალთა ერთობლიობა, ღმერთების სიმრავლე გადატანილია ერთ ყოვლისშემძლე ღმერთში, რომელიც თავის მხრივ ასახვაა აბსტრაქტული ადამიანისა"[8].

---

[4] К. Гильберт, Т. Кун, История эстетики, М., 1960, стр. 47.

[5] Каждан А. П., Вступительная статья (Византия), История эстетики (памятники мировой эстетической мысли), т. I, 1962, стр. 100; История европейского искусствознания (от античности до конца XVIII века), М., 1963, стр. 52—58.

[6] ვ. ნ. ლაზარევი, დასახელებული ნაშრომი.

[7] ყოვლისგანმსაზღვრელი საწყისი ძალის — ტრანსცენდენტალური ერთისძიება ფილოსოფიური მომენტია ქრისტიანული აზროვნების სისტემაში, რადგან „სარწმუნეობის არსს დააფუძნებს არა ის, რაშიც რწმენა ზოგად გონებას ეთანხმება, არამედ ის, რაშიაც იგი გონებისაგან განსხვავდება" (ლ. ფოიერბახი, ქრისტიანობის არსება, თბ., 1956, გვ. 5). როცა საშუალო საუკუნეების აზროვნება ყოვლის საწყისს „ერთში" ხედავს, ეს ფილოსოფიურ ძიებად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ, როცა ამ „ერთად" მისტიკურ ცნებას — ღმერთს მიიჩნევენ, ეს იმას ნიშნავს, რომ საკითხი „ფილოსოფიურად" ვერ გადაწყვეტილა და მისი რელიგიური ახსნით დაკმაყოფილებულან.

[8] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. XII, часть 7, стр. 203.

ჩვენთვის ამჯერად საყურადღებოა ის, რომ ღმერთის ცნება შეიცავს უმაღლეს მორალურ კატეგორიებს. ღმერთი არის უმაღლესი სიკეთე[9]. მაშასადამე, სამყაროს საწყისია ერთი, ღმერთი — სიკეთე (საპირისპიროდ, მაგალითად, ზოროასტრიზმისა, სადაც აღიარებულია ორი საწყისი: კეთილი და ბოროტი). პასუხს მოითხოვდა ბოროტების სუბსტანციურობის საკითხი. თუ ბოროტება სუბსტანციური ბუნების მატარებლად იქნებოდა მიჩნეული, მაშინ უნდა მიჩნეულიყო ისეთი სფეროს არსებობაც, რომელშიაც შეღწევა ღვთიურ ძალას არ შეუძლია. ქრისტიანობამ აღნიშნულ საკითხზე ასეთი პასუხი გასცა: არ არსებობს ბოროტება როგორც საწყისი. არსებობს მხოლოდ სიკეთის ხარისხი. ბოროტება კი სიკეთის გამოვლენის უმდაბლესი ფორმაა. თეორია ასე ჩამოყალიბდა: „არასადმე არს ბოროტი. არცა არსთა შორის არს ბოროტი, რამეთუ არასადა არს ბოროტი, ვითარ იგი არს ბუნებით ბოროტი, ხოლო ბოროტ-ყოფაჲ არა ძალისაჲ არს, არამედ უძლურებისაჲ და ეშმაკთაცა, რომელ-იგი არიან, კეთილისაგან არიან და კეთილ არს არსებაჲ მათი. ხოლო ბოროტებაჲ მათი თჳთ მათისა მისაგან არს კეთილთაგან განვრდომილებისა“[10].

ასეთ თვალსაზრისს დიდი გავლენა ჰქონდა ბიზანტიურ ესთეტიკაზე. ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით. ახლა კი თვით პრობლემის ზოგადი მნიშვნელობის შესახებ. ბიზანტიური ესთეტიკისათვის იდეალური პიროვნება წმინდანია. იგი ასე თუ ისე ემსგავსება ქრისტეს. უმაღლესი სიწმინდეა საკუთარი ბოროტებისა და ცოდვის მაქსიმალისტური შეგნება. მართალია, როგორც ა. ჰარნაკი აღნიშნავდა, იმდროინდელ მორალურ კოდექსში განსხვავებულია ის, რაც მოითხოვება, და ის, რაც რეკომენდირებულია, მაგრამ ყოველთვის აუცილებლად არის გამოცხადებული უმაღლესი დისციპლინა ყოფითსა და სულიერ ცხოვრებაში. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ისჯება. მარადიული ცხოვრება კი რჩეულთა ხვედრია. გზა აქეთკენ წინასწარვე განსაზღვრულია. „მარადიული ცხოვრება, — წერს ა. ჰარნაკი, — ენიჭება მხოლოდ დამსახურებულთ, დამსახურება კიდევ მჟღავნდება სიყვარულით და უმაღლეს საფეხურზე — ექსტაზში“[11]. ნაწარმოების ცენტრში ეს გზა უნდა იყოს, ხელოვნებამ ადამიანი სულიერად უნდა აამაღლოს.

ადამიანური სილამაზე შეიძლება დანახულ იქნეს მხოლოდ მის სულიერ ბუნებაში. ადამიანის სულიერი შინაარსიც თავისებურადაა განმარტებული. ინტელექტუალურ და მორალურ ძალთა არსენალი არ ითვლება ადამიანის სულიერ შინაარსად. ადამიანის შინაგანი სამყაროდან განსაკუთრებით ფასეულია მისი უნარი ღმერთთან სულიერი მიახლოებისა, ღმერთის შეცნობისა, ერთ-ერთი საშუალება ღმერთის შემეცნებისა არის სახე, ხატი — სიმბოლო.

ამრიგად, ჩვენ მივადექით სახის ცნების საკითხს ბიზანტიურ ესთეტიკაში. რა არის სახე?

---

9 რადგან ღმერთი უმაღლესი ეთიკური კატეგორიაა, ამითაც იგი გამომხატველია „აბსტრაქტული ადამიანისა“. ამიტომ, როგორც ცნობილია, ღმერთის ატრიბუტებში ხშირად ამოსაცნობია ადამიანობის იმდროინდელი იდეალები, თუნდაც მისტიფიცირებული ფორმით.

10 პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბილისი, 1961 წ. გვ. 57.

11 А. Гарнак, История догматов (Общая история европейской культуры, т. VI), стр. 389.

„ყოველი სახე არის ხილვა და ჩვენება დაფარულისა“, — წერდა იოანე დამასკელი[12]. მაშასადამე სახის შინაარსი „ფარულია“, მისი ფუნქცია კი ამ ფარული შინაარსის ჩვენებაა. იოანე დამასკელი ასეთ განმარტებას აძლევდა სახის ცნებას: „რამდენადაც ადამიანს არ გააჩნია ცოდნა უხილავისა (რადგანაც მისი სული სხეულითაა მოცული), არც იმისა, რაც ხდება მიღმა, შორეთში (რადგანაც იგი შეზღუდულია დროითა და ადგილით), ამიტომ ცოდნის მოსაპოვებლად, დაფარულის გამოცხადებისა და ნათელყოფისათვის შემოღებულია სახე“[13]. სახე შემეცნების მიზანს ემსახურება. ვინაიდან შემეცნების საგანი დაფარულია, სახეს ეკისრება მისი ჩვენება. ამდენად, „სახე“ იოანე დამასკელისათვის ვიწრო კონკრეტულ-ესთეტიკური ცნება არაა (თუმცა, აქ ასეთი შინაარსიც არაა გამორიცხული). იოანე დამასკელთან სახის ცნება სიმბოლოს ცნებას ეტოლება. სიმბოლო კი, იმდროინდელი შეხედულებების მიხედვით, მხოლოდ ესთეტიკური კატეგორია არაა. სიმბოლო მისტიკური შინაარსის გამოხატულებას წარმოადგენს. დღევანდელი გაგებით, იგი ალეგორიის შინაარსს შეიცავს. ალეგორიული გამოხატვა კი ყოველთვის როდია ესთეტიკური ფაქტი.

თეოდორე სტუდიელიც ერეტიკოსთან კამათში ეხება იოანე დამასკელის მიერ განხილულ საკითხებს. მისი აზრით, კონკრეტული სახე, ვთქვათ, საგნობრივი, პლასტიკური სიმბოლო, რომელსაც ჩვენ მატერიალური ბუნებით აღვიქვამთ, მიგვითითებს ზოგად შინაარსზე. ეს ზოგადი შინაარსი არის პირველსახე. უფრო სწორად, კონკრეტული სახე, ხატი მხოლოდ შორეული მსგავსებაა პირველსახისა[14]. შემდეგ თეოდორე სტუდიელი იმოწმებს სიტყვებს, რომელთაც დიონისე არეოპაგელს მიაწერს: „პირველსახე მსგავსებაშია, პირველსახე — სახეშია, ერთი მეორეშია არსების განსხვავებულობის გარეშე“[15]. ამ შეხედულების ილუსტრაციას თეოდორე სტუდიელი ბასილ დიდის სიტყვებით ახდენს. ბასილ დიდს ასეთი მაგალითი მოჰყავს: როცა ჩვენ მოედანზე მეფის გამოსახულებას ვხედავთ, ვამბობთ, რომ ეს არის მეფე. ამგვარი გამოთქმით ჩვენ მივუთითებთ პირველსახეზე. სწორედ პირველსახეა მეფე. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვა, რომ მეფეა ეს გამოსახულება და ისიც, რასაც ეს გამოსახულება გულისხმობს. სახე ემსგავსება პირველსახეს. გვაგონებს მას, მიგვითითებს მასზე. „სხვადასხვაგვარი სამუალებით შექმნილი გამოსახულება, გადატანილი პირველსახიდან ნივთში, იძენს პირველსახისადმი მსგავსებას და ასახავს მის ფორმას მხატვრის ჩანაფიქრისა და მისი ხელების ოსტატობის წყალობით. მაგალითად, ფერმწერი, ქვისმთლელი, ოქროსა თუ ბრინჯაოს ქანდაკების შემქმნელი იღებს მასალას, იხილავს პირველსახეს, შეითვისებს გარეგან სახეს ხილული საგნისა და აღბეჭდავს მას ნივთში“[16].

„მსგავსების“ ცნებას აქ არავითარი კავშირი არა აქვს არისტოტელეს შეხედულებასთან „მიბაძვის“ ცნების შესახებ. „მსგავსების“ ცნება მხოლოდ იმას განსაზღვრავს, თუ რამდენად შეუძლია ხელოვნებას მიუახლოვდეს პირველსახეს. ამ თვალსაზრისით, სახე ნივთიერად ვერ განახორციელებს, მით

[12] История эстетики, стр. 336.
[13] იქვე.
[14] იქვე.
[15] იქვე, გვ. 337.
[16] იქვე.

უფრო, ვერ ამოსწურავს თავის პირველსახეს, მას სახე მხოლოდ უახლოვდება, ემსგავსება. ამდენად, სახე პირველსახეს კი არ გვაგრძნობინებს, არამედ მხოლოდ გვაგონებს. ავგუსტინეს პოზიცია ამ საკითხის მიმართ სპეციალურ ლიტერატურაში ასეა დახასიათებული: „ხელოვნების ნაწარმოებს, — ამბობს ის, — აქვს ტენდენცია იყოს ისეთი რამ, სადაც მთლიანად ვერ იქცევა"[17]. აქ შემდეგი აზრია აქცენტირებული: ხელოვნების ნაწარმოები რომ ასახვის ობიექტად ვერ გადაიქცევა, ეს თავისთავად საკამათო არ იყო. საქმე ეხება იმას, რომ ხელოვნების ნაწარმოების შინაარსს ქმნის ის სინამდვილე, რომლისკენაც ხელოვნება მიისწრაფვის. მხატვრული სახის შინაარსი თვით სახის მატერიალურ ბუნებაშივე კი არაა საძებნი, არამედ მის მიღმა. ყურადღება უნდა გადავიტანოთ არა სახის თავისთავად, მატერიალურ ბუნებაზე, არამედ მის დაფარულ შინაარსზე. ამიტომ სახის ემოციური ათვისება არა თუ გვაახლოებს მის ნამდვილ შინაარსთან, გვაშორებს კიდევაც მას, რომელიც „მარტო სულითა ხოლო საცნაურია"[18].

ბიზანტიური ესთეტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა პლატონის მოძღვრების იმ მხარეს, რომელმაც განვითარება ჰპოვა პლოტინთან (209—70 წწ.). აი, როგორაა განმარტებული პლოტინის მიერ მშვენიერების არსი და მისი შემეცნების გზები: „ვინც გაიმსჭვალა გონებრივი სილამაზის ჭვრეტით და შეითვისა სილამაზე ჭეშმარიტი გონებისა, ჩვენის აზრით, შესაძლებლობა მიეცა მიუახლოვდეს უზენაესს"[19], რადგან მშვენიერების არსი ღმერთშია და მისი წვდომა ღმერთის წვდომას უდრის. აქედან დასკვნა: მშვენიერების შემეცნება გონითი შემეცნების პროცესია. ჭეშმარიტებისა და მშვენიერების ცნებები გაიგივებულია. ყოველივე ეს გამომხატველია აზროვნების განვითარების იმ დონისა, როცა ესთეტიკური და ლოგიკური შემეცნების თავისებურებანი ერთმანეთისაგან გამიჯნული არაა.

პლოტინთან მშვენიერება არ განიხილება, როგორც ობიექტურად არსებული, რადგან „მშვენიერება, შეღწეული მატერიაში, ხდება განფენილი, ამდენად, გაცილებით სუსტიც, ვიდრე ის იყო პირველსაწყის ერთიანობაში"[20].

პლატონის აზრით, ხელოვანი ბაძავს სინამდვილეს, რომელიც, თავის მხრივ, აჩრდილია პირველსაწყისისა. პლოტინის შეხედულებით კი, ხელოვანი შემოქმედებით პროცესში უშუალოდ მიმართულია პირველსაწყისისადმი: „ფიდიასმა თავისი „ზევსი" შექმნა რომელიმე გრძნობად საგანთან მიმართების გარეშე, მაგრამ ისე, როგორიც იქნებოდა ზევსი, რომ მას ესურვა ჩვენს თვალწინ გამოცხადება"[21].

პლოტინის ღვთაებრივი ემანაციის თეორიის მიხედვით, მშვენიერება მატერიალურ საგნებში ჰკარგავს თავის ცხოველმყოფელობას. ამიტომ ადამიანის მიზანი უნდა იყოს სულიერად მიუახლოვდეს მის პირველსაწყისს. „როცა კაცი განცვიფრებაში მოდის ქმნილების სხვა რაიმესადმი შესატყვისობით, მას აკვირვებს ის, რასაც შეესატყვისება ქმნილება; მაგრამ თუ მან არ იცის, რას განიცდის, ამაში გასაკვირი არაფერია. რამდენადაც მათ, ვინც განცვიფრებაში მოდის მიწიერი სილამაზით, არ იციან, რომ იგი მომდინარეობს ზეციური

[17] Г. Гильберт, Г. Кун, История эстетики, М. 1960, გვ. 144.

[18] სინური მრავალთავი, თბილისი, 1959, გვ. 248.

[19] История эстетики, გვ. 224.

[20] იქვე, გვ. 225.

[21] იქვე.

სილამაზიდან“[22]. ამდენად, პლოტინთან პრინციპულად უარყოფილი არა მიწიერი სილამაზის არსებობა, ოღონდ დამცირებულია მისი მნიშვნელობა. ასეთი თვალსაზრისი გასდევს მთელ ბიზანტიურ ესთეტიკას. „მშვენიერება მათი წარმოდგენით, აუცილებლად არ უკავშირდება ხელოვნების მშვენიერების ფორმებს: მშვენიერება ნიშნავდა ელემენტთა აბსტრაქტულ სასურველ თანაფარდობას. ეს ელემენტები კი შეიძლებოდა ყოფილიყო: სულიერიც და მატერიალურიც, მორალურიც და ფიზიკურიც, ხელოვნურიც და ბუნებრივად შესატყვისიც, განსაზღვრულიც და განუსაზღვრელიც“[23].

ავგუსტინე აღნიშნავდა: „ყოველი მშვენიერების ფორმაა — მთლიანობა“. მისივე სიტყვებით — საგანთა მშვენიერება ემყარება შესატყვისობას, შესაბამისობას, შემადგენელ ნაწილთა სიმეტრიულობასა და ჰარმონიას. მუსიკის ჰარმონიულობის განხილვისას ავგუსტინე იშველიებს პითაგორეიზმის რიცხვთა თეორიას. მისთვის რიცხვი არის ზებუნებრივი ჰარმონიის მატერიალური ცხადყოფა. მაგრამ ავგუსტინე ხშირად უფრო ცხადად განიცდის ხილული მშვენიერებების ზემოქმედებას: „მშვენიერი მრავალსახოვანი ფორმები, მბრწყინავი და სასიამოვნო ფერები, — აი, რა მოსწონს თვალებს“, — წერს ავგუსტინე „აღსარებაში“[24], რომელიც მისი ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის შემდეგაა დაწერილი. მაგრამ უნდა გვახსოვდეს: „ზომა და ხარისხი სინამდვილისა ითვლებოდა ღვთაების ზომისა და ხარისხის პროპორციულად“[25]. ამქვეყნურ საგნებში გამოვლინებული ჰარმონიულობა და წესრიგი ტრანსცენდენტალური ღმერთის ძალის ცხადყოფად იყო მიჩნეული. ამიტომ უმაღლესი ესთეტიკური, ეთიკური და ლოგიკური ცნებები ღმერთის ცნებაში ერთნაირად იყო გამთლიანებული. აღნიშნული შეადგენს წინასახის ცნების შინაარსს. მშვენიერებად მიჩნეული იყო უმაღლესი ჭეშმარიტება და უმაღლესი სიკეთე. ასეთ აზრს იცავს ე. წ. არეოპაგიტული წიგნებიც: „იქნების სახიერებაჲ დიდთა ღმრთის-მეტყუელთა მიერ, ვითარცა კეთილი და ვითარცა სიკეთე, ვითარცა სიყუარული და ვითარცა საყუარელი და რაოდენნი რაჲ სხუანი არიან კეთილად შუენიერნი კეთილმყოფელისა და სიხარულევანისა შუენიერებისა ღმრთის სახელნი“[26]... თომა აქვინელიც შენიშნავს, რომ დიონისე არეოპაგელსო (იგულისხმება ფსევდო-დიონისე) სილამაზის ცნება დაჰყავს სიკეთის ცნებაზე და ამ უკანასკნელში ხედავს მშვენიერების არსსო[27]. იოანე დამასკელი კი ორთავე მათგანს ერთნაირად უკავშირებს ღმერთის ცნებას[28].

როგორც დავინახეთ, სახე წინასახის სიმბოლოა, წინასახის სიმბოლოდ კი ხშირად ფიგურირდება ადამიანთა სახეები.

არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ ქრისტიანობა ყურადღებას არ იჩენს ადამიანისადმი. ადამიანი შუა საუკუნეების ხელოვნების და თეოლოგიური ლიტერატურის ცენტრში დგას. თავისებურებას ქმნის მხოლოდ ადამიანის იმდროინდელი გაგება, რომელიც აზროვნების განვითარების შუა საუკუნე-

---

[22] История эстетики, გვ. 231.

[23] К. Гильберт, Г. Кун, История эстетики, стр. 148.

[24] История эстетики, გვ. 261.

[25] К. Гульберт, Г. Кун, История эстетики, стр. 116.

[26] პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გვ. 10.

[27] История эстетики, გვ. 289 — 90.

[28] იქვე, გვ. 335.

ების დროის გამოხატულებაა. „რელიგიას არ შეუძლია სერიოზულად ამტკიცოს ადამიანის არარაობა... რელიგია სერიოზულად აღიარებს მხოლოდ იმ განსაზღვრებებს, რომლებიც ადამიანისათვის ადამიანს ასაგნობრივებენ“[29]. რელიგიური თვალსაზრისით, სამყაროს მთელი თავისებურება გამოხატულია ადამიანში, როგორც მიკროკოსმოსში. სამყაროში ადამიანი ერთადერთია, რომელშიაც გაერთიანებულია ორი მხარე: სულიერი (მაშასადამე, მარადიული, ღვთიური) და მატერიალური (ხორციელი, წარმავალი), გ. გეფდინგის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქრისტიანობა აქ ადამიანის გაგებას კი არ ცდილობს, არამედ მხოლოდ მის შეფასებას იძლევა[30].

ადამიანის შესახებ ქრისტიანულ მოძღვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ნეოპლატონიზმმა. როგორც ცნობილია, „მეხუთე საუკუნის დასასრულისათვის ნეოპლატონიზმის გაქრისტიანების პროცესი მთლიანად დასრულებულია“[31], ყოველი დროისათვის მოძღვრება ადამიანზე ესთეტიკური თეორიისაგან განუყოფელია. ამიტომ ცხადი ხდება, თუ იმთავითვე რა მნიშვნელობა შეიძლებოდა მისცემოდა ბიზანტიური ესთეტიკისათვის ნეოპლატონისტურ ფილოსოფიას.

ნეოპლატონისტური თვალსაზრისით (რასაც იზიარებს ქრისტიანობაც), სულიერი საწყისი, რომელიც ადამიანშია მოცემული, ღვთიურობის ემანაციის შედეგია. პლოტინის მიხედვით, ღვთიური პირველსაწყისის ემანაცია ხდება მსოფლიო გონის, მსოფლიო სულის სახით და შემდეგ იგი შეაღწევს ადამიანში. პლოტინის აზრით, ღვთის ემანაციის ძალა ვეღარ წვდება მატერიალურ სამყაროს. როგორც ნათელი ფერმკრთალდება წყაროდან დაშორების პროპორციულად, ასევე მატერიალური სამყარო მოკლებულია ღვთის ბრწყინვალებას[32]. იგი წყვდიადის სამყაროა. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობდა აზრი დაუძლეველი წინააღმდეგობის შესახებ ადამიანის სულიერ და ხორციელ ბუნებას შორის. ამ წინააღმდეგობის დაძლევა მათი თანარსებობის პირობებში გამორიცხულად იქნა მიჩნეული. ადამიანის ხორციელი ბუნება მის სულიერ, ღვთიურ საწყისს წყვდიადში აქცევს. ადამიანთა ყოფის ტრაგიზმი მათი არსებობითვეა პირობადებული. (ასე მიიღო ლოგიკურად გამომდინარე აზრის სახე ქრისტიანობის, როგორც მსოფლმხედველობის, მთავარმა დებულებამ, ამოსავალმა აზრმა, რომელიც რელიგიის „სოციალური დაკვეთის“ უშუალო გამოხატულებაა). მაშასადამე, ძირითადი წინააღმდეგობა სამყაროში ესაა დაპირისპირებულობა სულსა და ხორცს შორის. (აქედან ბუნებრივია მოთხოვნა, რომ ხელოვნებამ ასახოს სწორედ ეს წინააღმდეგობა, იგი უნდა გახდეს ნაწარმოების მთავარი თემა). ქრისტიანული მსოფლმხედველობა ადამიანს უჩვენებს ამ მდგომარეობიდან გამოსავალ გზას. ესაა საიქიო მარადიული ცხოვრება, რომელიც რჩეულთა ხვედრია. ე. ი. არსებითად ბედნიერების წვდომა შესაძლებელია იმ ქვეყნად, რამდენადაც უმაღლეს ბედნიერებად გამოცხადებულია ღვთიური საწყისისადმი დაბრუნება, სულის ხორცისაგან

[29] ლ. ფოიერბახი, ქრისტიანობის არსება, თბ., 1955, გვ. 89.

[30] Г. Гефдин, философия религии, გვ. 6

[31] Б. Рассел, История западной философии, М., 1959 стр. 233.

[32] იხ. К. Варпалис, Эстетико-критика, М., 1961, გვ. 59.

განტვირთვა. ამ ქვეყნად კი ადამიანური მოქმედების უმაღლეს სახედ მიჩნეულია ხორციელი ბუნების ყოველმხრივი დათრგუნვა: ამ მხრივ ქრისტიანობამ თითქოს დატოვა საშუალება ამ ქვეყნად ადამიანური სრულყოფის მიღწევისა[33]. ცხოვრების უკიდურესი ნორმალიზება, მოთმინება, ასკეტიზმი წარმოადგენს საშუალებას ღმერთთან მიახლოებისა. ესაა გამოცხადებული უმაღლეს იდეალად — „ინდივიდუალური ყოფა და ნების თავისუფლება, რომელიც ინდივიდუალურ პიროვნებას ქმნის, არათუ არ უნდა განვითარდეს, არამედ არ უნდა იქნას შეგნებულიც კი, როგორც კერძობითი ფაქტი“[34].

პლოტინის ემანაციის თეორიის მიხედვით, რასაც არსებითად იზიარებს ქრისტიანობაც, საგანი არსებობის კონკრეტულ ფორმაში უაღრესად დაშორებულია თავის თავს — თავის არსებას. ამ თეორიის მიხედვით, ყოველივე არსებულის არსი მოქცეულია ღვთიურ პირველსაწყისში. აქედან ემანაციით ხდება არსის განფენა კონკრეტულ საგნებამდე. ამასთანავე კონკრეტულისა და ზოგადის ერთიანობა მოხსნილია. ზოგადი საგანთა სიმრავლის საერთო ნიშნის გამოხატულებად და, ამდენად, კონკრეტულშივე არსებულად ვერ მიიჩნევა. იგი არსებობის კონკრეტული ფორმებისაგან გარეთ დგას და მათგან დამოუკიდებელია. აქედან გამომდინარე, ქრისტიანობა თვლის, რომ საგანი უახლოვდება თავის თავს მხოლოდ აბსოლუტური სრულყოფის სახით, ე. ი. ღვთიურ პირველსაწყისამდე ამაღლებით. მხატვრულ ნაწარმოებში დადებითი შეიძლება იყოს მხოლოდ აბსოლუტურად სრულყოფილი. ასეთი თვალსაზრისით არ ცნობს მხატვრულ სახეში დადებითისა და უარყოფითის ერთ მთლიანობაში დიალექტიკურ თანაარსებობას ამით კი გამორიცხულია ინტერესი პიროვნების ინდივიდუალური განუმეორებლობისადმი. ადამიანს კონკრეტულ-ინდივიდუალური ბუნება: ქცევა, ხასიათი, ტემპერამანტი, მით უფრო — პიროვნული თავისებურებანი, არ შეიძლება სპეციალური ყურადღების საგანი გახდეს, რადგან ადამიანობის არსი არსებობის ამ კონკრეტულ ფორმებში კი არ ვლინდება, არამედ, პირიქით, ინდივიდუალური ყოფით პიროვნება შორდება ადამიანურ არსებას. პიროვნება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი უახლოვდება ადამიანობის ამდროინდელ იდეალს. პიროვნების თვისებათაგან წარმოსაჩენია ის, რაც მის იდეალურობას გამოამჟღავნებს.

ბიზანტიურ ესთეტიკაში სახის ცნების შესახებ როცა ვლაპარაკობთ, უნდა გავიხსენოთ იმ დროის მოღვაწეთა ის გამონათქვამები, რომლებიც ბუნების განცდას შეეხება.

გ. გეფდინგი აღნიშნავდა, რომ რელიგიურ ნააზრევში „ჭვრეტა სჭარბობს კვლევასა და რეფლექსიებს“[35]. მაგრამ გ. გეფდინგისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის „სურვილი მიზეზთა მონახვისა“ მის ყურადღებას მიაპყრობდა ბუნების მოვლენებისაკენ[36]. ბუნების მოვლენათა გამომწვევ ძალად მისტიკური პირველსაწყისია მიჩნეული. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის აზროვნება ჯერ კიდევ ვერ სწვდება ბუნების შინაგან კანონზომიერებას და იძულებულია იგი იდეალური ფაქტორით ახსნას.

---

[33] ასეთ თვალსაზრისს გამოთქვამს ა. ჰარნაკი, იხ. მისი Монашество, его идеалы и его история, Пб., 1908, стр. 28 და შემდეგ.

[34] Л. Фейербах, Избран. Философ. произвед., т. 11, 1955, გვ. 194.

[35] Г. Гефдинг, Философия религии, გვ. 7.

[36] იქვე, გვ. 20.

ა. ბიზეს დაკვირვებით, სამუალო საუკუნეებში ადამიანის ბუნებისადმი დამოკიდებულება ემყარება სარგებლიანობის თვალსაზრისს[37]. ა. ბიზე აღნიშნავს, რომ „სამი დიდი კაბადოკიელის (იგულისხმებიან ბასილ დიდი, გრ. ნაზიანზელი და გრ. ნოსელი), IV საუკუნის შესანიშნავ წარმომადგენელთა თხზულებანი მთლიანად ამსხვრევს შეხედულებას, თითქოს ბუნება სრულიად უცხო იყო შუა საუკუნეებისათვის“[38]. ა. ბიზე იმოწმებს ა. ჰუმბოლდტს, რომელიც აღნიშნავდა ბასილ დიდის მიერ განსაკუთრებულ გრძნობას ბუნებისა, ა. ჰუმბოლდტი იხსენიებს ბასილ დიდის წერილს გრიგოლ ნაზიანზელისადმი, რომელშიაც გადმოცემულია ბუნების შეფასება: „აქ ბუნების სურათებისა და ტყის სიცოცხლის უბადლო აღწერაში, — ამბობს ჰუმბოლდტი, — გამოხატულია გრძნობა, რომელიც ჩვენთვის უფრო ახლობელია, ვიდრე ყველაფერი ის, რასაც საბერძნეთისა და რომის წარსულიდან ჩვენამდე მოუღწევია„[39].

გრ. ნაზიანზელი ბუნების სურათებს აღწერდა ადამიანის სულიერ განწყობილებასთან შეპირისპირებით[40].

იოანე ოქროპირის აზრით, ბუნების ჰარმონიულობა და სიწმინდე მისაბაძია ადამიანისათვის („ისმინე ესე თქუენცა, დედანო, რავდენი სიწმიდე მფრინველთა თანაცა იპოვების! აწ რომელთა მსგავსება გურიტისა გაქუს თავთა თქუენთა, მისსა მის სიწმიდესა და სიყუარულსა ემსგავსენით“)[41]. სხვა შემთხვევაში ი. ოქროპირს ბუნების ფერისცვალება ადამიანის ცხოვრებას აგონებს[42]. პროკოფი კესარიელის აზრით, ხელოვნების ძეგლებს სილამაზეს ჰმატებს ბუნების მშვენიერება[43].

იმდროინდელი ესთეტიკის მიხედვით, გამორიცხულია ბუნების თავისთავადი მნიშვნელობით დაფასება — ბუნებით ტკბობა. მხატვრული სახის შინაარსი ბუნების განცდა ვერ გახდება. ოღონდ შესაძლებლადაა მიჩნეული ბუნების მოვლენებზე დამყარებულ სახეებში ზოგადი იდეალების გადმოცემა. ამ მხრივ, საყურადღებოა არეოპაგიტულ წიგნებში გამოთქმული თვალსაზრისი. აქ განხილულია საკითხი იმის შესახებ, „თუ რანი არიან ხატოვნებითნი სახოვნებანი“[44]. ავტორის შეხედულებით, ცეცხლის, ქარისა და ბუნების სხვა მოვლენათა განცდა. „ანგელოზთა ძალთა“ განცდის ტოლფასი შეიძლება იყოს, როცა ამ სიტყვებს „სახის-მეტყველებითი“ მნიშვნელობით ხმარობენ[45]. ასეთივე შეხედულებებს გადმოცემენ ეგზეგეტიკურ თხზულებათა ავტორები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ანდრია კესარია-კაბადოკიელი (VI ს.). მისი „თარგმანებაჲ ოვანეს გამოცხადებისაჲ“. „სახის მეტყველებით“ განმარტავს „გამოცხადების“ ასეთ სიტყვებს: „ვარსკვლავი განთიადისაჲ“ (29)[46],

---

37 А. Бизе, Историческое развитие чувства природы, СПБ, 1902, გვ. 18—22.

38 იქვე, გვ. 25.

39 იქვე, გვ. 26.

40 იქვე, გვ. 27.

41 სინური მრავალთავი, გვ. 226.

42 მამათა სწავლანი X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. 3.

43 История эстетики, გვ. 330 — 31.

44 პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გვ. 142.

45 იქვე, გვ. 143—147.

46 იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება (ძველი ქართული ვერსია), ი. იმნაიშვილის გამოცემა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, გვ. 47.

„კარი განღებული ცათა შინა“[47]. „მთაჲ დიდი მოტყინარ ცეცხლითა“[48], „არწივი მფრინვალი“, და სხვა. მართალია, ავტორის მიზანს შეადგენს ნაწარმოების მისტიკური შინაარსის „გაშიფრვა“, მაგრამ ეს უნებლიეთ ემსახურება სხვა გარემოებას: სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობის გვერდით ხდება მისი მხატვრული ფუნქციით დატვირთვა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ბუნების სურათები ალეგორიულ სახეთა ფორმა ხდება. ამდენად, დასაშვებადაა მიჩნეული, რომ ხატის, მხატვრული სახის მატერიალური გარსი იყოს ბუნების მოვლენები. ოღონდ მასში უნდა ამოვიცნოთ არა საკუთრივ ბუნების მშვენიერების შინაარსი, არამედ მეტაფიზიკური წინასახის მშვენიერება. საყურადღებოა, რომ მხატვრულ სახეში ბუნების ხილული სილამაზის განცდა მაინც საჭიროდაა მიჩნეული, რადგან ამ გზით საშუალება გვეძლევა მივუახლოვდეთ ირეალურ მშვენიერებას.

იმდროინდელი ესთეტიკა ასე ახასიათებს სიმბოლოს ცნებას: სიმბოლო ამქვეყნური და ღვთიური მშვენიერების შემაერთებელი რგოლია. ქრისტიანულ ესთეტიკაში ყოველგვარი სახე, უწინარეს ყოვლისა, სიმბოლოა, სიმბოლოს მნიშვნელობა აქვს მთელ ხელოვნებას. სიმბოლოს შინაარსი წინასახეა. მისი დამახასიათებელი თვისებაა არა მხოლოდ უმაღლესი მშვენიერება, არამედ უმაღლესი სიკეთე და ჭეშმარიტება. ამიტომ ბიზანტიურ ესთეტიკაში მშვენიერება ხასიათდება როგორც ჭეშმარიტება. ასევე, სიკეთე და მშვენიერება გატოლებულია ერთმანეთთან. ამიტომ ბიზანტიური ესთეტიკა არ ცნობს იმ აზრს, რომ ბუნებასა და ცხოვრებაში მახინჯი ხელოვნებაში შეიძლება მშვენიერებად იქცეს, არ ცნობს ხელოვნების მშვენიერებას, გამონაგონის მშვენიერებას. ამ თვალსაზრისის გამომხატველია ასეთი სიტყვებიც: „არა თუ სიტყუა — ხელოვნებითა რასმე გეტყჳ შენ, არამედ შეუძრავისა მის გონებისა ჩემისაგან გულის ხმა გიყოფ შენ“[49].

მშვენიერება ჭეშმარიტების ცნებასთანაა გატოლებული, ამიტომ მშვენიერების შემეცნების საშუალებად დასახულია გონიერი შემეცნება და არა სენსუალური აღქმა. ამ მხრივ ბიზანტიური ესთეტიკა მთლიანად იზიარებს პლოტინის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს: „ვინც გაიმსჭვალა გონებრივი სილამაზის ჭვრეტით და შეითვისა სილამაზე ჭეშმარიტი გონებისა, ჩვენის აზრით, შესაძლებლობა მიეცა მიუახლოვდეს უზენაესს“[50].

შემოქმედებითი პროცესი პლოტინთან დახასიათებულია, როგორც ჭეშმარიტების წვდომის პროცესი. პლოტინი წერს: „აუცილებელია, რომ სახე წარმოდგებოდეს გონებისაგან და არა საზოგადოდ სახისაგან“. პლოტინის აზრით, „ხელოვანი ქმნის რომელიმე გრძნობად საგანთან მიმართების გარეშე“[51]. სახის შინაარსად ჭეშმარიტებას თვლის პატრიარქი ფოტი (820/7—893). მისი აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს არა სიტყვების გარეგნულ სილამაზეს, არამედ მათში დაფარულ ჭეშმარიტებას, რომელიც უშუალო გამოხატულებაა ამაღლებული მშვენიერებისა[52]. ჭეშმარიტების შემეცნებას სახავდნენ ხელოვ-

47 იქვე, გვ. 52.

48 იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება (ძველი ქართული ვერსია), ი. იმნაიშვილის გამოცემა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, გვ. 65.

49 კ. კეკელიძე, კიმენი, I, გვ. 133.

50 История эстетики, გვ. 224.

51 იქვე, გვ. 224.

52 იქვე, გვ. 338.

ნების მთავარ მიზნად სულ ადრეული დროის ქრისტიანი ხელოვანნი[53]. მშვენიერება იგივე პირველსაწყისია, არეოპაგიტულ წიგნების მიხედვით. მშვენიერება უმაღლესი კანონზომიერებაა[54]. იგი სამყაროს საყოველთაო წესრიგია. მშვენიერება, ავგუსტინეს აზრით, საყოველთაო შესაბამისობაა. ადამიანის სხეულისადმი ტანსაცმლის შესატყვისობა მშვენიერების ისეთივე გამოხატულებაა, როგორც ხელოვნების მშვენიერება[55]. მშვენიერების წვდომა შეიძლება მხოლოდ აზრობრივად. ამდენად, მხატვრულ ნაწარმოებში ყურადღება უნდა ექცეოდეს არა მის ფორმას, არამედ მის საღვთო შინაარსს. „აღსარებაში“ ავგუსტინე წერს იმ განცდების შესახებ, რომელიც მას ეუფლებოდა, როცა ღვთისადმი მიძღვნილ სიმღერებს ისმენდა. მე ცრემლს მაღვრევინებდა მელოდიის მომხიბლაობაო, — წერს ავგუსტინე, — მაგრამ შემდეგ მახსენდებოდა, რომ ვცოდავდიო. ავგუსტინეს ცოდვად მიაჩნდა ის, რომ სასიამოვნო სიმღერა მასში გრძნობებს იწვევდა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ყოველთვის ცდილობს, რომ ამ ცოდვას თავი დააღწიოს. მხოლოდ გონებით უნდა შეითვისოს კაცმა ის, რის შესახებაც მღერიანო, ხოლო როგორ მღერიან — ეს ინტერესების მიღმა უნდა დარჩეს[56]. მშვენიერებაა ნაწარმოების შინაარსი, რომელიც ადამიანის გონებას ეძლევა[57].

ასეთია ბიზანტიური ესთეტიკის თვალსაზრისით მშვენიერების რაობა და მისი წვდომის საშუალებანი. სახის ზოგადი განმარტება, იმდროინდელი თვალსაზრისით, შეიცავს როგორც ესთეტიკურ (ყოველ შემთხვევაში, ასეთი შინაარსი გამორიცხული არაა), ისე ლოგიკურ ასპექტს. უფრო სწორად, ეს ორი ასპექტი გაერთიანებულია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ იმდროინდელ მოღვაწეთა ესთეტიკურ პრობლემებთან დაკავშირებულ ნააზრევთა ერთი თავისებურება. როცა საქმე ეხება ზოგადად სახის რაობას, მისი ზემოქმედებითი ძალის საფუძვლად ცხადდება მისტიკური, ირეალური პირველსახე. სხვაგვარი მდგომარეობაა იმ შემთხვევაში, როცა ლაპარაკია კონკრეტული ნაწარმოების, კონკრეტული სახის რაობაზე, მის ღირსებაზე, მის ზემოქმედებით ძალაზე. ამ დროს გაცილებით „რეალისტურია“ შეფასების თვალსაზრისი. იმდროინდელი მოღვაწენი არაიშვიათად სავსებით სწორად მიუთითებენ სახის კონკრეტულ მხატვრულ თავისებურებებზე და ზემოქმედების მიზეზებსაც მათში ხედავენ. მაგრამ, ვიმეორებთ, საკმარისია ადგილი ექნეს განზოგადებას, რომ წინ წამოიწიოს მისტიკური პირველსახის ცნება. ასე რომ, იმდროინდელი ზოგადესთეტიკური თეორია არსებითად თვით ხელოვნების ბუნების ანალიზიდან არ გამომდინარეობს. იგი უფრო ხელოვნების შეფასებაა ქრისტიანული მსოფლმხედველობისადმი შესატყვისი პოზიციებიდან. ცნობილი მწერალი პროკოფი კესარიელი (VI ს.) ტრაქტატში „ნაგებობათა შესახებ“ იძლევა კონსტანტინეპოლის სოფიის ტაძრის აღწერილობას.

---

[53] Л. Успенский, Первохристианское искусство, журнал Московской патриархии, 1958, № 8, стр. 59.

[54] პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გვ. 36.

[55] В. П. Зубов, Августин, Ист. эстетики, გვ. 259.

[56] Августин. Исповедь, х. 33, 49 — 50, მოგვაქვს ზემოდასახელებული წიგნიდან.

[57] История эстетики, გვ. 252 — 63.

პროკოფის აია სოფია აგონებს ზღვის ტალღებზე მცურავ ხომალდს. მის გამოუთქმელ მშვენიერებას ქმნის გრანდიოზულობა და ჰარმონიულობა. მისი სივრცე ავსებულია სინათლით. იქმნება შთაბეჭდილებაო, — წერს პროკოფი კესარიელი, — თითქოს თვით ტაძარი შინაგანად გამოსცემს ნათელს. გუმბათის სიდიადე და კოლონათა რიტმულობა ადამიანის ძალას ამჟღავნებსო[58].

როგორც ვხედავთ, პროკოფი კესარიელი სავსებით სრულყოფილად განიცდის სილამაზეს. ჩვენ აქედან რომ გამოგვეტანა დასკვნა პროკოფის ესთეტიკური პრინციპების შესახებ, იგი ბიზანტიური ესთეტიკის ზემოგანხილული პრინციპებისაგან მკვეთრად განსხვავებულ სახეს მიიღებდა.

ბიზანტიური ესთეტიკის აღნიშნული ბუნება რომ გავიგოთ, უნდა გავითვალისწინოთ პლოტინის ესთეტიკური პრინციპების თავისებურებანი. პლოტინი ჩ. შ. III ს. მოღვაწე იყო. მისი ესთეტიკა ემყარებოდა ანტიკური საბერძნეთის ხელოვნების ანალიზს. პლოტინი ანტიკური ხელოვნების უაღრესად მისტიკურ გაგებას იძლევა. უფრო გვიანდელ ხელოვნებაში მისტიკური შინაარსის არსებობას მაინც ჰქონდა ერთგვარი გამართლება. შეიძლება გვეთქვა, რომ თვით ხელოვნება იძლეოდა რამდენადმე ამის საფუძველს. პლოტინის ესთეტიკის „სასინჯი ქვა“ ანტიკური საბერძნეთის მაღალადამიანური ხელოვნება იყო. პლოტინმა მას მისტიკური ახსნა მისცა.

ე. ი. ესთეტიკური სისტემა პლოტინისა ხელოვნების ბუნებიდან ამოსვლით კი არ შექმნილა, არამედ აპრიორულ ფილოსოფიურ დებულებებს დაექვემდებარა.

ასეთივე ხასიათისაა ბიზანტიური ესთეტიკაც. იგი არსებითად ხელოვნების მოაზრებაა ქრისტიანობის შესატყვისი ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობითი პოზიციებიდან.

ამდენად, ესთეტიკის საგანი ხდება არა სახე, არამედ წინასახე.

---

[58] История эстетики, გვ. 330.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, „მაცნე“, 1969, № 4

გია გერაძე

მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქის წარმოშობის ისტორიიდან

(„ქალაქის რაისების“ ინსტიტუტი)

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების საკითხის კვლევა-ძიებას ორგანულად უკავშირდება „ქალაქის რაისების“ ინსტიტუტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში სათანადოდ არ ყოფილა შესწავლილი. ამ ხერვეზის შევსებას ისახავს მიზნად წინამდებარე წერილი, რომელშიც ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების შედეგები მახლობელ აღმოსავლეთში დაკავშირებულია „ქალაქის რაისების“ ინსტიტუტთან და მის ევოლუციასთან XI-XII საუკუნეებში.

ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბება მახლობელ აღმოსავლეთში უშუალოდ იყო დაკავშირებული ფეოდალიზაციის პროცესებთან.

ირანში ფეოდალური ურთიერთობის გენეზისი უკვე III საუკუნიდან არის საგულისხმო. III-V სს-ის სასანური ირანის ისტორია წარმოადგენს მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმში გარდამავალ პერიოდს. საწარმოო ძალების განუხრელი განვითარება ვეღარ უთავსდებოდა ძველ წარმოებითს ურთიერთობას, მოითხოვდა მონათმფლობელური ექსპლოატაციის წესიდან ფეოდალური ექსპლოატაციის წესზე გადასვლას[1].

V-VI სს-ში კი უკვე ნათლად ჩანს, რომ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები (მეტადრე მაღალგანვითარებული ირანი) ფეოდალიზაციის გზას დაადგნენ, მონათმფლობელურმა ურთიერთობამ გზა დაუთმო ფეოდალურ ურთიერთობას.

ამავე პერიოდში, ანუ V-VI სს-ში ჩნდება პირველი საწყისები ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბებისათვის მახლობელ აღმოსავლეთში, კერძოდ ირანში[2]. V-VI სს-ის ირანის ქალაქებში ფეხს იკიდებდა ფეოდალური ურთიერთობა, იქმნებოდა მტკიცე საფუძველი ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბებისათვის. სასანური ირანის ქალაქები სწორედ ამ გზით ვითარდებოდნენ, მაგრამ შემდგომმა ისტორიულმა მოვლენებმა გაამრუდეს განვითარების აღმავალი ხაზი, შეაფერხეს და გაახანგრძლივეს საზოგადოდ ფეოდალიზაციის და, კერძოდ, ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების პროცესი.

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სასანური ირანის სახელმწიფო, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბ., 1957, გვ. 48-49.

[2] სასანურ ირანში საბოლოოდ ქრებიან მონათმფლობელური წყობილებისათვის დამახასიათებელი ქალაქი-პოლისები მათთვის ნიშანდობლივი პოლისური ავტონომიური მმარ-

ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების პროცესის გახანგრძლივებაში უპირველესი როლი არაბების შემოსევამ და გაბატონებამ ითამაშა.

არაბთა ბატონობის პირველ პერიოდში კვლავ თავი იჩინეს უკვე გადაშენების გზაზე მდგარმა მონათმფლობელურმა ინსტიტუტებმა. მაგრამ არაბებმა ვერ შეძლეს ისტორიული განვითარების მკაცრი კანონზომიერების სრული შეჩერება.

არაბულ ტრადიციებზე დამყარებულმა ომაელთა სახალიფომ თავისი ინსტიტუტებით ვერ აუწყო ფეხი ისტორიის აღმავალ დინებას. ომაელთა სახალიფოს სოციალ-ეკონომიური განვითარების საფეხური VIII ს-ის პირველ ნახევარში უკვე თვით არაბთა პოლიტიკურ ორგანიზაციასაც აღარ შეესაბამებოდა.

ფეოდალიზაციის პროცესი განახლდა VIII ს-ის შუა წლებში, როდესაც ჩამოყალიბდა აბასელთა სახალიფო.

აბასელი ხალიფები და მათი ეპიგონები მჭიდროდ დაუკავშირდნენ ირანულ ელემენტს, ირანულ ტრადიციებს, რაც შეპირობებული იყო ისტორიული განვითარების მიერ დღის წესრიგში დასმული მოთხოვნებითა და ამოცანებით

აბასელთა სახალიფოში, ირანულ ტრადიციებზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების იმ ხაზის გაგრძელება, რომელიც არაბთა დაპყრობებმა შეწყვიტა VII საუკუნეში და რომლის სათავეს ჩვენ უკვე V-VI სს-ის ირანში ვნახულობთ.

VIII ს-ის შუა წლებიდან თანდათან გამოკვეთილ სახეს იღებენ ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ფორმები, ხოლო IX-X საუკუნეებში კი ფეოდალიზმი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში მისთვის ნიშანდობლივ სოციალ-ეკონომიურ ინსტიტუტებში ფორმდება.

ამგვარი გზით და ტემპებით წარიმართა ახლოაღმოსავლური ქალაქების განვითარებაც.

VIII ს-ის შუა წლებიდან მოყოლებული, ქალაქებში სულ უფრო იკვიდებს ფეხს ფეოდალური ურთიერთობა. ეს არის ადრეფეოდალური ეტაპი ახლოაღმოსავლური ქალაქის განვითარების ისტორიაში: ფეოდალური ქალაქი ჯერ არ არის სრულად ჩამოყალიბებული, იგი აღმოცენების და ზრდის პროცესშია.

სულ უფრო ვითარდებოდა სახელოსნო წარმოება; სახელოსნო წარმოების განვითარების კვალად კი მიმდინარეობდა სოფლად თემის დაშლა,

---

ველობით; ქალაქებზე მეფის ხელისუფლება ვრცელდება. სასანელ შაჰან-შაჰებისათვის დამახასიათებელი ხდება ახალი ქალაქების დაარსება, ინტენსიური ურბანიზაცია; ამასთან ქალაქები უმთავრესად შაჰის მიწებზე შენდება და მის მორჩილებაშია; ახალი ქალაქების დაარსებასთან ერთად ადგილი აქვს ძველი ქალაქების განაშენიანებასაც; ძველი ქალაქების განაშენიანება და ახალი ქალაქების დაარსება პასუხობდა შრომის დანაწილების პროცესის გაღრმავება-განვითარებას: ირღვევა თავისუფალი თემი, ადგილი აქვს სოფლის მოსახლეობის ლტოლვას ქალაქისაკენ; ხელოსნობა თანდათან ემიჯნება სოფლის მეურნეობას; ხელოსნები ძირითადად ქალაქში იყრიან თავს; სოფლის მოსახლეობის ლტოლვა ქალაქისაკენ იწვევს ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა რიცხვის ზრდას; ქალაქში ცენტრალური ფიგურა ხდება თავისუფალი მწარმოებელი — ხელოსანი, მონათა შრომის ხვედრითი წონა კი საგრძნობლად ეცემა; მზარდი ქალაქები, აკმაყოფილებენ რა შინა ბაზრის მოთხოვნებს, ამავე დროს სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრებადაც იქცევიან. (ამ საკითხებზე ვრცლად არის საუბარი პროფ. ნ. პიგულევსკაიას გამოკვლევებში).

თავისუფალი მეთემის მიერ პირადი იურიდიული თავისუფლების დაკარგვა, გლეხთა როგორც სოციალური, ისე ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება. ყველაფერი ეს იწვევდა გლეხების პასიურ ან აქტიურ ბრძოლას ფეოდალიზაციის გზაზე მდგარი მიწათმფლობელების წინააღმდეგ.

გლეხთა პასიური ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა მათი აყრა-გაქცევა იყო, რამაც სწორედ VIII ს-ის მეორე ნახევრიდან ინტენსიური ხასიათი მიიღო მთელ მახლობელ აღმოსავლეთში.

აყრილ-გაქცეული გლეხები ისეთი ადგილებისაკენ მიიწევდნენ, სადაც ისინი შესძლებდნენ თავშესაფრის პოვნას და თავის გარკვეულ ცოდნასა და გამოცდილებას სახელოსნო წარმოების სფეროში გამოიყენებდნენ. გაქცეული გლეხები ქალაქისაკენ მიიწევდნენ, სახლდებოდნენ გარეუბნებში (მომავალ „რაბადში“), რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბებისათვის[3].

აღსანიშნავია, რომ თუკი ახლოაღმოსავლური ქალაქების ერთი წილი მზამზარეულად გადმოვიდა წინარე ეპოქიდან, სხვები თვით ისლამის გაბატონების პერიოდში გაჩნდნენ[4]. ამასთან, არაბთა ბატონობის ეპოქაში გაჩენილი ქალაქების უმრავლესობა სამხედრო ბანაკებთან (ამსარ) წარმოიშვა და განვითარდა (ქ უ ფ ა, ბ ა ს რ ა, შ ი რ ა ზ ი...), ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, ამა თუ იმ უზენაესი ხელისფლის მიერ თავისი სარეზიდენციო ქალაქის დაარსება-გაშენებასაც. მაგრამ როგორიც არ უნდა ყოფილიყო ესა თუ ის ქალაქი (ძველი თუ არაბთა ბატონობის ეპოქაში წარმოქმნილი) VIII ს-ის შუა წლებიდან ისინი ფეოდალიზაციის გზას დაადგნენ და IX-X სს-ში უკვე ტიპიურ ახლოაღმოსავლურ ფეოდალურ ქალაქებად ჩამოყალიბდნენ.

ამრიგად, ფეოდალური ქალაქი მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავება-განვითარების კვალად ყალიბდებოდა.

დასრულებულ სახეს ა ხ ლ ო ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ქ ა ლ ა ქ ი იღებს IX-X სს-ში, რაც ქრონოლოგიურად ადრეფეოდალური ხანის (IV-X სს.) დასასრულს ემთხვევა.

ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბებამ ნათელი გამოვლინება პოვა თვით ქალაქის გარეგან სტრუქტურაშიც.

---

3 იხ. ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ქალაქის წარმოშობის საკითხისათვის მახლობელ აღმოსავლეთში, „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1963, გვ. 144-145.

4 ამ საკითხზე იხ. მაგ., E. P a u t y, Villes spontanees et villes crèees en Islam. „AJEO“, IX, 1951, გვ. 52-75; C l. C a h e n, Zur Geschicte der städtischen Gesellschaft im islamischen Orient des Mittelalters. „S a e c u l u m“, X, I, 1958, გვ. 61. უცხოელი ორიენტალისტი-ურბანისტები გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ არაბთა მიერ დაარსებულ ქალაქებს, მიიჩნევენ მათ წმინდა „მუსლიმანურ ქალაქებად“ და ამ ქალაქების ისტორიის შესწავლას, როგორც წესი, ისლამის წარმოქმნიდან იწყებენ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი უცხოელი ორიენტალისტი ურბანისტის ნაშრომებში შეინიშნება წინაისლამური და ისლამისდროინდელი ქალაქების ურთიერთდამოკიდებულების საკითხისადმი გარკვეული ინტერესი. ასე მაგ., პროფ. კ. კაენი მართებულად აღნიშნავს, რომ აუცილებელია „მუსლიმანური ქალაქების“ წინაისლამური ქალაქების ისტორიასთან კავშირში შესწავლა, რადგან ე. წ. „მუსლიმანური ქალაქების“ დიდი ნაწილი წინაისლამური წარმოშობის იყო, ხოლო თვით ისლამის ბატონობის დროს დაარსებულმა ქალაქებმაც წინაისლამური ურბანისტული ტრადიციების მნიშვნელოვანი გავლენა განიცადეს (იხ. Cl. C a h e n, Mouvements populaires et autonomisme urbain dans L'Asie musulman du Moyen Age, Leiden, 1959, გვ. 1-2).

სწორედ IX-X სს-ში საქალაქო ცხოვრების ცენტრმა „შაჰრესთანიდან“ „რაბადში“ გადაინაცვლა, „რაბადი“ გადაიქცა ფეოდალური ქალაქის ცენტრად[5].

ამრიგად, როგორც დამაჯერებლად იქნა ნაჩვენები საბჭოთა ორიენტალისტი ისტორიკოსებისა და არქეოლოგების მიერ, IX-X სს-ში არსებითად სრულდება ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების პროცესი მახლობელ აღმოსავლეთში. ამ დროისათვის როგორც გარეგანი, ისე შინაგანი სტრუქტურის თვალსაზრისით ჩამოყალიბებულ სახეს იღებს ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ის ტიპი, რომელიც ძირითადად (ცხადია, გარკვეული სახესხვაობითა და სპეციფიკურობით) დამახასიათებელი ხდება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის შუა საუკუნეების მთელ მანძილზე.

რასაკვირველია, ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქი უცვლელი არ დარჩენილა არც გარეგანი აღნაგობის და არც შინაგანი სტრუქტურის მხრივ. იგი ცვალებადობას განიცდიდა როგორც ტოპოგრაფიულად, ისე სოციალური თვალსაზრისითაც, მაგრამ ეს ცვლილებები არ იყო კარდინალური ხასიათის როგორც პროფ. ს. ტოლსტოვი სამართლიანად აღნიშნავს „Они не имеют ничего общего с тем резким разрывом в развитии, который наблюдается между античностью и средневековьем“[6].

სწორედ IX-X სს-ში, ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბებასთან ერთად, ყალიბდება ის კლასობრივი განლაგება, ის საზოგადოებრივი ფენები, რომლებიც ამიერიდან ნიშანდობლივი ხდება მახლობელი და შუა აღმოსავლეთის მუსლიმანური ქალაქებისათვის შუა საუკუნეების განმავლობაში. ქალაქში უკვე გამოკვეთილად არიან წარმოდგენილი შემდეგი საზოგადოებრივი ფენები:

---

5 შუა საუკუნეების ახლოაღმოსავლური ქალაქის განვითარების ეს ხაზი თავის დროზე კარგად შენიშნა აკად. ვ. ბარტოლდმა. აკად. ვ. ბარტოლდის თეზისზე დაყრდნობით, პროფ. ა. იაკუბოვსკიმ წამოაყენა თეორია „რაბადის“, როგორც ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების შესახებ ირანსა და შუა აზიაში. მაგრამ აღნიშნული სქემა ყველა ქალაქის განვითარების ისტორიაში როდი დასტურდება, ყველგან როდი შეინიშნება „შაჰრესთანის“ კვლომა და „რაბადში“ საქალაქო ცხოვრების ცენტრის გადანაცვლება. ეს გარემოება კარგად არის გამოვლენილი საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსებისა და არქეოლოგების მიერ (ს. ტოლსტოვი, მ. მასონი, ა. ბერნშტამი, გ. პუგაჩენკოვა...). ფეოდალური ქალაქები მახლობელ აღმოსავლეთში, ყალიბდებოდნენ ერთიანი სოციალ-ეკონომიური პროცესების მსვლელობაში, რაც მათი ჩამოყალიბების საერთო კანონზომიერებას განსაზღვრავდა. მაგრამ, ამავე დროს, მოქმედებდნენ ისეთი ფაქტორებიც (ეკონომიური, სოციალური, ისტორიულ-ტოპოგრაფიული, პოლიტიკური, გეოგრაფიული...), რომლებიც ამა თუ იმ ცალკეული ქალაქის ინდივიდუალურობას წარმოშობდნენ. აღსანიშნავია, რომ აბსოლუტურად და ყოვლისმომცველად თავისი სქემა არც პროფ. ა. იაკუბოვსკის მიაჩნდა. იგი შენიშნავდა „Одно дело общие закономерности развития среднеазиатских городов и другое—конкретная история развитии каждого города в отдельности“ (იხ. А. Ю. Якубовский, Главные вопросы изучения истории развития городов Средней Азии. „Труды Таджикского филиала АН СССР“, т. XXIX, 1951, стр. 9).

6 С. П. Толстов, Периодизация древней истории Средней Азии. „КСИИМК“, вып. 28, 1949, стр. 23.

საქალაქო არისტოკრატია, საშუალო და წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და ქალაქის ღარიბები[7].

ამასთან, წყაროებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სწორედ განვითარებული ფეოდალიზმის ხანის პირველ საუკუნეებში (XI-XII სს.) შესამჩნევად იზრდება ქალაქის საზოგადოებრივი ფენების (ქალაქის წარჩინებულები, ვაჭრები, ხელოსნები) როლი და მნიშვნელობა საქალაქო ცხოვრებისა და მმართველობის სარბიელზე. ამაზე მეტყველებს ისეთი მოვლენა, როგორიცაა IX-X სს-ში (როცა მახლობელ აღმოსავლეთში საბოლოოდ ყალიბდება ფეოდალური ქალაქი) წარმოქმნილი საქალაქო ორგანიზაციების („ასაბია“) და ხელოსნური გაერთიანებების („სინფ“) ფართო გავრცელება XI-XII სს. მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში[8].

ამაზევე მიუთითებს საქალაქო არისტოკრატიის ხვედრითი წონის ზრდა, რაც XI-XII სს-ში შეინიშნება.

საქალაქო არისტოკრატიის (დიდვაჭრები, ვაჭართა გილდიების მეთაურები, მევახშეები, ბანკირები, ქარვასლებისა და ბაზრების მფლობელები[9], გამდიდრებული მოქალაქეები, სწავლულები, ქალაქის მოხელე-ხელისუფლები) როლისა და მნიშვნელობის ზრდა შეპირობებული იყო ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების იმ მნიშვნელოვანი აღმავლობა-განვითარებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში XI-XII საუკუნეებში[10].

საქალაქო არისტოკრატიის როლისა და მნიშვნელობის ზრდის მეტად მეტყველ გამოხატულებას წარმოადგენს „ქალაქის რაისების“ აღზევება-გაძლიერება.

ამდენადვე „ქალაქის რაისების“ ინსტიტუტი ორგანულად უკავშირდება, ერთი მხრივ, მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების

---

7 შდრ. ვ. გაბაშვილი, შუასაუკუნეების ახლოაღმოსავლური ქალაქი (პერიოდიზაციის ცდა). „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, ნაკვეთი II (ბეჭდება. ვსარგებლობთ ავტორის ნებართვით, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

8 იქვე, იხ. აგრეთვე, ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის საქალაქო ორგანიზაციების ისტორიიდან (ასაბია). „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, ნაკვ. I, თბ., 1966, გვ. 47—69.

9 ქარვასლებსა და ბაზრებს ქალაქებში ფეოდალებიც ფლობდნენ, მაგრამ ფეოდალები საქალაქო არისტოკრატიაში არ შედიოდნენ.

10 ნიშანდობლივია, რომ სწორედ აღებული ხანის წყაროებში ჩნდება ისეთი ტერმინები, როგორიცაა „აიან-ე შაჰრ“, „ფიშრავან-ე შაჰრ“, „ბოზორგან-ე შაჰრ“, „მოშაჰირ-ე შაჰრ“, „მოარეფ-ე შაჰრ“, „აქაბერ-ე შაჰრ“, „მოთაბარან-ე შაჰრ“ და სხვ. უმრავლეს შემთხვევებში ეს ტერმინები ერთმანეთის სინონიმური მნიშვნელობით არის ნახმარი, მაგრამ ზოგჯერ თითოეულ მათგანში გარკვეული ნიუანსი გამოსჭვივის. ამ ტერმინების შესწავლა მომავალი კვლევა-ძიების საქმეა, თუმცა ერთი რამ უკვე ამთავითვე ცხადია: ყველა ეს ტერმინი წარჩინებულ, მდიდარ და მაღალი თანამდებობის მოქალაქეებს, ანუ საქალაქო არისტოკრატიას გულისხმობს. ამ ტერმინებიდან ყველაზე გავრცელებული ჩანს ტერმინი „აიან-ე შაჰრ“ (არაბ. „აიან ალ-ბალად“), რომელიც „ქალაქის დიდებულებს“ გამოხატავს. როგორც ვხედავთ, მეტად საინტერესო და ამავე დროს სავსებით კანონზომიერ მოვლენასთან გვაქვს საქმე — ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ჩნდება სპეციალური მწიგნობრული ტერმინები საქალაქო არისტოკრატიის აღსანიშნავად. წინარე პერიოდის წყაროები ასეთ ტერმინებს არ იცნობენ. ეს მოვლენა, რასაკვირველია, უშუალო კავშირში უნდა იყოს ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბებასთან და საქალაქო არისტოკრატიის ფორმირებასთან ფეოდალური ქალაქის პირობებში.

შედეგებს, ხოლო, მეორე მხრივ, ქალაქების საერთო განვითარებას XI-XII საუკუნეებში.

„ქალაქის რაისების“ ინსტიტუტის აღმოცენება (X ს.) ქრონოლოგიურად თანხვდება ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების პროცესის დასრულებას. ამასთან გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ აღნიშნული ინსტიტუტი აღმოცენდა ირანის ქალაქებში და შემდეგ კი დამახასიათებელი გახდა ირანის მომიჯნავე ქვეყნების ქალაქებისთვისაც.

ირანულ სინამდვილეში ამ ინსტიტუტის აღმოცენება სავსებით კანონზომიერი შედეგი იყო ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების იმ მაღალი დონისა, რითაც აღებული ხანის ირანი გამოირჩეოდა.

როგორც ითქვა, ფეოდალური ქალაქის წარმოქმნის საწყისები უკვე სასანიანთა ეპოქაში არსებობდა, ხოლო ქალაქების შემდგომი ფეოდალიზაცია შესაძლებელი გახდა VIII ს-ის შუა წლებიდან. ამასთან ირანში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარება მიმდინარეობდა ისეთ ვითარებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა არა ქალაქების კვდომას (გაქრნენ მხოლოდ მონათმფლობელური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ქალაქი-პოლისები), არამედ ქალაქების შენარჩუნებას, მათს განვითარებას და ახალი ქალაქების წარმოშობას[11], რამაც საბოლოო ჯამში ირანის ქალაქები მნიშვნელოვნად დააწინაურა მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქალაქებს შორის[12].

აღვნიშნეთ ისიც, რომ აბასელთა სახალიფოში ფეოდალიზაციის პროცესი სწორედ ირანულ ტრადიციებთან მჭიდრო კავშირში მიმდინარეობდა. ირანიზებული აბასელების სახალიფო ხომ გარკვეული თვალსაზრისით ირანული ტრადიციების გაგრძელებას წარმოადგენდა.

მაგრამ ირანული კულტურის და ირანული ქალაქების შემდგომი განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ IX-XI სს-ში, როდესაც ოდინდელი სახალიფოს ნანგრევებზე წარმოიშვა დამოუკიდებელი ირანული სახელმწიფოები.

სწორედ ამ პერიოდში ვრცელდება ახალი სპარსული ენა, მაღალ დონეს აღწევს სპარსული მწერლობა, ხელოვნება. ამავე პერიოდში „არაბულ-მუსლიმანური კულტურის“ ადგილს მუსლიმანური სამყაროს აღმოსავლეთ ნაწილში თანდათან „სპარსულ-მუსლიმანური კულტურა“ იჭერს[13].

IX საუკუნიდან მოკიდებული, ვიდრე XI საუკუნის შუა წლებამდე ირანის განვითარებას ნორმალური პირობები შეექმნა: არაბები კვლავინდებურად ვეღარ მძლავრობდნენ, ახალი მომთაბარეები კი თურქ-სელჩუკთა სახით ჯერ კიდევ არ ჩანდნენ მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ სარბიელზე.

---

11 ეს იყო მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების ერთ-ერთი თავისებურება. დაწვრილებით იხ. Н. В. Пигулевская, Города Ирана в раннем средневековье, Л., 1956, стр. 178; მისივე, Проблемы зарождения и развития феодализма на Ближнем Востоке. „ВИ“, 1962, № 6, стр. 116.

12 თუმც ასეთსავე მოვლენას ადგილი ჰქონდა ბიზანტიის ყოფილ აღმოსავლურ პროვინციებში (სირია-პალესტინა, ეგვიპტე...) და საკუთრივ ბიზანტიაშიც.

13 შემთხვევითი როდია, რომ „სპარსობა“ თანდათან მაჰმადიანობის სინონიმად იქცა, „სპარსეთი“ — მუსლიმანური სამყაროსი, „სპარსი“ — მაჰმადიანის. იხ., ვ. გაბაშვილი, აღმოსავლეთი XI—XIII სს. ქართული საისტორიო მწერლობის ფურცლებზე. თსუ შრომები, ტ. 128, თბილისი, 1968, გვ. 293 და შემდ.

ამ პერიოდში განუხრელად ვითარდებოდნენ ირანის ქალაქები, ვითარდებოდა საქალაქო ცხოვრება[14].

IX-X სს-ში ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ზოგადმა ტიპმა ყველაზე სრულყოფილი და ჩამოყალიბებული სახე სწორედ ირანის ქალაქებში მიიღო. ნიშაბური, რეი, ისპაჰანი და სხვა ქალაქები ამ დროისათვის უკვე ტიპიური ფეოდალური ქალაქები იყვნენ, სახელოსნო წარმოებისა და ვაჭრობის საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრებს წარმოადგენდნენ.

ამიტომ იყო, რომ ირანში მაღალ დონეზე იდგა საქალაქო ცხოვრება და განვითარებული სახით იყო წარმოდგენილი საქალაქო ინსტიტუტები.

სწორედ X-XI სს-ის მიჯნაზე, ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების კვალად, გამოკვეთილ სახეს იღებს საკუთრივ ქალაქის ადმინისტრაციული წყობილება თავისი ინსტიტუტებით.

ამავე პერიოდში ყალიბდება და ვითარდება სრულიად ახალი და აქამდე უცნობი სამოხელეო ინსტიტუტი — „ქალაქის რაისები“ რომელიც ირანის ქალაქებში აღმოცენდა და განვითარდა.

წყაროებში დაცული პირველი ცნობები ამ მეტად საინტერესო ინსტიტუტის შესახებ X საუკუნით თარიღდება. რაც შეეხება წინარე პერიოდის წყაროებს, მართალია ისინი ხშირად მოიხსენიებენ ტერმინ „რაისს“, მაგრამ ამ ტერმინში არ არის ჩადებული საქალაქო თანამდებობის შინაარსი, იგი ნახმარია ზოგადი მნიშვნელობით, „მეთაურის“ „თავკაცის“ გაგებით[15].

X საუკუნეში კი ჩნდება სრულიად გარკვეული საქალაქო თანამდებობა, ქალაქის რაისის თანამდებობა, ე. წ. „რიასათ ალ-ბალად“ رياسة البلد სპარსული წყაროების მიხედვით „რიასათ-ე შაჰრ“ (رياست شهر)

---

14 მეტად მოსწრებულად უწოდა ამ პერიოდს (ანუ პერიოდს არაბთა და თურქ-სელჩუკთა ბატონობას შორის) პროფ. ვ. მინორსკიმ „ირანულ ინტერმეცცო“ l'intermezzo iranien; Iranian intermezzo იხ. V. Minorsky, La domination Dailamites, Paris, 1932; მისივე, Studies in Causasian History. „COS“, № 6, London, 1953, გვ. 110 და შემდ. მისივე, La Perse au Moyen Age. XII Convegno „Volta“ (Accademia Nazionale dei Lincei), Roma, 1957, გვ. 415; ცნობილი ამერიკელი ირანისტი, პროფ. რიჩარდ ფრაი ირანის ისტორიის ამ მონაკვეთს „სპარსული რენესანსის“ ხანად უწოდებს. იხ., R. N. Frye, Notes on the Renaissance of the 10 th and 11 th Centuries in Eastern Iran. „CAJ“, I, 2, 1955, გვ. 137; მისივე, Die Wiedergeburt Persiens um die Jahrtausendwende. „DI“, Bd. 35, 1960, გვ. 42; მისივე, The New Persian Renaissance in Western Iran. „Arabic and Islamic Studies in honour of H. A. R. Gibb“, Leiden, 1965, გვ. 225.

15 არაბული ტერმინი „რა'ის“ (رئيس) ნიშნავს „მეთაურს“, „თავკაცს“. წყაროებში ეს ტერმინი იხმარება ზოგადი მნიშვნელობით ყოველგვარი დაჯგუფება-გაერთიანების მეთაურის აღსანიშნავად. „რაისი“ ეწოდება ეთნიკური ჯგუფის მეთაურს, უბნის თავკაცს, ხელოსანთა კორპორაციის მეთაურს, ვაჭართა უფროსს, რელიგიური სექტის, დაჯგუფების მეთაურს. „რაისებად“ იწოდებოდნენ ასასების, აიარების, ოვბაშების, ფითიანების მეთაურები (ანუ ქალაქის სოციალური მოძრაობების მონაწილეთა თავკაცები), სოფლის თავკაცები და სხვ. ასეთი ზოგადი გაგებით „რაისი“ იხმარებოდა როგორც სინონიმი ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა „ნაკიბი“, „მუკადდამი“, „შეიხი“, „სარვარი“ და სხვ. ამ ჩვეულებრივი „რაისებისაგან“ თავისი სოციალური და ქონებრივი მდგომარეობით და სამოხელეო ფუნქციებით აშკარად განსხვავებოდნენ „ქალაქის რაისები“. ერთი სიტყვით, „ქალაქის რაისების“ ინსტიტუტი სავსებით გარკვეული ინსტიტუტი იყო, „საზოგადოდ აშკარად განსხვავებული ზემოჩამოთვლილი „რაისებისაგან“.

X საუკუნიდან მოყოლებული და მეტადრე XI-XII საუკუნეებში წყაროები ხშირად მოიხსენიებენ „ქალაქის რაისებს“. ამასთან სავსებით გარკვეულად განასხვავებენ მათ ქალაქში მოღვაწე ჩვეულებრივი „რაისებისაგან“ ანუ სხვადასხვა ეთნიკური, სოციალური, რელიგიური თუ პროფესიული გაერთიანება-დაჯგუფების მეთაურებისაგან. ამგვარი მნიშვნელობით ტერმინ „რა'ისის“ ხმარება წყაროებში მხოლოდ X ს-დან შეინიშნება, მხოლოდ ამ პერიოდში იღებს აღნიშნული ტერმინი სავსებით გამოკვეთილ ტექნიკურ შინაარსს — აღნიშნავს ქალაქის მაღალი საერო თანამდებობის მქონე პირს, ქალაქის თავკაცს.

ოფიციალური თვალსაზრისით, „ქალაქის რაისი“ წარმოადგენდა შუამავალ მოხელეს ამირას ხელისუფლებასა და ქალაქის მოსახლეობას შორის, მაგრამ სინამდვილეში „ქალაქის რაისების“ უფლება-მოვალეობა გაცილებით ფართო იყო, მათ საქალაქო ცხოვრებისა და მმართველობის თითქმის ყველა სფეროზე მიუწვდებოდათ ხელი. მათს განკარგულებებს ემორჩილებოდნენ ქალაქის სხვა მოხელე-ხელისუფლები და ცალკეული უბნების, ბაზრების და კორპორაციების მეთაურები[16].

X ს-ის შუა წლებისათვის „ქალაქის რაისები“ საკმაო აღზევებას იწყებენ და X ს-ის ბოლოს და XI ს-ის პირველ ნახევარში მნიშვნელოვან სიძლიერეს აღწევენ კიდეც.

სწორედ ამ პერიოდში ძლიერდება მიქალის რაისთა მემკვიდრეობითი საგვარეულო ქ. ნიშაბურსა და ქ. ღაზნაში. აბუ-ლ-ფაზლ ბეიჰაყისთან ამ საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი მოხსენიებულია „ბაზაზად“ (كزاز) ანუ ქსოვილებით მოვაჭრე პირად, დიდვაჭრად[17]; „თარიხ-ე იამინის“ ცნობით, ნიშაბურის რაისი აბუ ალი ალ-ჰასან ბენ მოჰამედ ბენ ალ-აბასი (აღნიშნული საგვარეულოს წარმომადგენელი. გარდ. 442/1041 წ.) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქალაქის ბაზრების კეთილმოწყობას. როგორც წყაროდან ირკვევა, ქალაქის რაისმა ამ საქმეს ასი ათასი დინარი დაახარჯა[18]. ამას გარდა, წყაროები მოიხსენიებენ ამ რაისთა ჭონებას, მიწებს, ბაღებს, სასახლეებს, მათს მიერ საკუთარი თანხებით აგებულ

16 „ქალაქის რაისების“ სამოხელეო ფუნქციების შესახებ წარმოდგენას გვიქმნიან X-XII სს-ის არაბული და სპარსული ნარატული წყაროების მონაცემებიც, მაგრამ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ის მასალები, რომლებიც XII ს. სპარსულ დოკუმენტურ წყაროებშია დაცული (უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს „ქალაქის რაისების“ სახელზე გაცემული სიგელები). ამ მასალებზე გარკვეული დაკვირვებები ჩატარებული აქვთ ა. ლამბტონს და ჰ. ჰორსტს (იხ. A. K. S. Lambton, The Administration of Sanjar's Empire as illustrated in the 'Atabat al-kataba. „BSOAS“, XX, 1957, გვ. 383-387; H. Horst, Die Staatsverwaltung der Grosselğuqen und Ḫ̈arazmšahs (1038-1231), Eine Untersuchung nach Urkundenformularen der Zeit, Wiesbaden, 1964, გვ. 53-57). მაგრამ მათი ჯეროვანი ამეტყველება მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

17 აბუ-ლ-ფაზლ ბეიჰაყი, თარიხ-ე ბეიჰაყი, ყანი-ფაიაზის გამოც., თეირანი, 1945, გვ. 189.

18 უთბი, ჯარფადაყანის სპარსული თარგმანი, ა. ყავიმის გამოც., თეირანი. 1955, გვ. 258-259.

„რაბატებს“ და სხვ[19]. წყაროთა ეს მონაცემები საკმაოდ მეტყველებენ იმაზე, რომ ნიშაბურისა და ღაზნის რაისები წარმოადგენდნენ მდიდარ მოქალაქეებს, დიდვაჭრებს[20].

X ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება ცნობები ქ. განჯის რაისების შესახებ. განსაკუთრებით საყურადღებოა ანონიმური არაბული ქრონიკის ცნობა ამ ქალაქის მდიდარი და გავლენიანი რაისის, დიდვაჭარ იუსუფ ალ-კაზაზის შესახებ, რომელიც ებრძვის ქალაქის ფეოდალ-ხელისუფალს (ვალის), ატყვევებს მას და ქალაქში თავისთვის სასურველ პირს იწვევს ახალ „პატრონად“[21].

X—XI სს-ში გაძლიერებული ჩანან ქ. დერბენდის რაისებიც, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში აშკარად უპირისპირდებიან ამირას ხელისუფლებას, იღწვიან თავისი ძალაუფლების შემომტკიცებისათვის ქალაქში. X ს-ის მიწურულს და XI ს-ის პირველ ნახევარში, ამირას ფეოდალური ხელისუფლების დასუსტების პირობებში ეს რაისები იმდენად აღზევებული ჩანან, რომ ფაქტიურად სწორედ ისინი პირველობენ ქალაქში, განაგებენ მის ბედიღბალს. მეტად ნიშანდობლივია ანონიმური არაბული ქრონიკის ცნობა დერბენდის ერთ-ერთი ძლიერი რაისის ალი ბენ ჰასან ბენ ანაკის (გარდ. 456/1064 წ.) შესახებ, რომლისაც თურმე „ეშინოდათ მთავრებსა და ამირებს“[22].

ამას გარდა აღებული ხანის არაბული და სპარსული წყაროები მეტად საგულისხმო ცნობებს გვაწვდიან X—XII სს-ის შირაზის[23], ისპაჰანის[24], ჰამადა-

---

19 იხ. მაგ., ალ-მუკადდასი, BGA, III, 1906, გვ. 333—334; „თარიხ-ე იამინი“, დასახ. გამოც., გვ. 173, 278; აბუ-ლ-ფაზლ ბეიჰაყი, დასახ. გამოც., გვ. 161, 246, 291, 357, 373; იბნ-ფუნდუკი, თარიხ-ე ბეიჰაყ, ა. ბაჰმანიარის გამოც., თეირანი, 1938, გვ. 117.

20 დასავლეთ ევროპელი ორიენტალისტი ისტორიკოსები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში მოღვაწე დიდვაჭრებს „მსხვილ ბურჟუაზიას“ უწოდებენ. ამიტომ არის, რომ მაგალითად კ. ბოსვორთს მიჩალის საგვარეულოდან გამოსული ნიშაბური რაისები „მსხვილი ბურჟუაზიის“ წარმომადგენლებად მიაჩნია. იხ. C. E. Bosworth, The Ghaznavids. Their Empire in Afghanistan and Eastern Iran (994-1040). Edinburgh University Press, XII, 1963, стр. 185.

21 V. Minorsky, Studies in Caucasian History. COS, № 6, London 1953, გვ. 39, 50.

22 В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда в X-XI веках. М., 1963, стр. 164.

23 იხ. მაგ., იბნ ალ-ბალხი, ფარს-ნამე (GMS. NS, I,1921), გვ. 118.

24 იხ. მაგ., „თარჯომე-ი მაჰასინ-ი ისფაჰან“, ა. ეყბალის გამოც. ევ., 21; აუფი, ლუბაბ ალ-ალბაბ, ნაწ. II (PHT, II, 1903), გვ. 265; იბნ ისფანდიარი, თარიხ-ე ტაბარისთან, ა. ეყბალის გამოც. თეირანი, 1941, გვ. 160; ნესევი, ო. ჰუდასის გამოც., პარიზი, 1891, გვ. 70, 75.

ნის[25], რეის[26], ყაზვინის[27], ბისტამის[28], სერახსის[29], მეიჰენეს[30], ნისას[31], შერვის[32], ტუსის[33], ბალხის[34], თერმეზის[35], ბუხარას[36], სამარყანდის[37], ხოის[38], ბეილაქანის[39] და სხვა ქალაქების რაისების შესახებ.

ერთი სიტყვით, X საუკუნიდან მოყოლებული, აღმოსავლური წყაროები მრავლად შეიცავენ საყურადღებო ცნობებს ირანისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ქალაქებში აღზევებულ-გაძლიერებული „ქალაქის რაისების“ ვინაობის, სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის და სამოხელეო ფუნქციების შესახებ. ყველა ეს ცნობა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ „ქალაქის რაისების“ სახით დაწინაურებულ მდგომარეობას იკავებენ მეტად მდიდარი მოქალაქეები, დიდვაჭრები, რომლებიც საქალაქო მმართველობის სარბიელზე მოღვაწეობისას სწორედ მდიდარი და წარჩინებული მოქალაქეების, ანუ საქალაქო არისტოკრატიის ინტერესებს გამოხატავდნენ[40].

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: „ქალაქის რაისების“ ინსტიტუტი ყალიბდება და ფორმდება მხოლოდ X საუკუნეში ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების გახანგრძლივებული პროცესის დამთავრებასთან და ადრეფეოდალური ხანის დასრულებასთან ერთად.

---

25 რავენდი (GMS. NS, II, 1921), გვ. 45, 163-165; ბუნდარი (RTHS, II, 1889), გვ. 97-98; ნუსევი, დასახ. გამოც., გვ. 72.

26 აბუ-ლ- ფაზლ ბეიჰაყი, დასახ. გამოც., გვ. 19-23, 42; რავენდი, გვ. 140-141.

27 ნასერ ხოსროვი, საფარ-ნამე, ყანი ზადეს გამოც., გვ. 6.

28 „ათაბათ ალ-ქათაბა“, მ. ყაზვინის და ა. ეყბალის გამოც., თეირანი, 1950, გვ 55-56; იბნ ისფანდიარი, გვ. 157.

29 ალ-მუკადასი, გვ. 313; გარდიზი, გვ. 63; აბუ-ლ-ფაზლ ბეიჰაყი, გვ. 641; „ათაბათ ალ-ქათაბა“, გვ. 40-42.

30 „ჰალათ ო სოხანან-ე შეიხ-ე აბუ სა'იდ“, ი. აფშარის გამოც., თეირანი 1952, გვ. 27-28, 43; “ასრარ ათ-თაუჰიდ ფი მაკამათ აშ-შეიხ აბუ სა'იდ“. ზ. საფას გამოც., თეირანი, 1953, გვ. 173, 174. 201, 235, 336.

31 გარდიზი, გვ. 44.

32 „სიასეთ-ნამე“, ჰ. დარკეს გამოც., თეირანი, 1962, გვ. 185-187.

33 „ასრარ ათ-თაუჰიდ...“, გვ. 67.

34 უთბი, 1869 წ. კაიროს გამოც., გვ. 160; იხ. აგრეთვე აბუ-ლ-ფაზლ ბეიჰაყის ცნობა დაცული ჰაფეზ-ი აბრუს თხზულებაში (იხ. В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, ч. I (тексты), С-Пб., 1898, გვ. 157-158).

35 აბუ-ლ-ფაზლ ბეიჰაყი, გვ. 241.

36 „ყაბუს-ნამე“ (GMS. NS, XVIII, 1951), გვ. 13.

37 იხ. В. В. Бартольд, Сочинения, М., 1963, გვ. 383.

38 სიბტ იბნ ალ-ჯაუზი (იხ. CL. Cahen, Mouvements populaires g[illegible]

39 იხ., V. Minorsky et CL. Cahen, Le recueil transcaucasien d[illegible]d b. Námdár. „JA“, 1949, გვ. 93-142; В. М. Бейлис, Масуд-ибн Намдар [illegible] население Байлакана. „Известия АН Азерб. ССР“, Серия истории, философ[illegible]ва, Баку 1966, № 3, გვ. 50-64.

40 „ქალაქის რაისების“ ქონებრივი და სოციალური მდგომარეობის საკითხს ეძღვნება ჩვენი წერილი, რომელიც იბეჭდება კრებულში „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“ (ნაკვეთი II, ვ. გაბაშვილის რედაქციით). ამ წერილში ჩვენ მოტანილი გვაქვს აღებული ხანის აღმოსავლურ წყაროებში დაცული უაღრესად საგულისხმო მასალები, რომლებიც „ქალაქის რაისების“ ქონებრივ მდგომარეობას და სოციალურ წარმომავლობას შეეხებიან.

ზრდადასრულებული ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ადმინისტრაციულ წყობილებაში „ქალაქის რაისების" ინსტიტუტმა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიიღო — ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბებულ ადმინისტრაციას სწორედ „ქალაქის რაისები" ჩაუდგნენ სათავეში.

„ქალაქის რაისების" ინსტიტუტის შემდგომი ევოლუცია კი დაკავშირებულია საქალაქო არისტოკრატიის როლისა და მნიშვნელობის ზრდასთან, რაც შეპირობებული იყო XI-XII საუკუნეებში ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების საერთო აღმავლობით მახლობელ აღმოსავლეთში, მეტადრე ირანში.

X-XII საუკუნეებში შესამჩნევად იზრდება დიდვაჭართა როლი და ხვედრითი წონა. წყაროებში დიდვაჭრებთან დაკავშირებით დამოწმებული ცნობები სწორედ მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობის და ეკონომიური პოტენციალის ამაღლებაზე მეტყველებენ.

დამახასიათებელია, რომ არდინდელი წყაროები, მართალია, საგულისხმო ცნობებს გვაწვდიან ვაჭრობის შესახებ, მაგრამ მათი უმრავლესობა სავაჭრო გზების, საიმპორტო და საექსპორტო საქონლის აღწერა-დახასიათებას წარმოადგენს, ხოლო საკუთრივ ვაჭართა შესახებ (მათი ვინაობა, ქონება, საქმიანობა, საზოგადოებრივი მდგომარეობა) ეს წყაროები მეტად ძუნწ ცნობებს იძლევიან.

ამ მხრივ ვითარება სწორედ X-XII საუკუნეებში იცვლება.

ამ პერიოდის წყაროები უკვე საკმაოდ უხვ და მრავალმხრივ მასალებს შეიცავენ საკუთრივ ვაჭართა ვინაობის, ქონების და საქმიანობის შესახებ.

ასე მაგ., 310/322 წლით თარიღდება რამდენიმე საინტერესო დოკუმენტი გაცემული „ბაზაზების" (ქსოვილებით მოვაჭრე პირები, დიდვაჭრები) სახელზე, სადაც ვრცლად არის საუბარი მათი ვინაობის, ქონების შესახებ[41].

ყურადღებას იქცევენ გენიზას დოკუმენტთა კოლექციებში დაცული მასალებიც, რომლებიც მუსლიმანური აღმოსავლეთის ქალაქებში მოღვაწე დიდვაჭრების (უმეტესად ებრაელების) კომერციულ საქმიანობას აღწერენ (წერილები, კომერციული ბარათები, ხელშეკრულებები, ანგარიშის წიგნები...)[42]. აღსანიშნავია, რომ გენიზას დოკუმენტები ქრონოლოგიურად სწორედ X-XIII სს-ში თავსდება[43].

---

[41] J. Sourdel-Thomine et D. Sourdel, Trois actes de vente damascains du debut au IVe/Xe siecle. "JESHO", VIII, 2, 1956, გვ. 167-177.

[42] გენიზას დოკუმენტთა კოლექციებში დაცული მასალების მნიშვნელობის შესახებ აღებული ხანის მუსლიმანური აღმოსავლეთის სოციალ-ეკონომიური ისტორიისათვის დაწვრილებით იხ. S. D. Goitein, The Cairo Geniza as a Source for the History of Muslim Civilisation. „SI", 1955, № 3, გვ. 75-91; მისივე, Tue Documents of the Cairo Geniza as a Source for Islamic Social History (მის წიგნში „Studies in Islamic History and Institutions", Leiden, 1966, გვ. 279-295). ქართულ ორიენტალისტიკურ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული დოკუმენტური მასალების მნიშვნელობას პირველად ყურადღება მიაქცია პროფ. ვ. გაბაშვილმა. იხ. ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის დოკუმენტური წყაროები. „მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები", თბილისი, 1968, გვ. 16-17.

[43] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

X-XIII სს-ის არაბული წყაროები არაერთ საინტერესო ცნობას გვაწვდიან სპარსეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ქალაქის სირაფის მეტად მდიდარი და გავლენიანი დიდვაჭრების შესახებ, რომელთაგან ზოგიერთის კაპიტალი მილიონობით დინარს შეადგენდა. ამ დიდვაჭრებს ქალაქში ჰქონდათ მაღალი, მრავალსართულიანი სასახლეები და საერთაშორისო მასშტაბის სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ[44].

ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ XI-XII სს-ში ხდება მემკვიდრეობითი მუსლიმანი დიდვაჭრების კორპორაციის — ქარიმიელთა კორპორაციის ჩამოყალიბება და გაძლიერება. ამ გაერთიანების წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩაბმული საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო და საბანკო ოპერაციებში[45].

ამ თვალსაზრისით საგულისხმო მასალებია დაცული აღებული ხანის სპარსულ წყაროებშიც.

ასე, მაგ., ნიზამ ულ-მულქის „სიასეთ-ნამეში“ მოხსენიებულია ბაღდადელი დიდვაჭრის ქონება, მიწები, ოქრო, სასახლე, შინამოსამსახურეები და მხევლები, ქალაქში მას ჰქონდა მიწები, სავაჭრო ნაგებობები[46]; XII ს-ის სპარსელი ავტორი აბუ-ლ-ჰასან ბეიჰაყი (იბნ-ფუნდუკი) საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბეიჰაყის ოლქში მცხოვრებ დიდვაჭართა, ბაზაზთა მდიდარ და გავლენიან საგვარეულოზე[47]; რავენდი მოიხსენიებს ქსოვილებით მოვაჭრე მდიდარ პიროვნებას (ბაზაზს), ვინმე აჰმად ბენ აბუ მანსურს და მისი დახასიათებისას ხმარობს ისეთ გამოთქმებს და საპატიო ტიტულებს, როგორიცაა „ისლამის მშვენება“, „დიდებულთა გვირგვინი“ და სხვ.[48]; ცნობილი სპარსელი პოეტი საადი (XI-XIII სს.) თავის „გოლესთანში“ მოგვითხრობს დიდვაჭარზე, რომელსაც 40 მსახური და 150 აქლემი ჰყავდა. ამ დიდვაჭარს თავისი საქონლის შესანახი საწყობები ჰქონდა ინდოეთსა და თურქესთანში; იგი სავაჭროდ დადიოდა ფარსიდან რუმში, იემენში, ინდოეთში, ჩინეთში; ვაჭრობდა აბრეშუმით, ნაირ-ნაირი ქსოვილებით, ფაიფურით, შუშისა და ფოლადის ნაწარმით და სხვ[49].

---

44 დაწვრილებით იხ., А. Мец, Мусульманский Ренессанс, М., 1966, стр. 395; А. Ю. Якубовский, Феодальное общество Средней Азии и его торговля с Восточной Европой в X-XV вв. „Материалы по истории народов СССР, вып. 3, Материалы по истории Узбекской, Таджикской и Туркменской ССР“, часть 1, Л., 1932, стр. 10; S. M, Stern, Rāmisht of Sīrāf, a merchant millionaire of the twelfth century, „JRAS“ 1967. P. 1-2 გვ. 10-14.

45 S. D. Goitein, The Beginnings of the Karim Merchants and the Character of their Organisation. „Studies in Islamic History and Institutions“, Leiden, 1966, стр. 351-360; განსაკუთრებით ძლიერდება ქარიმიელთა კორპორაცია XIV-XV სს-ში, დაწვრილებით იხ. W. J. Fischel, Über die Gruppe der Kārimī-Kaufleute. „Studia Arabica“, I, 1937, გვ. 67-82; E. Ashtor, The Karimi Merchants. „JRAS“, 1956, გვ. 45-56; I. M. Lapidus, Muslim Cities in the Later Middle Ages. Harvard University Press, Cambridge, Massachusetts, 1967, გვ. 211-217.

46 „სიასეთ-ნამე“, ჰ. დარკეს გამოც., თეირანი, 1962, გვ. 95—103.

47 იბნ-ფუნდუკი, ა. ბაჰმანიარის გამოც., თეირანი, 1938, გვ. 128.

48 რავენდი, მ. ეყბალის გამოც., GMS, NS, II, 1921, გვ. 48.

49 Саади. Гулистан. Критический текст, перевод, предисловие и примечания Р. М. Алиева. М., 1959, стр. 233-234 (სპარსული ტექსტი). ეჭვგარეშეა, რომ სპარსელ პოეტს ირანელი დიდვაჭრის ზოგადი ტიპი ყავს გამოყვანილი თავის ჰექაიათში.

მეტად საყურადღებოა და ნიშანდობლივი ის გარემოებაც, რომ სწორედ XI-XII სს-ში იქმნება მთელი რიგი თეორიული ტრაქტატები საზოგადოდ ვაჭრობის და ვაჭართა შესახებ (ვაჭრობის დანიშნულება, ვაჭართა როლი და მნიშვნელობა საზოგადოებაში და ა. შ.). ამ საკითხების ირგვლივ ვრცელ მსჯელობებს ვხვდებით ალ-ღაზალის, ნაჯმ-ად-დინ ალ-ღაზის, ად-დიმიშკის, ალ-ჯაჰიზის და სხვათა თხზულებებში[50]. სპარსული თხზულებებიდან ამ მხრივ საინტერესოა „ყაბუს-ნამე", XI ს-ის დიდაქტიკურ-მორალისტური ტრაქტატი, სადაც მთელი ერთი თავი სპეციალურად ვაჭრობასთან და ვაჭართა ფენასთან დაკავშირებულ საკითხებს ეძღვნება[51].

საქალაქო არისტოკრატიის როლისა და მნიშვნელობის ზრდის მყარ ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა ქალაქის ზედაფენის წარმომადგენელთა ქონებრივი მდგომარეობა. მათ ხელში იყო ქარვასლები, დუქნები, ბაზრები, სახელოსნოები; დიდვაჭრები იშენებდნენ ძვირფას სასახლეებს, იძენდნენ მიწებს, ხდებოდნენ დიდი მიწათმფლობელები. მათი შემოსავლის ძირითად წყაროს ვაჭრობა და მევახშეობა წარმოადგენდა.

ამასთანავე, დიდვაჭრები აქტიურად იყვნენ ჩაბმული საკრედიტო და საბანკო ოპერაციებშიც.

საზოგადოდ, აღებული ხანის მუსლიმანური აღმოსავლეთის ქალაქებში განვითარებული სახით იყო წარმოდგენილი საბანკო საქმე და კრედიტი. ფულით მოვაჭრეები და ბანკირები („სარაფები", „ჯაჰბაზები", მეტწილად ებრაელები და ქრისტიანები) მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული დიდვაჭრებთან. რადგან საერთაშორისო ვაჭრობა, როგორც წესი, კრედიტის მეშვეობით წარმოებდა. ამასთან, თვით ბანკირებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ვაჭრობაში — ვაჭრობა მათი შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო[52].

ზოგიერთი უცხოელი ორიენტალისტი-ისტორიკოსი აღნიშნულ მოვლენებში (დიდვაჭართა როლისა და მნიშვნელობის ზრდა, კრედიტის განვითარება) „ბურჟუაზიის" აღზევებას ხედავს. პროფ. ვ. ფიშელის აზრით, IX-XI სს. წარმოადგენდა მუსლიმანური ქალაქის „კაპიტალისტთა კლასის" ცენტრად გადაქცევის ხანას[53]; პროფ. ს. გოიტეინს X-XI საუკუნეები „ახლო-აღმოსავლეთის ბურჟუაზიის აპოგეის ხანად" მიაჩნია[54] და ა. შ. მათ „ახლო-

---

[50] დაწვრილებით იხ. H. Ritter, Ein arabisches Handbuch der Handelswiszenschaft. „DI". Bd. VII, Hft. 1, 1917, გვ. 31-66; G. E. Von Grunebaum, Medieval Islam. A Study in cultural Orientation. Chicago, 1946. გვ. 215-216; Cl. Cahen, A propos eth owour d' „Ein arabisches Handbuch der Handelswissenschaft" „Oriens", XV, Leiden, 1962. გვ. 160-171; A. K. S. Lambton, The Merchant in medieval Islam. „A Locut's Leg, Studies in honour of S. H. Gaqizadeh", London, 1962, გვ. 122 და შემდ.

[51] „ყაბუს-ნამე", რ. ლევის გამოც., GMS, NS, XVIII, 1951, გვ. 95—100.

[52] დაწვრილებით იხ., U. J. Fischel, The Origin of Banking in Medieval Islam, „JRAS", 1933, გვ. 339-569; მისივე, Iews in the Economic and Political Life of Medieval Islam, London, 1937; S. M. Imamuddin, Bayt al-Mal and Barks in the Mediteval Muslim World. „IC", 1961, გვ. 12-20; A. L. Udovitch, Credi as a Means of Investment in Medieval Islamic Trade. „IAOS", 87. 3, 1967, p. 261-864 და სხვა.

[53] W. I. Fischel, The city in Islam. „MEA," VII, 6-7, 1969, p. 231.

[54] S. D. Goitein, The Rise of Near-Eastern Bourdeoisie in Early Islamic Timrs, „CHM", III, 3, 1957, p. 584.

აღმოსავლური ბურჟუაზიის“ ქვეშ მხედველობაში ჰყავთ, უპირველეს ყოვლისა, მდიდარი მოქალაქეები, დიდვაჭრები ანუ ის საზოგადოებრივი ფენები, რომელთაც „ქალაქის რაისები“ წარმოადგენდნენ.

მართლაც, X-XII სს-ში აშკარად შეიმჩნევა დიდვაჭართა აღზევება, საქალაქო მმართველობის სარბიელზე კი ამ პერიოდში სწორედ მათი წრიდან გამოსული „ქალაქის რაისები“ ძლიერდებიან. მაგრამ ყოველივე ეს არავითარ კავშირში არ არის არც „ბურჟუაზიასთან“ და არც მის „აღზევებასთან“.

საზოგადოდ, დიდვაჭრების და, კერძოდ, „ქალაქის რაისების“ დაწინაურება-მომძლავრება ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების და განვითარების პროცესებმა განაპირობა.

როგორც ვნახეთ, X-XI სს-ში სრულდება ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების პროცესი. ამიერიდან იწყება ახალი ეტაპი ქალაქის განვითარების ისტორიაში — განვითარებული ფეოდალიზმის ხანა, რომლის პირველი საუკუნეები (XI-XII სს.) ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების აღმავლობით აღინიშნა მახლობელ აღმოსავლეთში. ქრონოლოგიურად სწორედ XI-XII სს-ში თავსდება საქალაქო არისტოკრატიის დაწინაურება, დიდვაჭრებისა და „ქალაქის რაისების“ აღზევება მახლობელი აღმოსავლეთის (მეტადრე ირანისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების) ქალაქებში.

ამიტომ არის, რომ დიდვაჭრების, „ქალაქის რაისების“ და, საზოგადოდ, საქალაქო არისტოკრატიის გაძლიერება შესწავლილ უნდა იქნეს ფეოდალური ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების აღმავლობა-განვითარებასთან კავშირში და არა „ფეოდალური კონტექსტის“ გარეშე, როგორც ამას ბურჟუაზიული ორიენტალისტი-ისტორიკოსები აკეთებენ.

დიდვაჭრების და მათი წრიდან გამოსული „ქალაქის რაისების“ აღზევება ორგანულად ერწყმოდა ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქის შემდგომ განვითარებას XI-XII სს-ში, საქალაქო ცხოვრების აღმავლობას.

წერილობით წყაროებში დაცული მასალები ნათლად მეტყველებენ ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების აღმავლობაზე XI-XII სს-ის ირანსა და მის მომიჯნავე ქვეყნებში[55].

მაღალგანვითარებული ხელოსნობითა და ვაჭრობით მთელ მახლობელ აღმოსავლეთში გამოირჩეოდნენ ირანის ქალაქები (ნიშაბური, რეი, შირაზი, ჰამადანი, ქერმანი, სირაფი, ქაშანი...). სახელოსნო წარმოებისა და ვაჭრობის დაწინაურებულ ცენტრებს წარმოადგენდნენ, აგრეთვე, შუა აზიისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მთელი რიგი ქალაქები.

ირანისა და მომიჯნავე ქვეყნების ქალაქებში მაღალ დონეზე იდგა საფეიქრო წარმოება, კერამიკული წარმოება, ტყავის, მატყლის და ბამბის დამუშავება, ლითონის ნაწარმის დამზადება, სხვადასხვა მადნეულის მოპოვება-დამუშავება და სხვ.

წერილობითი წყაროების მონაცემებთან ერთად მახლობელი აღმოსავლეთის ფეოდალური ქალაქების განვითარებაზე და საქალაქო ცხოვრების გარ-

---

55 ქართულ ორიენტალისტიკურ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხებს სპეციალურად შეეხო ისტ. მეცნ. კანდ. რევაზ კიკნაძე. იხ., რ. კიკნაძე, ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა X—XII საუკუნეებში. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბ., 1957, გვ. 145-151.

თულება-გაცხოველებაზე მიუთითებენ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მიღებული მასალებიც.

როგორც არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, XI-XII სს-ში ადგილი აქვს ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ზრდას ფართობისა და ზომების თვალსაზრისით. ამასთან ნიშანდობლივია, რომ ქალაქის ფართობი უმთავრესად იზრდება „რაბადების“ ხარჯზე, ანუ იმ სავაჭრო-სახელოსნო გარეუბნების ზრდის კვალად, რომლებიც ამ პერიოდისათვის უკვე ფეოდალური ქალაქის არსებითს ნაწილს, მის ეკონომიურ, სოციალურ და ტოპოგრაფიულ ცენტრს წარმოადგენდნენ.

აღებული ხანის მახლობელ აღმოსავლეთში სწრაფი ტემპებით წავიდა წინ არქიტექტურა და მასთან დაკავშირებული მხატვრულ-დეკორატიული დარგები, რაშიც კარგად აისახა, ერთი მხრივ, ხელოსნობის განვითარების მაღალი დონე, ხოლო, მეორე მხრივ, მათემატიკური აზროვნების გარკვეული მიღწევები.

თუკი VI-VII სს-ში მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძირითადი ობიექტი მიწისმფლობელის „კოშკი“ იყო, IX-X სს-დან მთავარი მნიშვნელობა უკვე საქალაქო ნაგებობათა იმ კომპლექსებს ენიჭება, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ფეოდალური ქალაქის ახალი საზოგადოებრივი ფენების მოთხოვნებთან (ჭარვასლები, ბაზრები, ადმინისტრაციული ნაგებობები, საკულტო ნაგებობები — მეჩეთები, შემდეგ მედრესეები, ხანაგები, მაზარები...). ამგვარი კომპლექსების მშენებლობა განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იღებს სწორედ XI-XII სს-ში, ამავე პერიოდში ხდება არსებითად შუასაუკუნოვანი ახლოაღმოსავლური მონუმენტური არქიტექტურის საბოლოო ფორმირებაც.

საქალაქო მშენებლობათა გაშლის კვალად მახლობელ აღმოსავლეთში ფართო გამოყენებას და გავრცელებას პოულობს ისეთი სამშენებლო მასალა, როგორიცაა გამომწვარი აგური[56]. X ს-დან განსაკუთრებით ფაროდად გამოიყენებოდა გამომწვარი აგური მონუმენტურ ნაგებობათა კომპლექსების (სასახლეები, ჭარვასლები, ბაზრები, მეჩეთები, რაბატები, მედრესეები, ხანაგები, მაზარები, ხიდები..) მშენებლობებზე. ამასთან ერთად, ხშირად გამომწვარი აგურით იყო ნაგები ქალაქის კედლები თავისი კოშკურებით, გამომწვარი აგურით იყო მოკირწყლული ქალაქის ქუჩები, სარწყავი არხები და სხვ[57].

---

56 გამომწვარი აგურის გავრცელება თავისთავად სამშენებლო ტექნიკის შესამჩნევ პროგრესზე მეტყველებს. გამომწვარი აგური დიდ შესაძლებლობებს იძლეოდა ფეოდალური ქალაქისათვის საჭირო მაღალი, ტევადი, თაღებით გადახურული შენობების ასაგებად.

57 გამომწვარ აგურზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, რამაც განაპირობა მისი ხელოსნური წარმოების გადიდება X—XII სს-ში. იხ. М. Е. Массон, Городища старого Термезан и их изучение. „Труды Узбекистанского филиала АН СССР,“ серия 1, история, археология, вып. 2, Ташкент, 1940, გვ. 110; მისივე. Некоторые итоги работ ЮТАКЭ и перспективы археологического изучения южного Туркменистана. „Известия АН СССР“, 1951, № 1, გვ. 95-96; მისივე, Краткая хроника полевых работ ЮТАКЭ за 1948-1953 гг. „Труды ЮТАКЭ“, т. V, Ашхабад, 1955, გვ. 207.

XI-XII სს-ის ირანისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ქალაქთა ზრდა-განვითარებაზე, საქალაქო ცხოვრების აღმავლობაზე მეტყველებენ, აგრეთვე, კერამიკის ნიმუშები — ქალაქის ყოფის ამსახველი შესანიშნავი მასალები.

რეი, ქაშანი, ნიშაბური, ისპაჰანი, ტუსი, მერვი და სხვა ქალაქები საქვეყნოდ იყვნენ განთქმული თავისი კერამიკით. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ირანისა და შუა აზიის ქალაქებში ყველაზე ნათლად დასტურდება კერამიკული წარმოების სფეროში X-XII სს-ში მომხდარი ტექნოლოგიური და მხატვრული ცვლილებები, სიახლეები.

კერამიკულ წარმოებაში კარგად აისახა ხელოსნობის, ვაჭრობის, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება. X-XII სს-ში აშკარად შეინიშნება კერამიკული ნაწარმის ოდენობის ზრდა, რაც შეპირობებული იყო ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებათა ზრდით ფართო საყოფაცხოვრებო მოხმარების ისეთ საგნებზე, როგორიც იყო თიხის ჭურჭელი[58].

ამავე საუკუნეებისათვის ნიშანდობლივია თიხის ნაწარმის ხარისხის დახვეწა, ახალი ფორმების შექმნა, მხატვრული ტიპების ევოლუცია.

X ს-დან მოყოლებული უკვე მასობრივად დასტურდება მოჭიქული კერამიკა, მაგრამ ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ხელოსანთა მიერ შემუშავებული ახალი საშუალება — კერამიკული ნაწარმის ლუსტრით მოხატვა უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც დასაბამი სწორედ XI-XII სს-ის ირანის ქალაქებში მიეცა[59].

კერამიკული წარმოების მაღალი დონე XI-XII სს-ის ირანისა და შუა აზიის ქალაქების აღმავლობა-განვითარების მეტად ნათელი და მატერიალურად გამომსახველი დადასტურებაა[60], და ეს მაშინ, როდესაც მომდევნო საუკუნეების (ანუ მონღოლთა ბატონობის ეპოქის) კერამიკა, როგორც თავის დროზე სწორად შენიშნა პროფ. ა. სემიონოვმა, „характеризуется чертами большого упадка“[61].

---

58 აღსანიშნავია, რომ სწორედ XI-XII სს-ში მრავლად დასტურდება დაშტამბული ორნამენტის მქონე თიხის ნაწარმი, რაც დაკავშირებული ჩანს მის მასობრივ და სერიულ წარმოებასთან. იხ., Э. В. Сайко, История технологии керамического ремесла Средней Азии VII-XII вв., Душанбе, 1966, გვ. 110.

59 როგორც სამართლიანად აღნიშნავს ე. კვერფელდტი, „Лустровые изделя явились апогеем рассцвета керамики феодального города“. იხ. Э. К. Кверфельдт, Керамика Ближнего Востока. Л., 1947, გვ. 56.

60 განვითარების მაღალ დონეს აღწევს კერამიკული წარმოება აღებული ხანის აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქებშიც. ამ საკითხზე ვრცლად არის საუბარი ვ. ლეონტოვის, ბ. შელკოვნიკოვის, ა. იაკობსონის, ვ. ჯაფარიძის, ზ. მაისურაძის, გ. ახმედოვის, ნ. ნაჯაფოვას და სხვათა გამოკვლევებში.

61 А. А. Семенов, Исторический очерк художественных ремесел Узбекистана. „Литература и искусство Узбекистана“, книга 4-5, Ташкент, 1937, გვ. 139.

როგორც ვხედავთ, XI-XII სს-ში განუხრელად ვითარდებიან ქალაქები, ვითარდება ხელოსნობა, უფრო ცხოველ ხასიათს იღებს ვაჭრობა, აღებ-მიცემობა[62].

ამრიგად, დიდვაჭრების და „ქალაქის რაისების" აღზევება-გაძლიერება XI-XII სს-ში მიმდინარეობდა ირანისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ქალაქების, საქალაქო ცხოვრების, ვაჭრობის, ხელოსნობისა და საქალაქო მშენებლობის ინტენსიური ზრდა-განვითარების პირობებში.

ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ „ქალაქის რაისების" დაწინაურებას და მომძლავრებას ხელსაყრელი პირობები შეუქმნა, აგრეთვე, საამიროების დასუსტებამაც. ოდინდელი სახალიფოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი საამიროები X-XI სს-ის მიჯნაზე კარგავენ თავის სიძლიერეს, კნინდება ამირა-მთავრების ხელისუფლება. ამირები ფაქტიურად მხოლოდ ქალაქის გამგებლის უფლებებით იფარგლებიან. სამაგიეროდ თანდათან გამოკვეთილ სახეს იღებს ქალაქების ადმინისტრაციული წყობილება, იზრდება საქალაქო მოხელეთა ხვედრითი წონა, ძლიერდება საქალაქო არისტოკრატია, რომლის წრიდან დაწინაურებული „ქალაქის რაისები" მარჯვედ იყენებენ რა ამირათა სისუსტეს, აშკარად უპირისპირდებიან მათ, ქალაქზე საკუთარი ძალაუფლების გავრცელებას ცდილობენ.

ყოველივე ზემონათქვამიდან, ვფიქრობთ, ჩანს, რომ „ქალაქის რაისების" გამოჩენა და დაწინაურება კანონზომიერად არის დაკავშირებული იმ ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებთან, რასაც ადგილი ჰქონდა X-XII სს-ის მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბება-განვითარებასთან დაკავშირებით.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „ქალაქის რაისების" ინსტიტუტის განვითარებას ჯერ თურქ-სელჩუკთა შემოსევამ და გაბატონებამ შეუქმნა მნიშვნელოვანი დაბრკოლება, ხოლო შემდეგ კი ამ ინსტიტუტის განვითარება საბოლოოდ შეაჩერა მონღოლთა შემოსევა-გაბატონებამ.

სწორედ მონღოლთა ბატონობის ეპოქაში „ქალაქის რაისის" სამოხელეო ფუნქცია „მუჰთასიბის" სამოხელეო ფუნქციამდე დაკნინდა; საბოლოო ჯამში

---

62 X ს-დან მოყოლებული შესამჩნევად იზრდება საქარავნო ვაჭრობის მასშტაბები. იგი სცილდება მხოლოდ ფუფუნების საგნებით ვაჭრობის ფარგლებს. ირანისა და შუა აზიის ქალაქებიდან გააქვთ არა მარტო ქსოვილები და ფუფუნების სხვა საგნები, არამედ ხედლი ბრეშუმი, ტყავი, მატყლი, ბამბა, ხორბალი, სხვადასხვა მადნეული და ა. შ. არქეოლოგიური გათხრების მასალებიდან ჩანს, რომ XI-XII სს-ში სავაჭრო გზები და მაგისტრალები გაცილებით კეთილმოწყობილი იყო წინა საუკუნეებთან შედარებით. სავაჭრო გზები მოფენილი იყო ქარვასლებით და სხვა ჩამოსახდომი სადგურებით, სასიგნალო კოშკურებით, სასმელი წყლის რეზერვუარებით (სარდაბ) და ა. შ. იხ.. А. Ю. Якубовский, феодальное общество Средней Азии и его торговля с Восточной Европой,... გვ. 9-10, М. Е. Массон, Средневековый путь из Мерва на Амуль (Чарджоу), „Известия АН Туркм. ССР", 1955, № 1, გვ. 12-13; მისივე, Средневековые торговые пути из Мерва в Хорезм и в Мавераннахр, „Труды ЮТАКЭ", т. XIII, Ашхабад, 1966, გვ. 128, 255.

გაჭრა „ქალაქის რაისების“ ინსტიტუტი, მოხდა ტერმინ „რაისის“ და ტერმინ „მუჰთასიბის“ იდენტიფიკაცია[63].

სავსებით ცხადია, რომ თუკი „ქალაქის რაისების“ ინსტიტუტის აღმოცენება-განვითარება ახლოაღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბებას და საქალაქო ცხოვრების შემდგომ აღმავლობას უკავშირდება, ამ ინსტიტუტის გაჭრობა XIII-XIV სს-ში (მონღოლთა ბატონობის ეპოქაში) ქალაქების და საქალაქო ცხოვრების დაცემა-დაქვეითების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს.

---

[63] შდრ. В. В. Бартольд, Сочинения, т. II, ч. 2, М., 1963, გვ. 395. შენ. 27; К. З. Ашрафян, Делийский султанат. К истории экономического строя и общественных отношений XIII-XIV вв. М., 1960, გვ. 184, შენ. 183.

ძიუვარდ ისაკაძე

საფეიქრო გოჭკოვან მასალათა დამუშავება ძველ საქართველოში

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
ა. აფაქიძემ)

ძველი ქართული საფეიქრო ნაწარმის საქონელმცოდნეობრივი დახასიათება

საფეიქრო არქეოლოგიურ მონაპოვრებს 1966 წლის ზაფხულში კიდევ ერთი ძვირფასი მასალა შეემატა: ეს არის ბედენის ზეგანზე ე. წ. „გადაჭრილი გორის“ გუნდში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი საკმაოდ მსხვილად დაგრეხილი ნართის, მრავალნაირი ქსოვილის, ქეჩის, ხის ლაფნისაგან დამზადებული ჭილოფისა და ქუდის ფრაგმენტები, აგრეთვე ძაფსართავი ტექნიკის ნაშთები — თითისტარისა და კვირისტავების სახით, რომლებიც მიცვალებულთათვის ძვ. წ. XIX საუკუნეში ჩაყოლებულ ურემთან, საოჯახო იარაღთან, ძვირფას სამკაულთან და თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა. „მონაპოვარი მასალები ამდიდრებს ჩვენს ცოდნას 4.000 წლის წინანდელ ქართველ ტომთა კულტურაზე, მათს მეურნეობაზე და ხელოვნებაზე, სოციალურ ვითარებაზე, უეჭველია, რომ აღნიშნული ნაშთები ეკუთვნის მიწათმოქმედებით, მესაქონლეობითა და ხელოვნებით დაწინაურებულ ტომს, რომელიც გვაროვნული წყობილების ბოლო საფეხურს უახლოვდება“[1].

ბედენში მიკვლეული საფეიქრო ხელოვნებისა და ტექნიკის ნიმუშების ნაშთები, რომლებიც საანალიზოდ გ. გობეჯიშვილმა გადმოგვცა, არა მარტო იმითაა საინტერესო, რომ ისინი მანამდე აღმოჩენილ ანალოგიურ ნაწარმსა და ტექნიკის ნაშთებზე ბევრად „უფროსები“ არიან, არამედ იმითაც, რომ ქეჩისა და ხის ლაფნის ქსოვილის (ჭილოფი, ქუდი) ნაშთები საქართველოს ტერიტორიაზე სხვაგან არსად აღმოჩენილა; ხოლო ამგვარი ნაწარმის დამზადების წესი ძირფესვიანად განსხვავდება ქსოვილების დამზადების წესისაგან.

აღმოჩენილი ნიმუშები განვიხილოთ ცალ-ცალკე:

№ 1 ნიმუში. ხის ქერქის მსგავს გაურკვეველი შემადგენლობის საგანზე, რომელსაც ქვემოდან ჭილოფის ნაშთი აქვს მიკრული, მეუიარაღებელი თვალით ბუნდოვნად ჩანს ბადისებური ხლართი, რომელიც გამადიდებელი შუშით ძალზე წმინდად დართული ნართით დამზადებულ ქსოვილს წააგავს. მის აღნაგობაში არ შეინიშნება ხლართვით დამზადებული ქსოვილისათვის დამახასიათებელი ქსელისა და მისაქსელის ძაფების ურთიერთ გადახლართვის ადგილები, იგი უფრო მეტად თანამედროვე წარმოებაში მარყუჟული წესით დამზადებულ, ფანჯარაზე ჩამოსაფარებელ საფარდე ქსოვილს წააგავს. აღნიშნული ნიმუში მეტად საინტერესოა როგორც ხლართის აღნაგობის, ისე ნართის ნომრის ზედმიწევნით სიწმინდით; ეს ნიმუში შესწავლილ იქნა საფეიქრო

[1] გ. გობეჯიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლი, გაზ. „კომუნისტი“, 1966, № 263.

მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიაში და გამოირკვა, რომ ქსოვილი მხოლოდ ანაბეჭდის სახითაა ჩვენამდე მოღწეული; ამიტომ ნართის ნომრისა და ბოჭკოს სახეობის განსაზღვრა შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია სიმჭიდროვის განსაზღვრაც, ვინაიდან, ჯერ ერთი, საგანი რაზედაც ქსოვილის ანაბეჭდი შეინიშნება, მეტისმეტად დეფორმირებულია და, მეორეც, არ არის ისეთი ადგილი, სადაც საჭვრეტში ყველა მარყუჟის ან გადახლართვის ადგილი სრულად მოჩანდეს. ნართი აბრეშუმის ძაფივით წმინდა იმიტომ გვეჩვენება, რომ იგი ზემოაღნიშნულ საგანზე დიამეტრის ფაქტიური სიმსხოთი კი არა, არამედ შეხების ზედაპირითაა აღბეჭდილი.

ბედენში ნაპოვნ № 1 ნიმუშზე არ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ იგი მაინცდამაინც მარყუჟული წესითაა დამზადებული, მაგრამ ასეც რომ იყოს, გასაკვირი არ იქნება, ვინაიდან ეგვიპტეში მარყუჟით ქსოვა, როგორც ეგვიპტოლოგებმა დაადგინეს, მესამე ათასწლეულში სცოდნიათ და თუკი ეგვიპტელები და ქართველები სელის ერთნაირი დამუშავებით არიან ცნობილნი, გამორიცხული არ არის, რომ მათ მარყუჟული ქსოვის საიდუმლოებაც ერთდროულად აღმოეჩინათ ან ერთმანეთისაგან ესწავლათ.

შესაძლოა ეს ნაშთი დაბალი სიმჭიდროვით ნაქსოვი ქსოვილისაც იყოს, რომელსაც სატანსაცმლე დანიშნულება კი არ ჰქონდა, არამედ რაღაც სხვა საოჯახო მოხმარებისათვის იყო გამიზნული.

ზოგიერთი სპეციალისტი ანაბეჭდს ბადის ქსოვილის ნაკვალევადაც მიიჩნევს, მაგრამ ეს მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს, ვინაიდან ბადეს (თევზსაჭერი, ფრინველსაჭერი და ა. შ.) ურთიერთგადახლართვის ადგილებში ექნებოდა კვანძები, რომლებიც ანაბეჭდზე უსათუოდ გამსხვილებულ წერტილებად გამოჩნდებოდა.

საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული ქსოვილის ანაბეჭდის აღმოჩენა მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი უძველეს დროში მარყუჟული ქსოვილის არსებობის მანიშნებელია, რაც შესაძლოა შემდგომი არქეოლოგიური აღმოჩენებით ზუსტად დადასტურდეს.

№ 2 ნიმუში საკმაოდ მჭიდროდ ნაქსოვი ქსოვილია, რომელსაც მუქი შინდისფერი გადაჰკრავს. იგი გაქვავებულია მეტისმეტად დეფორმირებულ, გაურკვეველი შემადგენლობის საგანზე. ქსოვილი შეინიშნება როგორც საგნის ზემოთ, ისე ქვემოთაც, რაც გამოწვეულია მიწისქვეშა ბუნებრივი მოვლენების ზეგავლენით. ქსოვილში ნართი მისაქსელის მიმართულებით უფრო მსხვილია, ვიდრე ქსელის მიმართულებით. ქსელის ნართის ნომერი დაახლოებით 8-9-ს შეადგენს, ხოლო მისაქსელისა — 4-5-ს.

ქსოვილი გარნიტურული ხლართითაა მოქსოვილი, რომლის სიმჭიდროვე, მისაქსელის მიხედვით, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს და იგი ყოველ 10 სმ-ში 80—90 ერთეულს შეადგენს.

საგრძნობლად გაძნელდა სიმჭიდროვის დადგენა ქსელის მიმართულებით, ვინაიდან ქსოვილის ფრაგმენტზე, რომელიც ძალზე მცირე ზომისაა, რატომღაც სწორედ ქსელის ძაფები დანაცრებულა და ხლართი სრულყოფილი სახით მხოლოდ ერთ ადგილზე გადარჩენილა, რომლის ზომა 0,4 სმ-ია. ყოველ 0,4 სმ-ში მისაქსელის ნართი ზუსტად 4,5 ერთეულია; მაშასადამე ქსოვილის სიმჭიდროვე ქსელის მიმართულებით ყოველ 10 სმ-ში 110-120 ერთეულს შეადგენს.

ბოჭკო, რომლისგანაც ქსოვილია მოქსოვილი, შესწავლილი იქნა მიკროსკოპულად და იგი ყოველმხრივ მატყლის ბოჭკოს ედრება. აღნიშნული ქსოვილის გადარჩენილი ფრაგმენტი უეჭველად ზედა ტანსაცმლის ნაფლეთია, ვინაიდან ქსოვილის ქვეშ ქეჩის მასის ფრაგმენტიცაა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მიცვალებული, ქეჩაზე ტანსაცმლით დაუწვენიათ. სხვანაირად ქეჩის მასისა და მატყლის ქსოვილის ფრაგმენტის ერთად გაქვავება არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა.

გაოცებას იწვევს ქსოვილის საღებავის სიმტკიცე. საღებავს მიწაში 4 ათასი წლის განმავლობაში შეუნახავს პირვანდელი ფერის ელვარება. ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ ქსოვილმა ის ფერი, რომელიც ამჟამად აქვს, მინერალური ნალექებისა და მიწის ქვეშ მიმდინარე სხვა ბუნებრივი მოვლენების გავლენით შეიძინაო, მაგრამ ეს არაა სწორი, ვინაიდან ქსოვილთან ერთად გაქვავებული სხვა საგნები შავი ფერისაა და მხოლოდ და მხოლოდ ქსოვილსა აქვს განსხვავებული ფერი. ქსოვილს ფერი რომ მინერალური ნალექების ან სხვა ბუნებრივი მოვლენების გავლენით ჰქონდეს შეძენილი, მთლიანად ან ნაწილობრივად, ის საგანიც შინდისფრად შეიფერებოდა, რაზედაც იგია გაქვავებული.

ჩვენ არმაზციხის (ბაგინეთის) არქეოლოგიური ქსოვილის (განეკუთვნება ახ. წ. II ს.) განხილვისას[2] განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ჰეროდოტეს უმნიშვნელოვანეს ცნობას სამღებრო საქმიანობაში ძველად გამოყენებული ბუნებრივი საღებავების უბადლო ღირსებების შესახებ. მაგრამ, აღნიშნული ქსოვილის განხილვასთან დაკავშირებით, კვლავ გვინდა ამ საკითხს დაეუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ ეს ძველი უცხოელი ისტორიკოსი საფეიქრო საქმიანობის აღწერისას უმთავრეს ფაქტორს, — ხელოსნის როლს თითქმის გამორიცხავს, ვინაიდან იგი ქართული წარმოების ქსოვილების შეღებვის საოცრად მაღალხარისხოვნებას მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მცენარეული საღებავების არაჩვეულებრივ თვისებებს მიაწერს. ბედენის არქეოლოგიური ქსოვილების ნაშთების შესწავლით დასტურდება, რომ უძველესი დროის საფეიქრო საქმიანობაში ძირითადად მატყლი იყო გამოყენებული, რომლის შესაღებადაც ხელოსანი მარტო მაღალხარისხოვანი საღებავებით ვერაფერს გახდებოდა, თუ მას უპირველეს ყოვლისა ცხოველური წარმოშობის ამ ბოჭკოდან ცხიმის გამოცლის საიდუმლოება არ ეცოდინებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფეიქარი ხელოსნები და, კერძოდ, მღებავები ქართულ ქსოვილებს საყოველთაო მოწონებასა და აღიარებას ვერც ამა თუ იმ სახის ბოჭკოზე საღებავის უმტკიცესად დამაგრების ცოდნის გარეშე მოუპოვებდნენ, რაც არა მარტო საღებავების მაღალ ღირსებაში, არამედ მის გონივრულად გამოყენებაში მდგომარეობდა.

ბედენში ნაპოვნი შინდისფერი ქსოვილის ნაშთი იმის დამადასტურებელია, რომ საფეიქრო საქმიანობაში საღებავების გამოყენება უხსოვარი დროიდან მომდინარეობს და ჰეროდოტეს დროინდელ საქართველოში ე. წ. „გაუხუნარი“ ქსოვილების წარმოება სრულიად ბუნებრივი იქნებოდა.

№ 3 ნიმუში. უსწორმასწორო ზედაპირის გაურკვეველ საგანზე, რომელიც გარეგნულად მუხის ქერქს მოგვაგონებს, გადარჩენილია საკმაოდ მსხვილი ნართით მოქსოვილი მცირე ზომის ქსოვილის ნაშთი. ქსოვილი თი-

[2] იხ. „მაცნე“, 1967, № 4.

თქმის მთლიანადაა დაფარული სხვადასხვა ბუნებრივი მინერალური ნალექების თხელი ფენით და ქსოვილში თვალსაჩინოდ ქსელის, თუ მისაქსელის მიმართულებით ჩაქსოვილი ნართის მხოლოდ სამიოდე გამონაშვერი მოჩანს; ნართი იმდენად უხეშია, რომ ორგანოლეპტური განსაზღვრით ჯუთის ან კანაფის ბოჭკოებს მოგვაგონებს. საგნის (რაზედაც ქსოვილია გაქვავებული) დამუშავება, ქსოვილის უკეთ გამოჩენის მიზნით, არ ხერხდება, ვინაიდან ხელით შეხებისთანავე იფშვნება. ამის გამო ქსოვილის სრული ანალიზი შეუძლებელი შეიქნა. დადგინდა, რომ ნართი საშუალოდ 3 ნომერია, ხოლო ბოჭკო, რომლისაგანაც ქსოვილია დამზადებული, მატყლისაა. იგი გარნიტურული ხლართითაა მოქსოვილი. ნართის გარეგნული სიუხეშე, რომელიც მნახველს პირველი დაკვირვებისთანავე ეცემა თვალში, გამოწვეულია ხანგრძლივი დროის განმავლობაში მატყლის რამდენიმე ელემენტარული ბოჭკოს შეერთება-შეწებებით.

იმის გამო, რომ აღნიშნული ქსოვილი ძალზე დაბალი ნომრის ნართითაა მოქსოვილი, მისგან ტანსაცმელი არ იქნებოდა შეკერილი. საფიქრებელია, რომ ის იმ ფარდაგის ან ხალიჩის ნაფლეთია, რომელზედაც მიცვალებული მონა იყო დასვენებული.

№ 4 ნიმუში: სამარხში უხვადაა ნაპოვნი მოშავო-მოყავისფრო ქეჩის ნაშთები, რომელიც ჭილოფზე ყოფილა დაფენილი. ქეჩა კარგადაა გადარჩენილი და შეუიარაღებელი თვალითაც მშვენივრად ჩანს მატყლის ბოჭკოები. ქეჩა იმდენად თანაბარი სისქისა და მჭიდროდ მოთელილია, რომ თანამედროვე მოსათელ მანქანაზე სათანადო ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვით მიღებულ პროდუქციას მოგვაგონებს. ქეჩის სისქე 35-38 მმ-ია; იგი მატყლისაა და მიკროსკოპში სხვა სახის ბოჭკო, თუნდაც მინარევის სახით, არ შეინიშნება. მატყლი, რომლისაგანაც ქეჩაა დამზადებული, მთლიანად ერთფეროვანია. ასე რომ, ივი თავდაპირველად ისეთი ფერისა ყოფილა, როგორითაც ჩვენამდე მოაღწია. დადგინდა, რომ ქეჩა შეუღებავია და იგი შავი მატყლისაგანაა დამზადებული. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან თეთრი მატყლის უპირატესობა, შავთან შედარებით, იმ დროს კარგად იყო ცნობილი და მას ქეჩის წარმოებისათვის, რა თქმა უნდა, არ გამოიყენებდნენ. ამას ისიც ადასტურებს, რომ ქეჩაში გამოყენებული მატყლის ბოჭკოები, მატყლის ქსოვილების ბოჭკოებთან შედარებით, საკმაოდ უხეშია, რაც, როგორც ცნობილია, შავ მატყლს ახასიათებს. ამგვარად, შავი მატყლის გამოყენება უქსოვ ნაკეთობათა, კერძოდ, ქეჩის დასამზადებლად საქართველოში ჯერ კიდევ უძველეს დროში ყოფილა ცნობილი.

ბ-დინში აღმოჩენილი ქეჩის ნაფლეთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბოჭკოან მასალათა მოთელვა ამა თუ იმ სახის საფეიქრო ნაკეთობის მიღების მიზნით, ქსოვილის შემდეგ, ერთ-ერთი უძველესი ხელოვნებაა.

№ 5 ნიმუში: ქსოვილების ნაშრომები, დაგრეხილი ნართი და სართავი ინვენტარი ჭილოფს ზემოდან დაფენილი ქეჩის ზედაპირზე ყოფილა მოთავსებული. ამიტომ ქეჩას ქვედა მხრიდან შერჩენილი აქვს ჭილოფის მოზრდილი ნაშთები. ჭილოფი, ისე როგორც ჩვენთვის საინტერესო სხვა ნიმუშების ნაშთები, მთლიანად დანახშირებულია, მაგრამ ხლართი, რომელიც ხის ლაფნისაგანაა მოქსოვილი, მშვენივრად ჩანს. ჭილოფის მასალა ცაცხვის ან თელის უნდა იყოს, ვინაიდან თითოეული ღერი გარკვეული სისქის თასმისებური ფორმისაა, რაც კანაფის, ჯუთის, თუ სხვა მცენარის ლაფანს არ ახასიათებს.

ლაფნის „თასმები“ ისეთი იშვიათი ხელოვნებითაა დამზადებული, რომ ისინი თითქმის ყველა ადგილზე ერთნაირი სიფართისა არიან (4 მმ). ამიტომაა, რომ ჭილოფის სიმჭიდროვე, როგორც ქსელის, ისე მისაქსელის მიხედვით, თანაბარია და ყოველ 10 სმ-ში 25 ერთეულს უდრის. ბედენში ჭილოფის აღმოჩენამ იმ დასკვნამდე მივვიყვანა, რომ საფეიქრო საქმიანობაში ხის ლაფნის გამოყენებას ისევე უძველესი ისტორია აქვს, როგორც მცენარეული, თუ ცხოველური წარმოშობის ბოჭკოების გამოყენებას. უფრო მეტიც, შესაძლოა ქსოვილში ლაფნის გამოყენებას გაცილებით უფრო დიდი ხნის ისტორია ჰქონდეს, ვიდრე, მაგალითად, მატყლის გამოყენებას, რომელიც არქეოლოგიური მასალებითა და სხვა წყაროებით ერთ-ერთი უძველესი საფეიქრო ბოჭკოა საქართველოში.

№ 6-ა ნიმუში: ნართი, რომელიც მრავალწვერადაა დაორფებული და დაგრეხილი, საოჯახო თოკს მოგვაგონებს, ნართი აბურდულია და იმდენად უთანაბრო სიმსხოსია, რომ ზოგან 1 ნომერია, ზოგან დაახლოებით 2. დაგრეხილ ნართში ასეთი მკვეთრი უთანაბრობა მიწისქვეშა ბუნებრივი მოვლენების ზეგავლენით უნდა იყოს გამოწვეული; ეს რომ ცუდი ოსტატობის შედეგი იყოს, ქსოვილებისათვისაც დამახასიათებელი იქნებოდა უსათუოდ. ნართი ზოგიერთ ადგილას გაკვანძულია და ზოგან — სწორი, რის გამოც ვასკვნით, რომ იგი სპეციალურადაა დაგრეხილი მიცვალებულის ზედა ტანსაცმელის გასაწყობად — დაახლოებით ისე, როგორც ფშავლები და ხევსურები უკანასკნელ დრომდე აწყობდნენ თვითნამზადი ქსოვილისაგან შეკერილ მამაპაპური ფასონის ზედა ტანსაცმელს. ნართი ისე კარგადაა შენახული, რომ ორგანოლეპტური დაკვირვებაც საკმარისია ბოჭკოს სახეობის დასადგენად, მაგრამ ნიმუში მაინც შევისწავლეთ ლაბორატორიულად და ჩვენი შეხედულება ამ ნიმუშის შესახებ სავსებით დადასტურდა — იგი მართლაც მატყლისა აღმოჩნდა.

№ 6-ბ ნიმუში: ქსოვილის პატარა ნიმუში მოქსოვილია მატყლის ნართისაგან, რომელიც საშუალოდ 6-8 ნომერია. ქსოვილი არაა მჭიდროდ ნაქსოვი და ამავე დროს ხლართში ჩაბმული ორივე სისტემის ძაფები ერთმანეთის მიმართ იმდენად სწორადაა განლაგებული, რომ გაურკვეველია, რომელი ქსელისაა და რომელი მისაქსელის.

ქსოვილის მეტისმეტი დაბალი სიმჭიდროვე გამოწვეულია საფეიქრო ნედლეულის (კერძოდ მატყლის) ეკონომიით. ქსოვილის ეს ნაშთი შეიძლება სამარხში პატრონის გვერდით დაკრძალული მონის ზედა ტანსაცმლის ნაფლეთი იყოს.

№ 7-ა ნიმუში: თოკი დაგრეხილია ორ წვერად, თითოეული მათგანი კი რამდენიმე ელემენტალური ნართისაგანაა შეგრეხილი. თოკში ნახმარია ერთი და იმავე შემადგენლობისა და სიმსხოს ნართი, რომელიც დაახლოებით 8-10 ნომერია. თოკი დამზადებულია ისეთივე წესით, როგორითაც ხელოსნები ამჟამადაც ამზადებენ კუსტარულ წარმოებაში. ასე რომ, თოკის კუსტარული საგრეხი მოწყობილობა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ჩვენს წინაპრებს უძველეს დროში გამოუგონებიათ. თოკი მატყლის ნართისაგანაა დამზადებული, რასაც იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ იგი სპეციალური დანიშნულებისათვის უნდა ყოფილიყო გამიზნული, წინააღმდეგ შემთხვევაში მის დასაგრეხად რომელიმე იაფფასიან ბოჭკოს გამოიყენებდნენ.

სულხან-საბა ორბელიანი ასეთი სახის ნაკეთობას ლაროს ანუ კალატოზის ბაწარს უწოდებს, ავტორი ამ უკანასკნელს საბელის განმარტებისას უფრო ახუსტებს და აღნიშნავს, რომ საბელი „ზოგადი სახელი არს ყოველთა შეგრეხილთა: მკედის უსხოთა და გრძელთა ეწოდების ხეზი, ხეზისა უსხოთა ბაწარი. ხოლო ლაროჲ ხეზისა მსგავსი არს"...

ამგვარად, ჩვენი აზრით, ლაროჲ მატყლის ბოჭკოსაგან დამზადებული იმიტომ იყო, რომ იგი კალატოზის ერთ-ერთ აუცილებელ ხელსაწყოს წარმოადგენდა. ხელოსანი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს ქვითკირის შენებას ახმარდა, ცხადია ლაროს დასაგრეხად მატყლს არ დაინანებდა, მით უმეტეს, რომ მატყლის ლაროჲ ბამბის ან სხვა რომელიმე ბუნებრივი ბოჭკოს ლაროსაგან განსხვავებით გაცილებით დიდხანს გაძლებდა.

№ 7-ბ ნიმუში: ქსოვილი დამზადებულია ტილოსებური გადახლართვით. სიმჭიდროვე ყოველ 10 სმ-ში ქსელის მიმართულებით არის 40, ხოლო მისაქსელის მიმართულებით — 70. ქსელის ნართი დაგრეხილია და საშუალოდ 8/2, 10/2 ნომერია. ქსოვილი მთლიანად გაჟღენთილია ფისისებური შავი მასით, რაც მიწაში ხანგრძლივად ყოფნითაა გამოწვეული. ამას ისიც ადასტურებს, რომ ნართი მრგვალი კი აღარაა, როგორც ეს საერთოდ მას ახასიათებს, არამედ პურეულის გაჭყლეტილი ღეროს მსგავსია, რაც ბოჭკოებთან მრავალნაირი მინარევის შედუღაბებითაა გამოწვეული. ნართი, ერთი შეხედვით, რომელიღაც ხის ლაფნისაგან მოქსოვილი გეგონებათ, მაგრამ, როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ბოჭკო მატყლისაა. აღსანიშნავია, რომ ყველა სხვა ქსოვილისაგან განსხვავებით, ამ ქსოვილში მისაქსელის ნართის ნომერი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ქსელისა. ასევე განხილულ ქსოვილთა შორის აღნიშნული ფრაგმენტი ერთადერთია, რომელშიც მისაქსელად ცალფა ნართია გამოყენებული. ორწვერად დაგრეხილი ქსელის ნართისა და ცალფა მისაქსელის ურთიერთშერწყმა გამოწვეულია ქსოვილის პირისათვის სასურველი ეფექტის მისაცემად. იბადება კითხვა: მისაქსელად რატომაა გამოყენებული ქსელზე გაცილებით უფრო მაღალი ნომრის ნართი? ეს ხომ შრომის ნაყოფიერებაზე უარყოფით გავლენას ახდენს? პასუხი ერთია: ფეიქარ-მქსოველს, რომელსაც ორფად შეგრეხილი და ცალფა ნართის ურთიერთგადახლართვით ქსოვილის შექმნა სურდა, ცალფა ნართის გამოყენება მხოლოდ მისაქსელში შეეძლო, ვინაიდან იმ დროს ნართისათვის სიმაგრის მოსამატებლად გახამება არ იცოდნენ და ქსელში რომ დაგრეხილი ნართი არ ეხმარათ, დიდი წყვეტანობის გამო ქსოვილს ვერ მოქსოვდნენ. ქსოვილში ორწვერად დაგრეხილი ქსელისა და ცალფა მისაქსელის ნართის გადახლართვის ასეთი კომბინაცია მქსოველ ფეიქართა უდიდესი გამოცდილების შედეგია.

№ 8 ნიმუში: ქსოვილის საკმაოდ დიდი ზომის ნაშთში, რომელიც გარნიტურული გადახლართვითა მიღებული, გამოყენებულია ხის ლაფნის ლენტები; ქსოვილი ორივე მხარეს გაურკვეველი შემადგენლობის მინერალური ნალექების გაქვავებული მასითაა დაფარული. ამ ნაშთს ერთ მხარეს ნახევარწრის მოყვანილობა აქვს და თუ მის პირველადს ფორმას გონებაში აღვადგენთ, მზის ქუდის შთაბეჭდილებას ტოვებს. ქუდის ქსოვის დროს ნახმარია ლაფნის „ლენტი", დაახლოებით ისეთი, როგორსაც ამჟამად ქართველი მევენახეები ვაზის აკვრის დროს ხმარობენ. ქსელში გამოყენებული ლაფნის „ლენტი" ორჯერ აღემატება მისაქსელში გამოყენებული „ლენტის" სისქესა და სიფართეს. ქუდში მისაქსელად გამოყენებული ლაფნის „ლენტი"

და ზემოგანხილული ჭილოფის მასალა, დამზადების თვალსაზრისით, ზუსტად ერთნაირია, რაც ადასტურებს, რომ ისინი ერთ პირს მოუქსოვია. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჭილოფი ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზეა მოქსოვილი, ხოლო „მზის ქუდი" — ხელით. „მზის ქუდში" ქსელის მიმართულებით უფრო სქელი და ფართო ლაფნის „ლენტი" ნახმარია ბრტყელი ნაწილისათვის, ანუ ფარფლისათვის გარკვეული სიმაგრის მისანიჭებლად, რაც სახის საჩრდილებლადაა აუცილებელი.

„მზის ქუდის" დამზადების ასეთი წესი საქართველოს ზოგიერთ მიკრორაიონში ახლაცაა შემორჩენილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასალად პურეულის ღეროებს იყენებენ და არა რომელიმე ხის ლაფნისაგან დამზადებულ „ლენტებს".

№ 9 ნიმუში: ქსოვილის პატარა ნაშთი მოქსოვილია ხის ლაფნისაგან ტილოსებური ხლართით და იგი როგორც ქსელის, ისე მისაქსელის მიმართულებით იმდენად მტკიცე და თანაბარი სიმჭიდროვისაა, რომ ერთი შეხედვით მატყლის დაბალი ნომრის ნართით მოქსოვილი გეგონებათ. ძაფად გამოყენებულია ხის ლაფანი, რომელსაც დაახლოებით 3 ნომრის ნართის დიამეტრის სიფართე აქვს; მრგვალი რომ იყოს, მის გამოსაცნობად ლაბორატორიული ანალიზი დაგვჭირდებოდა.

ამრიგად, ბედენში მოპოვებული საფეიქრო ნაწარმის საქონელმცოდნეობრივი ანალიზით დასტურდება, რომ ქართველი ფეიქრები ჯერ კიდევ 4.000 წლის წინათ:

ა) ქსოვილების დამზადების დროს ეფექტურობის თვალსაზრისით ქსელში და მისაქსელში სხვადასხვა ნომრის ნართს იყენებდნენ;

ბ) საფეიქრო საქონლის წარმოების ძირითად ნედლეულს წარმოადგენდა მატყლი, რომლის თავისებურებასაც ისე კარგად იცნობდნენ, რომ შავი და უხეში ქეჩის მოსათელად იხარჯებოდა, სხვა კი სატანსაცმლე ქსოვილის ან რომელიმე საოჯახო ცალობითი პროდუქციის დასამზადებლად;

გ) მასობრივად ამზადებდნენ როგორც მარტივი, ისე რთული გრეხის ნართს, რომელთაგანაც პირველს ქსოვაში იყენებდნენ, მეორეს ზედა ტანსაცმლის გასაწყობად ან სპეციალური დანიშნულების ბაწრად.

დ) საფეიქრო წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხის ლაფნის გამოყენებას, რომლისაგანაც ჭილოფს, საზაფხულო ქუდსა და სხვა სახის ნაკეთობებს ამზადებდნენ.

ე) საფეიქრო საქმე იმდენად განვითარებული იყო, რომ ქსოვილის სილამაზისათვის წარმატებით იყენებდნენ ბუნებრივ საღებავებს.

ვ) საფეიქრო ბოჭკოებს პრიმიტიულად კი არ ამუშავებდნენ, არამედ საქსოვ-სართავი ტექნიკის საშუალებით, რომლიდანაც აღსანიშნავია თითისტარი, კვირისტავი, მქსოველის სავარცხელი, საქსოვი ყდა და ა. შ.

* * *

მუზეუმში დაცულ სხვა არქეოლოგიურ ქსოვილთა შორის საინტერესოა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლის გ. შატბერაშვილის მიერ საანალიზოდ გადმოცემული ქსოვილი, რომელიც მეტეხის აგურის ქარხნის კარიერზე (№5 ყორღანი) ბრინჯაოს სარკის ფრაგმენტთან ერთად აღმოჩენილა და ამჟამად მუზეუმშია დაცული.

6. „მაცნე", 1969, № 4

ქსოვილი, რომელიც ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებს განეკუთვნება, დამზადებულია უჩვეულოდ მაღალი ნომრის ნართისაგან, ტილოსებური გადახლართვით, რომლის სიმჭიდროვე 10 სმ-ში ქსელის მიმართულებით 190-ია, ხოლო მისაქსელის მიმართულებით 160. ბოჭკო იმდენად კარგადაა გადარჩენილი — ორგანოლეპტური ანალიზითაც (წვის პროცესზე დაკვირვებითა და ნამწვის სუნის შეგრძნობით) ნათლად დასტურდება, რომ იგი მცენარეული წარმოშობისაა. მიუხედავად ამისა ქსოვილი, ყოველმხრივ შესწავლის მიზნით, ლაბორატორიულად იქნა გამოკვლეული და დადგინდა, რომ იგი დამზადებულია ორწვერად შეგრეხილი № 60 სელის ნართისაგან.

იმ ეპოქაში, რომელშიც აღნიშნული ქსოვილი დამზადდა, საფეიქრო საქმიანობაში სელის ბოჭკო ფართოდ იყო გამოყენებული, რაც სხვა არქეოლოგიური მასალებითა და მეცნიერული წყაროებითაც დასტურდება; მაგრამ ჩვენს მიერ განხილულმა ქსოვილმა ნართის მეტისმეტი სიწმინდით იმდენად გაგვაოცა, რომ საცდელ ლაბორატორიაში ერთხელ განსაზღვრული ნართის ნომრის სისწორე რამდენიმეჯერ გადავამოწმეთ.

მაშინ, როცა საქართველოში, მკვლევართა აზრით, აბრეშუმი და მისი დამუშავების ტექნოლოგია ცნობილი არ იყო, სელის ბოჭკოსაგან № 60 ნართის მიღება და მისგან საზაფხულო სატანსაცმლე ან სხვა დანიშნულების ქსოვილის წარმოება საფეიქრო საქმიანობის განვითარების უჩვეულოდ მაღალი დონის მაჩვენებელია.

Проф. Д. Г. Капанадзе обращает внимание на странный анахронизм — появление европейской даты 1781 на монетах Ираклия II с изображением русского герба и параллельной датой по хиджре не ранее 1786—1787 годов, но переговоры между грузинским и русским правительствами в это время были в начальной стадии, а Георгиевский трактат заключен лишь в 1783 году. Это можно было бы объяснить незнакомством грузинских мастеров с европейскими цифрами и смешением цифр 1 и 7, но та же дата с именем Ираклия на пробной монете, чеканенной в Екатеринбурге, исключает это предположение и приводит к мысли, что новый монетный тип был разработан в России задолго до заключения трактата.

Последний выпуск этой монеты отличается тем, что изображение двуглавого орла сменяется изображением одноглавого орла (таб. I, рис. 6).

В 1801 году, после присоединения Восточной Грузии к Российской империи, тбилисский монетный двор был ликвидирован. Однако, в самом скором времени возникла необходимость восстановления его деятельности. Денежные знаки, особенно их мелкие номиналы, поступали в Грузию с задержкой, что вызывало большие неудобства[34]. С 1804 года Тбилисский монетный двор приступил к выпуску так называемых русско-грузинских монет, чеканившихся вплоть до 1834 года. Этим монетам в ближайшее время будет посвящена специальная работа и потому мы воздерживаемся здесь от их разбора.

[34] Д. Г. Капанадзе, указанное сочинение, стр. 132.

Из нумизматических фактов, освещающих русско-грузинские отношения, особого внимания заслуживает медаль, выпущенная в ознаменование подписания трактата в 1783 году и вручения императрицей Екатериной II царских регалий Ираклию II.

Медь, инвен. № 29, вес 210,7 гр., размер 80 мм.

Лиц. ст. — Бюст императрицы Екатерины II в профиль вправо с круговой надписью: «б. м. Екатерина II императ. и самодерж. всероссийс.

Об. ст. — Постамент с регалиями: короной, мантией, щитом и мечом. Сверху, на краю девиз: «вере и верности», на щите — вензель Екатерины II и мелким шрифтом: «ц-р Ираклию 1783». Снизу — та же дата.

Таковы в общих чертах нумизматические факты, скупо, но содержательно характеризующие русско-грузинские отношения.

როინ ქუტიძე

მწარმოებლურ ძალთა გაადგილების, შრომითი რესურსების დაგეგმვისა და რაციონალური გამოყენების ზოგიერთი აქტუალური საკითხი

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს სსრ იქცა ერთ-ერთ მოწინავე, მაღალგანვითარებული მრეწველობის მქონე, სოციალისტურ რესპუბლიკად.

რევოლუციამდელი საქართველოს სახალხო მეურნეობა, მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, მდიდარი ენერგეტიკული და მინერალური რესურსებისა, უკიდურესად ჩამორჩენილი იყო. საწარმოთა მხოლოდ 13%-ს ჰქონდა მექანიკური ძრავები, რომელთა საერთო სიმძლავრე 20 ათას ცხენის ძალას არ აჭარბებდა; საშუალოდ თითოეულ საწარმოზე ძრავების საშუალო სიმძლავრე 74 ცხენის ძალას არ აღემატებოდა; ფაბრიკებისა და ქარხნების დაახლოებით 83%-ში მუშების რიცხვი ხუთამდე იყო; სამრეწველო საწარმოების ორი მესამედი სისტემატურად ცდებოდა უმოქმედოდ მანქანადანადგარების გაუმართავობის გამო[1].

პირველი მსოფლიო ომის წინ, 1913 წელს, საქართველოში ქვანახშირის მოპოვება 70 ათას ტ-ს შეადგენდა, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება— 20 მლნ კვტ საათს; ჩასახვის მდგომარეობაში იყო მანქანათმშენებლობა[2].

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გეგმების რეალიზაციისათვის დაძაბული შრომის შედეგად რესპუბლიკაში შეიქმნა თანამედროვე მაღალგანვითარებული მრეწველობა. 1966 წ-ს მრეწველობის საერთო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით 61,2-ჯერ გაიზარდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, გარდა იმისა, რომ განუხრელად იზრდებოდა ტყიბულის ქვანახშირის ძველ საბადოში მადნის მოპოვება, აშენდა ქვანახშირის ახალი შახტები ტყვარჩელსა და ახალციხეში. ქვანახშირის მოპოვებამ 1966 წ-ს 37-ჯერ გადააჭარბა 1913 წ-ის დონეს.

იაფი ელექტროენერგიისა და მარგანეცის მადნის უდიდესი მარაგის ბაზაზე ზესტაფონში აშენდა ფეროშენადნობთა მძლავრი ქარხანა. შეიქმნა მსხვილი მეტალურგიული ბაზა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სახით; ელექტროსადგურების მთლიანი სიმძლავრე 1966 წ-ს შეადგენდა 1,6 მლნ კილოვატს, ხოლო წარმოებული ელექტროენერგია — 6,5 მილიარდ კილოვატ-საათს. ეს მონაცემები 1913 წელთან შედარებით შესაბამისად 198 და 325-ჯერ მეტია.

შექმნილია მსხვილი მანქანათსამშენებლო მრეწველობა, რომელიც უშვებს სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სატვირთო ავტომობილებს, მაგისტრა-

[1] Г. Чоговадзе, «Свет октября над Грузией» («Экономическая газета» № 42, октябрь 1967 г.).

[2] «Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской социалистической революции», ЦСУ Грузинской ССР, Тб., стр. 49.

ლურ ელმავლებს, ლითონმჭრელ ჩარხებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ელექტროტექნიკურ დანადგარებსა და სხვ. რესპუბლიკაში დიდად განვითარდა სამშენებლო მასალათა, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა.

ხუთწლედების განმავლობაში საქართველოში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 1000-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

მრეწველობის საერთო პროდუქცია 1966 წელს 6-ჯერ გაიზარდა 1940 წელთან შედარებით, ხოლო უმნიშვნელოვანესი დარგების მიხედვით, ზრდის ტემპები კიდევ უფრო მაღალი იყო. ასე მაგალითად, მანქანათმშენებლობის საერთო პროდუქცია ამავე პერიოდში გაიზარდა 26,4-ჯერ, საშენ მასალათა მრეწველობისა — 16,6-ჯერ და შავი მეტალურგიისა — 11-ჯერ.

მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის კვალობაზე სისტემატურად იზრდებოდა ელექტროენერგიის მოხმარებაც. მაგალითად, თუ 1940 წ-ს ელექტროენერგიის მოხმარება მრეწველობაში შეადგენდა 465,8 მლნ კილოვატ-საათს, 1965 წელს მან 3493,8 მლნ კილოვატ-საათი შეადგინა ე. ი. 7,5-ჯერ გაიზარდა[3].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თუ მთლიანად საბჭოთა კავშირში ელექტროენერგიის გამომუშავება 1966 წლისათვის 272-ჯერ[4] გაიზარდა 1913 წელთან შედარებით, საქართველოში ამ მაჩვენებელმა 325-ს მიაღწია[5].

ელექტროენერგეტიკის განვითარების საფუძველზე რესპუბლიკაში შეიქმნა მთელი რიგი ენერგოტევადი წარმოებები, ისეთები, როგორიცაა ზესტაფონის ფეროშენადნობთა, რუსთავის მეტალურგიული და აზოტ-სასუქების ქარხნები და სხვ. გარდა ამისა, მისმა განვითარებამ რეალური ბაზა შეუქმნა ამიერკავკასიის რკინიგზის უბანთა სრულ ელექტროფიკაციას; 1967 წლის ნოემბერში, როცა ბორჯომ-ვალეს უბნის ელექტროფიკაცია დამთავრდა, საქართველოს სსრ ფარგლებში რკინიგზა მთლიანად იქნა გადაყვანილი ელექტრულ წევაზე.

ელექტროენერგეტიკის განვითარებასთან ერთად, ფართო მასშტაბით ხორციელდებოდა წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, რაც განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობდა უკანასკნელ პერიოდში (იხ. 1 ცხრილის მონაცემები);

ე. ი. ნაკადური ხაზების 62,5%, მექანიზებულ-ნაკადურის — 70,3 და ავტომატური ხაზების — 59,5 პროცენტი გასულ შვიდწლედში გადაეცა საექსპლოტაციოდ.

საქართველოს სსრ ცსს-ს მონაცემებით, სახალხო მეურნეობაში 82 საწარმო ძირითადი წარმოების მიხედვით არის კომპლექსურად მექანიზებული, ხოლო 4 საწარმო კომპლექსურ-მექანიზებულია, 7 ავტომატიზებული და 4 მთლიანად კომპლექსურ-ავტომატიზებულია.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში რესპუბლიკის მოსახლეობა თითქმის ორჯერ გაიზარდა; რესპუბლიკის მეურნეობრივი და კულტურული განვითარების, განსაკუთრებით მისი ინდუსტრიალიზაციის პროცესის კვალდაკვალ

3 «Советская Грузия к 50-летию ...», стр. 54—56.
4 «Страна Советов за 50 лет», изд. Статистика, М., 1967, стр. 53.
5 «Советская Грузия к 50-летию» ... стр. 49.

იცვლებოდა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის თანაფარდობა—ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში. 1967 წლის დასაწყისისათვის ქალაქის მოსახლეობამ 2410 ათას კაცს, ანუ 48%-ს მიაღწია, მაშინ, როცა 1921 წელს ქალაქებში მთელი მოსახლეობის მხოლოდ 20% ცხოვრობდა.

ცხრილი 1

საქართველოს სსრ მრეწველობაში ნაკადური, მექანიზებულ-ნაკადური და ავტომატური ხაზების რაოდენობა

	ნაკადური ხაზები	მექანიზებულ-ნაკადური ხაზები	ავტომატიზებული ხაზები
ფაქტიურად იყო (1/VII-1965 წ).	327	628	62
დამონტაჟდა 1955-58 წწ-ში	101	145	17
დამონტაჟდა 1959-65 წწ-ში	205	441	37
მანქანათაშენებლო და ლითონდამმუშავებელ მრეწველობაში	132	42	2
მსუბუქ მრეწველობაში	72	114	2
კვების მრეწველობაში	85	354	40

მოსახლეობის შემადგენლობის ცვლილებასთან ერთად მკვეთრად იზრდებოდა მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალი, რაც განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობდა უკანასკნელ წლებში, როცა საქართველოში მრეწველობის ახალი დარგები აღმოცენდა; უკანასკნელი 16 წლის მანძილზე მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის რაოდენობა თითქმის 2-ჯერ გაიზარდა, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაოდენობა კი — 2,25-ჯერ.

ტექნიკურმა პროგრესმა მრეწველობის ზოგიერთ დარგში მუშათა პროფესიული შედგენილობის ძირეული ცვლილებები გამოიწვია. კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვამ მკვეთრად გაზარდა მექანიზებული შრომით დაკავებული მუშების რაოდენობა. მუშათა პროფესიული შედგენილობის უკანასკნელი აღწერის მონაცემთა საფუძველზე, 1965 წლის ბოლოს მექანიზმებზე და მანქანებზე, აგრეთვე ავტომატების მეთვალყურეობაზე დასაქმებულ მუშათა ხვედრითმა წილმა მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა საერთო რაოდენობის 41%-ს მიაღწია.

მწარმოებლური ძალების ზრდის, მეცნიერების წარმატებებისა და ტექნიკური პროგრესის შედეგად იცვლება შრომითი რესურსების პროფესიული შემადგენლობა. 1966 წლის ბოლოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შრომობდა 264,4 ათასი სპეციალისტი, რაც 4-ჯერ აღემატება 1941 წ-ს დასაქმებულ სპეციალისტების რაოდენობას. აქედან 148,6 ათას კაცს უმაღლესი განათლება ჰქონდა[7].

1928—1966 წწ-ში გამოშვებულ სპეციალისტთაგან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებული იყო მრეწველობაში, დაახლოებით 182 ათასს ჰქონდა უმაღლესი განათლება და 230 ათასზე მეტს კი საშუალო სპეციალური განათლება; მხოლოდ უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე მრეწველობაში

6 «Советская Грузия к 50-летию ....» стр. 69.

7 იქვე, გვ. 59, 194.

დასაქმებულ სპეციალისტთა რაოდენობა 46%-ით გაიზარდა. მათ შორის უმაღლესი განათლების მქონეთა — 36%-ით[8].

მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის რაოდენობის ცვლილება ძირითადად მიმდინარეობდა მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების — შავი მეტალურგიის, ელექტრო და თბოენერგიის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი, ქიმიური, სამშენ მასალათა, მსუბუქი და კვების მრეწველობის სწრაფი ზრდის კვალობაზე, ამასთან იზრდებოდა ისეთ კვალიფიციურ მუშაკთა რაოდენობა, როგორიც არიან მეტალურგები, მეტალისტები, ენერგეტიკოსები, ქიმიკოსები და სხვ.

ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს შრომის მწარმოებლურობის ზრდა. უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში შრომის მწარმოებლურობა მრეწველობაში 2,5-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. (იხ. მე-2 ცხრილის მონაცემები).

ცხრილი 2

შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები მრეწველობაში[9]

წლები	შრომის მწარმოებლურობა (საერთო პროდუქციის გამომუშავება)	
	ერთ მომუშავეზე	ერთ მუშაზე
	პროცენტებში 1940 წელთან	
1945	84	91
1950	118	117
1953	140	113
1955	160	151
1958	187	175
1960	197	184
1961	205	191
1962	221	205
1963	222	207
1964	225	209
1965	239	222
1966	254	
	პროცენტებში 1958 წელთან	
1959	105	105
1960	110	109
1961	118	117
1962	119	118
1963	120	119
1964	128	127

შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპების ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის განვითარებამ, რის შედეგადაც საგრძნობლად ამაღლდა მრეწველობაში შრომის ელექტროაღჭურვილობა. მე-3 ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში შრომის ელექტროაღჭურვილობის დიდი ზრდა მიღწეულია ქიმიურ, სამშენებლო მასალების მრეწველობაში, შავსა და ფერად მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში და სხვა დარგებში (იხ. ცხრილი 3).

8 მონაცემები აღებულია საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოდან.

9 Промышленность Грузинской ССР, ЦСУ ГССР, Тб., стр. 105; «Советская Грузия к 50-летию», стр. 62.

ცხრილი 3

შრომის ელექტროაღჭურვილობის ზრდის ტემპები მრეწველობაში პროცენტობით 1955 წელთან შედარებით[10]

	1960	1965
მთელი მრეწველობა	140	175
მათ რიცხვში:		
შავი მეტალურგია	141	173
ფერადი მეტალურგია	94	165
სათბობის მრეწველობა	116	175
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	118	151
ქიმიური მრეწველობა	910	85
ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობა	91	144
სამშენებლო მასალების მრეწველობა	166	197
შუშისა და ფაიფურ-ქაშანურის მრეწველობა	180	172
მსუბუქი მრეწველობა	122	133
კვების მრეწველობა	99,9	137

მე-4 ცხრილის მონაცემები ასახავს იმ მჭიდრო ურთიერთკავშირს, რაც საქართველოს სსრ მრეწველობაში ელექტროაღჭურვილობისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს შორის არსებობს. (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

შრომის ელექტროაღჭურვილობისა და მწარმოებლურობის ზრდის ტემპების შეფარდება მრეწველობაში[11]

	1958	1960	1961	1962	1963	1964	1965
შრომის ელექტროაღჭურვილობა	1	1,1	1,2	1,2	1,2	1,3	1,4
შრომის მწარმოებლურობა	1	1,1	1,1	1,2	1,2	1,2	1,3

მიღწეულ წარმატებებზე ნათლად მეტყველებს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მრეწველობის პროდუქციის მონაცემები (იხ. ცხრილი 5).

ჩვენი რესპუბლიკა თუჯისა და ფოლადის წარმოებით ამჟამად უსწრებს იტალიას, ნახშირის წარმოებით — იაპონიასა და იტალიას, მინერალური სასუქებით — ინგლისსა და იაპონიას, ტყავის ფეხსაცმლის წარმოებით — იტალიას.

მიმდინარე ხუთწლედში საქართველოს სსრ მრეწველური წარმოების ზრდის ტემპები უფრო მაღალი იქნება, ვიდრე წინა წლებში. საერთო პროდუქციის მატების საშუალო წლიური მაჩვენებელი იქნება 9,7%-ი, ნაცვლად გასული შვიდწლედის 7,9%-ისა. მრეწველური პროდუქციის წარმოების მოცულობა დაახლოებით 1,6-ჯერ გაიზრდება. სწრაფად განვითარდება ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა (მათ შორის ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობა), ქიმიური მრეწველობა და სხვ.[12].

მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ფართოდ გამოყენების საფუძველზე გაუმჯობესდება ენერგეტიკული ბალანსი. ელექტროენერგიის გამომუშავება 1,9-ჯერ გაიზრდება, რაც მტკიცე ელექტროენერგეტიკულ ბაზას შეუქმნის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებას.

10—11 ცხრილები შედგენილია საქართველოს სსრ ცსს-ის მონაცემების მიხედვით.

12 «СССР в новой пятилетке» Справочник, М., 1966, стр. 179—180.

ცხრილი 5

მრეწველობის პროდუქციის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე 1940—1965 წწ-ში[13]

	ზომის ერთეული	1940 წ.	1965 წ.
თუჯი	კგ	—	161
ფოლადი	„	0,1	302
შავი ლითონის ნაგლინი	„	—	220
ნახშირი	„	171	581
ელექტროენერგია	კვტ/სთ	203	1338
მინერალური სასუქები	კგ	—	97
ცემენტი	„	32	305
ბამბაეულის ქსოვილები	გრძივი მეტრი	0,1	13
შალის ქსოვილები	„ „	0,5	0,8
აბრეშუმის ქსოვილები	„ „	1,4	4,6
ტყავის ფეხსაცმელი	წყვილი	2,4	2,5

გარდა ამისა, დასახულია სატვირთო ავტომობილების, მაგისტრალური ელმავლების, კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ გაწყობილობათა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მანქანებისა და აგრეგატების, ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისა და რეგულარების სხვადასხვა ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებებისა და სხვათა წარმოების მაღალი ტემპებით განვითარება.

თბილისში უნდა დამთავრდეს მმართველი მათემატიკური მანქანების ქარხნის მშენებლობა; დამთავრდება ნახშირის ახალი შახტების მშენებლობა ტყვარჩელსა და ტყიბულში; მთავრდება სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა მადნეულში. აქ აღმოჩენილი სპილენძის, თუთიისა და ბარიტის მდიდარი საბადოები მყარ საფუძველს შეუქმნის ფერადი მეტალურგიის შემდგომ განვითარებას; მსუბუქ მრეწველობაში წარმოება 1,6-ჯერ გაიზრდება, აშენდება ტრიკოტაჟის ფაბრიკები თბილისში, ცხინვალსა და ქუთაისში; კვების მრეწველობას შეემატება ჩაის ფოთლის 9 გადასამუშავებელი ფაბრიკა; ღვინომასალების წარმოება გაიზრდება 1,5-ჯერ, ხილ-ბოსტნეულის კონსერვებისა — 2,5-ჯერ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების გონივრულ სპეციალიზაციას, მწარმოებლურ ძალთა გაადგილების რაციონალურ დაგეგმვას რესპუბლიკის ტერიტორიის მიხედვით.

სკკპ პროგრამაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მრეწველობის რაციონალურ გაადგილებას. პროგრამაში მითითებულია, რომ მრეწველობის რაციონალური გაადგილება „...უზრუნველყოფს საზოგადოებრივი შრომის ეკონომიას, რაიონების კომპლექსურ განვითარებას და მათი მეურნეობების სპეციალიზაციას, თავიდან აგვაცილებს მოსახლეობის მეტისმეტ სიმჭიდროვეს დიდ ქალაქებში, დაგვეხმარება იმაში, რომ დავძლიოთ არსებითი განსხ-

13 ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ ცსს-ის მონაცემების მიხედვით.

ვაებანი ქალაქსა და სოფელს შორის, შემდგომ გავათანაბროთ ჩვენი ქვეყნის რაიონების ეკონომიური განვითარების დონე"[14].

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ რესპუბლიკის ცალკეული ეკონომიური რაიონების განვითარებას, დავინახავთ, რომ მწარმოებლური ძალები საქართველოს სსრ-ში არათანაბარზომიერად არის გაადგილებული. ამის მიზეზია, ერთი მხრივ, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების თავისებურება და, მეორე მხრივ, ელექტრომომარაგების უთანაბრობა და არასწორი დაგეგმვა ცალკეული რაიონების მიხედვით. მაგალითად, უკანასკნელ დრომდე კახეთის რაიონები (გურჯაანი, თელავი, სიღნაღი, წითელი წყარო, საგარეჯო) არ იყვნენ ჩართული რაიონულ ელექტროსადგურთა ქსელში. მთელ კახეთზე მოდიოდა ერთი 5 ათასი კვტ. სიმძლავრის ჰიდროსადგური, რომელიც იზოლირებულად მუშაობდა და ვერ აკმაყოფილებდა ამ რაიონების მინიმალურ მოთხოვნილებებსაც კი. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სამხრეთ საქართველოშიც — ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, მარნეულის, დმანისისა და სხვა რაიონებში.

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთში, რომლის მოსახლეობაც რესპუბლიკის მოსახლეობის დაახლოებით 10%-ს შეადგენს, თითქმის არ არის არც ერთი ინდუსტრიული ტიპის შრომატევადი მრეწველური საწარმო, რომელიც გამოიწვევდა რა მოსახლეობის დასაქმების გაუმჯობესებას, ამასთანავე ხელს შეუწყობდა ნაწილობრივ სეზონურობის აღმოფხვრას — აქ მხოლოდ კვების მრეწველობა განვითარდა.

ასევე არ მოიპოვება სამრეწველო საწარმოები სამხრეთ საქართველოში, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში, რომელთა მოსახლეობა რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 4,5%-ს შეადგენს, თითქმის არავითარი მრეწველური საწარმოო არ გააჩნიათ, აგრეთვე, მთის რაიონებს — ონს, ამბროლაურს, ლენტეხს, მესტიას, დუშეთს, ყაზბეგს, თიანეთს, ქედას, ხულოს, წალკას[15].

პროფ. ა. პრობსტი განიხილავდა რა მრეწველობის გაადგილების საკითხებს პატარა ქალაქებში, სადაც ჭარბი შრომითი რესურსებია და მახლობლად კი არ მოიპოვება სანედლეულო ბაზა, აღნიშნავდა, რომ, ასეთ რაიონებში მიზანშეწონილია გავაადგილოთ შედარებით შრომატევადი დარგები, რომლებიც ნაკლებდაა დამოკიდებული სატრანსპორტო ფაქტორზე და შედარებით მცირე ტონაჟისა და ტრანსპორტაბელურ პროდუქციას აწარმოებენ; ამასთან პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის, სათბობისა და მასალების გადაზიდვისათვის არ მოითხოვენ იმაზე მეტ ხარჯებს, რაც მზა პროდუქციის გადაზიდვას ესაჭიროება[16]. ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება კი შეუძლია მრეწველობის ისეთ დარგებს, როგორიცაა: სამკერვალო და ტრიკოტაჟის, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო, აგრეთვე ქიმიური მრეწველობის ზოგიერთი დარგი.

მრეწველობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გარდუვალია სიძნელეები შრომისუნარიანი მოსახლეობის შრომითი მოწყობის სფეროში, ვინაიდან მსხვილი მრეწველობისა და რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობის დი-

14 სკკპ XXII ყრილობის მასალები — თბ., 1962, გვ. 462.

15 И. С. Микеладзе, Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, стр. 119—120.

16 А. Пробст, «Проблемы перспективного размещения промышленности» — «Вопросы экономики», 1962, № 2, стр. 58.

დი ნაწილი რამდენიმე პუნქტშია თავმოყრილი. ასე, მაგალითად, ქალაქები: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი და სოხუმი 1966 წელს საქართველოს სსრ მთელი სამრეწველო პროდუქციის 53,2%-ს აწარმოებდნენ და რესპუბლიკის სამრეწველო-საწარმოო პერსონალის 49%-იც ამ ქალაქებში იყო დასაქმებული; მარტო თბილისზე მოდიოდა მთელი რესპუბლიკის მრეწველურ-საწარმოო პერსონალის 28,7 პროცენტი[17].

გარკვეულ სიძნელეებს წარმოქმნის ახალგაზრდობის (არასრული საშუალო და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა) შრომითი მოწყობა, რადგან პროფტექნიკურ, საშუალო სპეციალური და უმაღლეს სასწავლებლებში ამ კონტიგენტის მხოლოდ ოცდაათ-ორმოც პროცენტს შეუძლია სწავლის განგრძობა.

მწარმოებლური ძალების ეფექტური განლაგება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის მნიშვნელოვანი პირობაა: — „საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდის ამოცანები მოითხოვენ მწარმოებლურ ძალათა გაადგილების შემდგომ გაუმჯობესებას, — ვკითხულობთ XXIII ყრილობის დირექტივებში, — მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიური რაიონების მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას და სპეციალიზაციას, შრომისუნარიანი მოსახლეობის უფრო სრულად ჩაბმას წარმოებაში. ტერიტორიული დაგეგმვის სწორად შეხამებას სახალხო მეურნეობის მართვის დარგობრივ პრინციპებთან“[18].

ხშირად რესპუბლიკაში ახალ საწარმოთა მშენებლობის ადგილის შერჩევისას ძირითად ფაქტორებად მიიჩნევდნენ არსებული ბუნებრივი სიმდიდრეების ეფექტური გამოყენებისა და ნედლეულთან და მოხმარების რაიონებთან წარმოების მიახლოვების შესაძლებლობას, არსებული შრომითი რესურსების გამოყენების საკითხებს კი ნაკლებად ითვალისწინებდნენ. სწორედ ამის შედეგია ის, რომ რესპუბლიკის ცალკეულ ეკონომიკურ რაიონებს შორის საგრძნობი დისპროპორცია შეიქმნა შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის საქმეში. დიდ ქალაქებში საწარმოთა მეტისმეტმა კონცენტრაციამ გამოიწვია რესპუბლიკის რაიონებში არსებული თავისუფალი შრომითი რესურსების არასრული დასაქმება. პირველ რიგში, სწორედ ეს არის მოსახლეობის პირად დამხმარე და საოჯახო მეურნეობაში დასაქმების მაღალი ხარისხის ძირითადი მიზეზი. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ-ში (12/VII-65) იმ შრომისუნარიან მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც პირად დამხმარე და საოჯახო მეურნეობაშია დასაქმებული 22%-ს შეადგენს; ხოლო ცალკეული ქალაქებისა და რაიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი უფრო მაღალიცაა: აბაშაში იგი აღწევს 44,1%-ს, დმანისში — 40,0, კასპში — 39,9 ყაზბეგში — 37,7, ფოთში — 35,3 ჭიათურაში — 35,0, ყვარელში — 35,0, ლაგოდეხში — 33,3, წულუკიძეში — 30,5, ვანში — 35,5%-ს და სხვ[19].

სამუშაო ძალის ტერიტორიულ განაწილებასა და წარმოების გაადგილებას შორის წარმოქმნილი ნაწილობრივი დისპროპორცია არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებიც ობიექტურად გამომდინარეობს სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერ-პროპორციული განვითარების კანონიდან. ცნობილია,

17 მონაცემები გაანგარიშებული საქართველოს სსრ ცსს-ის მონაცემების მიხედვით.

18 სკკპ XXIII ყრილობის მასალები, თბ., 1966, გვ. 324—325.

19 მონაცემები დამუშავებული საქართველოს სსრ ცსს მონაცემების მიხედვით.

რომ მწარმოებლური ძალების ზრდა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის პროგრესი ფართო შესაძლებლობებს ქმნის სამეურნეო მშენებლობის ახალ რაიონებში მშრომელთა თავისუფალი გადანაცვლებისათვის. მაგრამ საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას ამჟამად არ მიუღწევია ისეთი დონისათვის, რომ საწარმოთა და სამუშაო ძალის გაადგილებას შორის ტერიტორიული დისპროპორციების სავსებით და მთლიანად გადალახვა შესაძლებელი იყოს სამუშაო ძალის ინტენსიური მიგრაციის გზით.

როგორც მრავალი წლის პრაქტიკა გვიჩვენებს, სამუშაო ძალის ტერიტორიული გადანაწილებისა და იმ ადგილებში წარმოების, ტრანსპორტისა და კულტურის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება დიდ ხარჯებს მოითხოვს. დაუსახლებელ ადგილებში არსებული ნორმების შესატყვისი საცხოვრებელი ფართის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების, საბავშვო, სასწავლო და ჯანდაცვის დაწესებულებისა და შესაბამის ნაგებობათა მშენებლობა მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ ერთ მუშაკზე 9 ათას მანეთზე მეტ ხარჯს საჭიროებს. ძნელად მისადგომ ადგილებში ეს დანახარჯები უფრო მეტია. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ოჯახის წევრების გადაყვანასთან დაკავშირებული ხარჯებიც, რაც ძირითადი წარმოების ერთ მუშაკზე დაახლოებით 1000 მანეთს აღწევს. დანახარჯები უფრო მნიშვნელოვანი იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ ამ კატეგორიის მხოლოდ გარკვეული ნაწილი რჩება მუდმივ საცხოვრებლად ახალი მშენებლობის რაიონებში. ამრიგად, ახლად ასათვისებელ რაიონებში გადასახლებისა და აუცილებელ შენობა-ნაგებობათა აშენებისათვის (საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სასწავლო და სხვა დაწესებულებების მოწყობილობა-დანადგარების ღირებულების გარეშე) აუცილებელი მთლიანი დანახარჯები მატერიალური წარმოების ერთ მუშაკზე საშუალოდ 10 ათას მან-ზე მეტს შეადგენს[20].

ამიტომ, ამჟამად ეკონომიკურად მიზანშეწონილია შესაძლებლობის ფარგლებში მთლიანად დავსაქმოთ მოსახლეობა მის თანამედროვე საცხოვრებელ ადგილებში, ხოლო დაუსახლებელ და ნაკლებად დასახლებულ რაიონებში კი მინიმალური რაოდენობით გავითვალისწინოთ მისი გადასახლება იქ არსებული მინერალური, სანედლეულო, სათბობისა და ენერგეტიკული რესურსების ასათვისებლად. სამუშაო ძალის ტერიტორიული გადანაწილება არ შეიძლება საზოგადოებრივ წარმოებაში მისი ჩართვის ერთადერთ ფორმად ვაქციოთ. ის ბუნებრივად უნდა შევუხამოთ შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას თანამედროვე საცხოვრებელ ადგილებში.

სპეციალისტთა გაანგარიშებანი გვიჩვენებს, რომ არსებობს მთელი რიგი დარგები, რომლებიც ეკონომიურად მიზანშეწონილია გავაადგილოთ შრომითი რესურსების კონცენტრაციის რაიონში, ე. ი. მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, სადაც არის საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელი შრომითი რესურსები.

საბჭოთა კავშირის საგეგმო კომიტეტთან არსებული მწარმოებლურ ძალთა შემსწავლელი საბჭოს გაანგარიშებით, ასეთებად უნდა მივიჩნიოთ ის საწარმოები, სადაც ერთ მომუშავეზე წელიწადში იხარჯება შედარებით ცოტა

---

20 «Планирование и экономико-математические методы» — изд. «наука», 1964, стр. 214—215

ნედლეული, სათბობი და ელექტროენერგია, თანაც შედარებით მცირე წონის (5—6 ტონამდე) პროდუქცია მზადდება. ამის შედეგად წარმოების რაიონებში ნედლეულის ტრანსპორტირებისა და მოხმარების რაიონებში მზა პროდუქციის გადაზიდვის ხარჯები მნიშვნელოვნად ნაკლებია იმ ხარჯებზე, რაც დაუსახლებელ ადგილებში სამუშაო ძალის გადასახლებისა და კეთილმოწყობისათვის არის აუცილებელი. პრაქტიკულად ასეთ დარგებს მიეკუთვნება: მანქანათმშენებლობის ზოგიერთი დარგი (ხელსაწყოთსამშენებლო, ელექტროტექნიკური, რადიოტექნიკური მრეწველობა და სხვ.), მსუბუქი მრეწველობა, ქიმიური მრეწველობის ზოგიერთი დარგი (მაგალითად ფარმაცევტული) და სხვ[21].

კონკრეტულ ეკონომიკურ რაიონში საწარმოთა გაადგილების საკითხის გადაჭრა შესაძლებელია შრომითი რესურსების დეტალური ანალიზის საფუძველზე, რომელიც ავლენს გამოუყენებელ შრომით რეზერვებს. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შრომითი რესურსების ბალანსის შედგენა რესპუბლიკის თითოეული ქალაქის, ქალაქის ტიპის დაბებისა და რაიონული ცენტრების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის ფართოდ გაშლა, რომელშიც სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ უკრაინის, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოცდილება; შრომითი რესურსების ბალანსები ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით პირველად დამუშავდა ამიერკავკასიის ეკონომიურ რაიონშიაც, კერძოდ, სომხეთის სსრ-ში[22], ამის გარეშე შეუძლებელია შრომითი რესურსების აღრიცხვის, რეზერვების გამოვლენისა და რაციონალური გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ზოგიერთ ეკონომისტს[23] მიაჩნია, რომ ქალაქებისა და რაიონების შრომითი რესურსების ბალანსი უნდა შედგეს შერჩევითი დაკვირვებების საფუძველზე, ვინაიდან ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულისათვის შრომითი რესურსების ბალანსის შედგენა მეტად შრომატევადი სამუშაოა. ჩვენ გვესმის ის სიძნელეები, რაც რესპუბლიკის მცირე და დიდი ქალაქების შრომითი რესურსების ბალანსების დამუშავებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ პერიოდულად, — ორ-სამ წელიწადში ერთხელ, ასეთი ბალანსების დამუშავება მაინც აუცილებლად მიგვაჩნია, ვინაიდან ამას თვით ცხოვრება გვიკარნახებს, ხოლო სტატისტიკა კი დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენგან; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ ახალ საწარმოთა განლაგების მეცნიერულად დასაბუთებულ დაგეგმვაზე.

მეცნიერთა გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ მრეწველობის ზოგიერთ დარგში — მეტალურგიაში, მძიმე მრეწველობაში, ცემენტის წარმოებაში, ქიმიური მრეწველობის ცალკეულ კომპლექსებსა და ა. შ. შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ძირითად ფაქტორს ტექნოლოგიური დანადგარებისა და, მაშასადამე, თვით საწარმოთა გამსხვილება წარმოადგენს. მაგრამ გადამამუშავებელი მრეწველობის უმეტესი დარგების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებას საწარმოთა გამსხვილების გარეშეც შეიძლება მივაღწიოთ.

---

[21] Планирование и экономико-математические методы, стр. 227.

[22] «Экономическая газета» — № 52, 1967, стр. 23.

[23] «Проблемы экономики труда» — изд. «Экономика», М., 1964. глава 12 (автор В. Д. Манкин).

საქსოვ, ხის დამამუშავებელ, პლასტმასის გადამამუშავებელ და სხვა ანალოგიურ საწარმოებში ახალი, სწრაფი რეჟიმით მომუშავე დანადგარების დანერგვა მაღალ ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს იძლევა საწარმოთა სიდიდის გაზრდის გარეშეც.

მრეწველობის ისეთ დარგებში კი, რომელთა პროდუქცია მრავალი დეტალისაგან შედგება (მანქანათმშენებლობა), საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოს დეტალობრივი და ტექნოლოგიური სპეციალიზაცია, რასაც ყველა მცირე ზომის საწარმოშიც შეიძლება მივაღწიოთ.

ამრიგად, რესპუბლიკის მცირე ქალაქებსა და რაიონებში შეიძლება გადგილებულ იქნეს და ეფექტურად განვითარდეს ასეთი ტიპის, შედარებით მცირე საწარმოები; მაგრამ ამისათვის საჭიროა დაჩქარდეს ამ ქალაქებისა და რაიონებისათვის გამიზნული ვიწროსპეციალიზირებული, მაღალეფექტური, მაგრამ ოპტიმალური საწარმოების სპეციალური პროექტების დამუშავება. ეს საწარმოები შეიძლება წარმოადგენდნენ როგორც დამოუკიდებელ ობიექტებს, ასევე სხვა ქალაქებში გაადგილებულ საწარმოთა ფილიალებსაც.

ასეთი საწარმოების მშენებლობისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქალისა და მამაკაცის შრომის გამოყენების შესაძლებლობათა ანალიზს. რაიონებში, სადაც მსუბუქი მრეწველობაა განვითარებული, მიზანშეწონილია ავაშენოთ ისეთი ახალი ქარხნები, რომლებშიც უპირატესად მამაკაცთა შრომა იქნება გამოყენებული. ქალაქებში, სადაც სამთო-მომპოვებელი დარგებია განვითარებული (ტყიბული, ჭიათურა, ტყვარჩელი და სხვ), უფრო მიზანშეწონილია, პირველ რიგში, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოების აგება ქალთა შრომის გამოსაყენებლად, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ინდუსტრიის განვითარება. ჩვენ მიზნობრივი დანიშნულებით ვიხმარეთ ეს ტერმინი, ვინაიდან ეჭვი არ გვეპარება, რომ უახლოეს წლებში საყოფაცხოვრებო მომსახურება ინდუსტრიის ნამდვილ დარგად გადაიქცევა. და მართლაც, მანქანათმშენებლობის ცალკეული დარგები, რომლებიც საყოფაცხოვრებო დანიშნულების დანადგარებსა და მანქანებს — მაცივრებს, ტელევიზორებს, რადიომიმღებებს, მტვერსასრუტებს, სარეცხ მანქანებსა და სხვ. აწარმოებენ, შეუძლებელია სათანადოდ განვითარდეს და მათი პროდუქცია დაუბრკოლებლად გამოიყენოს მოსახლეობამ, თუ შესაბამისად არ განვითარდა მომსახურების ქსელი, განსაკუთრებით სარემონტო დანიშნულების საწარმოები. ნათქვამი მნიშვნელოვანწილად ეხება ისეთ სარემონტო საწარმოებსაც, როგორიცაა ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის სარემონტოები, სამრეცხაოები, კულინარული ნახევარფაბრიკატების დამამზადებელი საწარმოები და სხვ.

ზემოთ ნათქვამიდან უნდა დავასკვნათ, რომ რესპუბლიკის სადირექტივო და საგეგმო ორგანოებმა სათანადო ღონისძიებანი უნდა მიიღონ იმისათვის, რათა შესაბამისი საპროექტო ორგანიზაციების (როგორც საკავშირო, ასევე რესპუბლიკური დაქვემდებარების) გეგმებში შეტანილ იქნეს დავალებანი უახლოესი 1—2 წლის განმავლობაში მრეწველობის სხვადასხვა დარგის იმ საწარმოთა ტიპობრივი პროექტების დასამუშავებლად, რომლებიც სპეციალურად რესპუბლიკის მცირე ქალაქებსა და რაიონებში უნდა გაადგილდეს.

ასეთი საწარმოების შექმნის შესაძლებლობა და მათი მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა დასტურდება როგორც სოციალისტური, ასევე კაპიტალისტური ქვეყნების პრაქტიკით[24].

მრეწველობის გაადგილების რაციონალიზაცია, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორი, დღითიდღე სულ უფრო და უფრო აქტუალური პრობლემის მნიშვნელობას იძენს. ამიტომ ამა თუ იმ ახალი საწარმოს განლაგებისა და ოპტიმალური სიდიდის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველი უნდა იყოს საზოგადოებრივი წარმოების დანახარჯების შემცირება, მათ რიცხვში ელექტროენერგიის, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობისა და პროდუქტის მომხმარებლამდე დაყვანის ხარჯების შემცირებაც.

უკანასკნელ დრომდე, ასეთი ამოცანები მთელი მოცულობით არ წყდებოდა. ამჟამად საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ძირითადი ფონდების, კაპიტალდაბანდებათა და ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტურობის პრობლემების სამეცნიერო საბჭოსა და საკავშირო აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ შემუშავებულია მრეწველურ საწარმოთა გაადგილების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის ახალი მეთოდიკა, რომელიც საკმაო სისრულით ითვალისწინებს რაიონის სხვადასხვა ბუნებრივ და ეკონომიურ პირობებს. მეთოდიკაში დამუშავებულია მთავარი მეთოდოლოგიური ხერხები, რომლებიც შესაძლებელს ხდის სხვადასხვა ვარიანტში განვიხილოთ საწარმოთა გაადგილება და დეტალურად გავითვალისწინოთ ერთჯერადი და მიმდინარე ხარჯების განსხვავება რაიონების მიხედვით. ამ მეთოდიკის უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი ნიშანი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ იგი რამდენადმე მაინც ასახავს მოცემული რაიონის კომპლექსური განვითარების შესაძლებელ ეკონომიკურ ეფექტს.

რა თქმა უნდა, ეს მეთოდიკაც ვერ ასახავს მთლიანად მრეწველობის ცალკეული დარგების სპეციფიკას, მაგრამ, ამის მიუხედავად, თანამედროვე ეტაპზე მისი გამოყენება შესაძლებელს ხდის თავიდან ავიცილოთ მრავალი შეცდომა, რომელიც ადრე იქნა დაშვებული რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

ჩვენს რესპუბლიკაში, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის განვითარება, თუმცა მთლიანად არა, მაგრამ უპირატესად მაინც ქალაქებისა და რაიონების მიხედვით შრომითი რესურსების სრული დასაქმის თვალსაზრისით, საწარმოთა გაადგილების საკითხების ოპტიმალური გადაწყვეტის მაგალითს წარმოადგენს.

ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობა რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა დარგია, ჯერ კიდევ 1955 წლამდე საქართველოს სსრ-ში პრაქტიკულად არ იყო ელექტროტექნიკური პროდუქციის მწარმოებელი არც ერთი საწარმო.

ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარება საქართველოში დაიწყო 1955 წლიდან, როცა აშენდა დაბალძაბვიანი აპარატურის მწარმოებელი ორი ქარხანა — „ელექტროავტომატი“ და „ელექტროგამშვები“, ხოლო ქარხანა „პლასტმასა“, რომელიც ფართო მოხმარების პროდუქციას ამზადებდა, გა-

---

[24] И. В. Бушмарин, «Использование трудовых ресурсов в США», М., 1967, стр. 202—213.

დაყვანილ იქნა სხვადასხვა პლასტმასის დეტალების წარმოებაზე, ძირითადად ამ ახალი საწარმოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობა სწრაფი ტემპებით იწყებს განვითარებას 1958 წლიდან, როცა საფუძველი ჩაეყარა 15 ახალი ელექტროტექნიკური საწარმოს მშენებლობას. შვიდწლედში ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარების წინგამსწრებმა ტემპმა განაპირობა ამ დარგის ხვედრითი წილის 4-ჯერ ამაღლება. ამჟამად ეს ახალი დარგი აწარმოებს საბჭოთა კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის 2%-ზე მეტს და ამიერკავკასიის 30%-ს; თუ 1958 წელს საქართველოში სულ 4 ელექტროტექნიკური საწარმო იყო, 1965 წლისათვის მათმა რაოდენობამ 23-ს მიაღწია.

ამჟამად რესპუბლიკა აწარმოებს ელექტრონულ მანქანებს, მაგისტრალურ ელმავლებს, ელექტროკარებს, ელექტროშემდუღებელ დანადგარებს, დაბალძაბვიან აპარატურას, საკაბელო ნაწარმს, ელსაიზოლაციო მასალებს, საყოფაცხოვრებო მოწყობილობებს და სხვ.

ახალი დარგის ორგანიზაციისა და შემდგომი დაჩქარებული განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა: 1. საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაურთველი (საოჯახო და პირად დამხმარე მეურნეობებში დასაქმებული) შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობამ; 2. რესპუბლიკაში ინჟინერ-ტექნიკური კადრების მომზადების ფართო ქსელის არსებობამ; 3. რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების სიმრავლემ და მეცნიერ-მუშაკთა დიდმა კონტინგენტმა.

ელექტროტექნიკური მრეწველობა თავისი წარმოების ხასიათით, როგორც წესი, განსხვავდება ინჟინერ-ტექნიკური კადრების სიმრავლით. ასე, მაგალითად, 1961 წელს საქართველოს მთელ მრეწველობაში 1000 მუშაზე 118 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი იყო, ხოლო ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობაში — 185 მუშაკი. 1967 წ-ის დასაწყისისათვის ყოველ 10000 კაცზე მოდიოდა 314 მეცნიერი მუშაკი მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის მასშტაბით მათი რაოდენობა 306-ს არ აღემატებოდა; სამეცნიერო დაწესებულებების რიცხვმა ამ პერიოდისათვის 186-ს მიაღწია[25].

რესპუბლიკაში ახალი ელექტროტექნიკური ქარხნების გაადგილება მწარმოებლური ძალების გაადგილების საერთო მოთხოვნების შესაბამისად და მცირე ქალაქებისა და დასახლებების, აგრეთვე რესპუბლიკის საცხოვრებელი რაიონების ეკონომიკის განვითარების გათვალისწინებით ხორციელდებოდა. ყველაზე შრომატევადი მრეწველობის პროდუქციის მწარმოებელ საწარმოთა ასეთმა გაადგილებამ უზრუნველყო ამ რაიონების ინდუსტრიალიზაციის ხარისხის ამაღლება და ადგილობრივი შრომითი რესურსების უკეთ გამოყენება. ამის შედეგად, ამჟამად საქართველოში მოქმედი ელექტროტექნიკური მრეწველობის 23 ქარხნიდან თბილისში გაადგილებულია მხოლოდ 8, ხოლო დანარჩენი საწარმოები — რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. ყველა ამ გარემოებამ, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ, არა მარტო ელექტროტექნიკური მრეწველობის შექმნას შეუწყო ხელი ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მისი მნიშვნელოვნად მაღალი ტემპების განვითარებასაც.

[25] მონაცემები გაანგარიშებულია: «Советская Грузия к 50-летию... стр. 13—238 «Страна Советов за 50 лет...» стр. 15—283.

შვიდწლედში (1959—1965 წწ.) საქართველოში ელექტროტექნიკური მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვებამ გაუსწრო როგორც რესპუბლიკის მთელი მრეწველობის, ასევე მანქანათმშენებლობის ზრდის ტემპებსაც, რის შედეგადაც ელექტროტექნიკური მრეწველობის საერთო პროდუქციის ხვედრითი წონა მთლიანად მანქანათმშენებლობაში 1965 წელს 1958 წელთან შედარებით 5,4-ჯერ გაიზარდა.

ელექტროტექნიკური მრეწველობის ახალ საწარმოთა უმრავლესობა ორგანიზებულ იქნა არსებული უმოქმედო შენობების ბაზაზე:

ასე, მაგალითად, შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტი“ ორგანიზებულ იქნა ლიკვიდირებული შორაპან-ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი სარკინიგზო ხაზის უმოქმედო დეპოს შენობის ბაზაზე; 1958 წელს ჩამოყალიბებულ „საქკაბელს“ გადაეცა ზესტაფონის ელმავალთა დეპოს დაუმთავრებელი შენობა; ცხინვალის ქარხანა „ემალპროვოდმა“ გამოიყენა ყოფილი მტს-ის შენობა და ტერიტორია; ყოფილი მტს-ის ტერიტორიასა და შენობებში მოთავსდა აგრეთვე, ქარხანა „კასპიელექტროაპარატი“, ბათუმის ქარხანა „ელექტროკარი“ ორგანიზებულ იქნა საზღვაო ნავსადგურის თავისუფალი შენობების ბაზაზე და ა. შ.

შენობების, ნაგებობებისა და ელექტრომოწყობილებების უკეთ გამოყენებით, რენტაბელობისა და დატვირთულობის გაზრდის მიზნით რესპუბლიკის ზოგიერთი ქარხანა გადაყვანილ იქნა ელექტროტექნიკური ნაწარმის წარმოებაზე.

ყოფილი ქარხნების „გორნიაკის“, ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის, „სელხოზმაშინის“, ცხინვალის მექანიკური ქარხნის, „პლასტმასას“ გადასვლის მიზანშეწონილობა მაღაროს ელმავლების, დიდი ელექტროტექნიკური მანქანების, ამწე ძრავების, ელექტროვიბრომანქანების და პლასტმასების დეტალების წარმოებაზე დადასტურებულ იქნა ახალი პროფილით მათი მუშაობის პირველსავე წელს.

გარდა ამისა, ამ საწარმოებში მნიშვნელოვნად გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ხარჯზე და მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მუშათა პროფესიულ შემადგენლობაში, და ეს გასაგებიცაა; ამ საწარმოთა ტექნიკური შეიარაღების მაღალმა დონემ და წარმოებული პროდუქციის სირთულემ მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშა-ხელზე.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები ნათლად გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის მცირე ქალაქებსა და რაიონებში სრული შესაძლებლობა არსებობს მრეწველობის საწარმოთა გაადგილებისა. მხოლოდ, ამისათვის საჭიროა მეცნიერული დასაბუთება, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სწორი გათვალისწინება, სანედლეულო და ენერგეტიკული რესურსების უზრუნველყოფა, სატრანსპორტო კავშირების არსებობა.

ახალი სამშენებლო ობიექტების სწორი გაადგილება უზრუნველყოფს შრომითი რესურსების უფრო რაციონალურ გამოყენებასა და შედარებით მთლიან დასაქმებას მცირე ქალაქებსა და რაიონებში.

კლიმენტი ელიზბარაშვილი

აჭარის ასსრ მრეწველობა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.)

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა)

საბჭოთა ხელისუფლებამდელი აჭარის მრეწველობა აზერბაიჯანული ნავთობის ექსპორტთან იყო დაკავშირებული.

1883 წლის მაისში გაიყვანეს ბაქო-თბილისის რკინიგზა, იმავე წელს დაიწყო რეგულარული მოძრაობა ბათუმიდან სამტრედიამდე, რამაც ერთმანეთს დაუკავშირა ორი (შავი და კასპიის) ზღვა და ამიერკავკასიის სამი (ბაქო, თბილისი, ბათუმი) შედარებით დიდი სამრეწველო ქალაქი. 1900 წელს ამიერკავკასიის რკინიგზა შეუერთდა რუსეთის იმპერიის სარკინიგზო ქსელს და საჭირო სამეურნეო და კულტურული კავშირი დაამყარა ამიერკავკასიისა და რუსეთის იმპერიის სამრეწველო-კულტურულ ცენტრებს შორის.

დაიწყო ბაქოს ნავთობის გაფართოებული ექსპორტი ბათუმის პორტის მეშვეობით, რამაც გამოიწვია ნავთობის პროდუქტების გაზიდვისათვის საჭირო დამხმარე საწარმოთა აგების აუცილებლობა. 1883 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ხის ყუთებისა და თუნუქის ჭურჭლის დამამზადებელი ქარხანა. მისი სადღეღამისო საწარმოო დატვირთვა 12 ათას თუნუქელას და 6 ათასი ხის ყუთის დამზადებას უდრიდა.

მრეწველობის ჩასახვასა და განვითარებას ხელს უწყობდა იმ პერიოდში გამოცხადებული წესი — „პორტი — ფრანკო“, რაც ნიშნავდა ნავთობის პროდუქტის ტარის წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობისა და მასალების (თუნუქი, სპილენძი, ლურსმანი და სხვა) საზღვარგარეთიდან უბაჟოდ შემოზიდვას.

ფართო გასაქანი მიეცა ტარის წარმოებას. 1883 წლის ბოლოს ამუშავდა სიდერიდის ქარხანა, ხოლო 1887 წელს მანთაშევის ქარხანა[1], 1892—1893 წლებში ხაჩატურიანცის ქარხანა და ა. შ. ყველა ამ ქარხნის მიერ 1900 წელს დამზადდა 7915 ათასი ცალი ხის ყუთი და 18,1 მლნ. ცალი თუნუქელა[2].

1900 წელს ამენდა მომთუთიებელი ქარხანა, ცოტა უფრო გვიან — როტშილდის ფირმის თუჯის ჩამომსხმელი და მექანიკური ქარხანა, 1907 წელს — კარპოვსკის ქიმიური ქარხანა, ცოტა უფრო მოგვიანებით კი — ტყავის ქარხანა.

XIX საუკუნის დასასრულს ბათუმის მრეწველობაში თავი იჩინა მონოპოლისტური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელმა მოვლენებმა. თუმცა, ისევე როგორც რუსეთში, აჭარის ეკონომიურ განვითარებასა და კლასობრივ

[1] ჯ. ჩხეიძის შრომაში „ბათუმი — ისტორიული ნარკვევები“ (გვ. 44-45) სიდერიდის ქარხნის ამუშავება დათარიღებულია 1885 წლით, მანთაშევისა კი 1886 წლით.

[2] Батум и его окрестности, сборник, Батуми, 1905, стр. 435.

სტრუქტურას ახასიათებდა არა მომწიფებული მონოპოლისტური კაპიტალიზმი, არამედ „ფეოდალური იმპერიალიზმი“ (ვ. ი. ლენინი).

ბათუმის მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა კლასს კავშირი ჰქონდა გლეხურ მეურნეობასთან და ამდენად ნახევრად პროლეტარულ მასას წარმოადგენდა. ამავე მიზეზის გამო დიდ ცვლილებას განიცდიდა მუშათა კლასის რიცხვი, მაღალი იყო დენადობის კოეფიციენტი. პროფესორ ნ. ტყეშელაშვილის გამოკვლევით, 1903 წელს ბათუმის მრეწველობაში დასაქმებული იყო 4109 მუშა[3], როცა ვ. სიჭინავას ნაშრომში ვკითხულობთ: „1897 წლის აღწერის მიხედვით ბათუმის 28508 მცხოვრებიდან 11249 მუშა იყო“[4].

ბათუმის მუშათა კლასი შედგებოდა არა მარტო საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულთაგან, არამედ ადგილობრივი სოფლებიდან ქალაქში დროებით სამუშაოზე მოსული გლეხებისაგან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმდროინდელი სტატისტიკა ზუსტად ვერ განსაზღვრავდა ცნებას „მუშათა კატეგორიის“ შესახებ და სპეციალურ აღწერაშიც კი დროებით მომუშავე გლეხებს მუშებად თვლიდნენ და, პირიქით, მუშებს გლეხებად.

ვ. ი. ლენინის განმარტებით, 1906 წელს — ბათუმის ოლქის ფაბრიკა-ქარხნებში 2096 მუშა ითვლებოდა[5]. მუშათა კლასის ეს რიცხვი შემდგომ პერიოდში თანდათან შემცირდა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იგივე რაოდენობას მიაღწია. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 1922 წლის დეკემბერში აჭარის ყველა სამრეწველო საწარმოში (სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო საწარმოებში) აღირიცხა 2014 მომუშავე, მათ შორის 897 მუშა, 212 მოსამსახურე, 905 კი საწარმოთა მფლობელი (აქ შედიოდნენ საწარმოს მფლობელთა ოჯახის ის პირნი, რომლებიც დასაქმებული იყვნენ სამრეწველო ხასიათის სამუშაოებით)[6].

XIX საუკუნის მიჯნაზე მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად უარესდებოდა მუშათა კლასის მდგომარეობა. მასიურ ხასიათს იღებდა მუშათა მოძრაობა, რევოლუციურ ორომტრიალში ებმებოდა ბათუმის პროლეტარიატი.

ვ. ი. ლენინი 1903 წლის 1 თებერვალს გაზეთ „ისკრაში“ წერდა, რომ კავკასიის სამრეწველო ცენტრებში, როგორიცაა ბაქო, თბილისი და ბათუმი, მათი მრავალი კაპიტალისტური წარმოებითა და მრავალრიცხოვანი პროლეტარიატით... მოძრაობამ უკვე ღრმად გაიდგა ფესვები.

საბჭოთა ხელისუფლამდელ აჭარაში საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობასთან ერთად ვითარდებოდა წვრილი ხელოსნური წარმოება. ფართო გასაქანი ეძლეოდა ჩაის მრეწველობას. ჩაქვის საუფლისწულო მამულში გაშენებულ ჩაის პლანტაციების საფუძველზე წარმოიშვნენ ჩაის ფაბრიკები — 1898 წელს სოფელ სალიბაურში და 1899 წელს სოფელ ჩაქვში. იმავე წლებში ამუშავდა ერგეს სპილენძის სადნობი ქარხანა, რომელიც მარაგდებოდა ართვინის ოლქის სპილენძის მადნით.

---

3 ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 88.

4 ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958, გვ. 170.

5 ა. სურგულაძე, ვ. ი. ლენინი ბათუმის შესახებ, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, № 2, 1960, გვ. 48.

6 აჭარის ასსრ სტატისტიკური კრებული 1913—1923 წწ., ბათუმი, 1924, გვ. 392—393.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, აგრეთვე უცხოელი ინტერვენტებისა და ადგილობრივი მენშევიკების ბატონობის წლებში, თითქმის მთლიანად მოისპო აჭარის მრეწველობის ხერხემალი — ნავთობ-პროდუქტების ტარის წარმოება. შავი ზღვის სრუტეები რუსეთის გემებისათვის დაიხურა, ბათუმიდან ექსპორტი შეჩერდა.

საბჭოთა ხელისუფლებამდელი აჭარის მრეწველობა ემყარებოდა პრიმიტიულ ტექნიკას და ხელით შრომას, ხოლო ადგილობრივი სამრეწველო სანედლეულო ბაზის უქონლობა ზღუდავდა მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს.

მთლიანად აჭარის მრეწველობამ 1921 წელს გამოუშვა (1955 წლის საწარმოო საბითუმო ფასებში გადაანგარიშებით) ომამდელი დონის, კერძოდ 1913 წელს აჭარის მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის ნახევარი და 1902 წელს წარმოებულის 4%. აი, ასეთი დაუძლურებული და გაჩანაგებული მრეწველობა მიიღო მემკვიდრეობად განახლებულმა აჭარამ.

* * *

1921 წლის 20 მარტს აჭარაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. დაიწყო სახალხო მეურნეობის აღდგენა, სოციალიზმის მშენებლობა.

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით, საქართველოს რევკომის თავჯდომარე ფ. მახარაძე ბათუმის სამხედრო რევოლუციურ კომიტეტს სწერდა: „ბათომი და ბათომის ოლქი, რომელიც შეიქმნა იმპერიალისტური ქვეყნების ინტრიგის ბუდეთ, ამ ბოლო დროს გადაიქცა ანტანტის სათამაშო იარაღად და ქართველი მენშევიკების, სომეხთა დაშნაკების და აზერბაიჯანის ხანების და ბეგების დახმარებით გადაიქცა ხალხის ყვლეფის და გაღატაკების უდიდეს წყაროდ. მეორე მხრით, ბათომი მენშევიკების წყალობით ანტანტის ხელში გადაიქცა იმ ბაზად, საიდანაც უნდა ჩაეხშოთ საბჭოთა რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის მშრომელი ხალხის უდიდესი მონაპოვარი. მთელ ამიერკავკასიაში და მასთან ერთად ბათომშიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო იმ არევ-დარევას და გაუგებრობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ სამი წლის განმავლობაში ბათომის საკითხის ირგვლივ. დღეიდან საბჭოთა ბათომი მთელ საბჭოთა საქართველოთურთ არის კუთვნილება მუშების და გლეხების... დღეიდან აჭარა ხდება აჭარის მშრომელი ხალხის კუთვნილებად, თავისუფლდება ბეგების ბატონობისაგან და საშუალება ეძლევა თავისუფალ ავტონომიურ საფუძველზე უპატრონოს თავისთავს“[7].

როცა საქართველოში, კერძოდ აჭარაში, სახალხო მეურნეობის რევოლუციურ გარდაქმნებს ვეხებით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის თავისებურებანი.

1921 წლის 14 აპრილს ვ. ი. ლენინი მიესალმებოდა რა აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებს, სწერდა, რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა უნდა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობა, თავიანთი რესპუბლიკების თავისებურება, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის

[7] გაზეთი „უწყებები“, № 3, 1921, 22 მარტი.

აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას[8].

ვ. ი. ლენინი კავკასიის რესპუბლიკების მდგომარეობათა თავისებურებებს ხსნიდა შემდეგით: 1. კავკასიის რესპუბლიკებს, რსფსრ-საგან განსხვავებით, ჰქონდათ პოლიტიკური და სამხედრო დახმარება; 2) იმ მომენტისათვის უკვე მოხსნილი იყო ანტანტის სამხედრო თავდასხმის უშიშროება, მან „ხელები მოიწვა“ რუსეთზე; 3. კავკასიის რესპუბლიკები უფრო გლეხური ქვეყნები იყო, ვიდრე რუსეთი, 4. რუსეთი ეკონომიურად მოწყვეტილი იყო იმდროინდელ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, მაშინ როცა კავკასიის რესპუბლიკებს შეეძლოთ უფრო სწრაფად და ადვილად მოეგვარებინათ კაპიტალისტურ დასავლეთთან „თანაცხოვრება“ და საქონელგაცვლა; 5. კავკასიის რესპუბლიკებში ახალი ეკონომიური პოლიტიკა (ნეპი) და წარმოების საშუალებათა სოციალისტური ნაციონალიზაციის ღონისძიებანი ერთმანეთს დაემთხვა.

აღნიშნული თავისებურებანი მთლიანად ეხებოდა აჭარას. თუმცა მისი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა უფრო რთული და დაძაბული იყო. ჯერ ერთი, ეკონომიურად ისეთ განუვითარებელ მხარეში, როგორიც აჭარა იყო, მიწის საკითხი წარმოადგენდა სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის უმთავრეს ფუძეს[9]; რუსეთისაგან განსხვავებით, აჭარაში რევოლუციური შევნება შედარებით სუსტი იყო, რაშიც ბრალი მიუძღვოდა წლების მანძილზე მენშევიკების ოპორტუნისტულ პროპაგანდას[10]. მესამე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას ბათუმი ავსებული იყო წარმოებაში დაუსაქმებელი ლტოლვილებით. ბათუმი იყო ბაზა, საიდანაც უცხოეთის საქონელი იგზავნებოდა ამიერკავკასიასა და რუსეთში. ამიტომ ბუნებრივია ის ინტერესი, რომელსაც „ბედის მაძიებელნი“ იჩენდნენ ქალაქისადმი.

ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმ გარემოებისა, რომ ბათუმი აიცსო უსარგებლო ელემენტებით, რამაც გამოიწვია სამეურნეო კრიზისი და სხვა მრავალგვარი უხერხულობანი[11].

ვ. ი. ლენინი 1918 წელს აღნიშნავდა: „რაც უფრო ჩამორჩენილია ქვეყანა, რომელსაც ისტორიის ზიგზაგების გამო, მოუხდა სოციალისტური რევოლუციის დაწყება, მით უფრო ძნელია მისთვის ძველი კაპიტალისტური ურთიერთობიდან სოციალისტურ ურთიერთობაზე გადასვლა“[12].

აჭარაში სოციალიზმის მშენებლობის დაწყება დიდი ლენინის ამ მეცნიერული დასკვნის პრაქტიკული გამოხატულება იყო.

საქართველოსა და აჭარაში მრეწველობის ნაციონალიზაციის მომზადებისა და განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის ბრძნულ მითითებებს იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიის კომუნისტებს, განსაკუთრებით ქართველ კომუნისტებს გამოეჩინათ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა, მთელი ძალებით გამოეყენებინათ კონცესიები, ფართოდ გაეშალათ საქონელგაცვლა საზღვარგარეთთან.

---

8 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, მე-4 გამოც., გვ. 397.

9 აჭარაში შემორჩენილი იყო ფეოდალური წყობილების ნაშთები, მთელი მიწები ბეგ-აღალარების საკუთრებას შეადგენდა, ხოლო მშრომელი ხალხის მიწის მესაკუთრეთა სრული მონა-ჭორჩილი იყო. იხ. გაზეთი „უწყებები“ № 202, 1921, 26 ნოემბერი, № 302, 1922 წ. 31 მარტი.

10 გაზეთი „უწყებები“, № 71, 1921 წ. 17 ივნისი.

11 გაზეთი „უწყებები“ № 249, 1922, 24 იანვარი.

12 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 90.

ლენინური კონცესიების პოლიტიკას უმალ გამოეხმაურა ბათუმის რევკომი. გაზეთი „უწყებები“ 1921 წლის 15 ივნისს (№69) წერდა „...კონცესია საზღვარგარეთელ კაპიტალისტებთან არ ეწინააღმდეგება საბჭოთა ძალაუფლებას ტაქტიკის და მუშათა კლასის უფლებების შენარჩუნებას, პირიქით, ეს ტაქტიკა მიმართულია მუშათა კლასის, როგორც განსამტკიცებლად, ისე მისი კრიზისის ასაცილებლად“.

ცნობილია, რომ წარმოების საშუალებათა განზოგადება რუსეთში უფრო ჩქარი ტემპით წარიმართა, ვიდრე ამიერკავკასიაში. იმის გამო, რომ ბურჟუაზია მწვავე წინააღმდეგობას უწევდა შრეულ სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურ საწარმოთა შექმნას, საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო შეფარდებით დაჩქარებული ტემპებით განეხორციელებინა მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია. უკვე 1918 წლის ივნისში გამოცხადდა მრეწველობის ყველა დარგის მსხვილ საწარმოთა ნაციონალიზაცია, რომელიც გამოუსყიდავად ხორციელდებოდა[13].

1921 წ-ის 2 მარტს ვ. ი. ლენინი ორჯონიკიძეს სწერდა ბაქოში: „აუცილებელია ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრების მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა. უნდა შევიგნოთ, რომ არა თუ აზრი არა აქვს ამ წვრილი ვაჭრების ნაციონალიზებას, არამედ საჭიროა ერთგვარი მსვერპლიც კი გავიღოთ, ოღონდ გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა, დაუტოვოთ მათ წვრილი ვაჭრობის წარმოების შესაძლებლობა.

გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დათმობებზე იქნება დამყარებული“[14].

ბათუმის რევკომი სამეურნეო რეფორმისა და წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაციის პირობებში პრაქტიკულად ახორციელებდა დიდი ლენინის ამ მითითებებს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1921 წლის 30 ივლისის დადგენილებით (იგი მიღებულ იქნა საქართველოს რევკომის 1921 წლის 21 მაისის დეკრეტის საფუძველზე), საქართველოს სსრ საკუთრებად გამოცხადდა ბათუმში არსებული ათი შედარებით მსხვილი საწარმო: საფრანგეთის საზოგადოების „ბინიათ-ოღლის“, ვ. ა. დანიელოვის („ვოსტოკი“) და შ. დ. დანიელოვის თამბაქოს ფაბრიკები, ვ. გ. კაპლანის თუჯსასხმელი, ლ. გრ. გაიას კასრების, მ. ვ. არისტენკოს სადურგლო, მანთაშევის ხე-ტყის სახერხი, ბერტმან-კარპოვსკის საღებავების, ამხანაგობა „მირის“ ქილებისა და სააქციო საზოგადოება „პლასტინას“ მომთუთიებელი ქარხნები[15].

ამ ღონისძიების კვალობაზე გაზეთი „უწყებები“ წერდა, რომ ნაციონალიზებულ საწარმოთა პატრონ უცხოელ-ქვეშევრდომებს უფლება ეძლევათ გააძლიერონ სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადებული წარმოების ექსპლოატაცია იმ პირობების მიხედვით, რომლებიც გამომუშავებული იქნება წარმოების პატრონსა და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს შორის

13 პოლიტიკური ეკონომია, სახელმძღვანელო, თბ., 1963, გვ. 409.

14 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, მე-4 გამოც., გვ. 189—190.

15 საქართველოს სსრ ორსმცსა, ფ. 303, საქმე 23, ფურცელი 4—5; აგრეთვე ჟურნალი „საქართველოს სახალხო მეურნეობა“, 1921, № 1, გვ. 25.

შეთანხმებით. განცხადება წარმოების ექსპლოატაციის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის საბჭოს სახელზე. საბჭოთა რესპუბლიკების ქვეშევრდომები უცხოეთის ქვეშევრდომებად არ ითვლებიან[16].

აჭარაში მრეწველობის ნაციონალიზაციისათვის განხორციელებული ღონისძიებანი შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ეტაპად (პერიოდად): პირველ პერიოდში — ნაციონალიზაციიდან 1923 წლის 1 იანვრამდე — მიმდინარეობდა წარმოების საშუალებათა განზოგადება, არსებული მატერიალური სიმდიდრის (ქონების) აღრიცხვა, ისახებოდა მოძავალი მუშაობის გეზი.

მეორე პერიოდში, რომელიც 1923 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე გრძელდებოდა, მუშაობა მიმდინარეობდა გეგმიანი საწყისების პოზიციებიდან, ქაოტურ მეურნეობას სცვლიდა საბიუჯეტო მეურნეობა, იწყებოდა სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, პროდუქციის თვითღირებულების კალკულაცია. ამავე პერიოდში მტკიცდებოდა ფაბრიკა-ქარხნების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უმჯობესდებოდა ნედლეულითა და მუშა-ძალით მათი მომარაგება, ირკვეოდა ბაზრის მოთხოვნილებანი.

მესამე პერიოდში — 1923 წლის 1 ოქტომბრიდან 1924 წლის 1 ნოემბრამდე — ღრმავდებოდა საწარმოთა მართვის მეთოდები: გეგმიანობა, სამეურნეო ანგარიში, სპეციალიზაცია. დიდი მუშაობა მიმდინარეობდა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ზედნადები ხარჯების შემცირებისათვის.

1925 წლის მარტში ჩატარდა აჭარის საბჭოების მეხუთე ყრილობა; ყრილობაზე ცაკისა და სახკომსაბჭოს მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ითქვა: „თუ 1921 წელში ჩვენი მუშაობა გამოიხატა სოფლისა და ქალაქის პოლიტიკურ დაახლოებაში, გაბატონებული ფეოდალიზმის განდევნაში და მუშებსა და გლეხებს შორის კავშირის დამყარებაში, 1921—1923 წლებში მოვსპეთ ფეოდალიზმის ეკონომიური ძლიერება, მუშებისა და გლეხების კავშირი განვამტკიცეთ ეკონომიურ ნიადაგზე. 1923 წლიდან სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს სხდომებზე უმთავრესად იდგა ეკონომიური ხასიათის საკითხები. 1924 წელი ეკონომიურ ფრონტზე სერიოზული მუშაობის დაწყების წელიწადია“[17].

1921—1924 წლებში 32 რაციონალიზებული საწარმოდან რიგი, კერძოდ, პირველი საბჭოთა საფუთავი (ყოფ. შელენგოვის), მეორე საბჭოთა თუჯსაშხმელო მექანიკური (ყოფ. კაპლანის), მესამე საბჭოთა მექანიკური საავტომობილო სახელოსნო (ყოფ. პიტოვის), ფირფიცრების (ყოფ. არისტენკოს) მშრალი საღებავების ქიმიური (ყოფ. ბერტმან-კარპოვსკის), თამბაქოს № 2 (ყოფ. დანიელოვის) და თამბაქოს № 3 (იგივე დანიელოვის) ქარხნები ექვემდებარებოდა აჭარისტანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საწარმოო განყოფილებას[18]. ზოგიერთი საწარმო კი, კერძოდ, საკოდე (ყოფ. გაის), ბიდონის არაყისა და ყინულის ქარხნები, აგრეთვე ნავთის საქაჩი სადგური (სოფ. „ბრიტო“) იჯარით გასცეს[19] (თუმცა დასახელებულ საწარმოთაგან ყოფილი გაის საკოდე ქარხანა 1923 წლის დასაწყისშივე დაიხურა, რადგან მისი პროდუქცია აღარ საღდებოდა). 1923 წლის იჯარით გაცემული ბიდონის ქარხნები დაუბრუნდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რადგან ქარხნის მოიჯარად-

16 გაზეთი „უწყებები“ № 116, 1921, 9 აგვისტო.

17 აჭარის ასსრ საბჭოების მეხუთე ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, ბათუმი, 1925, გვ. 16.

18 აჭარის ასსრ ცსა ფ. რ. 2, ა. საქმე 1, გვ. 208. 19 იქვე, გვ. 210.

რეებს, როგორც კერძო პირებს, ნავთის უცხოეთში გაზიდვა აეკრძალათ. იმავე წლის ივლისში დაიხურა იჯარით მომუშავე არყის ქარხნებიც.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდ ამოცანას ასრულებდა რესპუბლიკის პოლიგრაფიული მრეწველობა, ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით გაერთიანდა მოქმედი სტამბები. 1922 წლის ოქტომბრამდე აჭარის სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების სისტემაში გაერთიანდა სამი სტამბა (პირველი, მე-3 და ყოფილი „ბერძნების“ სტამბები), აგრეთვე ყოფილი ბუტკინის ლითოგრაფია, ხოლო გაერთიანების გარეშე დარჩა ორი სტამბა და ორი ლითოგრაფია[20]. გაერთიანებულ სტამბა-ლითოგრაფიაში მუშაობდა 50-მდე მუშა-მოსამსახურე, რომლებმაც მარტო 1922 წლის დეკემბერში 3 ათას მანეთამდე (ოქროს ფულით) ღირებულების სამუშაო შეასრულეს[21].

ფართო მუშაობა გააჩაღა ხე-ტყის დამამუშავებელმა მრეწველობამ. ამოქმედდა ფირფიცრის ქარხანა, რომელიც ნაციონალიზებული იქნა 1922 წლის იანვარში; ქარხნის მიერ დამზადებულ ავეჯზე დიდი მოთხოვნილება იყო. იგი უშვებდა მანდარინის შესაფუთავ ყუთებსაც. ფართო გასაქანი მიეცა ადგილობრივი ჩაის ფოთლის გადამუშავებას, მნიშვნელოვნად გაადიდეს საწარმოო სიმძლავრეები ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის ფაბრიკებმა. მათ 1923—1924 წლებში 1055 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია გამოიმუშავეს[22].

1921—1924 წლების მანძილზე ბათუმში ორი ელექტროსადგური მუშაობდა, მათგან ერთის სიმძლავრე 540 ც. ძ. უდრიდა, მეორესი კი 110 ც. ძ.[23] მათ გამოიმუშავეს: 1922 წელს 959 ათასი კვ. საათი ენერგია, 1923 წელს 780 ათასი, 1924 წელს კი 755 ათასი კვ. საათი ელექტროენერგია[24]. 1924 წელს გამომუშავებული ელექტროენერგიიდან თვით სადგურების საჭიროებას მოხმარდა 173 ათასი კვ. საათი, სამრეწველო ხასიათის ღონისძიებებს 90 ათასი, ქალაქის განათებას 76,6 ათასი, ინდივიდუალური აბონენტების საჭიროებას კი 410 ათასი კვ. საათი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სამეურნეო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1921 წლის 15 ოქტომბერს წმინდა კომერციულ (სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე — კ. ე.) ნიადაგზე დაარსდა თამბაქო ტრესტი, რომელიც აერთიანებდა 8 საწარმოს, მათ შორის ერთი იყო ბათუმში[25]. ბათუმში მოქმედი ფაბრიკა ატარებდა „ვოსტოკის“ სახელწოდებას და აერთიანებდა ყოფილ ბინიატ-ოღლის I, დანიელოვის II და III თამბაქოს ფაბრიკებს[26].

დასახელებული ფაბრიკები 1922 წლის დეკემბერში აერთიანებდნენ 57 მუშა-მოსამსახურეს, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია კი — 11683 ოქროს მანეთს უდრიდა. გაერთიანების შემდეგ, კერძოდ, 1923 წლის დეკემბრისათვის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვმა და წარმოებული პროდუქციის მოცულობამ ერთიორად იმატა[27].

20 გაზეთი „პროლეტარული ბრძოლა“, № 457, 1922, 8 ოქტომბერი.
21 აჭარის სტატისტიკური კრებული, 1913—1923 წწ., 1924, გვ. 258.
22 აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს არქივი, საქმე 201, გვ. 6.
23 იქვე, საქმე 203, გვ. 7.
24 აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ-2, აღწ. I, საქმე I, გვ. 227.
25 გაზეთი „პროლეტარული ბრძოლა“, № 457, 1922, 8 ოქტომბერი.
26 აჭარის ასსრ სტატისტიკური კრებული (1913—1923 წწ.), 1924, გვ. 257.
27 აჭარის ასსრ ცსა, ფ. რ-2, აღწ. I, საქმე I, გვ. 182—184.

1921 წლის 30 ივლისს ყოფილი ბერტმანისა და კარპოვსკის სავაჭრო სახლის საღებავების ნაციონალიზებულ ქარხნის საფუძველზე შეიქმნა ქიმიური ქარხანა, რომელიც შევიდა აჭარის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დაქვემდებარებაში. ქარხნის მუშაობა პირველ ხანებში ფერხდებოდა სათანადო სახსრებისა და ნედლეულის უქონლობის გამო. იგი საღებავების ნაცვლად ამზადებდა მელანს, საპონს და სხვა პირველადი მოხმარების საგნებს, რაც ადგილობრივ ბაზარზე ვერ საღდებოდა. ამის გამო ქარხანა ერთხანს დაიხურა, ხოლო 1923 წლის დასაწყისში კვლავ განაახლა მუშაობა. სახალხო მეურნეობის საბჭომ ჩაატარა საჭირო რემონტი, აღადგინა დაზიანებული მანქანა-მოწყობილობანი. მარტო 1923 წლის დეკემბერში ამ ქარხანამ, რომელიც 26 მუშაკს აერთიანებდა, 6,8 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა[28]. თუმცა ქარხნის ნორმალურ მუშაობასა და საწარმოო სიმძლავრეებს მაინც ვერ აკმაყოფილებდა გამოსაშვები საღებავებისათვის საჭირო ნედლეული.

1925 წლის თებერვლიდან აჭარის ასსრ ეკონომიური საბჭოს დადგენილებით ლითონ-სამრეწველო, სათუნუქე თუჯასხმელი, მექანიკური და ბიდონის ქარხნები გაერთიანდნენ ერთ საწარმოდ „აჭარმეტალის“ სახელწოდებით, თუთუნის ფაბრიკა (მაღაზიითურთ) შეუერთდა თუთუნის დამზადებას და მიიღო „აჭართუთუნის“ სახელწოდება. „აჭარპრომტორგის“ საბალანსო-სახარჯთაღრიცხვო საქმიანობა გადაეცა „აჭარტორგის“ (სავაჭრო დამამზადებელ) განყოფილებას. ამიერიდან „აჭარპრომტორგის“ ყველა განყოფილების მუშაობა მოეწყო სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე[29].

ამ ღონისძიების მიხედვით, თითოეული საწარმო გამოშვებულ პროდუქციას აბარებდა „აჭარტორგს“ თვითღირებულების ფასებში, ეს უკანასკნელი კი ე. წ. საკალკულაციო კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრავდა სარეალიზაციო ფასებს თვითღირებულებაზე 5-დან 16-მდე პროცენტის დარიცხვით. გარდა ამისა, „აჭარტორგს“ ევალებოდა საწარმოთა მომარაგება სათანადო ნედლეულით.

წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასებში შედიოდა საამორტიზაციო დანარიცხები და იქმნებოდა სათანადო ფონდი, რომლებიც ხმარდებოდა „აჭარპრომტორგის“ საწარმოთა საჭიროებებს, უპირველეს ყოვლისა საწარმოო მოწყობილობათა შეკეთებას. არსებითი ხასიათის ღონისძიებები გატარდა სამრეწველო საწარმოთა საბრუნავი საშუალებების შესავსებად.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ნავთობის მრეწველობის აღდგენასა და განვითარებას.

1921 წელს პარტიის X ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა დელეგატებს აცნობა ბაქო-თბილისის ნავთსადენის გახსნის შესახებ, ამასთან დასძინა, რომ ასეთივე ნავთსადენი, რომელიც გზას გაგვიხსნიდა მსოფლიო ბაზრისაკენ, გაყვანილი იქნებოდა ბათუმამდე[30].

1921—1923 წლებში ბათუმის ნავთობის ქარხნებით დაინტერესებული იყო ორი დაწესებულება: „ნავთსინდიკატი“ და „ზაკგოსტორგი“. მაშინ ამ დაწესებულებებს ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული სამსუნის და სტამბოლის ფირმებთან (ყოფილ ბათუმელ ნავთმრეწველებთან). „ნავთსინდიკა-

28 გაზეთი „პროლეტარული ბრძოლა“, № 517, 1922, 19 დეკემბერი.

29 აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ-2, აღწ. I, საქმე 24, ფურცელი 95—100.

30 ეს იყო ჯერ კიდევ 1906 წელს გაყვანილი ნავთსადენის აღდგენა, რომელიც დაზიანდა საქართველოში ინტერვენტებისა და მენშევიკების ბატონობის წლებში.

ტი“ გემით აგზავნიდა სამსუნისაკენ, აქ კი ნავთი იცლებოდა ნავებში, ნავიდან ქარხნებში, ქარხნებიდან კი ბიდონებში. ეს ბევრ ზედმეტ, ზედნადებ ხარჯებს იწვევდა.

ნავთობის ექსპორტის ასეთი წესი აჭარის სახკომსაბჭოს ბოროტმოქმედებად მიაჩნდა, ამიტომ ავალებდა „აჭარპრომტორგს“ ბათუმში მოგვარებულიყო ბიდონების დამზადების საქმე, აგებულიყო სათანადო ქარხნები: გადაწყდა ბაქოდან მეორე ნავთსადენის გამოყვანის საკითხი და სხვ.[31].

1925 წლის 4 ივლისს გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „ომამდე ბაქოს ნავთის ექსპორტში ბათომს დიდი ადგილი ეჭირა. მთელი მცირე აზია, არაბისტანი, ეგვიპტე, სირია, ბალკანეთის სახელმწიფოები, მთელი ახლო აღმოსავლეთი ბიდონებით ღებულობდა ბაქოს ნავთს ბათომიდან. ბათომის ბიდონების მრეწველობის შეწყვეტის შემდეგ ჩვენი ნავთი ხელთ უვარდებოდათ ჩვენს მტრებს, რომლებიც ათასგვარ მახინაციებით მას სახელს უტეხდნენ“[32].

ამიტომ საბჭოთა ნავთომრეწველობის ინტერესები მოითხოვდა ბიდონის მრეწველობის განვითარებას ბათუმში.

ამ ხნიდან დაიწყო ბათუმში ბიდონების მასიური გამოშვება. 1925 წლის 4 ივლისს, არსებული 3 ქარხნის გარდა, ბათუმში გახსნილი იქნა ახალი ბიდონების ქარხანა, დღის წესრიგში დადგა ბათუმში ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის აგება, გაფორმდა სათანადო ხელშეკრულება.

ამრიგად, აჭარაში თანამედროვე მრეწველობის ფორმირებას ხელი შეუწყო ბათუმის სანაოსნო და საზღვაო სატრანსპორტო მდგომარეობის ხელსაყრელმა პირობებმა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე არსებითი ღონისძიებები გატარდა ადგილობრივი შრომითი რესურსების შესწავლის, მათი რაციონალური განაწილებისა და გამოყენებისათვის. ქალაქის საბჭოს შრომის განყოფილებასთან მოეწყო მუშაძალის აღრიცხვის და განაწილების ქვეგანყოფილება. ყველა წარმოება-დაწესებულებას (მიუხედავად მათი კატეგორიისა) დაექისრათ მუშა-მოსამსახურეთა მიღება აღნიშნული ორგანოს საშუალებით.

1921 წელს და 1922 წლის პირველ ნახევარში არსებობდა მუშაძალის განაწილების იძულებითი სისტემა, რომელიც ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისთანავე შეიცვალა, მოწესრიგდა შრომის ბირჟის აპარატი.

1923 წლის დასაწყისიდან ნებადართული იქნა მაღალკვალიფიკაციური მუშაკების დაქირავება ბირჟის გარეშე, ცოტა ხნის შემდეგ კვლავ დღის წესრიგში დაისვა სავალდებულო დაქირავების უარყოფის და დაქირავების ბირჟის ორგანიზაციის მოწყობის საჭიროება ე. წ. სამუშაოვლო პრინციპებზე. ამით იქმნებოდა მუშაძალის რაციონალურად განაწილების შესაძლებლობა.

სამრეწველო საწარმოების მოცულობა არსებული მუშა ძალის მთლიანად დასაქმების საშუალებას არ იძლეოდა, ამიტომ პირველ ხანებში იზრდებოდა უმუშევრობა. უმუშევრებისათვის მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით 1922 წელს მოეწყო ორი არტელი — მტვირთავთა, სადაც 500 კაცი მუშაობდა, და ელექტროენერგიაზე მომუშავეთა არტელი, სადაც 30 მუშა დასაქმდა. 1923 წლის ბოლოსათვის ასეთ არტელთა რიცხვმა თერთმეტს მიაღწია; შეიქმნა გაერთიანებული საპარიკმახეროები, სამკერვალოები და ა. შ.

---

31 აჭარის ასსრ საბჭოების მეხუთე ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, ბათუმი, 1925, გვ. 32—33. 32 გაზეთი „კომუნისტი“, № 155, 1925, 9 ივლისი.

გარდა ამისა შრომის ბირჟასთან არსებობდა უმუშევარ მტვირთავთა სექცია, სადაც 100—120 მუშა მუშაობდა, ისინი ასრულებდნენ მიწის სამუშაოებს, დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებს.

აღნიშნულის მიუხედავად, ნაციონალიზებულ საწარმოებს მუშაობაში მრავალი ხელისშემშლელი პირობა გააჩნდათ. ჯერ ერთი, საკმარისი არ იყო მუშახელი, დაქირავებულ მუშათა შრომის ანაზღაურებაზე მოდიოდა ისედაც მცირე შემოსავლიანი საწარმოების ფულადი სახსრების დიდი ნაწილი. 1922 წლის დეკემბერში ცენზიანი მრეწველობის ერთ მუშაზე გაცემული ხელფასი საშუალოდ 27,46 ოქროს მანეთს შეადგენდა, მაშინ როცა დაქირავებულ მუშებზე გაიცა 33,36 მანეთი[33].

მეორე, ტექნიკისა და შრომის ნაყოფიერების დაბალი დონის პირობებში გამოშვებული პროდუქცია გასაღებას ვერ პოულობდა ადგილობრივ ბაზარზე, ქვეყნის სხვა ქალაქებთან და რაიონებთან კი არასაკმარისი სავაჭრო-სამრეწველო კავშირი არსებობდა.

მესამე, სამრეწველო საწარმონი ადგილობრივი დაკვეთებით შესრულებულ სამუშაოებში სათანადო საზღაურს დაგვიანებით, ზოგჯერ კი სრულიად ვერ იღებდნენ. ასე მაგალითად, აჭარის სახალხო მეურნეობის საბჭომ ყოფილი პიტოევის ქარხნის ნანგრევებზე ააგო ავტოტრანსპორტის შემკეთებელი სახელოსნო, რომელიც „მესამე საბჭოთა ქარხნის“ სახელწოდებით შევიდა ექსპლოატაციაში. ამ საწარმოს მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებანი, რაც დაკვეთებით ხორციელდებოდა, აუთვისებელი იყო. თვეების მანძილზე მუშგლეხინის ინსპექცია ვერ იხდიდა 30 მილიონ მანეთად ღირებულ სამუშაოების საფასურს, ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატი კი 12,5 მილიონს. ეს გარემოება ხელს უშლიდა ქარხნის ნორმალურ მუშაობას.

აჭარის სახალხო მეურნეობის საბჭოს განკარგულებაში არსებული თუთიის (ცინკის) ქარხანა „პლასტინას“ თავისუფლად შეეძლო დღეში 600 ფუთი თუნუქის გადამუშავება და მრავალი სარეცხი თაბახის ტამტის, სხვადასხვა სახის სასმისის გამოშვება, მაგრამ საჭირო სახსრებისა და ნედლეულის უქონლობის გამო, იგი საშუალო ტიპის სახელოსნოდ გადაიქცა[34].

მეოთხე, ნაციონალიზაციის შედეგად უკმაყოფილო ვაჭარ-სპეკულიანტები ათასგვარ ჭორს ავრცელებდნენ ცალკეულ საწარმოთა მუშაობის, მათი დახურვის შესახებ და სხვ. მაგალითად, 1922 წლის ნოემბერ-დეკემბერში მრავალნაირი მითქმა-მოთქმა და პანიკა გავრცელდა ქალაქის ატელიეს ვითომდა დახურვისა და იქ მომუშავეთა უმიზეზოდ დათხოვნის შესახებ, ფაქტიურად არავითარ მსგავს მოქმედებას ადგილი არ ჰქონია[35].

აჭარის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ექვემდებარებოდა სახელმწიფო სამშენებლო მთავარი სამმართველო (1923 წლამდე მას სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტი ეწოდებოდა). იგი ქალაქებსა და მაზრებში აწარმოებდა მოქმედი შენობების შეკეთებას, სარწყავი არხებისა და წყალსადენების გაყვანას, გზების რემონტსა და მშენებლობას.

1923 წლის 11 აპრილს აჭარის ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის აგების გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. 1924 წლის 15 აგვისტოდან გაიშალა მშენებლობა. აჭარისწყალზე ჰიდრო-

33 აჭარის სტატისტიკური კრებული (1913—1923 წწ.), 1924, გვ. 245.

34 გაზეთი „პროლეტარული ბრძოლა“, 515, 1922, 16 დეკემბერი.

35 იქვე, № 520, 1922, 23 დეკემბერი.

ელექტროსადგურის მშენებლობის აუცილებლობა დაკავშირებული იყო როგორც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, ისე სამრეწველო საჭიროებასთან. ამიტომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სადგურის მშენებლობისათვის კრედიტების გახსნისას აღნიშნა, რომ „სადგურმა ენერგია უნდა მისცეს ჭაობების დასაშრობად და ტექნიკურ ნედლ მასალის დასამუშავებლად“[36]. ამასთან ამ სადგურის აგება ნაკარნახევი იყო ბათუმში ნავთობის გადამუშავების გადიდებითა და ნავსადგურის განვითარება-გაფართოებითაც. ეს დარგები მეტისმეტად საჭიროებდნენ ადგილობრივ ელექტროენერგიას.

რევოლუციამდელი აჭარის შინასამეურნეო მდგომარეობის სირთულე სწორი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებას მოითხოვდა, საჭირო იყო მუშათა კონტროლი, საფინანსო საქმიანობის ორგანიზაცია. აჭარის ხელმძღვანელი ორგანოები განუხრელად ასრულებდნენ ვ. ი. ლენინის მითითებებს იმის შესახებ; რომ „საბჭოთა ფინანსების განმტკიცების ამოცანა ერთ-ერთი უაღრესად ძნელი ამოცანაა, მაგრამ ეს ამოცანა ამჟამად პირველ რიგში დგას და მის გადაუჭრელად მნიშვნელოვან ნაბიჯებს ვერ გადავდგამთ წინ ვერც საერთაშორისო კაპიტალისაგან საბჭოთა რუსეთის დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში და ვერც ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული განვითარების საქმეში“[37].

საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის 1921 წ. 16 ივლისის № 54 დეკრეტით შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ჩამოყალიბდა სახალხო კომისარიატები, მათ შორის ფინანსთა სახკომი.

1921 წლის 9 დეკემბერს აჭარის რევკომის თაოსნობით გაიმართა ეკონომიური თათბირი, რომელმაც შეიმუშავა სამეურნეო ცხოვრების აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი.

თათბირმა საფინანსო დარგის მუშაკებს დავალება მისცა შეემუშავებინათ ყველა საწარმო-დაწესებულების წლიური ხარჯთაღრიცხვები, დაეზუსტებინათ საკუთარი შემოსავალ-გასავალი, საწარმო და საფინანსო საქმიანობისათვის საჭირო საშუალებანი და მათი დაფარვის წყაროები.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ბევრი სამრეწველო საწარმო მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, აუცილებელი იყო მათი დაკრედიტება, შეღავათიანი სახელმწიფო სესხების გაცემა. საგულისხმოა გაზეთ „ბრძოლის“ 1922 წლის 24 დეკემბრის ფურცლებზე მოთავსებული ერთ-ერთი სტატიის შინაარსი. იქ ვკითხულობთ: „სახალხო მეურნეობის საბჭომ მოისმინა მოხსენება მესამე საბჭოთა ქარხნის უმწეო მდგომარეობის შესახებ და დაადგინა გაეხსნას მას 200 მილიონი მანეთის კრედიტი“.

აჭარისტანის ფინანსთა სახკომის სამმართველომ 1923 წელს შეადგინა პირველი რესპუბლიკური ბიუჯეტი, რომლის მიხედვით შემოსავალი უდრიდა 2575 ათას ოქროს მანეთს, გასავალი კი 4348 ათას მანეთს[38].

1923 წლის 2 იანვრიდან მუშაობა დაიწყო სახელმწიფო ბანკის აჭარის განყოფილებამ[39]. საფინანსო-საკრედიტო საქმიანობა ინტენსიურად ვითარდე-

36 აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ-2, აღწ. I, საქმე I, გვ. 151—157.

37 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 446.

38 1923 წ. 15 მაისიდან ოქროს ათმანეთიანი შეცვალა ჩერვონეცმა. იხ. სტატისტიკური კრებული, 1913—1923 წწ., ბათუმი, 1924, გვ. 393.

39 აჭარის ასსრ ცსა, ფონდი რ—2, აღწ. I, საქმე I, გვ. 297.

ბოდა. ამ ხანებში გამოშვებულ იქნა ჩერვონეცების ემისია, რამაც ბანკს ფასდაცემული ვალუტის ქაოსიდან გამოსვლის გზა მისცა.

1924 წლის აპრილში გატარდა ფულის რეფორმა, შეიქმნა სპეციალური კომისია ე. წ. „ხუთეულის“ სახელწოდებით. კომისიაში, ფინსახკომის მუშაკთა გარდა, შედიოდნენ სახბანკისა და პროფსაბჭოს წარმომადგენლები. კომისიას ევალებოდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასები დაეყვანა მყარ ვალუტაზე, ამიერკავკასიაში მოქმედი ფულის ნიშნების გამოყიდვის მიზნით ხელფასები გაეცათ წვრილი კუპონებით, რადგან მაღალფასიანი კუპონები დახურდავების დროს ბევრ უხერხულობას ქმნიდა, ძნელად ხურდავდებოდა, კარგავდა ღირებულების გარკვეულ პროცენტს. კომისიამ მის წინაშე მდგარი ამოცანები შეასრულა და 1924 წლის მაისში გაუქმებულად გამოცხადდა.

ნაციონალიზებულ საწარმოებში სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას ნორმალური ხასიათი ეძლეოდა. მათ მუშაობაში წამყვან ადგილს იკავებდა გეგმიანი ხელმძღვანელობისა და მართვის პრინციპები.

* * *

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საერთოდ სტატისტიკა, კერძოდ, სამრეწველო სტატისტიკა, არ იყო. შიდასაწყობო, ე. ი. საფაბრიკო-საქარხნო აღრიცხვა გაპარტახებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

1924 წელს გამოცემულ სტატისტიკურ კრებულში „აჭარისტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (1913—1923 წწ.)“ ვკითხულობთ, რომ იმ დროისათვის „სტატისტიკურ მემკვიდრეობაზე ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან სტატისტიკური ორგანიზაცია აჭარისტანში მხოლოდ 1921 წლის დამლევს მოეწყო. მანამდე კი სტატისტიკური დაწესებულება არ არსებობდა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბათუმის ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ საინფორმაციო-სტატისტიკურ ქვეგანყოფილებას, რომელიც კმაყოფილდებოდა მომარაგების და ფასების სტატისტიკის წარმოებით“.

ბათუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, 1921 წლის მარტს ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის მაგიერ დაარსდა კომუნალური მეურნეობის საოლქო განყოფილება, რომელშიც ექვსი ქვეგანყოფილება, მათ შორის სტატისტიკური (ქალაქის მუზეუმების ჩათვლით) განყოფილება შედიოდა[40]. სულ მალე 1921 წლის ოქტომბერში დაარსდა აჭარისტანის სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო. 1923 წლის იანვარში აჭარისტანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა აჭარისტანის სტატისტიკის სამმართველოს შუამდგომლობით მიიღო დადგენილება მაზრების აღმასკომებთან სტატისტიკური უჯრედების დაარსების შესახებ (ოითო სტატისტიკოსის თანამდებობა მაზრის აღმასკომთან). სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ეს დადგენილება განუხორციელებელი დარჩა[41].

---

[40] გაზეთი „უწყებები“, № 5, 1921, 25 მარტი.

[41] აჭარის ასსრ ცსა, ფ. რ. 2, ა. I, საქმე I, გვ. 173.

ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში აჭარის მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა დაუდგენელია, თუმცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1962 წელს გამოცემული სტატისტიკური კრებული[42], სადაც წარმოდგენილია აჭარის რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის ტემპები 1913—1961 წლებში, შეიძლება ერთ-ერთ წყაროდ მივიჩნიოთ. დასახელებული კრებულის მიხედვით, აჭარის მრეწველობა 1913 წელთან შედარებით გადიდებულია: 1940 წელს 50-ჯერ და მეტად, 1958 წელს 80-ჯერ და მეტად, ხოლო 1961 წელს თითქმის 100-ჯერ. ამისა და საარქივო მონაცემთა მიხედვით დავადგინეთ 1913, აგრეთვე 1921—1925 წლებში წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1955 წლის უცვლელ საბითუმო ფასებში.

ჩვენს მიერ შესრულებული გაანგარიშების მიხედვით შემდეგნაირ სურათს ვიღებთ: 1913 წელს აჭარის ფაბრიკა-ქარხნების მიერ დამზადებული პროდუქციის ღირებულება (1955 წლის უცვლელი საბითუმო ფასებით) 1349 ათას მანეთს უდრიდა, 1921 წელს კი — 668 ათას მანეთს. ორი წლის შემდეგ, 1923 წელს, 1921 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 2,8 ჯერ გადიდდა, 1927 წლისათვის კი 3,6 ჯერ.

როგორც არსებული მონაცემებიდან ირკვევა, სამრეწველო საწარმოების შედარებით მაღალ ტემპებთან გვაქვს საქმე პირველ ხუთწლედში. 1928—1932 წლებში საშუალო წლიური მატების ტემპი 88 პროცენტს შეადგენდა. მაშინ აიგო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ფეხსაცმელებისა და სამკერვალო ფაბრიკები, საკონდიტრო საწარმო, ჩაის რამდენიმე ფაბრიკა და ა. შ. მძლავრი კაპიტალური რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მოქმედ ფირფიცრების და მომთუთიებელ ქარხნებს, თამბაქოს ფაბრიკას და საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრ საწარმოს.

ხუთწლედის ბოლოს, 1932 წელს აჭარის მრეწველობის მიერ გამომუშავებული სამრეწველო და სასურსათო პროდუქციის ღირებულება 31-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის დონეს, 1921 წლისას კი 63-ჯერ.

მეორე ხუთწლედში წარმოიშვა მძიმე მრეწველობის კიდევ ერთი ახალი დარგი — მანქანათმშენებლობა. 1937 წელს ექსპლოატაციაში შევიდა აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური, რომლის საწყისი სიმძლავრე 16 ათას კილოვატს უდრიდა. აშენდა ჩაის ფაბრიკები, აიგო კოფეინისა და ტუნგოს ზეთსახდელი ქარხნები. განვითარდა საკონსერვო მრეწველობა. მოქმედება დაიწყო მძლავრმა ციტრუსკომბინატმა. მეორე ხუთწლედის ბოლოს წარმოებულმა პროდუქციამ 104-ჯერ გადააჭარბა 1921 წელს გამოშვებულ პროდუქციას.

კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგებში გაბატონებული ადგილი მოიპოვა მსხვილმა მანქანურმა წარმოებამ; პურის პატარ-პატარა საცხობები ბათუმის პურის ქარხანამ შეცვალა, მცირე წარმადობის საშაქარლამოები — სა-

[42] Народное хозяйство СССР в 1961 году, статиздат; М., 1962, стр. 286.

კონდიტრო ფაბრიკამ, ცალკეულ მკერავთა არტელები — სამკერვალო ფაბრიკამ, ფეხსაცმელების წვრილი სახელოსნოები — ფეხსაცმელების ფაბრიკამ, გაკოტრებული დაბახანები — ტყავის ქარხანამ. აიგო და აშენდა ლუდის, რძისა და ხორცის პროდუქტების ახალი საწარმოები.

უკანასკნელ ათწლეულში წარმოიშვა და აღმავლობით ვითარდება ელექტროტექნიკური მრეწველობა.

1968 წელს აჭარის ასს რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში წარმოებული პროდუქციის მოცულობამ 238 მილიონ მანეთს მიაღწია, 1921 წლის დონეს დაახლოებით 370-ჯერ გადააჭარბა. ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება 20-ჯერ და მეტადაც გადიდდა.

ნიკოლოზ გვიშიანი

ეკონომიკური რეფორმა და ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ამაღლება

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

მშრომელთა მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ამაღლება მეურნეობის მხოლოდ სოციალისტური სისტემისათვისაა დამახასიათებელი. და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან „...ფულის მფლობელი წინ მიაბიჯებს როგორც კაპიტალისტი, ხოლო სამუშაო ძალის მფლობელი უკან მისდევს მას როგორც მისი მუშა; პირველი მრავალმნიშვნელოვნად იღიმება და საქმის დაწყება სწყურია, მეორე კი თავჩაქინდრული, უგულოდ მიჩანჩალებს, როგორც ადამიანი, რომელმაც თავისი საკუთარი ტყავი ბაზარზე გაიტანა გასაყიდად და მომავალში არაფერს მოელის, გარდა ამ ტყავის დათრიმლვისა“[1].

შრომაში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „...კაპიტალიზმის დროს კონკურენცია ნიშნავს მოსახლეობის მ ა ს ი ს, მისი უდიდესი უმრავლესობის, მშრომელთა ოთხმოცდაცხრამეტი მეასედის თაოსნობის, ენერგიის, გაბედული წამოწყების გაუგონრად მხეცურ ჩახშობას“[2].

მხოლოდ სოციალიზმი ქმნის იმის პირობებს, რომ მშრომელთა ინიციატივა და აქტივობა წარმოიშვას და გაიშალოს ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივად. „სოციალიზმი... ქმნის... შესაძლებლობას ნამდვილად გამოყვანილ იქნეს მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოააშკარავონ ნიჭი, რომელიც ხალხში ულევია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით თელავდა, ჰქელავდა და ახშობდა“[3].

რის საფუძველზე წარმოიშობა მშრომელთა მასების შემოქმედებითი ინიციატივა?

ექსპლოატატორებისათვის იძულებითი მუშაობის მოსპობის შემდეგ, პირველად ხდება შესაძლებელი, რომ ადამიანმა თავისთვის, საზოგადოებისათვის იმუშაოს და იმუშაოს იმგვარად, რომ გამოიყენოს უახლესი ტექნიკისა და კულტურის ყველა მონაპოვარი. „მშრომელთა მიერ იმის შეგნება, რომ ისინი მუშაობენ არა ექსპლოატატორებისათვის, არამედ თავიანთთვის, თავიანთი საზოგადოებისათვის, წარმოშობს შრომის ენთუზიაზმს, ნოვატორობას, შემოქმედებითს ინიციატივას, მასობრივ სოციალისტურ შეჯიბრებას. სოციალიზმი მშრომელი მასების ცოცხალი შემოქმედებაა. ახალი ცხოვრების

---

1 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 226, თბ., 1954.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 26, გვ. 471

3 იქვე, გვ. 471—472.

მშენებლობაში ხალხის მასების აქტივობის ზრდა სოციალიზმის ეპოქის კანონია"[4].

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ისტორია აღსავსეა მშრომელთა მასების შემოქმედებითი ინიციატივის სულ ახალი და ახალი ფორმებით. ეს იმიტომ, რომ სოციალიზმსა და კომუნიზმს სწორედ მშრომელთა მასების შემოქმედებითი შრომა წარმოშობს, შემოქმედებითი შრომა კი ინიციატივისა და აქტივობის გარეშე წარმოუდგენელია.

ჩვენს ქვეყანაში, პარტიისა და მთავრობის დადგენილების წინ ან დადგენილების მიღების შემდეგ, რომელიმე ისტორიული თარიღის აღსანიშნავად, როგორც წესი, წარმოიშობა მასების ინიციატივა. ეს ჩვენში კანონის ხასიათს იღებს. სწორედ ასე მოხდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

პლენუმმა მიიღო დადგენილება მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და მრეწველური წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების შესახებ.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის თანმიმდევრული განხორციელება ემყარება სწორედ მასების ინიციატივას და აქტივობას. ამიტომ, ბუნებრივია, ცხოვრებაში მის გატარებას თან უნდა ახლდეს და ახლავს კიდევაც მშრომელთა მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლება. „ეკონომიურ რეფორმას მოსდევს ხალხის მასების შემოქმედებითი აქტივობის, წარმოების მართვაში მათი როლის შემდგომი ამაღლება, იგი ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას"[5]. რამ გამოიწვია ეკონომიკური რეფორმის ცხოვრებაში გატარების აუცილებლობა? საქმე ისაა, რომ კომუნისტურმა მშენებლობამ, მეურნეობის გაძღოლის, ეკონომიკის მართვის მეთოდების სრულყოფის, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სისტემის გაუმჯობესების დარგში დასახა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. სწორედ ამ ამოცანების ცხოვრებაში გატარებამ მოითხოვა ეკონომიკური რეფორმის განხორციელების აუცილებლობა. რეფორმის მთავარი მიზანი ის არის, რომ გავადიდოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობა, უზრუნველვყოთ შრომის მწარმოებლურობის სისტემატური ზრდა.

როგორც ცნობილია, მეურნეობრივი რეფორმის ცხოვრებაში გატარებამდე მრეწველობის მართვა ეწყობოდა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. ეს კი აბრკოლებდა დარგობრივი სპეციალიზაციისა და სხვადასხვა ეკონომიურ რაიონში მდებარე საწარმოთა რაციონალური ურთიერთობის განვითარებას, აშორებდა მეცნიერებას წარმოებას, იწვევდა მრეწველობის დარგების ხელმძღვანელობის დაქსაქსულობასა და მრავალსაფეხურიანობას მუშაობაში, ოპერატიულობის დაკარგვას. „მრეწველობის მართვის ტერიტორიულ სისტემას მოჰყვა ის, რომ მრეწველობის დარგების ხელმძღვანელობა დაქსაქსული აღმოჩნდა მრავალი ეკონომიური რაიონის მიხედვით; დაირღვა ტექნიკური პოლიტიკის ერთიანობა, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები მოწყვეტილი აღმოჩნდნენ წარმოებას, რაც აფერხებდა ახალი ტექნიკის შემუშავებასა და დანერგვას"[6].

---

4 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 16, თბილისი, 1967.

5 დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი, გვ. 42, თბილისი, 1967.

6 სკკპ XXIII ყრილობის მასალები, გვ. 48, თბ., 1966.

კომუნისტური მშენებლობის ინტერესები, შექმნილ სიძნელეთა დაძლევის საჭიროება მოითხოვდა ისეთ ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ჩვენ ქვეყანაში შექმნილი გიგანტური მწარმოებლური ძალების უფრო რაციონალურად გამოყენებას, ხალხის კეთილდღეობის უფრო სწრაფად გაუმჯობესებას, ჩვენი წყობილების უპირატესობათა სრულად გამოვლინებას. სწორედ ასეთ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას უზრუნველყოფს მრეწველობის მართვა დარგობრივი პრინციპის მიხედვით.

დარგობრივი პრინციპის მიხედვით ხელმძღვანელობა საშუალებას იძლევა უკეთ უზრუნველვყოთ ერთიანი ტექნიკური და ეკონომიკური ხელმძღვანელობა, უფრო რაციონალურად გავანაწილოთ და გამოვიყენოთ კადრები, უფრო სწრაფად და ეფექტურად დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. „ახლად შექმნილი ცენტრალიზებული დარგობრივი მართვა კარგად არის შეხამებული მოკავშირე რესპუბლიკების, საწარმოებისა და გაერთიანებების უფლებათა არსებით გაფართოებასთან, ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდების გაძლიერებასთან — და ეს არის მრეწველობის მართვის ახალი სისტემის უპირატესობა“[7].

მართვის ახალ სისტემაზე გადასვლა ასახავს მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის შეცვლილ პირობებს, თანამედროვე სოციალისტური წარმოების გაზრდილ მასშტაბებს, თვისებრივ ცვლილებებს მის სტრუქტურაში და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური რეფორმა ნიშნავს ახალ მიდგომას ეკონომიკის მართვისადმი. მისი „...არსი ის არის, რომ გააძლიეროს ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდების როლი, სრულყოს სახელმწიფო დაგეგმვა, გაფართოს საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობა და ინიციატივა, ყოველი ღონისძიებით დანერგოს და სრულყოს სამეურნეო ანგარიში“[8].

ცხადია, როცა ეკონომიკური რეფორმა აფართოებს საწარმოთა მეურნეობრივ დამოუკიდებლობასა და ინიციატივას, მის ცხოვრებაში გატარებამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს (და გამოიწვია კიდევაც) ხალხის მასების შემოქმედებითი აქტივობის შემდგომი ამაღლება.

ინიციატივისა და აქტივობის გაშლას წინ უსწრებდა სკკპ ცკ-ის სექტემბრის პლენუმის მასალების შესწავლა. ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები იწონებდნენ სკკპ ცკ-ის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მისი ცხოვრებაში გატარებას. ამ გარემოებას კი არ შეიძლება არ გამოეწვია წარმოების მუშაკებში ახალი ინიციატივა — თაოსნობა-აქტივობის გაშლა. მაგალითად, 1965 წლის დეკემბერში წარმოიშვა მოსკოვისა და ლენინგრადის მრეწველური საწარმოების ინიციატივა ლითონისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვის შესახებ.

მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა კოლექტივების შესანიშნავმა თაოსნობამ ფართო გამოძახილი პოვა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში. ქარხნის კოლექტივმა ამ პატრიოტული წამოწყების შეტყობის პირველ დღესვე გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და გადწყვიტა 1966 წელს დაეზოგა 40 ტონა ლითონი და დაზოგილი ნედლეულიდან დამატებით გამოეშვა 10 ცალი უნივერსალური სახარატო ჩარხი.

7 სკკპ XXII ყრილობის მასალები, გვ. 49.

8 დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი, გვ. 41.

მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულმა თაოსნობამ ქართველ მეავტომობილეთა გამოხმაურება გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ქარხნის კოლექტივს ყველა ახალი ვალდებულების განხორციელებით 1966 წელს უნდა მიეღო 345 ტონა ლითონის ეკონომია, რაც შესაძლებლობას მისცემდა ქარხანას დამატებით გამოეშვა „კაზ 606“ მარკის რამდენიმე ათეული ავტომანქანა.

1965 წლის 21 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივის მოწოდება საქართველოს მრეწველობის ყველა მუშაკისადმი. ჭიათურელები სათავეში ჩაუდგნენ სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კპ XXIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას და ახალი გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს. ვალდებულება ითვალისწინებდა: შვიდწლედის საქონლური პროდუქციის გეგმის გადამეტებით 1965 წლის ბოლომდე სამშობლოსათვის მიეცათ 850 ათასი ტონა მარგანეცი, მაღალი ხარისხების მარგანეცის დამზადების გეგმა შეესრულებინათ 15 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოეშვათ 61.500 ტონა.

ფაქტიურად გეგმის ზევით მოპოვებულ იქნა 893 ათასი ტონა საქონლური მარგანეცი, მაღალი ხარისხების მარგანეცის დამზადების გეგმა შესრულდა 10 დეკემბრისათვის და გეგმის ზევით 91 ათასი ტონა იქნა მიღებული. ასევე იქნა შესრულებული აღებული ვალდებულების დანარჩენი ნაწილიც.

1966 წლის თებერვალში წარმოიშვა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მჭედელთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის ბ. თედორაძის ბრიგადის თაოსნობა წარმოებრივი ფონდების გონივრულად გამოყენებისათვის. სკკპ ცკ-ის (1965 წლის) სექტემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ არა მარტო უნდა გავითვალისწინოთ მოგების ოდენობა და მატება, არამედ უნდა გავითვალისწინოთ რენტაბელობის დონეც, ესე იგი, უნდა ვიცოდეთ, რამდენი მანეთი მოგებაა მიღებული წარმოებრივი ფონდების თითოეულ მანეთზე. ბ. თედორაძის ბრიგადამ, გადაწყვიტა რა თავისი შრომითი წვლილი შეეტანა სკკპ ცკ-ის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, იკისრა: 1966 წელს გეგმის გადამეტებით გამოეშვათ 1.150 მეტრი ხამი ქსოვილი. პროდუქციის წარმოების ზრდის, ხარისხის ამაღლებისა და დამხმარე მასალების დაზოგვით 1966 წელს სამშობლოსათვის მიეცათ 2.798 მანეთი ზეგეგმითი მოგება. ბრიგადამ გადაწყვიტა ძირითადი ფონდების ყოველ 1.000 მანეთზე ხამი ქსოვილის გამოშვება 1966 წელს 50,5 მეტრით გაეზარდა.

იკისრა რა ესა და სხვა ვალდებულებანი, ბრიგადამ მიმართა რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა ბრიგადებს, ებრძოლათ წარმოების ძირითადი ფონდების უფრო ეფექტური გამოყენებისათვის, მეტი მოგების მისაღებად.

ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის ფეიქრებმა ერთსულოვნად მოიწონეს და დაუჭირეს მხარი ბ. თედორაძის ბრიგადის თაოსნობას.

აღსანიშნავია, რომ სკკპ ცკ-ის სექტემბრის პლენუმმა და სკკპ XXIII ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმეს წარმოებისა და მეცნიერების ურთიერთკავშირის განმტკიცებას. ამ მიზნით, რუსთავის მეტალურგიულმა ქარხა-

ნამ 1966 წლის აპრილში შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა: ქარხნის კოლექტივმა ადგილზე მოიწვია „გრუზგიპრომეზის“, „ავტომატპრომის“, მეტალურგიის და სხვა ინსტიტუტების წარმომადგენლები და მათ შეიმუშავეს ღონისძიებანი წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვის უზრუნველსაყოფად.

ქარხნის კოლექტივმა და ზემო დასახელებულმა სამეცნიერო დაწესებულებებმა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საშუალებით ერთობლივად მიმართეს რესპუბლიკის მშრომელებს, გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისათვის ღირსეულად შეხვედრისათვის.

1966 წლის სექტემბერში შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა. მათ იკისრეს, 1966 და 1967 წლების საქონლური პროდუქციის დამზადების გეგმა შეესრულებინათ ერთი თვით ადრე და სამშობლოსათვის მიეცათ გეგმის გადამეტებით 200.000 ტონა მარგანეცი, ხოლო 1967 წლის 7 ნოემბრისათვის შეესრულებინათ საქონლური პროდუქციის 11 თვის დავალება; შრომის მწარმოებლურობა გეგმასთან შედარებით უნდა გაეზარდათ 7 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულებაში უნდა მიეღწიათ 100.000 მანეთის ზეგეგმური ეკონომიისათვის, გამომგონებლობის და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით უნდა მიეღოთ პირობითი ეკონომია და 1966-1967 წლებში ხუთწლედის ფონდში შეეტანათ 1200000 მანეთი. ჭიათურელმა მაღაროელებმა გაზ. „კომუნისტის“ მეშვეობით მიმართეს საქართველოს სსრ მრეწველობის ყველა მუშაკს, მხარი დაეჭირათ ამ წამოწყებისათვის და მოეხდინათ მთელი ძალებისა და შესაძლებლობების მობილიზაცია სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად.

„დიდი ოქტომბრის სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად, აღნიშნა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, ჩვენს რესპუბლიკაში გამოვიდნენ ქალაქ ჭიათურისა და სიღნაღის რაიონის მშრომელები. ამ პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი მთელ საქართველოში. შეჯიბრებაში ჩაებნენ გორის, წითელი წყაროს, ზუგდიდისა და რესპუბლიკის სხვა რაიონის მშრომელები.

ახლა ამოცანა ის არის, რომ სწორად მოვაწყოთ ეს შეჯიბრება, გავხადოთ იგი ქმედითი, შეჯიბრებაში ჩავაბათ მშრომელთა ფართო ფენები, გავაძლიეროთ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში. ჩვენი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ამ პატრიოტულ მოძრაობას და უზრუნველყონ ნაკისრ ვალდებულებათა უთუოდ შესრულება“[9].

თბილისის სახელობის ჩარხების ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა ეს თაოსნობა და თავის მხრივ აიღო ვალდებულება, რათა 1966 და 1967 წლების მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა შეესრულებინათ ვადაზე ათი დღით ადრე და გეგმის გადამეტებით 1966 წლისათვის გამოეშვათ სპეციალური ჩარხი, შრომის მწარმოებლურობა, გეგმით გათვალისწინებულთან

9 ვ. პ. მჟავანაძე, ახალი შრომითი წარმატებებით აღვნიშნოთ ოქტომბრის საიუბილეო წელი, გაზ. „კომუნისტი“, 19 თებერვალი, 1967 წ.

შედარებით, ყოველწლიურად გაეზარდათ 4 პროცენტით. ნაკისრი იყო აგრეთვე სხვა ვალდებულებანიც.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა ერთხმად დაუჭირა მხარი მაღაროელთა თაოსნობას და გადიდებული ვალდებულება იკისრა.

აღსანიშნავია, რომ მართვის ახალ მეთოდებზე გადასვლა ხდებოდა თანმიმდევრულად. ცხადია, აქ სიჩქარე ზიანს მოუტანდა ჩვენს სახალხო მეურნეობას.

„ხუთწლიანი გეგმის შესრულების გადამწყვეტი პირობა იქნება გადასვლა მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის ახალ მეთოდებზე, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის (1965 წლის) პლენუმებმა შეიმუშავეს. ამოცანა ის არის, რომ თანმიმდევრულად შემოვიღოთ ეს მეთოდები, განვამტკიცოთ და სრულყოთ ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობა და ამავე დროს განვავითაროთ მეურნეობის მართვის დემოკრატიული საფუძვლები, ყველა ღონისძიებით შევუწყოთ ხელი მასების შემოქმედებითი აქტივობის გაშლას“[10].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წ). პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ინდუსტრიული საწარმოები თანდათანობით გადადიოდნენ დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე. მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე 1967 წლის 1 იანვრისათვის გადაყვანილი იყო 704 საწარმო. ფაბრიკებმა და ქარხნებმა, რომლებიც ახალ პირობებში მუშაობდნენ, პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა 1966 წელს, 1965 წელთან შედარებით, გაადიდეს 10 პროცენტით და მეტად, მოგება დაახლოებით 25 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შრომის მწარმოებლურობა 8 პროცენტით. 1966 წელს საქართველოს სსრ-ში მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე გადავიდა 9 საწარმო.

1966 წელს დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასულ საწარმოთა გამოცდილებამ დაადასტურა ეკონომიკური რეფორმის ეფექტურობა.

„საწარმოო ფონდებიდან ყველაზე დიდი ამოგების მიღება (რეალიზებული პროდუქციის რაოდენობითა და ხარისხით და მოგებით) თითოეული საწარმოს მუშაობის შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი უნდა გახდეს. საჭიროა, რომ რენტაბელობის დონე (მოგების შეფარდება ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების თანხასთან) სწორად განისაზღვროს საწარმოთა ხუთწლიანი გეგმის შედგენისას. საწარმოო ფონდების ეფექტიანი გამოყენებისათვის ბრძოლას პირველხარისხოვანი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და ნამდვილი საყოველთაო სახალხო საქმე უნდა გახდეს“[11].

1967 წლის პირველი დღეები აღინიშნა ეკონომიკური რეფორმის ახალი ეტაპის დაწყებით, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლით.

მაგალითად, 1967 წლის იანვარში გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნდა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივის მიმართვა რესპუბლიკის წარმოებრივი კოლექტივებისადმი — ჭიათურელთა თაოსნობის საფუძველზე გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება დევიზით:

---

10 სკკპ XXIII ყრილობის მასალები, გვ. 157.

11 იქვე, გვ. 154.

„ვინ იქნება საიუბილეო-სამახსოვრო დროშების მფლობელი“. ქარხნის კოლექტივმა იკისრა, მთლიანი და საქონლური პროდუქციის გამოშვებისა და პროდუქციის რეალიზაციის 1967 წლის ათი თვის გეგმები წარმატებით შეესრულებინა, ამასთანავე გეგმის გადაჭარბებით მიეცა სახელმწიფოსათვის ასიათასობით მანეთის პროდუქცია, დიდი ოქტომბრის საიუბილეო დღისათვის გამოეშვა ზეგეგმითი „ვლ-8“ ტიპის ელმავალი და სხვა მრავალი. ამ მოწოდებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივში.

ქართველმა ფეიქრებმა იკისრეს 1967 წლის ნოემბრისათვის შეესრულებინათ მთლიანი პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება და წლის ბოლომდე დამატებით გამოეშვათ 500 ათასი მანეთის პროდუქცია, ამასთან პირველი ხარისხის პროდუქციის ოდენობა, გეგმასთან შედარებით, გაედიდებინათ ერთი პროცენტით.

1967 წლის თებერვალში შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა ს. ორჯონიკიძის სახელობის ჭუთაისის საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ამწყობი ი. ხაზარაძე ხელმძღვანელობს.

ბრიგადამ გადაწყვიტა 1967 წელს შეემუშავებინათ 80 წინადადება, რომელთაგან საიუბილეო დღისათვის წარმოებაში უნდა დაენერგათ სულ მცირე 60 წინადადება და ამ მიზნით მიღებული პირობითი ეკონომიით ხუთწლედის ფონდში შეეტანათ 30 ათასი მანეთი და სხვა.

ამ თაოსნობას მხურვალედ დაუჭირა მხარი რუსთავის ამწეთსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა. აქ, გაეცნენ რა ქუთაისელ რაციონალიზატორთა თაოსნობას, გადაწყვიტეს შეექმნათ 10 კაციანი ბრიგადა, რომელშიც ინჟინერ-ტექნიკოსთა გვერდით გაერთიანებული იყვნენ რიგითი რაციონალიზატორებიც. ბრიგადამ იკისრა: 1967 წელს შეემუშავებინათ 60 წინადადება და აქედან წარმოებაში დაენერგათ 40. მათს ხარჯზე ხუთწლედის ფონდში შეეტანათ 32 ათასი მანეთი, დაეზოგათ 60 ტონა ლითონი, რაციონალიზატორულ მუშაობაში დამატებით ჩაებათ 25 კაცი; ნაკისრი იყო სხვადასხვა ვალდებულებანიც.

1967 წლის თებერვალში შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშაკებმა. მათ აიღეს სოციალისტური ვალდებულებანი 1967 საიუბილეო წლისათვის. ნაკისრი ვალდებულებანი ითვალისწინებდა: საიუბილეო წელს პროდუქციის მოცულობისა და უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა უმეტესი ნაწილის გამოშვების 10 თვის გეგმა უნდა შეესრულებინათ 26 ოქტომბრისათვის, ხოლო წლიური გეგმა — 24 დეკემბრისათვის. შიდა რეზერვების მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზე 1967 წელს გეგმის გადამეტებით უნდა გამოეშვათ: 8 ათასი ტონა ფოლადი, 100 ათასი ტონა მარგანეცის მადანი, 40 ათასი ტონა ქვანახშირი და სხვა. 1967 წელს მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე უნდა გადაეყვანათ 100-ზე მეტი საწარმო და ყოველმხრივ მოემზადებინათ სამეურნეო რეფორმის განსახორციელებლად ყველა დანარჩენი საწარმო.

ეხებოდა რა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშაკთა ამ ინიციატივას, ამხ. ვ. პ. მჟავანაძე აღნიშნავდა: „გამარჯვებანი ახალ, საბჭოთა ხელისუფლების საიუბილეო წელს შეიძლება მოვიპოვოთ მხოლოდ შეუპოვარი, თავდადებული შრომით.

ჩვენ გვაქვს ყველა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ რესპუბლიკის მშრომელთა მიერ ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შესრულდება. ამის საწინდარია საიუბილეო, 1967 წლის კარგი დაწყება. ხუთწლედის მეორე წლის პირველი თვის მუშაობის შედეგები"[12].

მართლაც, თუ გადავხედავთ ნაკისრ ვალდებულებებს და მისი შესრულების შედეგებს, დავინახავთ, რომ ინიციატორები სიტყვას საქმეს არ აცილებენ. ამის დამადასტურებელია ის, რომ რესპუბლიკის საწარმოთა უმრავლესობამ უკვე 1967 წლის 20 ოქტომბრისათვს წარმატებით შეასრულა საბჭოთა სახელმწიფოს იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი გადიდებული ვალდებულებანი.

შესანიშნავი თაოსნობით ნაკისრი ვალდებულებანი, რომლებიც ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ამწყობის, სოციალისტური შრომის გმირის იოსებ ხაზარაძის რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ იკისრა, უკვე 1967 წლის 15 აგვისტოსათვის იქნა შესრულებული. მისასალმებელია, რომ ბრიგადამ რაციონალიზატორულ წინადადებათა შემდგომი დანერგვით იკისრა, რომ ვალდებულების გარდა 15.000 მანეთის ეკონომიაც გაეწია, ამასთან 15-20 პროცენტით გადაემეტებინა სხვა საიუბილეო ვალდებულებისთვისაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გამარჯვება, რაც ქართველმა მაღაროელებმა საიუბილეო შეჯიბრებაში მოიპოვეს. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივს საიუბილეო წელს სამშობლოსათვის გეგმის გადამეტებით უნდა მიეცა 100 ტონა საქონლური მარგანეცი. ეს ვალდებულება ვადამდე შესრულდა. 1967 წლის 4 ოქტომბრისათვის შეჯიბრების თაოსნებმა მეტალურგიულ ქარხნებს გადაუგზავნეს 117.000 ტონა მარგანეცი. მაღაროელთა კოლექტივმა 1967 წლის 9 თვეში გადაჭარბებით შეასრულა არა მარტო გეგმა, არამედ ვალდებულებაც.

პირნათლად გაანაღდა აგრეთვე აღებული ვალდებულებანი რუსთავის ამწეთსამშენებლო ქარხნის რაციონალიზატორთა ბრიგადამ. 60 წინადადების ნაცვლად, რაც ვალდებულებით ჰქონდა ბრიგადას გათვალისწინებული, შემუშავებული იქნა 65 და 40-ის ნაცვლად წარმოებამ 1967 წლის 12 ოქტომბრისათვის 43 რაციონალიზატორული წინადადება დანერგა.

როცა ვალდებულების შესრულებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ვალდებულებანი მხოლოდ მოწინავეთა ხარჯზე როდი უნდა შესრულდეს, საქმე ის არის, რომ ყველგან, ყველა კოლექტივმა მიაღწიოს შრომის მაღალ ეფექტურობას. სამწუხაროდ, ხდება ხოლმე, რომ ზოგიერთი საწარმო ზოგჯერ ვერ უწყობს ხოლმე ფეხს საერთო რიტმს. წარმოების ბედს კი არა მარტო მოწინავეები, არამედ მოწინავეებთან ერთად წარმოების ყველა მუშაკი წყვეტს. ამიტომ ყოველი სასარგებლო ინიციატივა, სიახლე, კარგი გამოცდილება სულ უფრო და უფრო მეტი კოლექტივების კუთვნილებად უნდა იქცეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის წინ მოსკოველთა ინიციატივით დაიწყო შეჯიბრება 1970 წლის 7 ნოემბრისათვის

---

12 ვ. პ. მჟავანაძე, ახალი შრომითი წარმატებებით აღვნიშნოთ ოქტომბრის საიუბილეო წელი, გაზ. „კომუნისტი" 1967 წლის 19 თებერვალი.

ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად. საქართველოს მრეწველურ საწარმოთა კოლექტივები, ჩვენი ქვეყნის მრავალ საწარმოსთან ერთად, გამოეხმაურნენ მოსკოველთა პატრიოტულ ინიციატივას.

მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნებისა და სხვა ქარხნების კოლექტივებმა იკისრეს ვალდებულება ხუთწლიანი გეგმა ვადამდე, 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, შეასრულონ.

ჩარხმშენებლებმა გადაწყვიტეს აგრეთვე ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მიაღწიონ სერიული სახარატო — ხრახნსაჭრელი ჩარხების გამოშვების იმ დონეს, რომელიც ხუთწლედის დამლევისათვისაა გათვალისწინებული, ხუთწლედის მანძილზე დაზოგონ სულ ცოტა 450 ტონა შავი ლითონი. 1967 წლის დეკემბერში ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ამწყობი ი. ხაზარაძე ხელმძღვანელობს, მოსკოველთა ინიციატივასთან დაკავშირებით ახალი შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა. ბრიგადის წევრებმა გადახედეს უკვე მიღწეულ შედეგებს, თავიანთ შესაძლებლობებს და ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრეს. 14 კაცისაგან შემდგარმა რაციონალიზატორთა ბრიგადამ ვალდებულება აიღო ხუთწლედის სამ წელიწადში შეასრულოს, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე — 1970 წლის 22 აპრილისათვის წარმოებაში დანერგილი ჰქონდეს 210 რაციონალიზატორული წინადადება, ხუთწლედის ფონდში შეიტანოს 20 ათასი მანეთი.

1967 წლის დამლევისათვის დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე სსრკ სოციალისტურ მრეწველობაში გადაყვანილი იყო 7 ათასი მრეწველური საწარმო, რომლებიც ამუშავებდნენ მთელი მრეწველური პროდუქციის დაახლოებით 40%-ს და მრეწველობის მოგების თითქმის ნახევარს იძლეოდნენ. ამ საწარმოებში დასაქმებული იყო ჩვენი ქვეყნის ყველა მრეწველობის მუშის მესამედი.

1967 წლის დამლევისათვის საქართველოს სსრ დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობდა 163 საწარმო, რომელთა მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალი 64 ათას კაცს შეადგენდა. ამ საწარმოებმა მთლიანი პროდუქციის გეგმა 102%-ით შეასრულეს. რეალიზებული პროდუქციის მოცულობა 1966 წელთან შედარებით გადიდდა 8%-ით, მოგება 9%-ით, შრომის მწარმოებლურობა 8%-ით გაიზარდა.

ცალკეულმა საწარმოებმა ეკონომიკური რეფორმის ცხოვრებაში გატარებისა და მის საფუძველზე მშრომელთა ინიციატივის გაშლის შედეგად 1967 წელს მიაღწიეს შემდეგ წარმატებებს: თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა ქსოვილების გამოშვება 1965 წლის 2.475 ათასი მეტრიდან 1968 წლის იანვრისათვის 3.905 ათას მეტრამდე გაზარდა. 1964 წელს მოგებამ 124 ათასი მანეთი შეადგინა, 1967 წელს კი — 2.100 ათასი მანეთი (შესადარ ფასებში).

როგორც სკკპ ცკ-ის სექტემბრის პლენუმზე აღინიშნა, თითოეულ საწარმოში მიღებული მოგების ანარიცხებით შეიქმნება მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდი. მითითებული იყო აგრეთვე, რომ საწარმოებში უნდა შეიქმნას სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი. ამ ფონდის სახსრები მოხმარდება საბინაო მშენებლობას, საბავშვო

დაწესებულებების, პიონერთა ბანაკისა და სხვა სოციალურ-კულტურულ საჭიროებებს.

ამ მხრივ ზემოაღნიშნულ კომბინატში ეკონომიკური რეფორმის გატარების შესაბამისად ცუდად როდი არის საქმე. მაგალითად, 1967 წლის მაჩვენებლების მიხედვით, კომბინატის კოლექტივმა შექმნა მატერიალური წახალისების ფონდი 343 ათასი მანეთის რაოდენობით. ბინათმშენებლობისა — 250 ათასი მან. რაოდენობით, ხოლო წარმოების განვითარების ფონდმა 110 ათას მანეთს გადააჭარბა. ყოველივე ამის შედეგად კომბინატის ხელმძღვანელობას საშუალება მიეცა დაეწყო მუშა-მოსამსახურეებისათვის 14 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

თუ რამდენად ეფექტურია წარმოება, საუკეთესო განმსაზღვრელია მოგების, რენტაბელობის მაჩვენებლები. ცნობილია, რომ საწარმოთა კოლექტივები მუდმივად უნდა ადიდებდნენ დაგროვებას. დაგროვების გადიდება ხდება, ჯერ ერთი, პროდუქციის თითოეული ერთეულის ღირებულების შემცირების გზით, და, მეორე, — წარმოებული პროდუქციის რაოდენობის, ასორტიმენტის გაფართოებისა და განახლების, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების მეშვეობით. სწორედ მოგება, თვითღირებულებისაგან განსხვავებით, უფრო სრულად ასახავს საწარმოს წარმოებრივი საქმიანობის მთელ ამ მხარეს. ამიტომ მოგების გადიდებისათვის ბრძოლას ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ცხადია, როცა ვლაპარაკობთ მოგების გადიდებაზე, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ უგულებელყოფილია თვითღირებულების შემცირების საკითხი. პირიქით, მოგების მიხედვით დავალებათა დადგენა აძლიერებს თვითღირებულების შემცირების მნიშვნელობას; და ამდენად, თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა მეურნეობრივ ხელმძღვანელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. თვითღირებულების მაჩვენებელს, აღინიშნა სკკპ ცკ-ის (1965 წლის) სექტემბრის პლენუმზე, საწარმოს ტექნიკურ, მრეწველურ და ფინანსურ გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. თვითღირებულების შემცირებასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შრომის მწარმოებლურობის ზრდის საკითხს.

თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკა ახალ სისტემაზე 1967 წლიდან გადავიდა. რა მოუტანა ფაბრიკის კოლექტივს მეურნეობრივმა რეფორმამ? ამის შესახებ ფაბრიკის მთავარი ინჟინერი გ. მაცაბერიძე გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე 1968 წლის 10 იანვარს მოგვითხრობ შემდეგს: წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენი ფაბრიკა გადავიდა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე. უნდა ითქვას, რომ საიუბილეო წელმა ჩინებული შედეგები მოგვიტანა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია თითქმის 200 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა 8.3 პროცენტით. მთელი პროდუქცია — გეგმური და ზეგეგმური — რეალიზებულია როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ახალი სისტემით მომუშავე 36 სამრეწველო საწარმოს დიდმა უმეტესობამ 1967 წელს

გეგმის ზევით გაყიდა თითქმის 13 მილიონი მანეთის მზა პროდუქცია და 800 ათას მანეთზე მეტი ზეგეგმური მოგება მიიღო. ხოლო კვების მრეწველობის სამინისტროს ახლებურად მომუშავე 85 საწარმომ 1967 წელს გეგმის გადამეტებით გაყიდა 16 მილიონამდე მანეთის მზა ნაწარმი და თითქმის 2 მილიონი მანეთის ზეგეგმითი მოგება მიიღო.

1968 წელს საწარმოების ახალ სისტემაზე თანდათანობით გადასვლასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიშალა მშრომელთა მასების შემოქმედებითი ინიციატივა. მშრომელთა მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაშლაში უდიდესი როლი ეკუთვნის პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი სათავეში უნდა ედგნენ წარმოებაში წარმოშობილ ინიციატივას და ყველაფერს უნდა აკეთებდნენ იმისათვის, რომ ინიციატივა საყოველთაო კუთვნილება გახდეს.

„პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან... ავითარებდნენ მშრომელთა შემოქმედებითს აქტივობას ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში...“[13] ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნისტები აქტივობას უნდა იჩენდნენ წარმოებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქარხანა „ელექტროსტალის“ მეფოლადის კომუნისტ პ. აბაშკინის წერილი „კომუნისტი თავის ორგანიზაციაში“, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ 1968 წლის 16 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ პარტიის წევრის აქტივობის განვითარების შესახებ ქარხანა „ელექტროსტალის“ კომუნისტთა აზრები სერიოზული ყურადღებისა და ყოველმხრივი მხარდაჭერის ღირსია.

საქართველოს კომუნისტები ფართოდ გამოეხმაურნენ ამ თაოსნობას, იმუშავებენ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია პარტიული აქტივობის შემდგომი ამაღლებისაკენ, კომუნისტთა ინიციატივისა და თვითმოქმედების ფართოდ განვითარებისაკენ. ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტთა აქტივობას, მათს პირად მაგალითს. სწორედ ისინი უნდა იყვნენ კვლავაც თაოსნობის, ინიციატივის სათავეში, გამოიჩინონ მეტი ინტერესი არა მარტო საკუთარი შრომისადმი, არამედ გვერდით მომუშავე ამხანაგის საქმიანობისადმი და საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკული დახმარებაც აღმოუჩინონ მას.

1968 წლის მარტში, როცა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, გამოქვეყნდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მუშაკთა 1968 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. რესპუბლიკის მშრომელთა სოციალისტურ ვალდებულებებში ნათქვამია: ხუთწლედის მესამე, 1968 წელს, ვადამდე, 25 დეკემბრისათვის შეასრულონ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის სახელმწიფოებრივი გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოუშვან 8 ათასი ტონა ფოლადი, 15 ათასი ტონა მზა ნაგლინი, 4 ათასი ტონა მილები, ათასი ტონა თუჯი და სხვა. ცხადია, ამ ინიციატივას დროული მზრუნველობა და მხარდაჭერა სჭირდება. და ეს ასეც ხდება. ამ თაოსნობას გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სოციალისტური შეჯიბრების გაშლით. სწორედ სოციალისტური შეჯიბრება გამოიხატება მშრომელთა შემოქმედებითი აქტივო-

[13] სკკპ XXIII ყრილობის მასალები, გვ. 89—90.

ბისა და ინიციატივის განუწყვეტელი განვითარებით. იგი ქმნის მშრომელი მასების ინიციატივას, გაბედული თაოსნობის პირობებს.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ ახალ შესანიშნავ რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს მიაღწია თავის განვითარებაში, რის შედეგად მასში მონაწილეთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება. მაგალითად, თუ 1964 წელს შეჯიბრების მონაწილეთა რიგებში იყო 50 მილიონზე მეტი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, 1967 წელს მათი რიცხვი 65 მილიონამდე გაიზარდა.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანების ზრდასთან ერთად, მაღლდება სოციალისტური შეჯიბრების, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მამობილიზებელი და აღმზრდელობითი როლი. კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში როგორც სოციალისტური შეჯიბრების ახალ ეტაპში სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება მშრომელთა მასების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა. კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში მონაწილეთა რიცხვი 1968 წლის მარტისათვის 35 მილიონამდე გაიზარდა. ეს მოძრაობა იძლევა სტიმულს მასების შრომითი აქტივობის კიდევ უფრო განვითარებისათვის.

1968 წლის მარტის თვეში კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის №1 ამწყობ-მექანიკური საამქროს სექციონერ-გამმართველმა ი. ხაზარაძემ ახალი თაოსნობა გამოიჩინა. ამ ინიციატივის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ტექნოლოგიური ხაზიდან ყოველდღიურად პროდუქციის მაქსიმუმის მისაღებად ხაზარაძემ შეიმუშავა გამმართველის, მეჩარხის, ტექნოლოგიური ხაზის თითოეული მუშის პირადი, ყოველდღიური გრაფიკი, რაც ჩარხდანადგარების სანიმუშოდ გამართვას, სრულად დატვირთვას და ამ საფუძველზე, ცვლის გეგმის სულ მცირე 10 პროცენტის გადამეტებასა და პროდუქციის პირველი წარდგენისთანავე ჩაბარებას ითვალისწინებს.

პირადი გრაფიკით მუშაობა მოითხოვს წინასწარ გულმოდგინე მომზადებას, ტექნოლოგიური ხაზის სრულ წესრიგში მოყვანას. ამასთან თითოეულ მეჩარხეს კარგად უნდა ესმოდეს ის დიდი სიკეთე, რაც ასეთ გრაფიკს საერთოდ საწარმოსათვის და პირდად მისთვის მოაქვს.

დიდი ინტერესით გაეცნენ ი. ხაზარაძის ახალ პატრიოტულ თაოსნობას ჩვენი რესპუბლიკის საწარმოები. ხაზარაძის თაოსნობას პირველმა დაუჭირეს მხარი ჰიდროგამაძლიერებელი უბნის დგუშის დამუშავების ტექნოლოგიური ხაზის გამმართველმა მ. ღაჭავამ, მეჩარხეებმა: ო. მეძმარიაშვილმა, ლ. წიქორიძემ და ლ. გუბელაძემ, რომლებმაც 1968 წლის 12 თებერვლიდან პირადი გრაფიკით დაიწყეს მუშაობა. 1968 წლის 1 მარტიდან პირადი ყოველდღიური გრაფიკით მუშაობაზე გადავიდა ამავე საამქროს ერთ-ერთი ტექნოლოგიური ხაზი, რომლის გამმართველია შ. გივინეიშვილი.

მეტად მნიშვნელოვანი იყო სარატოველთა ინიციატივა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად. პარტია მოითხოვს, რომ ყოველი ინიციატივა გახდეს მშრომელთა მასების კუთვნილება. ამიტომ სარატოვის მრეწველობის მუშაკების გამოცდილების ღრმა შესწავლისა და ფართოდ გავრცელების მიზნით შარშან გაემგზავრა თბილისის საწარმოთა წარმომადგენლების ჯგუფი. ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიული კომი-

ტეტის მდივანი კ. გურული ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე (1968 წლის 5 ივლისი) მოგვითხრობს შემდეგს: „...პროდუქციის უდეფექტო დამზადებისა და მისი პირველი წარდგენისთანავე ჩაბარების სისტემა სარატოვის ზოგიერთ საწარმოში, კერძოდ საავიაციო მრეწველობაში ადრე, 1955—1956 წლებში ჩაისახა. იმ საწარმოებში კი, სადაც ამჯერად ჩვენ მოგვიხდა ყოფნა, იგი გავრცელდა და დაინერგა შედარებით მოგვიანებით — 1964 წლიდან. აქედან კი მთელს ჩვენს ქვეყანას მოედო სარატოველთა ახალი სისტემის ამბავი.

ამ სისტემის ორგანიზაციულ საფუძველს წარმოადგენს ოპერატიული, მოხერხებული კონტროლი ნაწარმის შექმნის პირველი ეტაპიდან დასასრულამდე, მუშიდან დირექტორამდე, რაც დაფუძნებულია შემსრულებლის სრულ პასუხისმგებლობაზე — გამოუშვას საუკეთესო ხარისხის ნაკეთობა“.

ზემომოტანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად შემოქმედებითი შრომა სულ უფრო და უფრო ვლინდება ახალი და ახალი ინიციატივისა და აქტივობის გაფართოებით. „...მთავარია შეგვეძლოს ჩვენი მრეწველობის მშრომელთა ინიციატივისა და აქტივობის დარაზმვა, მათი გამოცდილების, მათი შემოქმედებითი ენერგიის აკუმულირება“[14].

პარტიისა და მთავრობის მითითების შესაბამისად, მართვის ახალ სისტემაზე მომუშავე საწარმოთა რიცხვი თანდათან იზრდება. მაგალითად, 1968 წლის 1 აპრილისათვის სსრ კავშირის მრეწველობაში დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი იყო 10 ათასამდე მრეწველური საწარმო, რომლებიც უშვებენ მთელი მრეწველური პროდუქციის თითქმის ნახევარს. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში 1968 წლის 1 აპრილისათვის დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი იყო 188 სამრეწველო საწარმო. ახალ პირობებში მომუშავე საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების პირველი კვარტლის გადიდებული გეგმები.

აღსანიშნავია, რომ მეურნეობრივი რეფორმის ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებით ბურჟუაზიული იდეოლოგები საქმეს ისე სახავენ, რომ თითქოს ეს მეურნეობის გეგმიანი სოციალისტური სისტემის სისუსტის გამოვლინება იყოს. მათ ისე წარმოუდგენიათ საქმე, რომ თითქოს დამარცხდა საზოგადოებრივი წარმოების ჩვენი სისტემა, რომ საბჭოთა კავშირი უბრუნდება მეურნეობის კაპიტალისტური გაძღოლის პოზიციებს, გეგმიანობის საწყისი შეიცვალა ბაზრის რეგულირების სტიქიური მექანიზმით და სხვა. ცხადია, მათი აზრები ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. მათ ავიწყდებათ, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემის შინაარსია, თუ ვის ხელშია სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, წარმოების საშუალებანი, ვის კლასობრივ ინტერესებს შეესაბამება წარმოების განვითარება. ამის შემდეგ გაკვირვებას იწვევს მათი აზრები. განა მეურნეობრივი რეფორმის ცხოვრებაში გატარებით ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში მშრომელთა მასები არ დგანან? წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება გაუქმდა? სოციალისტური წარმოების განვითარება განა გეგმიანი ხელმძღვანელობისა და მშრომელთა მასების მა-

14 ა. ნ. კოსიგინი, გავაუმჯობესოთ მრეწველობის მართვა, სრულვყოთ დაგეგმვა და გავაძლიეროთ სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირება, გვ. 58, თბ., 1965 წელი.

ტერიალურ-კულტურული დონის ამაღლების პრინციპს არ ემორჩილება? ჩვენი ქვეყნის მტრებმაც კარგად იციან ეს, მაგრამ მათ სურთ სახელი გაუტეხონ სოციალიზმს, მის მეურნეობრივ მეთოდებს, ჩირქი მოსცხონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას, მაგრამ ყველაფერი ეს ამაოა. გადაწყვეტილებანი, რომლებიც სკკპ ცკ-ის (1965 წ). პლენუმმა მიიღო, სახავს ახალ შესაძლებლობებს უფრო უკეთესად გამოვიყენოთ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ რეფორმა დადებით გავლენას ახდენს მშრომელთა მასების შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებაზე. ახლა, როცა ფართოდ ჩაღდება სახალხო ლაშქრობა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, განსაკუთრებით საჭიროა გავშალოთ მშრომელთა მასების შემოქმედებითი ინიციატივა; კონკრეტული, პრაქტიკული დასკვნები გამოვიტანოთ წარსულის გაკვეთილებიდან, განვამტკიცოთ მიღწეული, მთელი გულისყური დავუთმოთ გადაუჭრელ პრობლემებს.

ეთერ ჭავთარაძე

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის დრამატული მოღვაწეობიდან

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილმა დრამატული მოღვაწეობა იმ დროს დაიწყო, როცა ის-ის იყო ფეხს იდგამდა პირველი პროფესიული ქართული თეატრი. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს იმ ღვაწლის გათვალისწინება, რაც ამ პიროვნებას ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში მიუძღვის.

ერეკლე მეორის კარის თეატრის დახურვის შემდეგ კულტურული ცხოვრების კერამ კერძო სალონებში გადაინაცვლა. ბუნებრივია, საზოგადოების მოთხოვნილებებს დიდხანს ვერ დააკმაყოფილებდა იქ გამართული შეკრება-საღამოები. საქმეს ვერც რუსული დასი უშველიდა. ქართული სპექტაკლის გამართვის სურვილმა თავი იჩინა შინაურ წარმოდგენებში, რაც უმეტესად სალონებში იმართებოდა და რამაც ფაქტიურად ნიადაგი მოუმზადა პირველ პროფესიულ თეატრს. ამ თეატრის შექმნის მოთავე გიორგი ერისთავი გახდა.

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი გიორგი ერისთავის თეატრში მისვლამდე წერდა პიესებს. პიესა „გამოუცდელობა ანუ დროებით განშორება საყვარელთან“[1], ავტორის ცნობით, 1845 წლის 1 და 8 მაისს, 11 ივლისსა და 7 აგვისტოს წარმოუდგენიათ გორის სცენისმოყვარეებს. ნაწარმოების ერთი ნუსხა ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში (დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის არქივი № 45), მეორე — ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, მარი ბროსესეულ არქივში. ეს პიესა ავტორს წერილთან ერთად გადაუგზავნია ბროსესთვის. საერთოდ, თავისი მუშაობის შესახებ დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილს სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდა ბროსესთან. წლების მანძილზე იგი საყურადღებო მასალებს აწვდიდა საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მარი ბროსეს ქართულ სიძველეთა შესახებ. „მადლობა ღმერთსა, დაიწყო ქართველმა კაცმა სიყვარულისაგან მამულისა და მეცნიერების გულისათვის, თვითონ თვალებით გაშინჯვა ძველთა გასახსენებელთა. გაგიმარჯვოს! — სწერდა მარი ბროსე დ. მეღვინეთუხუცესიშვილს 1848 წლის ნოემბერში, — მიამა დიდად, რომ საციციანოსი და გორის მაზრის დასავლეთის ის ნაწილი გივლია, რომელი მე არ მინახავს. უთუოდ ბევრი გიშოვია იქა ღირსი ხსოვნისა, ზედწერილები საყდრებისა და მონასტერთა. ნუ დაიგვიანებთ. აკადემიასთან პირდაპირ გაგზავნეთ. დღედადღე გა-

[1] ამ პიესის შესახებ იხ.: ს. ხუციშვილი, „გამოუცდელობა ანუ დროებით განშორება საყვარელთან“, „ლიტ-ა და ხელოვნება“; № 21, 1950 წ., რ. საყვარელიძე, ქართ. თეატრის ისტ-დან, 1956 წ., ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX ს. ქართ. დრამ. და თეატრის ისტ-დან, 1957, გვ. 32.

მოვა დიდი წიგნი, რომელშიაც ახალი და უცხო ამბები საქართველოსა იპოვება ბევრი. მიხარიან დიდათ იმისათვის, რომ კაცნი უმეცარნი აკიცხებენ, აგინებენ ქართულს სიტყუერებასა, გლახა არისო. არაფერი კარგი ქართულ ქვეყანაში არ იპოებაო. ნახვენ ისინი თავის დროსა"[2].

ეს მიმოწერა ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის როგორც ქართული ისტორიოგრაფიის შესახებ, ისე მეღვინეთუხუცესიშვილის თეატრალურ მოღვაწეობაზე. მხოლოდ მარი ბროსესადმი გაგზავნილი წერილიდანაა ცნობილი, რომ იგი გიორგი ერისთავის თეატრში მოღვაწეობდა.

„სამშაბათს დღეს დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელმან სჩერბინინმა და გიორგი ერისთავმა წარმადგინეს კნიაზ ნამესტნიკთან კარგის რეკომენდაციით და მოახსენეს მის ბრწყინვალებას, რომ შემდგომ მოგზაურობისა მე ვშველი და ვცდილობ ქართულის ტიატრის განწყობას. კნიაზ ნამესტნიკმა მიმიღო ალერსით და მიბრძანა: ახლა შენ უნდა დარჩე ტფილისში დროებით და უშველო გიორგი ერისთავს ქართული თეატრის გამართვაშიო.

ბრძანებისამებრ ნამესტნიკისა ახლა მე ვწერ ქართულ პიესებს და ვასწავლი წარმოდგენას ჩუენს ახალს აკტიორებსა და აკტრისებს. ჩემს დაწერილს პიესებს სწავლობენ და წარმოადგენენ ქართულს ენაზედ მომავალს დღესასწაულებში"[3], — სწერს იგი ბროსეს. ეს წერილი 1851 წლის 20 მარტითაა დათარიღებული. გარდა ზემოაღნიშნული პიესისა, 1851 წლამდე მხოლოდ ერთი — 1846 წელს დაწერილი „ჩაჩნების ჩვეულება" (დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის არქივი, № 48ა) დავადასტურეთ. ჩვენ ფაქტიურად მოკლებული ვართ საშუალებას გავიგოთ — დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის სახელდობრ რომელ პიესებს „სწავლობდნენ და წარმოადგენდნენ" გიორგი ერისთავის თეატრში. ბროსესადმი გაგზავნილი წერილიდანვე ცნობილი ხდება, რომ „ნამესტნიკმა" მას დაპირება არ შეუსრულა, თბილისში არ გადაიყვანა და ამიტომ იგი თავისთავად ჩამოშორდა ერისთავის თეატრს.

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი ამ პერიოდში ისევე აგრძელებს მარი ბროსეს დავალებების შესრულებას. მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ენერგიისა და სახსრების დაუზოგავად („მოგზაურობისა თქვენისა ამბები დიდად მოსაწონია მეცნიერთათვის, — აცნობებს მ. ბროსე, — გთხოვთ, თუ გაგითავებია უფლისციხის აღწერა, წამაკითხეთ ეს თქვენი ნამუშევარი, აკადემიას წარვუდგენ და ჩვენს გაზეთებში დავაბეჭდვინებ, როგორც ადრე მიქნია... სხვებრ იმედი მაქვს, არ დაგავიწყდება საქართველოს სიძველეთა მაძიებლობის სიყვარული და შემწე იქნებით ამაში არა მხოლოდ სურვილისა და შრომისა ჩემისა, ნამეტნავად მამულისა თქვენისა დიდებისა და სახელისა". მ. ბროსეს ეს წერილი 1857 წლითაა დათარიღებული.

ამ მოგზაურობის დროს თვითონ მუშაობის ხასიათი, სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული მასალის შესწავლა, ყოფის გაცნობა, ბევრ საინტერესო და მდიდარ მასალას აწვდიდა მეღვინეთუხუცესიშვილს თავისი მხატვრული ნაწარმოებებისათვის. ამის შესახებ იგი წერს კიდეც მარი ბროსეს: „ვაპირებ წასვლას ახალციხისაკენ, აჭარას და სხვაგან შემოდგომამდე, როგორადაც შესაკრებლათ ძველთა წერილთა და ცნობათა, ეგრეთვე სხვადასხვა ხალხის ჩვე-

2 მარი ბროსეს წერილები დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (მარი ბროსეს არქივი, № 8-19).

3 შ. ხანთაძე, - დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, საისტორიო მოამბე, ტ. VI, 1952 წ.

ულებების საცნობლად. ესე უკანასკნელი საკუთრივ ჩემის ქართულის პიესების საჭიროებისათვის".

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის ოთხი პიესა. ერთ-ერთ პიესას „გამოუცდელობა ანუ დროებით განშორება საყვარელთან" ზევით შევეხეთ. მეორე — „ექიმბაში" 1876 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა. გაზეთ „დროებაში" (№ 9) 1870 წელს გამოქვეყნდა „უბედური მოარშიყე", ხოლო 1869 წელს (№ 39) „კატა აწონა", ეს უკანასკნელი ცალკე წიგნადაც გამოიცა 1880 წელს.

ამბერკი გაჩეჩილაძის აზრით, გარდა „ექიმბაშისა", ყველა ეს პიესა იდგმებოდა ერისთავის თეატრში[4]. მკვლევრისათვის ამოსავალია მარი ბროსესადმი მიწერილი წერილი და „კატა აწონაში" დამოწმებული თარიღი, „ათას რვაას ორმოცდა ხუთსა წელსა, ქრისტეშობის ოცდა რვასა დღესა. მე ქვემორე ამისა ხელის მომწერელმა, უკუღმა სოფელში მცხოვრებმა სახელმწიფო გლეხმა ანდრია ბერიკაშვილმა ავიღე ვალათ ყაზარა წუწკიოვისაგან ათი მანეთი რუსის სირმა ვერცხლი", — ვკითხულობთ პიესაში.

„აქედან ჩანს, რომ პიესის პერსონაჟების — ანდრია ბერიკაშვილისა და ყაზარას ურთიერთდამოკიდებულებას ადგილი ჰქონია 1845 წელს. პიესაც ამ დროს უნდა იყოს დაწერილი"-ო[5], ასკვნის მკვლევარი.

ვფიქრობთ, მარტო ეს ფაქტი ვერ გამოგვადგება პიესის დაწერის თარიღის დასადგენად. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თვითონ პიესის აგებულება, მისი დონე დიდად განსხვავებულია 1845-46 წლებში დაწერილი ნაწარმოებებისგან. „გამოუცდელობას..." და „ჩაჩნების ჩვეულებას" „კატა აწონას" გვერდით პიესა არც ეთქმის. „კატა აწონა" გაცილებით უფრო მეტად ემორჩილება დრამატული ნაწარმოების კანონებს.

იმდროინდელი პრესის მონაცემების მიხედვით, ეს პიესა ქართულ სცენაზე პირველად 1872 წელს წარმოადგინეს[6]. შემდეგ იგი კარგა ხანს იდგმებოდა. როგორც რეცენზიებიდან ირკვევა, კომედიას დიდი წარმატება არ უნდა ჰქონოდა. „სამწუხაროდ წარმოდგენამ ძლიერ უფერულად ჩაიარა. მოთამაშეებმა სხვა ნაკლულოვანების გარდა თავიანთი როლებიც არ იცოდნენ"[7]. წერილის ავტორი აქ მოთამაშეთა ცუდ გამოსვლაზე უფრო ამახვილებს ყურადღებას.

1879 წელს გამართული წარმოდგენის შესახებ კი „დროებაში" ვკითხულობთ: „რა თქმა უნდა „ჟორჟ დანდენი" ერთი ათად უფრო ხელოვნურიც, უფრო სასცენოც, უფრო ნიჭიერადაც დაწერილი თხზულება არის, ვინემ „კატა აწონა", რომელშიც ვერც მოქმედებას ნახავს კაცი, ვერც ჩვენებური ხალხის ხასიათსა და ჩვეულებას, მაგრამ საკმაო იყო მხოლოდ ის, რომ ეს ვოდევილი ჩვენი ცხოვრებიდამ არის, რომ სცენაზედ გამოდიან ჩვენი ნაცნობი სომხები, გლეხები, ქალები, აქ გამოხატულია ჩვენი ხალხის გასაგები მოქმედება, ტირილი და სხვა, — რომ საზოგადოებას აღტაცებითა და ტაშისკვრით მიეღო ეს უაზრო ვოდევილი. რას იზამ! კაცს იმის დანახვა და გაგონება უფრო ესიამოვნება და ეადვილება, რაც იცის, რასაც იცნობს. „კატა აწონაში" ყველამ

4 ა. გაჩეჩილაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 320.

5 იქვე, გვ. 321.

6 გაზ. „დროება", № 35, 1872 წ.

7 „თეატრი", № 19, 1886 წ., გვ. 202

ახალგაზრდა თავი, ყველამ ჩინებულად შეასრულეს თავისი როლები უფალ მაჩაბლიდამ დაწყებული უფალ ცაგარელამდინ. მაგრამ კარგებზე უკეთესად ითამაშა ნ. გაბუნიას ქალმა, რომელმაც ხელოვნურად წარმოგვიდგინა სომხის ქალის ხასიათი“[8].

საგულისხმოა, რომ ქართული დრამატული საზოგადოების მუდმივმა დასმა თავისი პირველი სეზონის რეპერტუარში შეიტანა „კატა აწონა“ და ორჯერაც წარმოადგინა. იმ სეზონის პიესების უმეტესობა თითოჯერ ნახა მაყურებელმა. უკანასკნელად პიესა 1899 წელს წარმოუდგენიათ ქართველ სცენისმოყვარეებს[9].

ჩვენ შევეხებით დ. მეღვინეთუხუცესიშვილის კიდევ ოთხ პიესას[9ა], რომელთაგან გამოქვეყნებულია ორი — „ვიჭაკი“ და „ჩაჩნების ჩვეულება“ („მხედარი და ზინეიდა“).

„ჩაჩნების ჩვეულება“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1846 წელს დაუწერია ავტორს. 1859 წელს იგი „მხედარი და ზინეიდას“ სათაურით გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ (№ 8).

პიესა ლექსადაა დაწერილი, რემარკების უმეტესობაც გალექსილია. ნაწარმოებში შამილის ომის დროინდელი ამბებია აღწერილი. ჩაჩნების სოფელში სტუმრად მოხვდა ქართველი მეომარი, რომელიც კავკასიაში იბრძოდა. ჩაჩნის დედაკაცი თავის ქალიშვილს ზინეიდას უბრძანებს კარგად მიიღოს უცხო კაცი. ოჯახი, მართლაც, ღირსეულად დახვდა სტუმარს, მეზობლებიც მოიწვიეს. ქალი უყვება თავისი ოჯახის, ქმრის ამბებს, რომელიც საომრადაა წასული და „გზებზე გადარაჯებია მტერს“, მოუთხრობს, როგორ არიან შეიწროებულნი რუსებისაგან. სტუმარი კმაყოფილია მასპინძლების დახვედრით; ისიც აცნობს მათ თავის ვინაობას. მერე ერთმანეთს ეთხოვებიან და ქართველი მხედარი თავისი გზით მიდის.

პიესა მეტად სუსტია, რომ არაფერი ვთქვათ მდარე მხატვრულ დონეზე, მასში არ არის გამოკვეთილი რაიმე ახალი აზრი და იდეა.

„ვიჭაკიც“ ჟურნალ „ცისკარში“ (№ 10) გამოქვეყნდა ხელმოუწერლად 1869 წელს. „საქართველოს კალენდარში“ ვკითხულობთ: „დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი კარგი მწიგნობარი და საქართველოს ისტორიის მოყვარე იყო. სწერდა ქართულად და რუსულადაც. სხვათა შორის მონაწილეობას იღებდა „ცისკარში“ და „დროებაშიც“. დასწერა კომედია „კატა აწონა“, „ვიჭაკი“ და სხვა“[10]. ე. ი. ეს პიესაც დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილს ეკუთვნის.

„ვიჭაკი“ ორმოქმედებიანი კომედიაა. მოქმედება თითო სურათისაგან შედგება. ნაწარმოები იწყება რელიგიური ჩვეულების — ვიჭაკის აღწერით. ვიჭაკი ამაღლების წინა ღამით იმართებოდა. და აი, ამაღლების წინა საღამოს ავლაბრის მოედანზე გამოშლილია საზოგადოება. სეირნობენ, ერთმანეთს ხვდებიან და ესაუბრებიან. სიმღერით და ცეკვით შეექცევიან, ზოგან სუფ-

---

8 გაზ. „დროება“, № 200, 1879 წ.

9 გაზ. „ივერია“, № 224, 1899 წ.

9ა ამ პიესებიდან „აწჩხლი ცოლი“ დასახელებული აქვს ლ. ნანიტაშვილს გამოკვლევაში „ჟურნალ ცისკრის პოეტები“ (1967, თბილისი), ხოლო „მხედარი და ზინეიდა“ მის მიერ იქვე ლექსადაა მიჩნეული.

10 საქართველოს კალენდარი, 1893 წ., გვ. 428.

რაც გაუშლიათ, ისმის ზურნის ხმა. მოსეირნეთა შორის მარტო დადის სომეხი ვაჭარი რომან შაჰყულოვი. მერე ბიჭს გზავნის, რომ მოიყვანოს მისი მეუღლე და ქალიშვილი, თან დააბარებს — ფეხით მოვიდნენ, ეტლის ფული დაზოგონო.

შაჰყულოვი დახატულია, როგორც ახალწამოტივტივებული ვაჭართა ფენის ტიპიური წარმომადგენელი, რომელსაც ყველაფერი ფულმა მისცა.

პიესაში ასახულია ვაჭართა კლასის დაწინაურების პროცესი, რითაც იგი გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის შემოქმედებას ეხმაურება. ეხმაურება არა მხოლოდ თემატიკით, არამედ საერთო წყობით, სტილით, ენით. შაჰყულოვი ასე მეტყველებს: „მუშტარმა ტო ყმაწვილმა არის, ერთმა კარგმა სიტყვამ რომ უთხრა დაჩუმდება, ადგება და წავა, თუ გითხრამს ტყუვილათ ამბობო, მაშინ რა უნდა უთხრა: ის თვალი დაბრმავდეს, რაც თვალმა გატყუებდეს თქო. ისიც დაიჯერებს, ეგონება შენი თვალები ამბობ, ის კი არ იცის, რომ იმის თვალები ატყუებენ და იმის თვალები დაბრმავდებიან. ამქარმა ჩვენსავით ვაჭარმა არის, ისიც ჩვენსავით მელამ არის. ისინი ჩვენ გვიჩივლებენ, ჩვენ იმათ ვუჩივლებთ“.

პიესა დაუსრულებელის შთაბეჭდილებას ტოვებს სიუჟეტის განვითარებითაც და გარეგნული ფორმითაც. უკანასკნელი რემარკა ოთახში სხვა მოქმედი პირების შემოსვლას გვაუწყებს და მოქმედებაც წყდება. შეսაძლოა, ავტორს განზრახული ჰქონდა გაგრძელება, მაგრამ შემდეგ ვეღარ განახორციელა.

1859 წელს „საქართველოს კალენდარში“[11] დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილზე გამოქვეყნებულ ცნობაში სხვა პიესათა შორის დასახელებულია „არშიყნი“. ამ ნაწარმოების შესახებ სხვა დამატებითი ცნობის დაძებნა ვერ მოხერხდა.

ჩვენი აზრით, დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის მემკვიდრეობაში ყველაზე საინტერესო ნაწარმოებია „ანჩხლი ცოლი“. ხელმისაწვდომ მასალებში პიესის დადგმის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება, იგი არც დაბეჭდილა. ნაწარმოების ორი ნუსხა (H 2549 და დ. მეღვინეთუხუცესიშვილის არქივი, № 43) დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში. ისინი სხვაობას არ იძლევიან, თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვებიან ერთმანეთს. H 2549 უთარიღოა. დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის არქივში დაცულ ნუსხას კი აქვს ცენზორის მიერ დასმული თარიღი — 1856 წელი. ეტყობა, ვინმე ცენზორ ალექსეევს პიესა წაუკითხავს, დასაბეჭდად ნება დაურთავს და მოუთხოვია, დაბეჭდვის შემდეგ ეგზემპლარების დაწესებული რაოდენობა დაჰბრუნებოდა საცენზურო კომიტეტს. როგორც ჩანს, პიესის გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. ალბათ, ავტორმაც ვერ მიადევნა თვალი თავისი ნაწარმოების ბედს, რადგან ამ დროს (1856-60 წწ.) ინტენსიურად მუშაობდა მარი ბროსეს დავალებით, დადიოდა სამოგზაუროდ, თვეობით ტოვებდა თბილისს.

პიესა სხარტ კომიკურ სიტუაციებზეა აგებული. მართლია, მასში რაიმე ახალი მნიშვნელოვანი პრობლემა არა დგას, მაგრამ მოქნილი სიუჟეტი, თვითონ მოქმედების, სიტუაციის კომიკურობა, მოხდენილი დიალოგი, ყოველგვარ ტენდენციურობას მოკლებული ბუნებრივი თხრობა გვაფიქრებინებს, რომ იგი დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის საუკეთესო ნაწარმოებია და ძნელად დასაჯერებელია, რომ სცენაზე არ დადგმულიყოს.

11 საქართველოს კალენდარი, 1895 წ., გვ. 491.

ცენზორის თარიღით შეიძლება შემოიფარგლოს პიესის დაწერის დრო — 1850-60 წლები. ამ წლების ქართული წარმოდგენების შესახებ ძალიან ძუნწი ცნობები გვაქვს. იმდროინდელი პრესა ხშირად იუწყება წარმოდგენის გამართვას, მხოლოდ არ მიუთითებს პიესის სათაურს. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ სახაზინო თეატრის არქივი მთლიანად გაანადგურა ხანძარმა, ხანძარმავე იმსხვერპლა ქართული დრამატული საზოგადოების მუდმივი დასის არქივიც. საბოლოოდ დაიკარგა ქართული თეატრის ისტორიისათვის ესოდენ საჭირო ბევრი საინტერესო მასალა.

ვფიქრობთ, დადგმის შესახებ ცნობების უქონლობა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენთვის საინტერესო პიესები ქართულ სცენაზე არ წარმოუდგენიათ. ასეც რომ იყოს, ეს საკითხის ერთი მხარეა. ჩვენთვის ამ შემთხვევაში არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის პიესები, როგორც ლიტერატურული ფაქტი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, „მაცნე“, 1969, № 4

КИТИ МАЧАБЕЛИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИЗУЧЕНИЯ ХУДОЖЕСТВЕННОГО СЕРЕБРА В ПОЗДНЕАНТИЧНОЙ ГРУЗИИ

(Представлено Институтом Истории Грузинского искусства АН Грузинской ССР)

Художественная обработка металла древней Грузии является одной из значительнейших отраслей грузинского искусства, имеющей большое значение для восстановления цельной картины культурной и художественной жизни Грузии в античную эпоху. Археологическими раскопками на территории Грузии выявлено огромное количество памятников античной торевтики, которые по своему многообразию и художественному значению достойны занять почетное место в сокровищнице художественного серебра античного мира.

Почти все находки античного серебра Грузии изучены и опубликованы, но изучение торевтического материала в каждом отдельном случае происходило в связи с определенным археологическим комплексом. В настоящее же время мы обладаем таким богатым и разнообразным материалом, в области художественной обработки металла, что стало вполне возможным судить о целой отрасли древнего искусства. Уже назрела необходимость собрать весь торевтический материал, обнаруженный на территории Грузии, систематизировать его и найти ему определенное место в общем развитии торевтики дофеодальной эпохи. Это тем более необходимо сделать, что многие памятники художественного серебра из Грузии отличаются исключительным совершенством.

Прежде всего, обращают внимание совершенно особые условия находок античного серебра на грузинской земле. Серебро в Грузии первых веков н. э., как правило, входило в состав погребального инвентаря. Таковы почти все случаи находок позднеантичных серебряных изделий в Грузии: в Армазисхеви, Багинети, Самтавро, Тагилони[1], Клдеети, Уреки, Згудери, Эрцо. Даже там, где с самого начала предполагалось существование «сокровищниц», как например, в Бори, подтверждается существование эриставских некрополей, типа армазисхевских[2]. Что же касается находок художественного серебра на территории самой Италии, и вообще Европы, то большинство обнаруженного

[1] А. И. Амиранашвили, Новая находка в низовьях р. Ингура, Тифлис, 1935, стр. 10 («Более уместно предположить погребение с богатым инвентарем...»).

[2] А. М. Апакидзе, Новые археологические материалы из сел. Бори: Вестник Музея Грузии, 1944, XII-B (на груз. яз.).

там серебра входило в состав различных кладов и коллекций[3]. Все эти сокровищницы представляли собой драгоценную посуду и утварь, припрятанную в минуту опасности, во время стихийных бедствий или вражеских нашествий. Датировка некоторых из этих сокровищниц связывается с датами известных варварских нашествий. В особенности это касается кладов III века, точно датируемых благодаря известным датам нашествий варваров; то же самое происходит и в последующее время, в IV—V вв., когда Римская Империя находилась уже на грани гибели.

На Западе (и то за пределами самой Италии) можно назвать всего один или два примера обнаружения серебра в погребальном инвентаре. Таковы находки двух серебряных чаш в гробнице бельгийского вождя в Вельвине[4] и обнаружение двух чаш с рельефами в богатой гробнице вождя в Лааланде[5].

Различие между условиями находок серебра в Грузии и на Западе вызвано определенными различиями в жизненном укладе, в духовной жизни. В западных провинциях Рима существовали большие храмы, обладающие крупными кладами, которые включали и большое количество сосудов из драгоценных металлов. Хранящийся в Национальной Библиотеке в Париже бертувильский клад являлся собственностью именно такого храма — храма Меркурия Каннетонского в Галлии. Кроме храмовых сокровищниц на западе обнаружены и коллекции частных лиц. В обеих случаях мы имеем большое количество художественных изделий из серебра, созданных на протяжении довольно значительного отрезка времени, в течении двух-трех веков. Так, например, бертувильский клад содержит памятники торевтики, относящиеся ко времени начиная с I века н. э. до 275 года, т. е. до момента захоронения этого замечательного собрания серебра.

Другая группа серебра — это серебряная посуда и различная утварь из серебра, применявшаяся в домашнем обиходе. Такие собрания серебра встречаются, преимущественно, в III веке н. э. и относятся к одной определенной эпохе. Основной причиной этого является изменчивость художественного вкуса у древних римлян, о которой так живо повествует Плиний: «...Изменчивость человеческого вкуса особенно проявляется в серебряной посуде. Имя и слава мастеров посуды из их лавок переходит на наши столы...»[6]. Именно такой жертвой моды и явилось огромное количество серебра, переплавленное в древности для создания новых образцов художественных сосудов. Старинное серебро безжалостно переплавлялось, исчезали редкие экземпляры торевтиче-

---

[3] Боскореальский клад — коллекция серебра, принадлежащая знатному римлянину; Casa del Menandro (близ Помпей) — большая группа серебра, захороненная в сундуке; бертувильский клад — сокровищница храма Меркурия в Галлии, состоящая из ритуального серебра и ex- voto; шаурский клад — большая группа серебряной посуды, закопанная в открытом поле.

[4] Archeologia, 63, 1911 — 12, I ff.

[5] Nordiske Fortidsminder, II, 3, 1923, 119 ff.

[6] Plinius, NH, 33, 49,

ского мастерства. В редких случаях, как например, в Шаурсе (III в. н. э.) сохранились целые комплекты домашнего серебра, т. н. ministerium.

В тех случаях, когда старинный клад содержит серебряную утварь, собранную в определенное время, или, еще лучше, созданную в определенную эпоху, датировка и локализация памятников значительно облегчается. В Грузии же изучение обнаруженных в погребениях отдельных, часто очень значительных по своему художественному качеству, памятников торевтики очень осложняется; возраст гробницы часто не является датирующим моментом для серебряных изделий, входящих в состав погребального инвентаря, так как большинство торевтических изделий отмечены следами долгого их применения, и возраст их часто значительно старше возраста самой гробницы.

Большое количество античного серебра, обнаруженного в Грузии, дает возможность классифицировать его в определенной степени. Вообще, при изучении памятников античной торевтики, проводится определенная грань между двумя группами серебряных изделий. Первая группа включает шедевры художественного ремесла, предметы роскоши, серебряную посуду предназначавшуюся для украшения витрин. Среди грузинских материалов к этому типу серебряных произведений принадлежат серебряные фиалы с рельефными медальонами в центре, роскошно украшенные ножки погребального ложа и др. Остальная масса серебра, объединяющаяся в группе обычного столового серебра, очень многочисленна и сравнительно более низкого художественного качества.

Предметы первой группы, в основном, относятся к области украшений. Таковы серебряные фиалы с горельефными украшениями в медальонах. Известно множество примеров их применения как украшений для стен или полок (изображение подобных настенных серебряных украшений часто встречается в помпеянской настенной живописи)[7]. Предметы же второй группы широко применялись в обыденной жизни.

Однако подобное разграничение памятников торевтики довольно условно, так как на самом деле все обстояло гораздо сложнее. Античные письменные источники раскрывают нам картину поистине сказочной роскоши древнего Рима. На примере одних лишь Помпей можно представить, какое значительное место занимало искусство в жизни римлян.

«Все, что было в стенах дома перед глазами человека, все несло на себе отпечаток высокого художественного вкуса, начиная от облицовки стены — кончая кухонной утварью»[8].

Римские авторы очень живо описывают фантастические богатства римской аристократии, чаще всего воплощенные в художественных изделиях из серебра. Увлечение серебром нашло свое отражение и в памятниках римской живописи (катакомбы, Сан Джованни ин Латерано

[7] Enciclopedia dell' arte antica classica orientale, t. II, Roma, 1959, fig. 954.
[8] A. Riegl, Über Antike und Moderne Kunstfreunde, Gesammelte Aufsätze. Augsburg Wien, MCMXXIX, s. 200.

и др.)[9]. Об этом же страстном увлечении серебром повествуют: «Банкет» Петрония, «Эпиграммы» Марциала, речи Цицерона. В жизни римской знати совершенно исчезала грань между уникальными «выставочными» серебряными изделиями и обычной серебряной утварью. Вся жизнь римлян проходила в обрамлении предметов искусства; деревянные ложа римских дам как правило, были обшиты чеканными серебряными пластинами, серебро украшало так же кресла и ложа триклиния, роскошные рельефные сосуды применялись в обыденной жизни. При этом, нельзя не отметить, что скромные, простые серебряные сосуды часто бывали отмечены печатью такого высокого мастерства, что совершенно невозможно выделить их из числа признанных шедевров. Вследствие такого положения необходимо тщательное изучение не только фиал и блюд, украшенных тонким, изящным рельефом, но и простых кубков, чаш, тарелок.

Среди образцов античной торевтики Грузии имеются целые группы однородных предметов (кувшины, ножки от погребального ложа, фиалы с рельефным декором, блюда), но в целой массе такое многообразие, что окончательные выводы можно будет сделать лишь после того, как будет изучен каждый отдельный памятник. Только после этого появится возможность полностью восстановить картину художественной обработки серебра в древней Грузии, выяснить, чем ограничивается круг местных, собственно грузинских изделий, и в каком объеме надо предполагать ввоз серебра из крупных центров античного мира, какое соотношение существовало между собственным и привозным.

Выяснение вопроса о торевтических центрах имеет большое значение. На Западе уже удалось с достоверностью выявить несколько значительных центров изготовлений художественного серебра. Известно, например, что центры обработки серебра существовали в античной Галлии[10]. Стало возможным выделить группы серебряных сосудов, типичные для этих торевтических мастерских. Изделия этих художественных центров были настолько многочисленны и значительны, что вывозились на экспорт[11]. Подтверждается так же существование торевтических центров в Британии. Центры изготовления античного серебра обнаружены преимущественно на Западе Римской империи. Что же касается Востока, то вопрос о центрах художественной обработки металла, и вообще о центрах художественного ремесла, еще не раскрыт до конца, хотя у восточных границ Империи обнаружены великолепные памятники. Лучшим примером этого являются находки Южной России. Именно в Северном Причерноморье предполагается существование значительных центров художественного ремесла. Уже в начале нашего века, когда археологические памятники этих районов не были в достаточной мере

[9] A. Odobesco, Le trésor de Petrossa, Paris, 1900, fig. 34-35.

[10] D. E. Strong, Greek and Roman Gold and Silver Plate London, 1966, p. 162.

[11] Примером этого являются серебряные сосуды II—III веков, обнаруженные в Польше (Majewski, Importy Rzymskie w Polsce, Warsow, 1960).

выявлены и изучены, исследователи имели все основания для определения центров изготовления торевтических изделий обнаруженных на Северном Кавказе (напр. Пантикапей)[12].

Среди восточных находок необходимо отметить египетские материалы (из Гермополиса, Карнака — III в. н. э.)[13], римские памятники Польши[14], балканские находки. Особенно значительным кажется римский экспорт в этих странах в III веке н. э.

Памятники античной торевтики из Грузии во многом могут способствовать уточнению границ распространения торевтических изделий в античном мире. Грузинские материалы, наряду с находками Юга России, до определенной степени восстановят равновесие между западными и восточными провинциями Римской Империи в области изготовления и потребления художественного серебра. Возможно, будет поколеблена гегемония Запада, обусловленная лучшей обработкой и большей изученностью материала, а так же лучшей его популяризацией.

Соответствующая обработка грузинских материалов даст возможность преодолеть ту однобокость, которая существует в оценке торевтических центров Запада, в признании их превосходства над остальными ремесленными центрами. Грузинские торевтические памятники дают полное право в будущем говорить о местных художественных мастерских обработки металла.

В римскую эпоху, когда торговые и культурные связи стали необычно широкими и всеобъемлющими, когда Рим подчиняет своему влиянию большую часть культурного мира того времени, когда памятники римского малого искусства распространялись до самых отдаленных стран, усложняется выяснение происхождения памятников торевтики. В императорское время существовал определенный репертуар драгоценной серебряной посуды, который почти неизменно повторяется во всех уголках Римской Империи. Стиль этих торевтических изделий остается почти без изменения в различных художественных центрах, удивительно однообразны декоративные мотивы, вплоть до самых мельчайших деталей орнамента, они почти в точности повторяются во всем Римском мире. В силу этого обстоятельства, необходимо выяснение происхождения каждого памятника в отдельности. Окончательные выводы должны основываться на тщательном изучении самого памятника, его стиля, его художественного характера.

Выяснение всех этих вопросов в отношении памятников торевтики первых веков нашей эры особенно осложняется тем, что вся художественная продукция стран, подверженных сильному римскому влиянию (Грузия была именно одной из таких стран), очень однородна, формы

---

[12] Веселовский Н. И. Курганы Кубанской области в период римского владычества на северном Кавказе: Труды XII археологического съезда в Харькове 1902 г., т. 1, Москва. 1905.

[13] Aug. Koster, Meisterwerke in Berlin, Antikes Tafelsilber, Berlin, 1923, p. 15-16. Taf XII-XIII, XVI.

[14] K. Majewski, ibid.

сосудов переходили из одной страны в другую, бесконечно повторялись и определенные типы их украшений. Лишь в исключительных случаях встречается отчетливо выраженный местный элемент.

Восстановление цельной картины распространения художественных промыслов в античную эпоху сопряжено с весьма значительными трудностями. Наука не так уж богата прямыми указаниями о художественных мастерских римского времени. Известно, что в императорскую эпоху в различных центрах существовали ремесленные центры со значительным разделением труда, где создавались оригинальные произведения. Необходимо помнить что столичные мастерские, где работали съехавшиеся со всех сторон искуснейшие мастера, были теми очагами, где создавалась превосходная продукция, а большинство провинциальных мастерских питалось полученными из столичных центров образцами. Об этом свидетельствуют многочисленные гипсовые слепки, обнаруженные в Египте[15], в Афганистане.

Рим получил замечательные традиции художественной обработки металла от Греции, оттуда же пришло в Рим большое количество серебряных изделий. Во времена самого сильного увлечения Рима художественным серебром, большей частью происходило повторение греческих образцов. Надо добавить так же, что в самом Риме и в большинстве крупных мастерских работали так же и греческие мастера. Торевты часто перемещались с места на место, и в своих скитаниях доходили до отдаленных провинций. Вероятно, что и Грузия не составляла исключения в этом смысле, и есть все основания предполагать наличие в античной Грузии целой группы приезжих мастеров, сохранявших неизменными свой стиль, свое специфическое художественное мышление, стремление к вполне определенной художественной форме. Корни этого искусства, источник вдохновения оставались неизменными. Искусство, питавшееся из этого общего, неиссякаемого источника, в каждой стране слегка изменяло свой облик. Таким образом, среди кажущегося однообразия, у разных народов все же намечаются весьма заметные отклонения; в различных уголках античного культурного мира заметно предпочтение отдаваемое определенным формам сосудов, определенным типам орнаментального декора. Уже стало возможным выделить определенную группу серебряных сосудов, характерных для галльских торевтических мастерских. Дальнейшее изучение грузинского материала, выяснение вопроса — каким формам сосудов, какому типу украшений отдавалось предпочтение в античной Грузии, помогут, в какой то мере, выявить группу торевтических изделий, которые могли быть изготовлены в местных мастерских.

Существование местных мастерских должно было основываться на соответствующей базе серебряных рудников. В научной литературе основательно проработаны вопросы, касающиеся серебряных рудников

[15] O. Rubenson, Hellenistisches Silbergerat in Antiken Gipsdbgüssen, Berlin, 1911.

Западной Европы в античную эпоху, выявлена преимущественная роль отдельных мест добычи серебра в различное время. Уточнение подобных вопросов в отношении Грузии, несомненно, поможет выяснению целого ряда вопросов, связанных с античным ремеслом на местной, грузинской основе.

Хотя пока что трудно категорически утверждать местное происхождение того или иного памятника торевтики, обнаруженного на территории Грузии, все же среди большого количества античного серебра Грузии можно выделить отдельные группы серебряных изделий, проявляющих определенное своеобразие. К подобным памятникам торевтики относятся, например, ножки от погребального ложа (из Армазисхеви, Багинети, Бори). Фигурные ножки кресел или лож, облицованные серебром, были обычны для Рима периода Империи. На эти художественные части римской мебели обращали внимание многие древние авторы, среди них и Плиний, подробно описывающий быт римских патрициев. Фигурные ножки из серебра, обнаруженные в Грузии, совершенно фантастические по своей иконографии стличаются от известных римских памятников и больше склоняются к восточному художественному кругу.

Отдельную группу серебряных изделий позднеантичной Грузии составляют серебряные кувшинчики, обнаруженные почти повсюду, следуя римскому обычаю, по-парно (Армазисхеви, Эрцо)[16]. В этих сосудах, входящих в обычный круг римских торевтических изделий, чувствуется некоторое своеобразие в трактовке формы, в определенной содержанности в применении украшений. Более подробное изучение грузинского материала позволит совершенно отчетливо выделить группу серебряных изделий, относящихся к местным художественным мастерским.

Художественное серебро позднеантичной Грузии по своему художественному облику, по своим принципам эллинистическо- римского характера, как отметил академик Г. Н. Чубинашвили, первый охарактеризовавший сущность этих памятников торевтики[17]. Но в этой как бы однородной массе серебряной продукции можно наметить несколько отдельных групп:

1. Памятники торевтики римского происхождения.

2. Предметы, изготовленные в местных мастерских по римским образцам.

3. Серебряные изделия, отличающиеся от италийско-римских памятников и проявляющие определенное своеобразие.

---

16 Приношу большую благодарность археологу Р. Рамишвили за предоставленную возможность ознакомиться с материалом раскопок в Эрцо.

17 Г. Н. Чубинашвили, Опыт художественной характеристики предметов из некрополя питиахшей в Армази: тезисы XVII научн. сессии Отделения общественных наук АН Грузинской ССР, Тбилиси, 1946.

Кроме этих основных групп в Грузии встречаются еще отдельные памятники торевтики, происхождение которых почти невозможно уточнить и локализация которых происходит по месту первого обнаружения подобных памятников. (Такова, например, фиала из Багинети с масками, тирсами, подобные которой найдены во многих местах — в Александрии, в Дура Эвропос, близ Антиохии)[18].

Римское художественное серебро играло значительную роль во внешней торговле империи, в ее дипломатии. В повествовании Тацита подчеркивается, как велико было стремление к обладанию римским серебром среди вождей германских племен, получавших из Рима серебряные сосуды в виде дипломатических подарков. Такие же дипломатические подарки имеет в виду историк императора Адриана, говоря о том, что император никому не посылал столько даров, сколько царю иберов[19]. Именно таким путем попала в Иберию серебряная фиала с рельефным медальоном Антиния, римское происхождение которой не вызывает никакого сомнения. Обнаружение в питиахшской гробнице предмета, предназначавшегося для почетных преподношений, говорит о широких дипломатических связях древней Грузии со всем античным миром и о том значении, которое она имела во взаимоотношениях с таким мощным соседом, каким являлась Римская Империя.

Разнообразие и многочисленность серебряных изделий на грузинской земле допускают предположения о различных центрах их изготовления. Сложность состоит в том, что ярко выраженный эллинистическо-римский характер большинства памятников торевтики вовсе не исключает их изготовления в восточных художественных мастерских по римским образцам. Уточнение ремесленных центров становится возможным благодаря археологическим находкам, которые подтверждают существование в древней Грузии центров художественной обработки металлов (обнаружение различных инструментов ювелира в Мцхета, остатки камнерезной мастерской там же, неоконченная ножка от погребального ложа в Бори, золотой слиток в гробнице из Вани).

В этом отношении привлекает внимание серебряная фиала из армазисхевской гробницы № 6 с горельефным изображением богини. Изучение этого памятника заставляет предполагать изготовление этого изящного рельефа по готовому образцу. Не исключена возможность, что этот прекрасный памятник торевтики мог быть изготовлен в местной мастерской по гипсовому слепку, полученному из Рима.

Мужской портрет в серебряной фиале из Армазисхеви по многим признакам отличается от аналогичных римских памятников (своеобразной передачей плеч и груди, орнаментальной проработкой бровей, бороды, усов, восточным характером идеализации). Неримский характер портрета, близость к восточным (парфянским, пальмирским) произведениям пластики позволяют предполагать его создание в художественной среде, где скрещивались эллинистические и восточные влияния. Ес-

[18] D. E. Strong, ibid. p. 162.
[19] В. В. Латышев, Scythica et Caucasica, vol. II, Fasc. 2, p. 293.

ли дальнейшие исследования подтвердят наши предположения, мы станем обладателями необычайно значительного памятника ранней грузинской пластики.

Большое количество художественного серебра в позднеантичной Грузии, его обширный репертуар позволяет делать определенные выводы. Серебро, особенно богато представленное в Грузии на протяжении первых веков нашей эры (кувшины, фиалы, блюда, патеры, фигурные ножки от погребального ложа, канделябры и др.) в погребальном инвентаре правителей Грузии, в гробницах грузинской знати, не могло быть только ритуального или культового назначения, уж очень разнообразны виды сосудов, начиная от уникальных фиал с «эмблемами», кончая скромными, гладкими чашами самого простого бытового употребления. Серебро это представляло собой обыкновенно употребляемые предметы, бытующие в античную эпоху в верхних слоях грузинской знати. Серебряные изделия античной Грузии выглядят очень органично среди остального погребального инвентаря, местное происхождение большей части которого не вызывает сомнения.

Имеющиеся материалы показывают, какая масса художественного серебра бытовала в античной Грузии. Трудно представить, что все это серебро могло быть завезено из Рима, тем более, что дело идет не об отдельных уникальных памятниках, а о большом количестве серебряных предметов практического назначения. Хотя в Грузии не обнаружено целого комплекта сосудов т. н. ministerium, как в некоторых местах на Западе (например, в Боскореале), уже существующего материала вполне достаточно, чтобы представить насколько важна была роль серебра в жизни античной Грузии.

Какова бы ни была роль местных грузинских мастерских в изготовлении художественных предметов из серебра, каков бы ни был их вклад в серебряную сокровищницу Грузии, совершенно ясно, что решающим здесь было «эллинистически-римское» начало; тон, несомненно, задавал Рим, диктуя свои формы, свой художественный строй всем странам, соприкасающимися с его могуществом. Это особенно относится к первым векам нашей эры, когда очень сильным было влияние римской культуры на всем Кавказе, и в частности, в Грузии. Именно II—III века были периодом особенного усиления Рима в Закавказье, что, безусловно, оставило свой след на культуре Грузии того времени.

42. приятный
43. пропорциональный
44. противный

45. противоположный
46. равносильный
47. равный
48. симметричный
49. следуемый
50. следующий
51. созвучный
52. соответственный
53. соответствующий
54. сродный
55. удобный
56. чуждый

Однако в этот список, кажется, не должны были быть включены прилагательные: бесподобный, достаточный, неприличный, последующий. Зато сюда следовало бы включить следующие прилагательные, которые помимо многих других, отмеченных в вышеприведённом списке, встретились в собранном нами материале: гомотетичный, обратный, памятный, параллельный, свойственный, эквивалентный, ясный.

Заметим, что списки русских прилагательных, управляющих родительным, дательным и творительным падежом, приводятся у Фринка[22], у Плеса[23] приводятся прилагательные и существительные, требующие дательного падежа, а в статье Пари[24] даётся сводная таблица сильного управления русских прилагательных и приводится список русских прилагательных с сильным управлением.

3.02 В русских структурах $AS_д$ можно выделить такие, в которых возможна трансформация $T{:}\rightarrow AS_р$ + „для“. В этом случае прилагательное A управляет равнозначными и несоподчинимыми[25] формами дательного падежа и родительного с предлогом „для“. Напр.: доступный всем → доступный для всех.

Другую большую группу составляют структуры $AS_д$, в которых трансформация $T{:}—|\rightarrow AS_р$ + „для“ невозможна. Например: ...его можно считать перпендикулярным любому другому направлению —|→*его можно считать перпендикулярным для любого другого направления. Из этой группы следует выделить такие структуры, в которых прилагательное A является отглагольным: в этом случае оно сохраняет глагольное управление. Например: покорный судьбе и покориться судьбе; посвящённое любимой девушке стихотворение и посвятить любимой девушке стихотворение.

3.03 Таким образом, сказанное нами относительно структур типа $AS_д$ можно было бы схематически изобразить следующим образом.

---

[22] Frink O., Adjectival government and infinitive prediction.—In: Mathematical linguistics and automatic translation. (Computation lab. Harvard univ.). Report № NSF-6. Cambridge (Mass), 1961, 1-8, Var., pag.

[23] Plath W., Proposals, for additional grammatical coding in the Harvard automatic dictionary file. In: Mathematical linguistics and automatic translation. (Computation lab. Harvard univ.). Report № NSF-3. Cambridge (Mass), 1959, 1-14, Var., pag.

[24] Paris C., Étude des régimes forts de l'adjectif russe. — P., s. a. 63 p.: 13 tab. (Céntre nat. de la recherche scient. CETA, Section du russe. Note № 19).

[25] Относительно „соподчинимости-несоподчинимости“, „равнозначности-неравнозначности“ см. Л. Н. Иорданская. указ. соч., стр. 6.



Рис. 3

4.00 Среди конструкций с дательным беспредложным в современном русском языке отмечаются конструкции с именем существительным в качестве главного слова — $S^1S^2_д$. Рассмотрим эти структуры.

4.01 В структурах с именем существительным, управляющим беспредложным дательным, можно наметить, во-первых, такие, в которых на месте S^1 выступает имя существительное, соотносительное с глаголом или, реже, с именем прилагательным, требующими дательного падежа[26]. Ср.: сочувствовать другу и сочувствие другу, верный долгу и верность долгу. Однако, такие конструкции в современном русском языке сравнительно мало употребительны. Значительно более распространены конструкции, когда при S^1 выступает глагол, от которого зависит и форма S^2. Ср.: „Моряки как бы проголосовали доверие своему новому командиру". (Первенцов, Огненная земля[27]). Хотя доверие и требует формы дательного падежа, в этом примере форма дательного падежа командиру зависит не от слова доверие, а от глагола проголосовали. Таким образом, имеем:

проголосовали
доверие командиру

Во-вторых, в структурах типа $S^1S^2_д$ можно наметить структуры, в которых на месте S^1 выступают слова: честь, слава, хвала, привет, конец, начало. Например: Честь и слава покорителям космоса!

[26] См. Грамматику русского языка, т. 2, ч. 2, стр. 242—243.

[27] См. там же, т. 1, стр. 124.

4.02 Таким образом, русские структуры типа $S^1S^2_д$ схематически можно было бы представить следующим образом.



Рис. 4

5.00 В современном русском языке встречаются также конструкции типа $AdS_д$. Рассмотрим эти структуры.

5.01 Структуры типа $AdS_д$ непродуктивны в современном русском языке, и в грамматиках обычно такие словосочетания не анализируются. В качестве *Ad* из структур типа $AdS_д$ выступают исключительно наречия на -о, соотносительные с именами прилагательными, управляющими дательным падежом, например: параллельный — параллельно. В наших текстах отмечено всего пять таких сильноуправляющих наречия: аналогично, параллельно, подобно, противоположно и соответственно. Например: „Проекции берутся параллельно плоскости"... (Мусхелишвили, Курс аналитической геометрии). Задача решается аналогично предыдущей (Глинка, Задачи и упражения по общей химии) и др. примеры.

К приведённому нами списку наречий, управляющих беспредложным дательным, кажется, можно было бы добавить пропорционально и эквивалентно.

6.00 В заключение нашего обзора конструкций с дательным беспредложным в современном русском языке считаем необходимым сказать следующее.

6.01 Наиболее надёжным критерием при классификации словосочетаний является определение формальных признаков компонентов, образующих анализируемые структуры.

Ещё до утверждения в языкознании методов сруктурного анализа передовые представители старшего поколения лингвистов, интуитивно понимая преимущества такого подхода к исследуемому материалу, пытались при анализе словосочетаний и их классификации исходить из формальных признаков самих структур. Именно этим объясняется тот факт, что в результате трансформационного анализа иногда получаются те же группы, что и при традиционных классификациях.

6.02 Наш анализ конструкций с беспредложным дательным и их классификация не является самоцелью и имеет не только теоретическое значение. Для каждой минимальной русской структуры с беспредложным дательным нами выработаны точные правила перевода их на грузинский язык, что явилось основой при составлении алгоритма, который предствляет собой действующую модель перевода форм русского беспредложного дательного на грузинский язык. „Правила перевода“ и „Алгоритм“ будут даны отдельными статьями.

Относительно условных обозначений при формальной записи структур

S— существительное; *A* — прилагательное; *V* — глагол; *P* — предлог; *C* — союз; *Part* — причастие; *Ad* — наречие; $A_{\varnothing}$ — категория состояния; $V_{\varnothing}$ — безличный глагол; $\overline{V}$ — инфинитив; *S(V)* — отглагольное существительное; *S(A)* — отадъективное существительное; *A(S)* — отсубстантивное прилагательное; *A(V)* — отглагольное прилагательное.

Индексы у основания латинских букв обозначают:

а) падежи: $_{им}$ — именительный; $_{р}$— родительный; $_{д}$— дательный; $_{в}$ — винительный; $_{тв}$— творительный; $_{пр}$— предложный.

б) $_{кр}$— краткая форма. Например: $A_{кр}$— краткая форма прилагательного.

в) $_{ся}$— возвратность глагола. Например: $V_{ся}$— возвратный глагол.

г) $_{mod}$— модальность. Например: V_{mod}— модальный глагол.

д) $_{pass}$ при P_{art} — страдательное причастие.

Вертикальная черта / указывает на дизъюнкцию. Например: *A/S* означает: или прилагательное или существительное.

\# — знак предикации.

თინათინ სანიკიძე

პრეფიქსაცია ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურაში

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა
გ. ახვლედიანმა)

ინგლისური ენის სამეცნიერო-ფუნქციონალური სტილი თავისებური ლექსიკით ხასიათდება. აქ შედის, ერთი მხრივ, სიტყვები, რომლებიც გვხვდება მეცნიერების მხოლოდ გარკვეულ დარგებში (მაგალითად: vector, bisector, gravitation და სხვა) და მეორე მხრივ—ჩვეულებრივი სალაპარაკო-ლიტერატურული ფუნქციონალური სტილისათვის დამახასიათებელი სიტყვები ტერმინირებული მნიშვნელობით (მაგალითად, სიტყვა murmur ჩვეულებრივ სალაპარაკო-ლიტერატურულ მეტყველებაში ნიშნავს „ჩურჩულს“, ხოლო სამეცნიერო-ფუნქციონალური სტილისათვის, კერძოდ მედიცინაში კი—გულის შუილს, ასევე სიტყვა ability ჩვეულებრივად აღნიშნავს „ნიჭს, უნარს,“ ხოლო იურიდიულ ტერმინოლოგიაში მას აქვს „კომპეტენციის“ მნიშვნელობა).

სამეცნიერო-ფუნქციონალური სტილისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური სიტყვების არსებობა, რომელთაც ხშირად მოეპოვებათ სინონიმური გამოთქმები სხვა ფუნქციონალურ სტილში. ასე მაგ., მათემატიკაში ცნებები „წყვილი“ და „კენტი“ გამოიხატება სიტყვებით—aliquot, aliquant, ხოლო იგივე ცნებები სალაპარაკო-ლიტერატურულ ენაში გამოიხატება სიტყვებით—even და odd; ასევე სიტყვები—demented, insane მედიცინაში იხმარები ცნება „არანორმალურის“ გამოსახატავად, ხოლო იმავე ცნების აღსანიშნავად ლიტერატურულ-ფუნქციონალურ სტილში ვხვდებით სიტყვას—mad.

ენის ფუნქციონალური სტილის ელფერი აქვთ არა მხოლოდ სიტყვებს, არამედ სიტყვათა მაწარმოებელ მორფემებსაც; ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ინგლისური ენის პრეფიქსებს სამეცნიერო ლიტერატურაში. არის შემთხვევები, როდესაც ჩვეულებრივ არაპროდუქტიული პრეფიქსები საკმაოდ პროდუქტიულია სამეცნიერო-პროფესიული ლიტერატურის ლექსიკაში. ასე მაგ., თანამედროვე ინგლისურ ენაში ნეოლოგიზმები პრეფიქსებით—mis- და dis- ძირითადად სამეცნიერო-ფუნქციონალურ ენაში გვხვდება. უცხოურ პრეფიქსთაგან ზოგი ინგლისურმა ენამ შეისისხლხორცა და ახლა ისინი პროდუქტიულ აფიქსებს წარმოადგენენ; ასეთებია მაგალითად, dis-, en(em)-, inter-. უცხოურ აფიქსებს შორის ვხვდებით ისეთ პრეფიქსებსაც, რომელთაც ფუძეებთან შეერთების შეზღუდული უნარი აქვთ. ასეთი პრეფიქსებია: co-, de-, trans-; ეს პრეფიქსები უმთავრესად რომანულ ფუძეებს უერთდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი სავსებით ასიმილირებული არ არიან. განვიხილოთ თითოეული ეს პრეფიქსი ცალ-ცალკე.

უარყოფის პრეფიქსები

dis- რომანული წარმოშობის პრეფიქსია. იგი ერთვის როგორც (ა) ზმნურ, ისე (ბ) სახელის ფუძეებს და მათ ფუძით გამოხატული მნიშვნელობის საწინააღმდეგო მნიშვნელობას ანიჭებს[1].

ა) disunite—გაყოფა (ყოფს), გათიშვა (თიშავს).
disintegrate—დეზინტეგრირება, შემადგენელ ნაწილებად დაყოფა.
disentitle—ტიტულის წართმევა, რაიმეზე უფლების წართმევა.
ბ) disbelief—ურწმუნოება
disapproval—დაწუნება, დაგმობა, ძაგება, ძრახვა.
disobidient—ურჩი, გაუგონარი.
disagreeble—არასასიამოვნო.

ეს პრეფიქსი განსაკუთრებით პროდუქტიულია სამეცნიერო-პროფესიული ლიტერატურის ლექსიკაში.

ტექნიკურ ლიტერატურაში გვხვდება:

discharge—განტვირთვა, განმუხტვა.
disadjust—რეგულირების მოშლა.
displace—გადაადგილება.
dislocation— დისლოკაცია და სხვა.

იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება:

disaffirm—გადაწყვეტილების გაუქმება.
disafforest—ტყეზე უფლების წართმევა.
disbar—ადვოკატის წოდების წართმევა.

სამედიცინო ლიტერატურაში გვხვდება:

disvulnerability—უმოწყვლადობა.
disequilibrium—წონასწორობის დარღვევა.
disintoxication—დისინტოქსიკაცია.

de- რომანული წარმოშობის პრეფიქსია. იგი ერთვის როგორც ზმნურ, ისე სახელის ფუძეებსაც და სიტყვას ანიჭებს:

1. ფუძით გამოხატული მნიშვნელობის საწინააღმდეგო მნიშვნელობას. ამ მნიშვნელობით იგი ხშირად გვხვდება პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში:

decentralize—დეცენტრალიზება, დეცენტრალიზაციის მოხდენა.
denationalize—დენაციონალიზება, დენაციონალიზაციის მოხდენა.
defeudilize—ფეოდალური წყობის დარღვევა.

2. „წართმევის“, „მოკლების“ „განდევნის“ მნიშვნელობას. ამ მნიშვნელობით იგი ხშირად გვხვდება ქიმიურ ტერმინოლოგიაში:

dephosphorise—გაუფოსფორება, დეფოსფორირება.
dehydrogenization—დეჰიდროგენიზაცია, ჟანგბადის განდევნა.
dehydration—გაუწყლოება, დეჰიდრაცია.

[1] გამონაკლისს წარმოადგენს სიტყვა dissolubility; პრეფიქსი აქ სიტყვას არ ანიჭებს უარყოფის მნიშვნელობას, სიტყვა ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ტექნიკურ ლიტერატურაში გვხვდება:

deceleration—სიჩქარის შენელება
demagnitization—განმაგნიტება.
decontaminate—გაუსნებოვება (გააუსნებოვებს), დეგაზირება.

იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება:

default—სასამართლოზე გამოუცხადებლობა.
denunciation—დენონსირება (ხელშეკრულებისა).
defeasance—დოკუმენტში დათქმა (გამოპირობება), რომელსაც შეუძლია გააუქმოს იგი.

სამედიცინო ლიტერატურაში გვხვდება:

degeneration—დეგენერაცია, გადაგვარება.
davitalize—სიცოცხლის მოსწრაფება.
derangement—ფსიქიკური აშლილობა.

პრეფიქსებს—dis- და de- სინონიმიური მნიშვნელობები აქვთ. ისინი ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუძეებთან გვხვდებიან: discolouration—decolouration; disoxidize—deoxidize

non- რომანული წარმოშობის პრეფიქსია. ეს პრეფიქსი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება იურიდიულ ტერმინოლოგიაში:

non-appearance—სასამართლოზე გამოუცხადებლობა.
non-claim—სარჩელის აღძვრაში ვადის გადაცილება.
non-feasance—ვალდებულების (მოვალეობის) შეუსრულებლობა.
non-prosequitor—მოსარჩლეს საწინააღმდეგოდ გამოტანილი გადაწყვეტილება მისი სასამართლოზე გამოუცხადებლობისას.

ეს პრეფიქსი ხშირად იხმარება აგრეთვე პოლიტიკურ ლიტერატურაში:

non-party—უპარტიო.
non-belligerent—არამეომარი.
non-resistance—ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობა, პასიური დამორჩილება.

un- გერმანული წარმოშობის პრეფიქსია, იგი ერთვის როგორც ზმნურ, ისე სახელურ ფუძეებს და მათ ფუძით გამოხატული მნიშვნელობის საწინააღმდეგო მნიშვნელობას ანიჭებს:

unbind—გახსნა, განთავისუფლება (ხსნის, ათავისუფლებს).
unacceptable—მიუღებელი.
unconformity—შეუსაბამობა.
unamiguous—არაორაზროვანი.

in- და მისი ალომორფები (im-, il-, ir-) რომანული წარმოშობის პრეფიქსია სიტყვას ფუძით გამოხატული მნიშვნელობის საწინააღმდეგო მნიშვნელობას ანიჭებს. ერთვის მხოლოდ სახელურ ფუძეებს და უმეტესად ნასესხებ სიტყვებში გვხვდება:

inalterable—უცვლელი.
inapplicable—გამოუყენებელი.
impossible—შეუძლებელი.
illegal—არალეგალური, უკანონო.
irregular—არასწორი, არარეგულარული.

un- და in- პრეფიქსები ფართოდ იხმარება საერთოდ ინგლისური ენის ლექსიკაში; თუ სხვა ზემოაღნიშნული პრეფიქსები მხოლოდ მეცნიერების ზოგი დარგისათვის პროდუქტიულია, ამას ვერ ვიტყვით un- და in- პრეფიქსებზე.

საწინააღმდეგო, უკუქცევადობის აღმნიშვნელი პრეფიქსები

Counter-რომანული წარმოშობის პრეფიქსია. აღნიშნავს: საწინააღმდეგოს, უკუქცევადს:

counter-attack—კონტრაერიში.
counter-revolution—კონტრრევოლუცია.
counter-action—უკუქმედება, წინააღმდეგობის გაწევა.
counter-attraction—უკუმიზიდულობა.

anti-ბერძნული წარმოშობის პრეფიქსია. აღნიშნავს:

1. საწინააღმდეგოს:

antiimperialistic—ანტიიმპერიალისტური.
antisemitism—ანტისემიტიზმი.
antifriction—ანტიფრიქციული.

2. მოპირდაპირე მდებარეობას:

antipole—მოპირდაპირე პოლუსი,
antipetalous—ყვავილის ფურცლების მოპირდაპირე განლაგება.

3. მედიცინაში აღნიშნავს საპროფილაქტიკო ან სამკურნალო საშუალებას:

antidiphteric—დიფტერიის საწინააღმდეგო საშუალება.
antityphoid—ტიფის საწინააღმდეგო საშუალება.
antitoxin—შხამის საწინააღმდეგო საშუალება, ანტიტოქსინი.

მცდარობა-უვარგისობის აღმნიშვნელი პრეფიქსები

mis-გერმანული წარმოშობის პრეფიქსია. მას ძველი ინგლისური ენის პერიოდში ორი მნიშვნელობა ჰქონდა: იგი წარმოადგენდა უარყოფის პრეფიქსს და გარდა ამისა აღნიშნავდა „არასწორს“, „მცდარს“, „ცუდს“. საშუალო ინგლისური ენის პერიოდში პრეფიქსი mis- იქ, სადაც მას ჰქონდა უარყოფის მნიშვნელობა, შეიცვალა რომანული პრეფიქსით dis-. misagree-disagree; mislike-dislike; miscredit-discredit.

თანამედროვე ინგლისურ ენაში პრეფიქსი mis- აღნიშნავს „არასწორს“, „მცდარს“, „ცუდს“.

ნეოლოგიზმები პრეფიქსით—mis- უმთავრესად სამეცნიერო-ფუნქციონალურ ლექსიკაში გვხვდება. ეს პრეფიქსი ერთვის სხვადასხვა წარმოშობის ფუძეებს, რაც მიუთითებს მის სიტყვაწარმოების დიდ შესაძლებლობაზე.

ტექნიკურ ლიტერატურაში გვხვდება:

misarrangement—არასწორი განლაგება.
misconnection—არასწორი შეერთება.
mismanage—ცუდად მართვა.
misoperation—არასწორი (ცუდი) მუშაობა.
misrun—სხმანაკლი (დეფექტი ჩამოსხმაში).

იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება:

misprison—დანაშაულის შეუტყობინებლობა (დამალვა)
misadventure—წინასწარ განუზრახველი მკვლელობა
misfeasance—ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.

პრეფიქსი mis- ახლო სემანტიკურ ურთიერთობაშია პრეფიქსთან mal-: „ცუდი", „უვარგისი". ეს პრეფიქსები როგორც ერთსა და იმავე, ისე სხვადასხვა ფუძეებთანაც გვხვდება.

არსებობს წყვილები: misadjustment-maladjustment; misoperation—maloperation; misfeasance—malfeasance; mistreatment—maltreatment;

სამედიცინო ლიტერატურაში ბევრი სიტყვა გვხვდება პრეფიქსით—mal-:

malformation—სიმახინჯე.
malposition—ნაყოფის არასწორი მდებარეობა.
malnutrition—არასაკმარისი, არასწორი კვება, შიმშილობა.

წინამავლობა-შემდგომობის აღმნიშვნელი პრეფიქსები

pre- რომანული წარმოშობის პრეფიქსია, აღნიშნავს:

1. წინადროინდელს:

prehistoric—წინაისტორიული.
pre-Christian—ქრისტიანობის წინადროინდელი.
pre-capitalist—კაპიტალიზმის წინადროინდელი.

2. წინამდებარეს.·.

preaortic—აორტის წინ მდებარე
preauricular—ყურის ნიჟარის წინ მდებარე.

3. პროფესიის მიხედვით წინასწარ მოსამზადებელი წვრთნის ტიპს.

premedical—სამედიცინო სასწავლებლისათვის მოსამზადებელი წვრთნა.
prevocational—რაიმე პროფესიისათვის მოსამზადებელი წვრთნა.

ante- ლათინური წარმოშობის პრეფიქსია. აღნიშნავს:

1. წინადროინდელს:

ante-Christian—ქრისტიანობის წინადროინდელი.
ante-war—ომის წინადროინდელი:

2. წინამდებარეს:

ante-chamber —წინა ოთახი. წინკარი.
anteroom —„

პრეფიქსები— pre- და ante- სინონიმური პრეფიქსებია. ისინი ხშირად ერთსა და იმავე ფუძეებს ერთვიან, როგორც მაგ.·. pre-Christian—ante-Christian, pre-war—ante-war.

პრეფიქსი post- რომანული წარმოშობის პრეფიქსია, აღნიშნავს:

1. შემდგომს, მომდევნოს:

post-war—ომის შემდგომი, ომის მერმინდელი.
post-glacial—გამყინვარების შემდგომი.

2. უკანმდებარეს:

postcerbrallar—კეფის უკან მდებარე.
postthoracic—გულმკერდის უკან მდებარე.

პრეფიქსი—post- პრეფიქსების—pre- და ante- ანტონიმური პრეფიქსია.

მდებარეობის აღმნიშვნელი პრეფიქსები

sub- რომანული წარმოშობის პრეფიქსია. ეს პრეფიქსი წარმოადგენს უმთავრესად ამა თუ იმ სპეციალური ტერმინოლოგიის ელემენტს, ეს პრეფიქსი განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მას ხშირად სხვადასხვა დარგში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ასე, მაგალითად, ანატომიაში იგი ხშირად აღნიშნავს რაიმეს ქვეშ მოთავსებულს:

subcutanious—კანქვეშა.
subauricular—„ყურის ქვეშ მდებარე".
subpleural—„პლევრის ქვეშ მდებარე".

ქიმიაში sub- აღნიშნავს „ფუძეს" (ტუტეს), თუ იგი უძღვის მარილის სახელწოდებას:

sub-nitrate—ფუძე ნიტრატი
sub sulphate—ფუძე სულფატი

მათემატიკაში ხშირად აღნიშნავს „უკუს", „ქვეშ";

subtripli-cate—კუბური ფესვის ქვეშ.
subduplicate—კვადრატული ფესვის ქვეშ.

sub- მედიცინაში ხშირად აღნიშნავს ხარისხით ტიპიურზე ნაკლებს:

subinflamation—სუსტი ანთება, გაღიზიანება.
subfebrile—სუბფებრილური.

საზოგადოდ ეს სუფიქსი ხშირად აღნიშნავს ქვედაყოფას:

sub class—ქვეკლასი.
subgenous—ქვეგვარი.
subfamily—ქვეოჯახი.

პრეფიქსი under- წარმოიშვა ძველი ინგლისური წინდებულის პრეფიქსალური ხმარებისაგან. თანამედროვე ინგლისურ ენაში მას ორი მნიშვნელობა აქვს:

1. „ქვეშ", „ქვედა":
undersoil—ქვენიადაგი.
underground—მიწისქვეშა. მიწისქვეშ.

2. ნორმაზე ნაკლები, არასაკმარისი[2]:

underestimate—შეუფასებლობა.
underdose—არასაკმარისი დოზა.

---

[2] გამონაკლისს წარმოადგენს სიტყვა undercooling. ამ სიტყვაში პრეფიქსს—under- თავისი მნიშვნელობის ანტონიმიური მნიშვნელობა აქვს. „გადაცივებას" ნიშნავს და არა ნორმაზე ნაკლებ გაცივებას.

პრეფიქსი over- წარმოიშვა ძველი ინგლისური წინდებულის პრეფიქსალური ხმარებისაგან. თანამედროვე ინგლისურ ენაში მას აქვს ორი ძირითადი მნიშვნელობა:

1. „ზემო“, „ზედა“:

overground—მიწის ზედა.

2. „ჭარბი“, „ზედმეტი“, „გადაჭარბებული“.

overestimate—გადაფასება (გადააფასებს).
overheatimg—გადახურება
overdose—მეტისმეტად დიდი დოზა.
overpressure—გადაჭარბებული წნევა (ძალიან მაღალი წნევა).

პრეფიქსი inter- რომანული წარმოშობის პრეფიქსია. ძალიან გავრცელებულია სამეცნიერო-ფუნქციონალურ ენაში: იგი ხშირად გვხვდება ნეოლოგიზმებში. ეს პრეფიქსი აღნიშნავს:

1. „შორის“, „შუა“:

intertribel—ტომთაშორისი.
intercellular—უჯრედშორისი.
internodal—კვანძთაშორისი.

2. „ურთიერთ“:

interrelation—ურთიერთკავშირი.
interagree—ურთიერთთანხმობა.
interassure—ურთიერთდარწმუნება.

თანამშრომლობის აღმნიშვნელი პრეფიქსი

პრეფიქსი co- რომანული წარმოშობის პრეფიქსია, ერთვის არსებითი სახელის ფუძეებს, აღნიშნავს თანამშრომლობას, საერთო საქმიანობას, საერთო უფლებას რაიმეზე:

coexistence—თანაარსებობა.
cooperation—თანამშრომლობა.
coauthor—თანაავტორი.
coheir—თანამემკვიდრე.

პრეფიქსი co- ზოგჯერ გამოხატავს დამთხვევას. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით ჭარბობს მათემატიკურ ლიტერატურაში.:

coaxal—კოაქსალური; ერთი ღერძის მქონე.
convergence—კონვერგენცია, დამთხვევა.
contangent—კოტანგესი.
cosine—კოსინუსი.

ასტრონომიაში გვხვდება:

constallation—თანავარსკვლავედი.
corralation—კორელაცია.
codeclenation—დახრილობა.

* * *

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა: 1. პრეფიქსით ნაწარმოები სიტყვები ხშირად იხმარება სამეცნიერო-ფუნქციონალურ ენაში. 2. ზოგჯერ ჩვეულებრივ არაპროდუქტიული პრეფიქსები პროდუქტიულ პრეფიქსებად გვევლინება სამეცნიერო-ფუნქციონალურ ლექსიკაში. 3. სამეცნიერო-პროფესიონალურ ენაში ხმარებული პრეფიქსები შეიძლება პირობითად შემდეგ სემანტიკურ ჯგუფებად დავყოთ: ა) უარყოფის, ბ) საწინააღმდეგო-უკუქცევადობის, გ) მცდარობა-უვარგისობის, დ) წინამავლობა-შემდგომობის, ე) მდებარეობის, ვ) თანამშრომლობის აღმნიშვნელი, 4. სამეცნიერო-პროფესიონალურ ენაში ხმარებული პრეფიქსებისათვის დამახასიათებელია სინონიმია, ანტონიმია, პოლისემია.

ცნობები და შენიშვნები

ნელი ბრეგაძე

ხალხური მეტეოროლოგიის შესახებ

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ჩიტაიამ)

ხალხურ მეტეოროლოგიას საფუძვლად დაედო ხალხური ფენოლოგიით, ემპირიული გზით ბუნებაზე დაკვირვების შედეგად შემჩნეული მოვლენათა გარკვეული ნიშნები და გამოვლენილი კანონზომიერებანი. შევეხოთ ამ რიგის მასალათაგან ზოგიერთს.

საინტერესო ჩანს ბუნებაზე ხალხის დაკვირვება, რომლის მიხედვით, ზამთრის დღეების რაგვარობის გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება ზაფხულის დღეთა მოსალოდნელი ამინდის წინასწარ გარკვევა. ამგვარი მასალა დამოწმებულია რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრაფიულ ყოფაში[1]. ზუგდიდის რაიონის ს. დარჩელში მოპოვებული მასალაც ზაფხულის დღეთა რაგვარობის პროგნოზის შესახებ მსგავსსავე პრინციპზეა აგებული, ოღონდ ის ცოტა განსხვავებული სახით წარმოგვიდგება. თუ რაჭა-ლეჩხუმური მასალით, ივლისის — წლის მეორე ნახევრის პირველი თვის — დღეთა რაგვარობა ემთხვევა იანვრის — წლის პირველი ნახევრის პირველი თვის — დღეთა რაგვარობას, ე. ი. 1 ივლისი შეესაბამება 1 იანვარს, 2 ივლისი — 2 იანვარს, 3 ივლისი — 3 იანვარს და ა. შ.[2], სამეგრელოში დამოწმებული მასალით იანვრის 1 დღით საზღვრავენ მთელი პირველივე თვის, იანვრის, ამინდის რაგვარობას, 2 იანვრით — II თვის, ე. ი. თებერვლისას, 3 იანვრით — III თვის, მარტისას და ა. შ. ამასთან, ცხადია, შეუძლებელია დავუშვათ, რომ ამა თუ იმ თვეში მთელი 30 დღის განმავლობაში **ერთნაირი ამინდი იქნება. მასალით** კი მთელი თვის რაგვარობა ერთი დღით განისაზღვრება. და აი, სწორედ აქ ხდება შესაძლებელი თვალის გადევნება საინტერესო დაკვირვებისათვის — იანვრის ყოველ დღეს, რომელიც თვეთა შესატყვისადაა მიჩნეული (1-12 იანვარი) ყოფენ 4 ნაწილად და აკვირდებიან ამინდის ცვალებადობას დღის ამ მონაკვეთების მიხედვით. ამის შესაბამისად, დღის I პერიოდი შეესატყვისება თვის I მეოთხედს. დღის II პერიოდი — თვის II მეოთხედს და ა. შ. ამგვარ დაყოფას კი შემდეგნაირად ხსნიან: „დღეში ოთხჯერ ზომავენ, იმიტომ რომ, ოთხი შვიდდღიურია თვეში“[3]. ჯერჯერობით ძნელია თქმა, თუ რამდენად მართალია მეგრელი მიწათმოქმედის ეს დაკვირვება, ე. ი. რამდენად ზუსტად ემთხვევა იანვრის დღეთა, ან უკეთ მათი ცალკეული პერიოდების რაგვარობა წლის თვეთა შესაბამისი პერიოდების ამინდს; მაგრამ აქ მაინც საინტერესო და სწორი ჩანს ამინდის გასარკვევად თვის ოთხ პერიოდად დაყოფა, რადგანაც ჩვენი კალენდარი მთვარეს ემყარება, ხოლო ეს უკანასკნელი კი თვის განმავლობაში ოთხჯერ იცვლის ფაზას; ამასთან, ცნობილია, თუნდაც ხალხური მონაცემებითვე, რომ ამინდის ცვალებადობა-გარდატეხა მოსალოდნელია სწორედ მთვარის ფაზების ცვლის პერიოდში. ამ წერილის მიზანს არ შეადგენს ზემომოტანილი მასალის უტყუარობაზე მსჯელობა. ამჯერად მთავარია, რომ ხალხში ემპირიული გზით ძველთაგანვე გამოვლენილია ბუნების მოვლენებში არსებული გარკვეული კანონზომიერება, ამ მოვლენათა რიტმი.

---

1 ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, მემინდვრეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი რაჭა-ლეჩხუმში, „მაცნე“, № 2, 1964, 135.

2 რაჭა-ლეჩხუმში ჩანიშნული ეს ცნობა შევამოწმე თბილისის პირობებში და, მართლაც, იანვარ-ივლისის დღეთა სრულ დამთხვევას ჰქონდა ადგილი დარ-ავდრის, ნალექიანობის თვალთახედვით.

3 ს. დარჩელი. ნ. ბრეგაძე, ზუგდიდის რაიონში 1965 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური. ხელნაწერი.

ყურადღებას იპყრობს ქართველი მიწათმოქმედის დაკვირვება აკუსტიკის დარგში. მაგალითად, რკინიგზისაგან დაცილებულ ს. ოდიშამდე ჩვეულებრივ არ აღწევს ხიდზე გამავალი მატარებლის ხმა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შენიშნეს, რომ ეს ხმა იშვიათად, მაგრამ მაინც ისმის და მათ უკვე იციან, რომ ასეთ შემთხვევაში წვიმაა მოსალოდნელი. ან თუ ზღვისაგან დაშორებით ისმის ტალღათა ხმაური — ესეც მოსალოდნელი ავდრის მაუწყებელია.

იბადება კითხვა — შეესატყვისება თუ არა სინამდვილეს ეს მონაცემები? საკითხის გასარკვევად დავიმოწმებ შემდეგ მაგალითს: „ლიტერატურაში აღწერილია საფრანგეთ-პრუსიის ომისდროინდელი შემდეგი შემთხვევა. წინადღით ციოდა და ხშირი ნისლი იდგა; ჰაერი გაყუნთილი იყო ომის ხმებით. მეორე დღეს კი თბილი და ნათელი დარი იდგა. სამხრისებური სიჩუმე სუფევდა. ხალხს ეგონა, ზავზე მოლაპარაკება დაიწყო და ამიტომ საომარა მოქმედებანი შეწყდაო. მაგრამ როგორი იყო მათი გაოცება, როცა შეიტყვეს, რომ მთელი ამ დღის განმავლობაში დილიდანვე მიმდინარეობდა საარტილერიო ბრძოლა, რომლის ხმა არ გაუგონიათ! მრავალი ამგვარი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი“[4]. ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ნათელ, კარგ ამინდში სმენადობა უარესდება, ვიდრე წვიმის წინ. ფიზიკის კანონის თანახმადაც, ბგერა ვერ გადაადგილდება სიცარიელეში, ხოლო ბგერითი ტალღა წყლის ორთქლით გამსჭვალულ ჰაერში გავრცელებისას ძლიერდება[5], ე. ი. გამოდის, რომ ხალხური დაკვირვება სწორია და არაა მოკლებული რეალურ საფუძველს.

განვიხილოთ ორიოდე მაგალითი ოპტიკის ხაზითაც. ხალხის დაკვირვებით, ღამით ცაზე ვარსკვლავთ სიმრავლე და გაძლიერებული ციმციმი, განსაკუთრებით კი იმ ვარსკვლავების სიკაშკაშე, რომლებიც სხვა დროს არც კი შეიმჩნევა ხოლმე ცის კაბადონზე — მოსალოდნელი უამინდობის ნიშანია. „ვარსკვლავები თუ შორიშორსაა, კარგი ამინდი იქნება, თუ მოჭედილია, — უეჭველად მოწვიმს“[6]. მსგავსი მასალა დამოწმებულია ინდიელებშიც; ცნობილია გამოთქმა, რომელსაც პროფ. ა. გალცოვი უცნაურს, მაგრამ სავსებით სწორს უწოდებს — „ვარსკვლავები ჯგუფდებიან — მიწა წუმპეებით დაიფარება“[7]. ოპტიკის დარგში ემპირიული დაკვირვება საკმაოდ შედეგიანია. აქ, ეტყობა, ხალხმა შეამჩნია ღამის ცის ნათების თავისებურება — გარკვეული ატმოსფერული მოვლენების (რომლებიც წინ უსწრებს წვიმას, ავდარს) პირობებში ვარსკვლავთ ციმციმი. მართლაც, ატმოსფერულ ფიზიკაში ცნობილია, რომ ვარსკვლავების კაშკაში საკმაოდ კარგი ორიენტირია ამინდის ცვალებადობის პროგნოზისათვის — თუ ციმციმი ძლიერდება, ეს ნიშნავს, რომ იცვლება ჰაერში ატმოსფერული მასების შედგეხილობა. ციმციმი კარგად ასახავს მსგავს ცვლილებებს და მათზე მეტეოროლოგიურ ხელსაწყოებზე უფრო სწრაფად რეაგირებს[8].

ატმოსფერული ფიზიკიდანვეა ცნობილი, რომ წვიმის წინ თხელი ღრუბლები არა მარტო შთანთქავს წვრილ ვარსკვლავთ სინათლეს, არამედ ფანტავს კიდეც უფრო დიდ ვარსკვლავთა შუქს, რომლებიც ამის გამო გაზრდილ-გადიდებული ჩანს და ამასთანავე იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მათს გარშემო შეჯგუფულია წვრილი ვარსკვლავები[9].

ხალხის დაკვირვებით, ავდრის წინ ხილვადობაც იზრდება. მაგალითად, მთხრობელი, რომლის სახლიდან ჩვეულებრივ არა ჩანს ხოლმე ზღვა, აღნიშნავს: „ზღვა თუ ჩანს ჩემი სახლიდან, მაშინ მოწვიმს“[10]. ჰაერის გამჭვირვალობის ხარისხი, რომელიც ხილვადობის მანძილის განმსაზღვრელია, ამინდის პროგნოზისათვის სხვა ხალხებთანაც გამოიყენება. ინგლისში ხალხური მეტეოროლოგია ამბობს: „რაც უფრო შორს ჩანს, მით უფრო ახლოსაა წვიმა“. ამასთან, სხვადასხვა ქვეყნის ხალხური მეტეოროლოგიის მონაცემებით მდგრადი, კარგი ამინდის, ან სულაც გვალვის მომასწავებელია შორეული საგნების ცუდი, დაბურულ-დახისლული ხილვადობა[11]. ისმის კითხვა — რამდენად სწორია ეს ხალხური დაკვირვება? ატმოსფერული ფიზიკიდან ცნობილია, რომ ზაფხულში ჰაერის დანისლვა და ხილვადობის

---

[4] Суслов Б. Н., Звук и слух, М., 1951, стр. 33.

[5] იქვე, გვ. 13, 33, 40; აგრეთვე, Тверской П. Н.,Гроза и грозовые явления, Л., 1945, стр. 70.

[6] ს. კახათი, მთხრობელი დ. თოლორაია (იხ. ნ. ბრეგაძე, დასახ. ღღიური).

[7] Гальцов А. П., Наука о погоде и народные приметы, М., 1958, стр. 20.

[8] ი. ქურდიანი, ოპტიკური მოვლენები ატმოსფეროში, თბ.. 1956, გვ. 22.

[9] ა. გალცოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

[10] ს. ოდიში, მთხრობელი ბ. შედანია (იხ. ნ. ბრეგაძე. დასახ. ღღიური).

[11] ა. გალცოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

გაუარესება გამოწვეულია ჰაერის ქვედა ფენებში მტვრის დაგროვებით. ეს მდგომარეობა, ჩვეულებრივ, ანტიციკლონის დროს გვხვდება. მტვრის ნაწილაკები ძირს ეშვება. ამასთან, ანტიციკლონში ქარის მოძრაობის სიჩქარე მცირეა და ამიტომ ჰაერის მასების შერევა ძნელდება. ციკლონის მოახლოებასთან ერთად კი მდგომარეობა იცვლება — ქარი ძლიერდება, ერთმანეთში ურევს ჰაერის მასებს და არღვევს ატმოსფეროს ფენებად დანაწილებას, რაც ანტიციკლონში შეიქმნა. ამგვარად, ატმოსფეროს დაბუნდოვანების პირობები ინარჩუნებს თავს მყარი ანტიციკლონური ამინდის დროს და ხილვადობის გაუმჯობესებას შეუძლია მოახლოებული ციკლონის მანიშნებლის როლი შეასრულოს[12].

ცხადია, არც ქართველ და არც უცხოელ გლეხს წარმოდგენა არ ჰქონია ატმოსფერული ფიზიკის კანონებზე და ისინი ამ თვალთახედვით ვერ განიხილავდნენ საკითხს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბუნებაზე დაკვირვებით მათ დაუჭერიათ მასში მოქმედი კანონზომიერებანი და ემპირიული გზით სწორად მიუგნიათ ამინდის ცვალებადობის მანიშნებელი მოვლენებისათვის, რაც ხალხის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების დამადასტურებელია.

დამოწმდა ახალ მთვარეზე და ღრუბლებზე დაკვირვებით, აგრეთვე ქარის მიმართულების მიხედვით ამინდის წინასწარ გამოცნობაც. ეს უკანასკნელი ხერხი ცნობილია სხვადასხვა ხალხთა ყოფაშიც. მაგალითად, ჩსოფლიოს სხვადასხვა ხალხის მონაცემებით სამხრეთის ქარი ავდრის მაუწყებელია[13], იგივე ჩანს ქართული ეთნოგრაფიული მასალიდანაც[14]. რუსული, უკრაინული, გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ბულგარული, ფინური და იტალიური მონაცემებით, დასავლეთის ქარი უამინდობის მომასწავებელია. მაგრამ ცნობილია აგრეთვე ამის საწინააღმდეგო მონაცემებიც — ვოლგისპირული და ინგლისური მასალით დასავლეთის ქარი დარის მანიშნებელია[15]. გარემოება, რომ ზოგი ქვეყნისათვის დასავლეთის ქარი შეიძლება დარის მაუწყებელი იყოს, სხვებისათვის კი ავდრისა, არ უნდა იყოს საკვირველი. მაგრამ ზემომოტანილი მასალიდან ჩანს, რომ ინგლისში იგი ერთდროულად დარსაც მოასწავებს და ავდარსაც. საფიქრებელია, რომ ეს ორი ურთიერთ საწინააღმდეგო ცნობა ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან მომდინარეობს. მაგრამ თუ განვიხილავთ ზუგდიდის რაიონში დამოწმებულ მასალას, მაშინ ნათელი გახდება, რომ არა თუ ერთსა და იმავე რაიონში, არამედ ერთსა და იმავე სოფელშიც კი დასავლეთის ან აღმოსავლეთის ქარი ხან დარის და ხან კი ავდარის ნიშნადაა მიჩნეული. როგორც ირკვევა, ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს ადგილობრივი მცხოვრებლის დაკვირვებაზე დამყარებულ და არა უაზრო მონაცემებთან. სახელდობრ, თუ დასავლეთის ქარი შუადღემდე უბერავს, მოწვიმს, ნაშუადღევს კი დარი იქნება. და ამის შესატყვისად პირიქით — შუადღემდე ზენა, აღმოსავლეთის ქარი დარის ნიშანია, ნაშუადღევს კი — წვიმისა[16].

ველზე ჩანიშნულია აგრეთვე შემდეგი ცნობა: „ჭარკონტი ბორია[17], ჭიკონი ქარი რომ დატრიალდება და სვეტად დადგება, მეორე დღეს წვიმაა“[18].

ხალხისავე დაკვირვებით, „მშრალი ტყავი, რაც არ უნდა დარი იყოს, ავდრის წინ დალბება“[19].

ბუნების მოვლენებზე დაკვირვების გარდა მოიპოვება ფენოლოგიურ მონაცემებზე დამყარებული მასალაც. ფენოლოგიურ მაჩვენებლად ქცეულა ადგილობრივი მეურნის ცოდნა, —

---

[12] ა. გალცოვი, დასახ. ნაშრ., 36; იხ. აგრეთვე, Хвостиков И. А., Свечение ночного неба, М.-Л., 1948, стр. 359.

[13] ა. გალცოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

[14] ნ. ბრეგაძე, დასახ. დღიური.

[15] ა. გალცოვი. დასახ. ნაშრ.. გვ. 26.

[16] ს. ს. რუხი, კახათი. იხ. ნ. ბრეგაძე, დასახ. დღიური.

[17] ჭარკონტი და ჭიკონი, ალბათ, საბასთან მოცემული „ჭალიკონის“ (რომელიც სასტიკ ქარს ხიშხავს — იხ. ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1948) შესატყვისია (იხ. აგრეთვე საბასთანავე — „ქარი“). ბორია კი ჩრდილოეთის ქარია (იხ. საბასთან „ბორეასი“ და „ქარი“). ქარის ეს სახელწოდება წარმოდგება ჩრდილოეთის ქარის ბერძნული ღვთაების — ბორეას სახელიდან და მისი გადატანითი მნიშვნელობაა ძლიერი, ცივი ქარი; იხ. Ботвинник М. Н., Коган М. А. и др., Мифологический словарь, Л., 1961.

[18] ს. რუხი, მთხრობელი ლ. ფარცვანია. იხ. ნ. ბრეგაძე, დასახ. დღიური.

[19] ს. ათნოხი, მთხრობელი ჩ. წიკლაური. იხ. ნ. ბრეგაძე, მთიულეთ-გუდამაყარში 1967 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური (ხელნაწერი).

რომელიც შეძენილია შინაურ თუ გარეულ ცხოველთა და ფრინველთა, თევზთა და მწერთა ქცევაზე და მცენარეებზე დაკვირვებით. ასეთი მასალა ბევრგან მოწმდება: „გოჭებმა იციან თამაში წვიმა რომ მოდგება“[20]. ან „თუ ცუდი ამინდია მოსალოდნელი, ღორი ღამე სხვაგან არ დარჩება გარეთ, უეჭველად კარს მოადგება. გოჭები თამაშს რომ დაუწყებენ ცირკანტებივით ერთმანეთს და ტრიალებენ, მაშინ მოსალოდნელია წვიმა“[21].

მწყემსის დაკვირვებით, „თუ საქონელი სწრაფად იწყებს ძოვას“[22], „თუ საქონელი ეშურება (ბევრსა ჭამს) ბალახს“[23], უეჭველად გააედარდება.

საინტერესო ჩანს აგრეთვე ახალი ყოფის პირობებში დაკვირვების შედეგად შემჩნეული მოვლენა: ჩაის პლანტაციებში ხშირია ობობას ქსელი. თუ ბუჩქზე გაბმულ ახალ ქსელთა სიმრავლეა, კარგი დარი იქნება. ხოლო თუ პლანტაციაში მხოლოდ „ჩამქრალი“, ე. ი. ძველი ქსელებია და ახალი კი არა ჩანს, წვიმაა მოსალოდნელი[24].

მცენარეთა თუ ცხოველთა სამყაროზე ხალხის დაკვირვებათა სფეროდან შესაძლებელია სხვა მრავალი ამგვარი მაგალითის ჩამოთვლა, რომელთა მიხედვით ხშირად ხერხდება მოსალოდნელი ამინდის გამოცნობა. ამ ხალხურ ცოდნას კი თავის დროზე წარმატებით იყენებდნენ კულტის მსახურებიც. ხალხურ მეტეოროლოგიაზე დამყარებული ამინდის პროგნოზი საშუალებას აძლევდა მათ სწორედ მოსალოდნელი ავდრის დღეებში შეკრებილიყვნენ სათანადო რიტუალის შესასრულებლად. ხოლო შესაფერის დროს შესრულებული რიტუალი თუ ღვთაებისადმი აღვლენილი ლოცვა-ვედრება სასურველი შედეგით მთავრდებოდა. ამიტომაც იწამა ხალხმა ამ ჩვეულებათა ეფექტურობა და თითქმის ბოლო დრომდე შემოინახა ისინი.

დღეისდღეს, როცა მეტეოროლოგიური ხელსაწყოების მონაცემებზე დაყრდნობით ხდება ამინდის პროგნოზის დროულად გაგება, ერთი შეხედვით, ზედმეტი ჩანს ბუნების მოვლენათა დაკვირვებაზე დამყარებული ხალხური მეტეოროლოგიის მონაცემები. ალბათ ამიტომაცაა, რომ თანამედროვე ახალგაზრდობა შედარებით ნაკლებადაა დაინტერესებული მამა-პაპათა გამოცდილების შესწავლა-ათვისებით, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამინდის მოსალოდნელი ცვლილების გარკვევა ადგილზე უფრო სწრაფად შეიძლება (მაგალითად, ჰაერში ატმოსფერული მასების შედგენილობის ცვლილებაზე მეტეოროლოგიურ ხელსაწყოებზე სწრაფად ვარსკვლავთ ციმციმი რეაგირებს და სხვ.), გასაგები გახდება მეტეოროლოგიის დარგში ხალხური გამოცდილების მნიშვნელობა ჩვენს დროშიც. განსაკუთრებით ფასოვანია იგი მთაში, სადაც იმდენად სწრაფია ხოლმე ამინდის ცვალებადობა, რომ მწყემსებსა და მათს ფარებს არას არგებს შედარებით გვიანი რეაქციის მქონე მეტეოხელსაწყოებისაგან მიღებული პროგნოზის ლოდინი, მით უფრო, რომ რავ შემთხვევაში კავშირის უქონლობის გამო დროული პროგნოზიც კი ვეღარ აღწევს ხოლმე დანიშნულების ადგილამდე. ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ცალკეულ მიკრორაიონებში ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული ვითარების შესაბამისად შემუშავებული, ამინდის სათანადო ხალხური პროგნოზი.

---

20 ს. კახათი, მთხრობელი ნ. შედანია, იხ. ნ. ბრეგაძე, ზუგდიდის რაიონში ეთნოგრ. ექსპედიციის დღიური.

21 ს. რუხი. მთხრობელი ლ. ფარცვანია. იხ. ნ. ბრეგაძე, ზუგდიდის რაიონში ეთნოგრ. ექსპედიციის დღიური.

22 ს. ახალსოფელი, მთხრობელი შ. ნასყიდაშვილი. იხ. ნ. ბრეგაძე, გორის რაიონში 1967 წ. ეთნოგრ. ექსპედიციის დღიური (ხელნაწერი).

23 ს. ათნოხი, მთხრობელი დ. წიკლაური. იხ. ნ. ბრეგაძე, მთიულეთ-გუდამაყარში ეთნოგრ. ექსპედიციის დღიური.

24 იხ. ნ. ბრეგაძე, ზუგდიდის რაიონში ეთნოგრ. ექსპედიციის დღიური.

გივი მიქაძე

ფსევდონიმების კვალდაკვალ

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ)

ერთი წიგნის ბედი

ცნობილი თქმაა: წიგნსაც აქვს თავისი ბიოგრაფია. და ამ ბიოგრაფიის შესწავლა გამოწვეულია არა მარტო ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ სწორედ იმ ადამიანების ცხოვრება-მოღვაწეობის შესასწავლად, ვისი ხელიდანაც გამოვიდა, ვის ხელშიც გარკვეული დროის განმავლობაში ტრიალებდა და ვისზეც ზეგავლენა იქონია ამა თუ იმ წიგნმა. ამდენად ადამიანისა და წიგნის ბიოგრაფია ხშირად გადაჯაჭვულია ერთმანეთში.

დროთა განმავლობაში საზოგადოების გაბატონებული წრეების მიერ მთელი რიგი წიგნები ადამიანებივით განიცდიდნენ დევნას, ადამიანებივით ისჯებოდნენ და ადამიანებივით იხპობოდნენ...

ამ წერილში მკითხველებს გვინდა გავაცნოთ ერთი პატარა ბროშურა, რომელიც მეტად ყურადსაღებია არა მარტო იშვიათობით, არამედ თავისი ბედითაც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნსაცავში დაცულია უთავფურცლო მცირე ზომის წიგნაკი, რომელსაც აწერია: „რა უნდა გლეხს? თარგმანი გურულ-მეგრელისა. (წ. № 4). ქუთაისი, ი. ჩიქოვანის გამოცემა, «კომერციული» საბეჭდავი ჭილაძისა და ამხ., 1906“.

დასახელებული ბროშურა შეიცავს სულ 8 გვერდს. მასში მოთხრობილია ხალხის გაჭირვებაზე, ექსპლოატაციაზე, სოციალურ უკუღმართობას და მშრომელთა უუფლებობაზე. ბროშურაში გკითხულობთ:

„ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მუდამ მშრომელი გლეხობა ახლა იმ ზომამდისაა მიღწევნილი, რომ თითქმის თავისი ცოლ-შვილის გამოკვება არ შეუძლია... [ის] იძულებულია თავისი თავის გამოსაკვებავი ჭირნახული მომკისთანავე ბაზარში გაიტანოს და თითქმის უკანასკნელი ძროხაც გაჰყიდოს; შვილები უნდა ვინმეს უყმოს, ხოლო თვითონ კი სხვას უნდა დაექრაოს აბაზად და ხშირად ორ შაურადაც დღეში თავისივე ხარჯით, ოღონდ ზამთარში შიმშილით არ მოკვდეს; მაგრამ ყველა ამასთან ერთად ეს მიწის მატარებელი შვილი ყოველგვარ დაჩაგრასა და დამცირებას ითმენს; მართლა კი მას უნდა ეწოდოს არა შვილი, არამედ გერი თავისი სამშობლოისა.

ამგვარია მშრომელი გლეხ-კაცობის მდგომარეობა რუსეთის სახელმწიფოში. მას კისერზე აწევს ყოველივე ჯაფა და შრომა, და ამავე დროს იგი ყველაზე უფრო დაჩაგრული და დაბეჩავებულია. მან თავისი საკუთარი შრომით უნდა აარსებოს მთელი სახელმწიფო და ამავე დროს იგი მოკლებულია იმ მიწას, რომლის დამუშავებაც მას შეუძლია...

და ასე იქმნება მანამდის, სანამ გლეხკაცობას ამ მთავრობის იმედი ექმნება. როგორც ზემოთ არ ამოვა დასავლეთით, ისე მუშა ხალხი ვეღარ ეღირსება სიმართლეს ჩინოვნიკურ, თავადაზნაურულ და ვაჭრულ მართვა-გამგეობისაგან. მხოლოდ თვით მუშა ხალხს შეუძლია ძოიპოვოს ბედნიერება, მხოლოდ ბრძოლაში ჰპოვებს იგი თავის უფლებას. მან უნდა დაამხოს ჩინოვნიკური თვითნებობა და საკუთარ ხელში უნდა ჩაიგდოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა; მასთან ერთად მან უნდა ჩამოართვას ხალხს საზოგადო სასარგებლოდ მთელი რუსეთის მიწები: მინდვრები, ველები, ტყეები მადნიანის ადგილებით, მდინარეებით და ტბები თევზეულობითა და სხვა. მხოლოდ მაშინ იქმნება ხალხის მდგომარეობა მტკიცედ უზრუნველყოფილი და მხოლოდ მაშინ შეიქმნებიან მუშები და გლეხები ნამდვილი შვილები თავიანთ ქვეყნისა, და არა გერები. ამ დიად მიზნისაკენ. ამ დიდებულ ხალხის განთავისუფლებისაკენ უნდა იყოს ახლა მიმართული მთელი ხალხის ძალები“ (გვ.3-5).

როგორც ვხედავთ, ბროშურაში გამოთქმულია პროტესტი ცარისტული წყობილების წინააღმდეგ და მოცემულია მოწოდება ბრძოლისაკენ. ასეთმა შინაარსმა განაპირობა სწორედ ამ წიგნის მომავალი ბედიც.

როგორც ცნობილია, წიგნის დასაბეჭდად და მის გასავრცელებლად საჭირო იყო სათანადო ნებართვის მიღება, რისთვისაც სტამბის მფლობელნი გარკვეულ ეგზემპლარებს წი-

ნასწარ გზავნიდნენ ბეჭდვითი საქმის კავკასიის კომიტეტში (ასე ეწოდებოდა მაშინ საცენზურო კომიტეტს). ქუთაისის ერთ-ერთი სტამბის მფლობელმა ვ. ი. ჭილაძემაც, რომლის სტამბაშიც 1000 ცალად დაიბეჭდა ჩვენთვის საინტერესო ბროშურა, 1906 წლის 12 აგვისტოს განსახილველად კომიტეტს თბილისში გადმოუგზავნა წიგნაკის 13 ეგზემპლარი[1].

ბროშურის გაცნობის შემდეგ ბეჭდვითი საქმის კომიტეტს აუკრძალავს მისი გავრცელება, რასაც გვამცნობს ვ. ჭილაძის განცხადებაზე წარწერილი რეზოლუცია: „К выпуску воспрещен постановлением Комитета от 24/VIII". მაგრამ საქმე ამით როდი დამთავრდა. კომიტეტმა დაადგინა ბროშურის მთლიანად აკრძალვა და განადგურება, რისთვისაც სასწრაფოდ მიმართეს საგანგებო ღონისძიებებს. მაშინვე გაეგზავნა დეპეშა ქუთაისის გუბერნატორს იაზიკოვს წიგნის კონფისკაციის შესახებ. საქმეში ჩაკერებულია ამ დეპეშის შავი, რომელშიც ვკითხულობთ:

„Комитет [по] делам печати просит распоряжения конфисковать все экземпляры отпечатанной [в] Кутаисе типографиею Чиладзе брошуры названием «Что нужно крестьянину?» уведомив последующем. Если брошура выпущена типографиею, конфисковать [в] книжных магазинах"[2].

არც ქუთაისის გუბერნატორს დაუყოვნებია და სასწრაფოდ მიღებული ზომებით მთარგმნელის ბიხაზე დაუკავებია წიგნის დიდი რაოდენობა. ქუთაისიდან გამოგზავნილ საპასუხო დეპეშაში გუბერნატორი ბეჭდვითი საქმის კომიტეტს ატყობინებდა:

„Брошура «Что нужно крестьянину?» отпечатана[я] в 1000 экземплярах, конфисковано [в] квартире переводчика ея Беридзе 951 экземпляр. Остальные не разысканы.

Губернатор Языков"[3].

ქუთაისის გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა იაზიკოვმა ყოველგვარ საშუალებას მიმართა დანარჩენი ეგზემპლარების დასაკავებლადაც. რამდენიმე ხნის შემდეგ კომიტეტში მოღის მისი მეორე დეპეშა, დათარიღებული 1906 წლის 15-16 სექტემბრით, დამატებით დაკავებული წიგნების თაობაზე. დეპეშაში ნათქვამია:

„В дополнение к телеграмме моей сообщаю Комитету по делам печати, что кроме 951 экземпляра брошюр под заглавием «Что нужно крестьянину?», конфискованных на квартире переводчика ея секретаря Кутаисского Окружного Суда Беридзе, конфисковано еще 35 экземпляров означенной брошюры. Все они хранятся, впредь до особого распоряжения, в Кутаисском Городском Полицейском управлений"[4].

ამრიგად, სწრაფი და ოპერატიული ზომების მიღების შედეგად ქუთაისის ჟანდარმერიამ „დაიკავა" 986 ეგზემპლარი. სტამბის მფლობელის ვ. ჭილაძის მიერ კომიტეტში გამოგზავნილ 13 წიგნაკთან ერთად კი მეფის ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელში სულ აღმოჩნდა 999 ბროშურა, ე. ი. მთელი ტირაჟი ერთი წიგნაკის გამოკლებით. და სწორედ ის ერთადერთი „დაუპატიმრებელი" ბროშურა არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ეგზემპლარი, რომელიც, როგორც ჩანს, შემთხვევით გადაურჩა განადგურებას.

ბეჭდვითი საქმის კომიტეტი საგანგებოდ დაინტერესდა ბროშურის მთარგმნელის ვინაობით და მისი საქმიანობით. ქუთაისის პოლიციას მთარგმნელზე შეუგროვებია სათანადო ცხობები, რომელთა საფუძველზე გენერალ-მაიორი იზიაკოვი საიდუმლო მოწერილობაში (დათარიღებულია 1906 წ. 3 ოქტომბრით) კომიტეტს ატყობინებს:

„Вследствие отношения, от 4 минув. сентября за № 1560, сообщаю Тифлисскому Комитету, что, как оказалось по наведенным справкам, переводчик конфискованной по моему распоряжению брошюры «Что надо крестьянину?» — Николай Константинович Беридзе, 32 лет, происходит из потомственных дворян, проживает в гор. Кутаисе на Пушкинской ул., состоит переводчиком Уголовного Отделения Кутаисского Окружного Суда"[5].

იაზიკოვის გამოგზავნილი ცნობიდან ირკვევა, რომ ბროშურის მთარგმნელია ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბერიძე. ამრიგად, აღნიშნული დოკუმენტით შესაძლებელი გახდა ფსევდონიმ „გურულ-მეგრელის" გაშიფრვა.

---

[1] საქ. ცენტრარქივი, ფონდი 480, საქმე № 98, ფ. 1.
[2] იქვე, ფ. 6. [3] იქვე, ფ. 7.
[4] იქვე, ფ. 12.
[5] იქვე, ფ. 21.

1906 წლის 24 ოქტომბერს იაზიკოვი განმეორებით გზავნის უფრო დაზუსტებულ ცნობებს ბერიძის შესახებ:

«Препровождая при сем подписку Николая Константиновича Беридзе и Курцхалия и копию решения Тифлисской судебной палаты от 12 минувш. сентября, сообщаю, что Николай Константинович Беридзе 28 лет, из дворян Зугдидского уезда, живет в гор. Кутаисе на Пушкинской улице в доме Гокиелова»[6].

საქართველოს სსრ ცენტრარქივში დაცული მასალებიდან არ ჩანს, თუ რა ბედი ეწვია დაკავებული ბროშურის ეგზემპლარებსა და მის მთარგმნელს. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ წიგნები მთლიანად იქნა განადგურებული, გარდა კომიტეტის საქმეებში ჩაკერებული ერთადერთი ყვითელკანიანი ეგზემპლარისა. ამრიგად, გადარჩა ბროშურის მხოლოდ ორი ცალი. ერთი უნივერსიტეტის წიგნსაცავშია დაცული, ხოლო მეორე — კომიტეტის საქმეებში ჩაკერებული. ასე იქნა განადგურებული ეს წიგნი მეფის ცენზურის მიერ. ამიტომ წარმოადგენს ის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას.

დასახელებული ბროშურის გარდა, ნიკ. ბერიძეს რუსულიდან გადმოუთარგმნია სხვა პატარა წიგნებიც. „გურულ-მეგრელის“ ფსევდონიმით 1900 წელს ქუთაისში დაიბეჭდა მის მიერ თარგმნილი „ინდური და არაბული ლეგენდები ადამიანის გაჩენაზე და მის ხანგრძლივობაზე“. მისივე თარგმნილია ბროშურა — „ეყოფა თუ არა ყველას მიწა?“. წიგნი დაბეჭდილია ქუთაისში, გამოცემის წელი აღნიშნული არ არის. იგი დაბეჭდილი უნდა იყოს 1905 წელს, რადგან ზემოდასახელებულ ბროშურას „რა უნდა გლეხს?“, რომელიც გამოქვეყნდა 1906 წელს, ქვედა ყდაზე დაბეჭდილი აქვს შემდეგი ცნობა: „გამოვიდა და იყიდება ყველგან «ეყოფა თუ არა ყველას მიწა» გად. გურულ-მეგრელისაო“.

ნიკ. ბერიძისავე თარგმნილია ბალიცკის ბროშურა „ბოიკოტი“. სხვათა შორის, ეს ბროშურაც ჩაკერებულია ბეჭდვითი საქმის კომიტეტის მასალებში. ტექსტის ბოლოს მიწერილია: ხიკო ბერიძე[7]. წიგნს თარიღი არა აქვს. „ქართულ წიგნში“ მითითებულია 1905-1906 წლები[8], მაგრამ ბროშურა უნდა დაბეჭდილიყო 1907 წელს. კომიტეტის მასალებში ნათქვამია, რომ დასახელებული წიგნი კომიტეტში წარმოდგენილი იყო 1907 წლის 24 დეკემბერსო[9]. ამასთან, „ბოიკოტს“ ყდაზე აწერია — წიგნი მეხუთეო, მაშინ როდესაც ბროშურა „რა უნდა გლეხს?“, რომელიც მეოთხე წიგნი ყოფილა, დაბეჭდილია 1906 წელს.

ნიკოლოზ ბერიძე „გურულ-მეგრელის“ ფსევდონიმით თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიც. ასე, მაგალითად, მისი ნაწერები ჩვენ შეგვხვდა გაზ. „ცნობის ფურცელში“ (1899), გაზ. „შრომაში“ (1906), გაზ. „ვრდემლში“ (1907), ჟურნ. „საქართველოში“ (1903), ალმანახ „ბურჯში“ (1909), გაზ. „ჩვენს ერში“ (1914), გაზ. „სამშობლოში“ (1915) და სხვ.

საჭიროა დაიძებნოს და შეიკრიბოს ნიკოლოზ ბერიძის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი მასალები. დავიწყებას არ უნდა მიეცეს რევოლუციური ლიტერატურის უანგარო მთარგმნელის სახელი.

„ჩიორა“

1942 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ვაკის სასაფლაოს მწერალთა პანთეონში დაკრძალეს გასული საუკუნის 80-90 წლების ქართული პრესის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე არტემ ახნაზაროვი, საკმაოდ ცნობილი „ჩიორას“ ფსევდონიმით.

არტემ მიხეილის ძე ახნაზაროვი (1866-1942) იყო „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი. როგორც რედაქციის მუშაკს, მას უხდებოდა ქრონიკების შედგენა, წერილების სწორება, კორექტურის კითხვა და ა. შ. ყოველდღიური სარედაქციო სამუშაოების გარდა, იგი დროდადრო კალამსაც ცდიდა და გაზეთში ათავსებდა საკუთარ ნაწარმოებებს — კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ წერილებს, სხარტულ ფელეტონებსა და პატარა-პატარა მოთხრობებს. ასე გაიწაფა ის სარედაქციო-ლიტერატურულ მუშაობაში და შემდეგში მრავალმხრივი და ნაყოფიერი მწერალი გახდა.

ა. ახნაზაროვის პუბლიცისტურ წერილებში აღძრულია მრავალი საჭირბოროტო საკითხი. იგი წერდა ქართულ მწერლობასა და კულტურაზე, ქართული ეთნოგრაფიის შესახებ, ქართული ეკლესიის ისტორიაზე, სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკზე, ვაჭრობაზე, ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს და ა. შ.

---

6 საქ. ცენტრარქივი, ფონდი 480, საქმე № 98, ფ. 25.

7 იქვე, ფ. 36.

8 ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტ. I, 1941, № 5781.

9 საქ. ცენტრარქივი. ფონდი 480, საქმე № 98, ფ. 32 და 35.

ა. ახნაზაროვის წერილების ერთი ნაწილი შეეხება ხელოვნების საკითხებს. მათში ჩვენ ვპოულობთ საინტერესო ცნობებს ქართულ სახალხო წარმოდგენებზე, მასალებს ქართული თეატრის ისტორიისათვის, ქართული სიმღერისა და გალობის შესახებ.

ა. ახნაზაროვმა თარგმნა პიესებიც: გ. ზუდერმანის ოთხმოქმედებიანი კომედია „პატიოსნება“, იულ-როდერიხ ბენედიქსეს „გამოცდა“, პალიერონის ერთმოქმედებიანი კომედია „ხაპერწკალი“ და სხვ. მისი გადმოკეთებული ოპერეტა „ნატვრის თვალი“ კ. მარჯანიშვილმა დადგა რუსთაველის სახელობის თეატრში.

ა. ახნაზაროვი ავტორია პატარ-პატარა მოთხრობებისა მის თანამედროვე ცხოვრებაზე („ბებია კეკე“, „ბედნიერი დღე“, „ოსტატი დედაკაცი“, „უცნაური წამალი“, „ანგარების მსხვერპლი“ და ა. შ.). მას უხვად აქვს დაწერილი აგრეთვე იუმორისტული თხზულებანი და სატირული ლექსები. მწერლის მამხილებლური ხასიათის წერილები იბეჭდებოდა „ივერიის“ სპეციალურ განყოფილებებში, საერთო სათაურით: „ნამცეც-ქუცმაცი“, „წკიპურტი“ და „სახელდახელო (ყბად-ასაღები წყალწასაღები ამბები)“.

ა. ახნაზაროვი ლექსებსაც წერდა. მის ერთ-ერთ ლექსზე — „ნუ მღერი, ტურფავ“ ცხრა-ასიან წლებში რომანსი დაწერა ფილიმონ ქორიძემ. მწერლის „ლექსები და სცენები“ ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა 1912 წელს. წიგნს დართული ჰქონდა კიტა აბაშიძის შესავალი წერილი და ცნობილი კარიკატურისტის ოსკარ შმერლინგის ილუსტრაციები.

Также построены и остальные главы. Общие рассуждения, навязанные утверждения и произвольные выводы в роде отрицания мною в древней Армении тетраконхов, искажение моих положений, чтение в душе («истинные побуждения Г. Н. Чубинашвили»), и полное отсутствие обсуждения выдвинутых мною положений, разнящихся от до сих пор господствовавших.

В заключение еще раз повторяется несправедливый лейтмотив всей книжки: действительная цель Г. Н. Чубинашвили, якобы, заключалась в утверждении зависимости архитектуры Армении от таковой Грузии и принижение достижений армянских зодчих, как бездарных; снова подчеркивается «произвольно ограниченный охват материала» (стр. 133), когда это только разыскания, а не история архитектуры Армении, и опять повторяется широкое обвинение в предвзятости и предубежденности.

Таким образом, все эти критики остались при своих убеждениях о датировке и о характеристике мною рассмотренных памятников. Однако в подтверждение своих взглядов не привели никаких достоверных новых соображений и не противопоставили выдвинутым мною положениям о развитии архитектурного творчества в Армении с VII по X—XI вв. никаких обоснованных возражений. Они ограничились лишь хулой на автора «Разысканий» за попытку пересмотреть некоторые вопросы оценки отдельных памятников или их датировки. В остальном их разбор сторонних, интересных и значительных вопросов, лишь очень отдаленно связан с поднятыми в моей книге положениями.

1.7.1969

საქართველო რუსეთ-თურქეთის ომში
(1806—1812 წწ.)

რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი საბრძოლო თანამეგობრობა საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან ახალ შინაარსს იძენს, თვისობრივადაც ახლებური ხდება და თავისი განვითარების სავსებით ახალ სტადიაში შედის. ქართული ისტორიოგრაფიის ამ მნიშვნელოვანი პრობლემის ერთ კონკრეტულ საკითხს ეხება ნ. ქორთუას ნაშრომი: „საქართველო 1806-1812 წლის რუსეთ-თურქეთის ომში“ (თბილისი, გამომცემლობა „ცოდნა“ 1964, გვ. 466). მონოგრაფიული გამოკვლევის ავტორი მიზნად ისახავს, შეისწავლოს რუსეთის იმპერიის დიდი მასშტაბის სამხედრო-დიპლომატიურ და საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული. რუსეთთან ახლად შეერთებული საქართველოს მკვიდრთა მონაწილეობა რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წლების ომში; ეს ომი თავისი მასშტაბით დიდად შორდებოდა კავკასიის ფარგლებს და, ავტორის მართებული შენიშვნით, მან თავიდანვე „მიიპყრო მაშინდელი ევროპის დიდი სახელმწიფოების ყურადღება“.

რუსეთ-თურქეთის ომსა და მასში ქართველი ხალხის მონაწილეობის საკითხებს ავტორი განიხილავს ყველა იმ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენასთან კავშირში, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, — კავკასიის ხალხების ისტორიულ მტრებთან, ირან-ოსმალეთთან რუსეთის დაპირისპირების შედეგად.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ათი თავისაგან შემდგარი გამოკვლევის შინაარსის გადმოცემას. წიგნი საკმაო ხანია, რაც გამოიცა და, ბუნებრივია, მას მკითხველი საზოგადოება კარგად იცნობს; შევჩერდებით მხოლოდ პრინციპული ხასიათის ძირეულ საკითხებზე.

არც რუსულსა და არც ქართულ ისტორიოგრაფიაში რუსეთ-საქართველოს ერთობლივი ბრძოლა დასახელებულ ომში სპეციალური კვლევის საგნად არავის გაუხდია. რევოლუციამდელ რუსულსა და ქართულ ისტორიოგრაფიას, მცდარი მეთოდოლოგიისა და კლასობრივი შეზღუდულობის გამო, საერთოდ არ შეეძლო ამგვარი პრობლემა თავისი კვლევა-ძიების საგნად გაეხადა; საუკეთესო შემთხვევაში მაშინდელი ისტორიკოსები მხოლოდ ემპირიული ფაქტობრივი მასალების შემგროვებლის როლში გვევლინებიან. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადადგეს იოანე, თეიმურაზ და ბაგრატ ბატონიშვილებმა, მარი ბროსემ, პლ. იოსელიანმა, ალ. ცაგარელმა, პ. ბუტკოვმა, ნ. დუბროვინმა, ვ. ნ. ივანენკომ, პოტტომ, ა. ბერჟემ, ს. ესაძემ, ა. გიზეტტიმ და სხვებმა; ბურჟუაზიულ-მემამულური ისტორიოგრაფიის ფაქტობრივი მასალით მდიდარი ეს მემკვიდრეობა დიდ ღირსებებთან ერთად სერიოზულ ნაკლოვანებათა შემცველიცაა.

ნ. ქორთუას დამსახურებად მიგვაჩნია, რომ მან სპეციალური კვლევა-ძიების საგნად გაიხადა ეს პრობლემა და მას მონოგრაფიული ნარკვევი მიუძღვნა. ნაშრომი ეყრდნობა მდიდარ საარქივო დოკუმენტურ წყაროებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პირველადაა შემოტანილი ლიტერატურული კვლევის სფეროში. მონოგრაფიული ნარკვევი მარქსისტულ მეთოდოლოგიურ პრინციპებს ემყარება; მასში განვითარებული ძირითადი დებულება ჩვენ სწორად მიგვაჩნია; მათი გადმოცემის ხერხები კი დამაჯერებელია. ნ. ქორთუას გამოკვლევა თავისი მნიშვნელობით ქართული საისტორიო მეცნიერების საყურადღებო მიღწევად მიგვაჩნია, თუმცა ნაშრომი, რასაკვირველია უნაკლო არაა.

ცნობილია, რომ თურქეთთან ომის პერიოდში მოხდა იმგვარი ხასიათის ისტორიული მოვლენები, როგორიც იყო რუსეთში ნაპოლეონის შემოჭრით გამოწვეული დიდი სამამულო ომი, რუსეთ-ირანის ომი, იმერეთის სამეფო-სამთავროების გაუქმება, აგრეთვე, აზერბაიჯანის სახანოების და ბაქოს შემომტკიცებით ამიერკავკასიაში რუსეთის მფლობელობის ზრდასთან დაკავშირებული სამხედრო და დიპლომატიური ხასიათის სხვა ამბები. ყველა ამ მოვლენას მონოგრაფიული გამოკვლევის ავტორი იმდენად დიდ ადგილს უთმობს, რომ სა-

---

* **ნ. ქორთუა**, „საქართველო 1806—1812 წლის რუსეთ-თურქეთის ომში“, გამომცემლობა „ცოდნა,“ თბილისი, 1964.

რეცენზიო ნაშრომის დასათაურებაში ძნელადღა თავსდება მისი შინაარსი. გარდა ამისა, წიგნის სათაური — „საქართველო 1806-1812 წლის რუსეთ-თურქეთის ომში“ მარჯვედ ვერ გამოხატავს 1800-იანი წლების საქართველოს რეალურ ვითარებას. დასათაურებაში თითქოს ვერაა ზუსტად გამოხატული ის ვითარება, როცა საქართველოს მიწები სამეფო-სამთავროებადაა დანაწილებული, თურქთა მიერაა მიტაცებული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებული რუსეთი ქვეყნის გამაერთიანებლად გამოდის. როცა ვამბობთ, წიგნია სათაურში აღარ თავსდება მისი შინაარსიო, პირველ ყოვლისა ეს შეეხება ნაშრომში აღძრული საკითხების რიგს (მათს სიმრავლეს) და არა მხოლოდ სათაურით შემოფარგლული საკითხების კვლევა-ძიების სიღრმეს.

ნაშრომში ჩვენ ვხვდებით მდიდარი ფაქტობრივი მასალის შესანიშნავ ანალიზს. შესაბამის სწორ დასკვნებსა და მეცნიერულ მიხეედრებს რუსეთის საგარეო პოლიტიკური, დიპლომატიურ-სამხედრო ისტორიიდან და სხვა; მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ ამ დიდი ისტორიული ცნების — „საქართველოს“ სოციალურ-ეკონომიური ვითარების, კულტურისა და სამხედრო დიპლომატიური ტრადიციების უმნიშვნელოვანეს მოვლენათა წარმოჩენა, ყოველთვის ღრმა და დამაკმაყოფილებელი ვერაა. საქართველოს თვითმყოფი ისტორიისათვის დამახასიათებელი შინაგანი განვითარებიდან მომდინარე კანონზომიერებანი რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო ისტორიის, მისი საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ფონზეა განხილული და რუსეთის იმპერიის საერთო მოვლენებითაა შთანთქმული.

რა თქმა უნდა, წარსულში ამგვარ ვითარებას საქართველოს კოლონიური მდგომარეობა განაპირობებდა. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია მეფის რუსეთის კოლონიურ ჩაგვრას და გმირული შემართებით იბრძოდა ამ უღლის დამხობისათვის. ჩვენი აზრით, ალბათ უმჯობესი იქნებოდა, რომ ნ. ქორთუას ნაშრომში კეროვანი ანგარიში გასწეოდა ამ ისტორიულ ფაქტს და ქართული ისტორიოგრაფიის საუკეთესო ტრადიციები ბოლომდე შეენარჩუნებინა მკვლევარს. ნაწილობრივ, შეიძლება ითქვას, ამ ვითარებითაა გამოწვეული ის ფაქტიც, რომ ნაშრომი ზომაზე მეტად განიცდის რუსული ოფიციალური წყაროების გავლენას, ავტორი ნაცვლებად იყენებს დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველ უცხოურ, ზოგჯერ ქართულ პირველწყაროებს და, საერთოდ, წიგნი გადატვირთული გვეჩვენება რუსეთის სხვადასხვა არქივებიდან მოტანილი მასალებით. მდგომარეობას ასეთ პირობებში ისიც ართულებს, რომ ნაშრომს არ მოეპოვება გამოყენებული წყაროების და ლიტერატურის თანდართული სია და საკვლევი საკითხის ისტორიოგრაფიის კრიტიკული მიმოხილვა. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ნ. ქორთუას მონოგრაფიული გამოკვლევა, როგორც აღინიშნა, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის პრობლემისადმია მიძღვნილი. იგი საბჭოთა ისტორიოგრაფიის ამ აქტუალური საკითხების მეცნიერულად გაშუქებას ისახავს მიზნად, რომელთაც დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. შემთხვევით არ მიიჩნევენ საბრძოლო თანამეგობრობას ხალხთა მეგობრობის სათავედ. რუსსა და ქართველ ხალხებს სამშობლოს მტრებთან ერთობლივი ბრძოლის უაღრესად მდიდარი ტრადიციები მოეპოვებათ. სწორედ ამ თანამეგობრობის საფუძველზე შეძლო ქართველმა ხალხმა თავი დაეღწია ირან-ოსმალეთის საუკუნოვანი მტრული გარემოცვისა და შინაფეოდალური, ძმათა სისხლისმღვრელი ომებისათვის, შეეკრიბა ოსმალ დამპყრობთაგან მიტაცებული და მეფე-მთავართაგან დაჩემებული ქართული მიწები, აღედგინა საქართველოს ერთიანობა და რუს ხალხთან ერთობლივი ბრძოლითვე დაესამარებინა ცარიზმი.

ნ. ქორთუას ნაშრომი, შეიძლება ითქვას, კავკასიაში რუსეთის მფლობელობის დამკვიდრებისა და მისი შენარჩუნების უაღრესად მძაფრ პერიოდს შეეხება — ესაა ეპოქა, როცა რუსეთმა ფეხი შემოდგა ამიერკავკასიაში ქართლ-კახეთის შეერთების საფუძველზე და მთელი თავისი ძალებით ცდილობდა პოზიციების განმტკიცებასა და მფლობელობის გაფართოებას. მარქსიზმის კლასიკოსები, უკეთებდნენ რა ანალიზს აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის ზრდის მნიშვნელობას და შედეგებს, გარკვევით აღნიშნავდნენ, რომ ეს პროცესი პროგრესული მოვლენა იყო[1]. თურქეთის მიერ დამონებული ხალხები ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ რუსეთის ომებში ხედავდნენ „თავის ერთადერთ დასაყრდენს, თავის განმათავისუფლებელ მხსნელ მესიას“[2]. მაგრამ აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის წინააღმდეგ მებრძოლი და „ავადმყოფი თურქეთის“ მფარველობის დროშით მოქმედი ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატია, თურქეთისა და ირანის გამოყენებით, ცდილობდა რუსეთის გაძევებას კავკასიიდან და აქ გაბატონებას. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ხალხს სამხედრო სავალდე-

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., XXI, გვ. 211.

[2] იქვე, ტ. IX, გვ. 394.

ბელო ბეგარა რუსეთთან შეერთების შემდეგ 1887 წლამდე არ ეხებოდა, იგი კავკასიის ფრონტზე და ასევე რუსეთის მიწა-წყალზეც აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის მხედრობის მხარდამხარ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში.

რა იყო მიზეზი იმისა, რომ მეფის რუსეთმა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა მხარდაჭერა ჰპოვა და აქ პოზიციები განიმტკიცა? რუსეთი ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის ბრძოლაში, ინგლის-საფრანგეთისაგან განსხვავებით, ამიერკავკასიის ხალხების „განმათავისუფლებლის“ როლში გვევლინება. იგი ძლევამოსილ ომებს აწარმოებდა ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი ხალხების ისტორიული მტრის ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ. ყოველმხრივ ეხმარებოდა ამ ხალხებს მაშინ, როდესაც ინგლისი და საფრანგეთი აღმოსავლეთში გავლენის გასაძლიერებლად ირან-ოსმალეთს ბრმა იარაღად იყენებდნენ და თავიანთ მოკავშირეებად თვლიდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი ხან ირანსა და ხან ოსმალეთს „უწყალობებდნენ“ ხოლმე ამიერკავკასიას, გულუხვად აფინანსებდნენ და იარაღ-საჭურველს აძლევდნენ ამ მიზნების განხორციელებისათვის. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ამიერკავკასიის ხალხები თავიანთ მოკავშირესა და განმათავისუფლებელს ხედავდნენ რუსეთში და მის გაძლიერებას ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს. ქართველები მთელი ძალით იბრძოდნენ რუსეთის მხარდამხარ ირან-თურქეთის საწინააღმდეგო ომებში; და ეს მაშინ, როცა ქართველი ხალხი წინააღმდეგი იყო რუსთა ჯარის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი სამხედრო-ბიუროკრატიული მთელი სისტემისა.

მონოგრაფიულ ნაშრომში განხილულია სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების დაშოკიდებულება ხანგრძლივ ომებთან და ისიც, თუ რა დიდ ტვირთად დააწვა გლეხობას ეს ომები. სახელმწიფო და საბატონო გადასახადებმა ომიანობის რთულ პირობებში უკიდურესობამდე გააუარესა გლეხთა მდგომარეობა. მილიციაში სამსახურმა, ცხენისა და ხარ-ურმის ბეგარამ, საყარაულო სათვალთვალო პუნქტებზე ხალხის პერიოდულად გაწვევამ გლეხი მოსწყვიტა მეურნეობას, ოჯახს, გააძლიერა მევახშეობა და მექრთამეობა. გლეხობის ამ აუტანელ მდგომარეობას თვით მებატონეებიც კი აღიარებდნენ.

ფეოდალური ჩაგვრისა და ცარიზმის კოლონიური რეჟიმით განაწამები საქართველოს გლეხკაცობა ირან-ოსმალეთის საწინააღმდეგო ომების პერიოდშიც კი არაერთხელ გამხდარა იძულებული, ამხედრებულიყო მემამულეებისა და ცარიზმის წინააღმდეგ (მაგალითად, 1804, 1812 წლებში და სხვ.), მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარკვევით უნდა ითქვას, რომ კავკასიის ომებში ქართველ ხალხს სავსებით სწორი პოზიციები ეჭირა და ბოლომდე თანმიმდევრულად იბრძოდა რუსეთის მხედრობის მხარდამხარ.

XIX საუკუნის დასაწყისი საქართველოს ისტორიაში უაღრესად რთული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. ესაა პერიოდი, როცა რუსეთთან შეერთების ფორმალური აქტის დიდ შარაგზაზე არსებითად წყდებოდა „ქართლის ბედი“, როცა აღმოსავლეთ საქართველოში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სიმკაცრემ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე იძულებით ხელაღებულ ხალხს მასობრივი აჯანყებისაკენ უბიძგა და მღელვარების მძაფრი კერები ააგიზგიზა.

ასეთ პირობებში იმერეთის სამეფო ხელისუფლება, რაკი მისთვის ნათელი გახდა ცარიზმის ბატონობის შედეგები, მეტი სიფრთხილით ეკიდება რუსეთთან დამოკიდებულების საკითხს. იმერეთი მტკიცე გარანტიებს მოითხოვდა ავტონომიის შენარჩუნებისათვის, რაც ცარიზმის დამპყრობლურ ზრახვებს, რასაკვირველია, ეწინააღმდეგებოდა. სწორია ავტორის მოსაზრება, რომ სოლომონ II თურქული ორიენტაციისა და საქართველოს რუსეთთან დაკავშირების წინააღმდეგი არ იყო. მას იმერეთის სამეფოს რუსეთთან დაკავშირება მხოლოდ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ საფუძველზე მიაშნდა დასაშვებად და მხოლოდ ამისათვის იბრძოდა. ამდენად, სოლომონ II-ის ბრძოლა პროგრესულ-განმათავისუფლებელი იყო. ასევე სწორია დებულება, რომ ამ განმათავისუფლებელ მოძრაობას ეტმასნებოდა უცხო ძალები ირან-ოსმალეთის სახით და იგი თანდათან იხლართებოდა საგარეო ხასიათის ისეთ მოვლენებში, რომლებიც ხალხის მასების ბრძოლას სრულიად სხვა მიმართულებას აძლევდა და ადრინდელ ხასიათს უკარგავდა. სოლომონ II-ის ცდა — იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის სამსახურში ირან-ოსმალეთის ძალები ჩაეყენებინა, მარცხით დაამთავრა. იმერეთის სამეფოს საომარ მოქმედებათა ასპარეზად გადაქცევით მეფემ უდიდესი უბედურება მოუტანა ხალხს. ამიტომ სოლომონ II-ის სუბიექტური მისწრაფებანი და მისი ბრძოლების ობიექტური შედეგები, მიუხედავად სამეფოს ხელისუფლების უაღრესად მოქნილი და გამჭრიახი პოლიტიკისა, კატეგორიულ წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ ერთმანეთთან.

რუსეთ-თურქეთის ომის პროცესში შექმნილმა კონკრეტულ-ისტორიულმა მოვლენებმა და საკუთარი სამეფოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ბრძოლის ლოგიკამ, იმერეთის სამეფოს ისტორიული განვითარების ამ ეტაპზე, აშკარად დაუპირისპირა ხალხის მასებისა და სამეფო ხელისუფლების ინტერესები. როცა დარწმუნდა, რომ ქვეყნის შიგნით არ მოეპოვებოდა დასაყრდენი საკმაო ძალა, სოლომონ მეფემ დახმარებისათვის ოსმალ დამპყრობთ მოუხმო. ასე მოიქცა იგი ჯერ კიდევ ფოთის ციხის აღების დღეებში (1809 წლის აგვისტო), როცა ტრაპიზონის სერასკირ შერიფ-ფაშასთან გააბა კავშირი, ხოლო იმერეთის 1810 წლის აჯანყების მრისხანე დღეებში კი მეფემ ოსმალეთიდან ჯარები გამოითხოვა. ასეთ ვითარებაში სოლომონ II თავისი მოქმედებით ხელს უწყობდა ოსმალ-დამპყრობთ და მათი მსახურის მდგომარეობაში აყენებდა თავისთავს.

1810 წლის ივნისში დაწყებული იმერეთის აჯანყება, რომელშიც მოსახლეობის ფართო ფენები მონაწილეობდნენ და ცარიზმის კოლონიურ ჩაგვრას უპირისპირებდნენ, განმათავისუფლებელი ხასიათისა იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც სოლომონ II იმერეთის მკვიდრთა აჯანყებაში უცხო ჰოსმალო-ლეკთა ძალებმა (რვა ათასი კაცის რაოდენობით) მიიღეს მონაწილეობა, ეს აჯანყება ანტიხალხური გახდა. სოლომონ II-ის შეთანხმებული მოქმედება ოსმალეთის ძალებთან ობიექტურად ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ წარიმართა. სწორედ ამიტომ დაიწყო გლეხობამ ამ აჯანყებისაგან ჩამოცილება და თანდათანობით რუსთა მხარეზე გადასვლა. იმერეთის აჯანყების მძიმე დღეებში ასევე ფართო ხასიათის მღელვარებას ჰქონდა ადგილი აზერბაიჯანში, ყუბის სახანოში (შიხალი-ხანის მეთაურობით) და ოსეთში. ეს იყო რუსეთისათვის ირან-ოსმალეთის ჭარბ ძალებთან სისხლისმღვრელი ომების უაღრესად მძიმე დღეები. რუსეთის არმიამ, მკვიდრი მოსახლეობის დახმარებით, წარმატებით მოიგერია ყველა ეს შემოტევა.

ახალციხეში გახიზნული მეფე სოლომონ II-ის და მისი თანმხლები თურქთა რაზმების განადგურების მიზანთან იყო დაკავშირებული ახალციხეზე რუს-ქართველთა მხედრობის გალაშქრება 1810 წლის დეკემბერში. მხედრობამ აიღო აწყურის ციხე, დაარბია ახალციხის სოფლები და ქალაქი ალყაში მოაქცია. მეფე ახალციხიდან გადაიხვეწა, თუმცა ახალციხის აღება რუს-ქართველთა მხედრობამ ვერ მოახერხა და ჯარი უკან გამობრუნდა. იმერეთის აჯანყებამ და მასთან დაკავშირებულმა დიდმა სახალხო უბედურებამ, — ომმა და რეპრესიებმა, შიმშილობამ, შავი ჭირის ეპიდემიამ და სტიქიურმა უბედურებამ (დიდი ზამთარი, წყალდიდობა, მიწისძვრა),—მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი იმსხვერპლა; იმერეთი გავერანდა, გამრავლდა ნასოფლარ-ნაქალაქარი ადგილები.

ნ. ქორთუას ნაშრომში განხილულია და დიდი ადგილი აქვს დათმობილი რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის, მისი პოლიტიკური ცხოვრების, საომარ მოქმედებათა მსვლელობისა და ქვეყნის საგარეო და საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში. ავტორმა სწორად წარმოგვიდგინა რუსეთ-თურქეთის დიპლომატიურ სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი მოვლენები და ინგლის-საფრანგეთის ზრახვები აღმოსავლეთში პოლიტიკური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი გავლენისათვის.

ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობის კვანძად ავტორს ახლო და შუა აღმოსავლეთში გავლენის საკითხი მიაჩნია, მაგრამ საფრანგეთის იმპერატორის მძლავრობამ ინგლისი და რუსეთი გააერთიანა ნაპოლეონის წინააღმდეგ. 1805 წლის 11 აპრილს ინგლისსა და რუსეთს შორის სამოკავშირო ხელშეკრულება იდებს. იმისათვის, რომ თურქეთი რევანშისტულად აღეგზნოთ რუსეთის წინააღმდეგ და დაერღვიათ 1798 წლის რუსეთ-ოსმალეთის სამოკავშირო ხელშეკრულება, — ავტორის სიტყვით, „ძირი გამოეთხარა რუსეთ-თურქეთის მეგობრობისათვის“, საფრანგეთი ოსმალეთში ანტირუსული პროპაგანდის მეთაურად გვევლინება. 1805 წელს შემოდგომაზე სულთანისადმი გაგზავნილი ნაპოლეონის წერილი უფრო ულტიმატუმი იყო. ნაპოლეონი მოითხოვდა რუსეთისათვის ბოსფორ-დარდანელის სრუტის ჩაკეტვას, ირან-თურქეთის ძალთა ერთიანობას რუსეთის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში, 1806 წლის მანძილზე, რუსეთის დიპლომატია ამაოდ ცდილობდა, როგორმე მოეწესრიგებინა სადავო საკითხები ოსმალეთთან, მაგრამ, როცა ეს შეუძლებელი გახდა, 1806 წლის ოქტომბრის ბოლოს ალექსანდრე I-მა უბრძანა გენერალ მიხელსონს, გადაელახა მდინარე დნესტრი, შეჭრილიყო მოლდავეთსა და ვლახეთის სანახებში. ასეთ პირობებში ავტორი, რუსეთ-თურქეთის ომის მიზეზ-შედეგთა გარკვევასთან ერთად, გულდასმით სწავლობს რუსეთ-ირანის ომის გამომწვევ პირობებს და მის შედეგებს.

ჩვენი პირველი შენიშვნა ნ. ქორთუას ნაშრომზე შეეხებოდა წიგნის წყაროებს, მის დოკუმენტურ ბაზას. წიგნი დაწერილია რუსულ-ქართული წყაროების მიხედვით. ნაშრომში იშვიათად შეხვდებით გვერდს, რომ წყაროდ არ—

ქიე არ იყოს მითითებული და გრძელი ციტატი მოტანილი, რომელსაც ავტორი, ზოგ შემთხვევაში, იმდენად ენდობა, რომ კომენტარის გარეშეც კი ტოვებს.

როგორც ვთქვით, ნაშრომში გვერდი აქვს აღებული უცხოურ პირველწყაროებს და ხშირად ავტორის მსჯელობა და დასკვნები აღგილობრივი მოხელეების ინფორმაციებს ემყარება; აქ მხოლოდ ერთ მაგალითზე მივუთითებთ. ავტორი წერს: „1809 წ. მარტის ბოლო რიცხვებში ბაბახანს ოსმალეთის სულთანისათვის გაუგზავნია წერილი იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ძალებით ეწარმოებინათ ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, გაედევნათ რუსეთის ჯარები ამიერკავკასიიდან და შური ეძიათ ქართველებზე“ (გვ. 295). აქ აღნიშნულის დასამტკიცებლად წიგნში მოტანილია საკმაოდ გრძელი საბუთი არქივიდან 1809 წ-ის 9 აგვისტოს თარიღით რუმიანცევის მიერ ტორმასოვისადმი გაგზავნილი წერილის სახით, რომელშიც სულთანისადმი გაგზავნილ ბაბა-ხანის წერილის ხსენებაც კი არ არის. აქ ვკითხულობთ: „Баба-хан... намерен... приглашает султана.. Порта приняла предложение Баба-хана“ და ა. შ., მაგრამ იმის დასამტკიცებლად, თუ რას წერდა ბაბა-ხანი სულთანს 1809 წ-ის მარტის ბოლო რიცხვებში, რუმიანცევის აქ წარმოდგენილი წერილი რაკი საბუთად ვერ გამოდგება, ბუნებრივია, დაისვას საკითხი: რამდენად მყარ საფუძველზეა აგებული მთელი ამ მსჯელობიდან მომდინარე დასკვნები? რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში რუსეთის სამხედრო პოლიტიკური და საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობის ჭეშმარიტი სურათის აღმდგენი დოკუმენტური მასალა, უდავოა, რუსული წყაროების ფარგლებში არამცთუ არ შეიძლება თავსდებოდეს, არამედ მთელ ამ მასალებს, ბუნებრივია, თავისი ცალმხრივობისა გამო, ტენდენციურობაც ახასიათებს. რუსი დიპლომატების და ოფიცრების, ოფიციალური მდგომარეობის ასევე სხვა პირების მიერ შეღგენილი საბუთები, რელიაციები საომარ მოქმედებათა და აჯანყებების მსვლელობა-შედეგებზე, უმეტეს შემთხვევაში, გაზვიადებულია და ნაკლებად გამოხატავს სინამდვილეს. ამიტომ მკვლევარს, ასეთი ვითარება კრიტიკულ დამოკიდებულებას აკისრებს წყაროებისადმი. ავტორი აღნიშნულს ითვალისწინებს, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი მაინც დიდ ნდობას უცხადებს საარქივო რუსულ წყაროებს, და იმდენად დიდს, რომ ზოგჯერ გვერდს უვლის ამავე საკითხზე გამოქვეყნებულ ლიტერატურას და დოკუმენტურ პუბლიკაციებსაც კი. მაგალითად, ავტორი ნაშრომის 347-ე გვერდზე ეხება ლევან ბატონიშვილის ბრძოლას ბაგრატიონთა ტახტის აღდგენისათვის და დასძენს, რომ „საქართველოს მთავარ-მმართებელმა ახვერდოვმა (?!) შეიცადა ლევანის მიმხრობას. ამ მიზნით მას მისი აღმზრდელი დეკანოზი ქართველიშვილი მიუგზავნა“. ავტორი აქ ცდება! ჯერ ერთი, ახვერდოვი საქართველოში მთავარმართებლად არასოდეს ყოფილა. ასევე გაუმართლებელია, როცა ამ ცნობის წყაროდ ასახელებს არქივიდან მოტანილ საბუთს და გვერდს უვლის თვით იოანე ქართველიშვილის მემუარებს, ე. ი. პირველწყაროს, სადაც გარკვეულია ეს საკითხები. ქართველიშვილის მემუარები ჩვენს მიერ 1952 წელს გამოიცა, მას ავტორი უნდა იცნობდეს. რაც შეეხება ახვერდოვს, იგი ცხინვალელი სომეხი იყო, გვარად პუპულაშვილი; ეჭირა საქართველოს მმართველის თანამდებობა და მთავარმართებლის თანაშემწედ ითვლებოდა. იმასთან დაკავშირებით, რომ ლევანი ოსეთს აჯანყებდა და ცხინვალს აოხრებდა, ახვერდოვმა 1810 წლის 2 აგვისტოს ტორმასოვისაგან მიიღო ბრძანება ლევანის საწინააღმდეგო მოქმედების შესახებ. ახვერდოვი ლევანთან გზავნის მის აღმზრდელ მასწავლებელს იოანე ქართველიშვილს და სხვა, რაც აღწერილი აქვს თვით იოანეს თავის მემუარებში და პოტტოს („Утверждение русского владычества на Кавказе„ т. 2, стр. 229), ავტორი აქ დასახელებულ ბეჭდურ წყაროთ ამ შემთხვევაშიაც გვერდს უვლის.

რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წლების ომის საარქივო მასალები დაცულია სახელმწიფო ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში (ЦГВИА ф. 470), რაც შეეხება ომის მსვლელობის პერიოდის დიპლომატური ურთიერთობის დოკუმენტურ მასალას, იგი დაცულია АВПР-МИД СССР. ასევე რუსეთ-თურქეთის ომის მასალები ინახება ძველ საბუთთა აქტების სახელმწიფო ცენტრალურ არქივში — და ზოგიერთ რესპუბლიკურ არქივშიაც კი, მათ შორის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში. ავტორი ძირითადად იცნობს ამ ფონდებს, მაგრამ მის მიერ გამოყენებულ არქივთა დოკუმენტური მასალის ნაწილი გამოქვეყნებულია როგორც რევოლუციამდელი, ისე საბჭოთა პუბლიკაციების სახით. მაგ. ამ დოკუმენტთა ნაწილი შეიდა „აქტებში“ (იხ. ტ. 2 და 3), 1907-1914 წლებში გამოქვეყნებულ დოკუმენტთა მრავალტომეულში 1812 წლის სამამულო ომის შესახებ. ასევე ჟურნალებში „რუსკაია სტარინა“ (1872-1874 წწ.), „რუსკი ინვალიდ“, „რუსკი ვესტნიკ“, „სლავიანინ“ და სხვ.: რუსეთ-თურქეთის ომის მასალები საკმაოდ გამოქვეყნდა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. ავტორი მხოლოდ რამდენიმე პუბლიკაციას იყენებს, დანარჩენ

შემთხვევებში კი ავტორი დასახელებული არქივის მასალებს ეყრდნობა და იმდენად ხშირად, რომ ზოგიერთ გვერდზე რამდენიმეჯერ მიუთითებს მათ.

ავტორი დიდ ადგილს უთმობს ირან-ოსმალეთის სამხედრო კავშირის გაფორმებას, მათი კოორდინირებული ლაშქრობის გეგმის და ცდების განხილვას რუსეთის წინააღმდეგ ომში. მაგალითად, ნაშრომის მე-6 თავში ცალკე პარაგრაფი ეთმობა ირან-თურქეთის სამხედრო კავშირის გაფორმებას (იხ. გვ. 275), ხოლო მე-7 თავის ცალკე პარაგრაფი აქვს მიძღვნილი ირან-თურქეთის გაერთიანებული ჯარების დამარცხებას (გვ. 340) და დასასრულ, მე-8 თავი მთლიანად ირან-ოსმალეთის მიერ კოორდინირებული მეორე ლაშქრობის მოწყობის ცდისა და მისი ჩაფუშვის საკითხებს ეთმობა (გვ. 366). უნდა ითქვას, რომ ამ ორი მოსისხარი — შიიტური და სუნიტური სექტების მიმდევარი ირან-თურქეთის სამხედრო კავშირი როგორც ამ ომის, ისე სხვა წინა და შემდგომი პერიოდის ომებში არსებითად განუხორციელებელი რჩებოდა, ხოლო ანტირუსული ევროპული დიპლომატია კი ბევრს ცდილობდა და უშედეგოდ ოცნებობდა ამ კავშირის ორგანიზაციაზე. მაგრამ ყბადაღებული ყალბი პროპაგანდა ამ კავშირზე, ისე როგორც ტახტის მაძიებელი ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლები ბაგრატიონთა დინასტიის აღსადგენად, ოსტატურად გამოიყენებოდა კავკასიის გაელენიანი მოხელეების მიერ გაზვიადებული ინფორმაციების შესათხზავად, რათა მაღალი ჯილდოები და დაწინაურება მიეღოთ იმპერატორისაგან.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ავტორი არაკრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდეს ისტორიული მოვლენების შეფასება-გაანალიზებისათვის გამიზნულ საარქივო დოკუმენტებით სარგებლობისას, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მთელი ეს მსჯელობა ირან-თურქეთის სამხედრო კავშირზე ნაშრომში მაინც ზომაზე მეტად გაზვიადებული გამოიყურება. ავტორი წერს: „1810 წლის (აგვისტო) ირანისა და ოსმალეთის გაერთიანებული ჯარი ახალქალაქთან სამარცხვინოდ დამარცხდა. ამ დამარცხებამ ირან-ოსმალეთის სამხედრო კავშირში ბზარი გააჩინა“ (გვ. 367). ავტორის ცნობითვე, „ახალქალაქთან დამარცხებული მტრის 16 ათასიან არმიას უკან დახევისას თავს დაესხნენ მათივე მოკავშირე ახალციხის ყარაფაფახები“. 1811-12 წლებშიაც ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ძალებით რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს კვლავ ინგლისის სამხედრო მისია მეთაურობდა (გვ. 367). შეიძლებოდა, ჩვენ დავთანხმებოდით ავტორს, რომ აქ ინგლისის ნაცვლად საფრანგეთი დაესახელებინა; რადგან კარგადაა ცნობილი, რომ ამ პერიოდში საფრანგეთის წინააღმდეგ ინგლის-რუსეთის კოალიცია იქმნება და ინგლისის ყოველგვარი ანტირუსული აქცია საქმიანობა დროებით წყდება. ავტორის მსჯელობით, 1811 წ. აგვისტოს ბოლოს აბაზ-მირზა და ერზერუმის სერასკირი ემინ-ფაშა ერთმანეთს არაფაჩაისთან უნდა შეხვედროდნენ. ლაშქრობის მონაწილე ვინმე ქურთმა მოკლა ემინ-ფაშა, ეს აქტი კი „საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ოსმალეთის ჯარი დაშლილიყო“ და ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობანი გამწვავებულიყო, „თავი ეჩინა საერთო გულგატეხილობას“ (გვ. 382). ავტორის აზრითვე, ამ ფაქტმა ირანის ჯარების და ასევე მეამბოხე სურხაიხანისა და შიხალი-ხანის ბრძოლისუნარიანობაც შებოჭა და რუსეთმა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში გაიმარჯვა. ასეთია სინამდვილე. მაგრამ როცა ფაქტებით ძნელად ხერხდება ირან-ოსმალეთის სამხედრო ძალთა გაერთიანების დადასტურება, ავტორი ამ აზრის დამტკიცებისათვის იყენებს სხვა რიგის, სხვა ხასიათის, მასალებს, — ესაა მზვერავთა აგენტურის დაგზავნა ამიერკავკასიის მთიანეთის და მის ცალკეულ რაიონებში, რომ თითქოს იმერეთის, ოსეთის, შიხალი-ხანის და სხვათა აჯანყებები ამ აგენტურის მოქმედების შედეგი ყოფილიყოს. ჩვენ არც ეს დებულება მიგვაჩნია მთლად მართებულად, რადგან აქაც საქმე გვაქვს გაზვიადებებთან.

ნაშრომში აქა-იქ შეინიშნება წინააღმდეგობები. მაგალითად, ავტორი ნაშრომის 244-ე გვერდზე წერს: „კავკასიის ხაზზე რუსეთის არმიის სულ 42.021 ჯარისკაციდან საქართველოში 18.490 ჯარისკაცი იმყოფებოდა“, ხოლო იქვე გვაუწყებს, რომ კავკასიაში სულ 22 ათასი მეომარი ჰყავდა რუსეთს, რომელთაგან ამიერკავკასიაში 11 ათასი მეომარი ითვლებოდაო (გვ. 145). ავტორის ცნობით, ახალციხის ლაშქრობაში 1810 წლის შემოდგომაზე 4 ათასი ქართველი მონაწილეობდა (გვ. 354), ხოლო აქვე, 356-ე გვერდზე 3 ათას კაცს ასახელებს. არის შემთხვევები თარიღების აღრევისა. მაგალითად, ახალციხეზე გალაშქრება თითქოს 1810 წ-ის 5 დეკემბერს დაიწყო (გვ. 354), ხოლო „14 სექტემბერს რუსეთის რაზმმა ალყა შემოარტყა ახალციხეს“ (გვ. 355). ნაშრომის 357-ე გვერდზე იგივე ლაშქრობა 1810 წ-ის შემოდგომით თარიღდება. სინამდვილეში ლაშქრობა 1810 წლის 5 ნოემბერს დაიწყო. ახალციხის ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. დავით ბატონიშვილის ცნობით, სამასი ქართველი დაუხოციათ იქ მრავალ რუსთან ერთად. ამ მარცხს ტრომასოვი შავი ჭირის გაჩენით ხსნის, მაგრამ დავით ბატონიშვილი „ჩვეულებითი საოფლე“-ს ეპიდემიას ასახელებს (იხ. გვ. 38-39). ავტორი

ახალციხის ამ უიღბლო კამპანიას მაინც გამარჯვებად მიიჩნევს, სადაც მტერი „ძლიერ შეავიწროვა რუსეთის ჯარმა“ (გვ. 356). იგი ახალციხიდან რუსეთის ჯარის გამობრუნების მიზეზად შავი ჭირის გაჩენასთან ერთად, სელიმ-ფაშას გამოუცხადებლობას მიიჩნევს, რომელმაც თითქოს „თავი მოიავადმყოფა და ამით აიცილა ახალციხისათვის ბრძოლა“-ო (გვ. 356).

ჩვენ ასევე გაზვიადებულად მიგვაჩნია ირან-ოსმალეთის ლაშქრის სიდიდე, რომელიც რუსეთის არმიას უპირისპირდება კავკასიაში. მაგალითად, 1810 წ-ის ზაფხულში იმერეთის აჯანყების დღეებში მხოლოდ ბამბაკ-შურაღელისა და შამშადილის მიმართულებით 14 ათასამდე ირანელი უტევს, ხოლო ათი ათასი მეომარი ახალციხის ფაშას ეგზავნება ჰუსეინ ყულიხანის მეთაურობით. ახალციხის ფაშას, შეიფს თავის მხრივ 18-ათასიანი ჯარი ჰყავს (გვ. 341-44). მარტო ანაპის ფაშას ჰქონდა ნაბრძანები, რომ რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მთიელი ტომებისაგან შეედგინა ასიათასიანი არმია (გვ. 153) და სხვ. მოტანილი ციფრებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მცირერიცხოვანი რუსეთის არმია სასწაულებრივი ძალით იმარჯვებს ურიცხვ მტერზე (გვ. 121-127, 171 და სხვ.). გაზვიადებულია ასევე თვით მოწინააღმდეგის ზარალიც. მაგალითად, მხოლოდ წალკის ბრძოლაში (და ასეთი ბრძოლები მრავალი იყო), ირან-ოსმალეთის 16 ათასი მეომარი დახოცილა. ჩვენ ვიცით, რომ კავკასიაში (80 წლის მანძილზე) რუსეთ-თურქეთის ომებში რუს ოფიცერთაგან დაიღუპა 87, დაიჭრა 233, დატყვევდა 13; ჯარისკაცთაგან კი დაიღუპა 2219, დაიჭრა 5007, დატყვევდა 769 (იხ. Сборник сведений о потерях казкзских войск в 1801-1885 гг. составил А. Д. Гизетти, Тифлис, 1891, стр. 142).

ნაშრომის 344-ე გვერდზე განვითარებული დებულება, რომ „ირან-ოსმალეთის ჯარების გამოჩენისთანავე საქართველოში ალექსანდრე ბატონიშვილს მეფედ აღიარებდნენ“, ჩვენის აზრით, ეწინააღმდეგება ავტორის სწორ, მეცნიერულ კონცეფციას და დაუსაბუთებლადაც გამოიყურება.

ნაშრომში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ავტორი ეხება ახალციხის ფაშის—სელიმ ხიმშიაშვილისა და აფხაზეთის მთავრის ქელეშ-ბეგ შერვაშიძის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებს, კერძოდ, რუსებთან ურთიერთობისა და დამოკიდებულების საკითხს რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში. საქართველოს ისტორიაში თავისი დროის ამ ორი მეტად საინტერესო პოლიტიკური მოღვაწის საქმიანობა, მსგავსად მეფე სოლომონ II-ის ბრძოლებისა, თურქეთისა და მეფის რუსეთის ინტერესთა ჭიდილისა და საომარ მოქმედებათა ვითარებაში, წინააღმდეგობებით ხასიათდება, მაგრამ ამავე დროს მათი პოლიტიკური მრწამსი და ორიენტაცია დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის სასტიკ ბრძოლაში ერთგვარ ევოლუციასაც განიცდიდა. ამ ვითარების ანალიზისა და იმის გარკვევის გარეშე, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამ მოღვაწეთა პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, ავტორი კატეგორიულად დაასკვნის, რომ „ქელეშ-ბეგი ამკვიდრებდა აფხაზეთში ოსმალთა ბატონობას“, რომ იგი „რუსეთის მოწინააღმდეგე იყო“ და სხვ. (გვ. 157). ქელეშ-ბეგის მიერ ოსმალთაგან გამდგარი თოიარ-ფაშას მფარველობაში აყვანა და თურქეთის აგენტურის მიერ ქელეშ-ბეგის ვერაგული მკვლელობა, რაც შედეგი იყო რუსეთის სასარგებლოდ გამოხატული მისი პოლიტიკის ევოლუციისა, არ ეთანხმება ავტორის მოსაზრებას და ჩვენი აზრით, უფრო საწინააღმდეგოზე მეტყველებს. ჩვენ ასევე ნაკლებ დასაბუთებულად მიგვაჩნია მოსაზრება სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის თურქოფილობის შესახებ (გვ. 113, 114). სელიმ-ფაშას ცხოვრებისა და პოლიტიკის მეცნიერული სიღრმით შესწავლა, სელიმის საქართველოსადმი დამოკიდებულება და საქართველოში ახლად ფეხშემოდგმულ რუსეთთან მისი ურთიერთობა, კერძოდ რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში, ჩვენი აზრით, საწინააღმდეგოზე უნდა მეტყველებდეს. ის ხომ უდავო ფაქტია, რომ როგორც ქელეშ-ბეგი, ასევე სელიმ-ფაშა რუსეთის ერთგულებისათვის თურქეთმა ვერაგულად გამოასალმა სიცოცხლეს. კერძოდ, უთანასწორო ბრძოლებში დამარცხებულ სელიმ ხიმშიაშვილს, ჯიდრე სულთანის ჯალათები თავს მოკვეთდნენ, განუცხადებია: მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალოს არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებო. გრაფი გუდოვიჩიც კი მეფის რუსეთის ერთგულ და გულწრფელ მეგობრად ახასიათებდა თურქოფილი შვილის — ასლან-ბეგის მიერ ვერაგულად მოკლულ ქელეშ-ბეგ შერვაშიძეს (იხ. „აქტები“, ტ. 3, გვ. 197). ჩვენს ისტორიოგრაფიაში სელიმ ხიმშიაშვილისა და ქელეშ-ბეგ შერვაშიძის პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა აკად. გ. ხაჭაპურიძის, პროფესორ ი. ანთელავას, დოც. ხ. ახვლედიანის, დოც. შ. მეგრელიძის და სხვა ნაშრომებში. სასურველი იყო თვით ამ ფაქტზე მოკლედ მაინც შეჩერება.

როგორც ზევით ითქვა, ნაშრომი შორდება დასათაურებაში აღძრულ საკითხთა ფარგლებს; მასში ფაქტიურად შესწავლილია რუსეთ-თურქეთის არა მარტო 1806-1812 წლების ომები, არამედ რუსეთ-ირანის 1804—1813 წლე-

ბის ომის და, საერთოდ, აღებულ პერიოდში კავკასიაში რუსეთის მფლობელობის ზრდის უმნიშვნელოვანესი მოვლენები. ავტორი განიხილავს რა საქართველოს ვითარებას საომარ მოქმედებათა დასახელებულ პერიოდში, საქართველოს მონაწილეობას ამ ომებში, ამ ხანგრძლივი ომების სოციალურ-ეკონომიურ შედეგებს, თავისებურ შეფასებას აძლევს მათ და დაასკვნის: „რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომები თავიანთი შედეგებით შემობრუნების მომენტი გახდა ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში, რომლითაც ძირითადად აღდგენილი იქნა საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა“ (გვ. 5). სინამდვილეში მეფის რუსეთმა საქართველოს სამეფო-სამთავროების და საერთოდ კავკასიის დაპყრობა-შემოერთებისათვის ბევრად ადრე, თურქეთთან ომის დაწყებამდე, გადამჭრელი ღონისძიებები განახორციელა. რუსეთის ბრძოლა ქართული მიწების შეკრებისათვის, მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე, მეტად ცხოველმყოფელი ობიექტური მოვლენაა, რომელიც სუბიექტურად მეფის რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის შემადგენელი ელემენტი იყო და მისი დაკავშირება რუსეთ-თურქეთის და ირანის ომებთან მხოლოდ ამდენად შეიძლება. ქართული მიწების შეკრება, როგორც აღვნიშნეთ, ბევრად ადრე დაწყებული პროცესი იყო და რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-ირანის თითქმის ათწლიანმა ომმა მხოლოდ დააჩქარა ეს პროცესი, რომელიც თავის დაგვირგვინებას 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგში პოულობს.

რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-ირანის ომის შედეგების შეფასებისას ნაშრომში საკითხის მხოლოდ პოლიტიკურ მხარესა და საერთაშორისო დიპლომატიურ მოვლენებზეა ყურადღება გამახვილებული. ჩვენი აზრით, სასურველი იყო ნაშრომში ავტორს უფრო მეტი ადგილი დაეთმო იმ დიდი სოციალურ-ეკონომიური ძვრებისათვის, რაც თან ახლდა საომარ მოქმედებას საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში.

მეფის რუსეთს დიდი გამოცდილება ჰქონდა ავრარული ქვეყნების მართვის, გლეხობასა და თავადაზნაურობასთან დამოკიდებულების, მათი გადაბირების და საჭიროების შემთხვევაში ამ ქვეყნების ხალხთა ყოველგვარი ანტიცარისტული წინააღმდეგობის დათრგუნვისა. მეფის რუსეთი უდიდესი პოტენციის სახელმწიფო იყო, სადაც ლაშქრის ორგანიზაციას, მის შეიარაღებასა და ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებას, მსოფლიოში უბადლო სარდლობის მეთაურობით, მუდამ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ნ. ქორთუას ნაშრომიდან გარკვევით ჩანს, რომ რუსეთის სახელმწიფოებრიობის ამ თვისებებმა ნათლად იჩინა თავი საქართველოსა და ამიერკავკასიაში რუსეთ-თურქეთისა და, საერთოდ, კავკასიის ომების მთელ მანძილზე. ავტორთან ერთად, ჩვენ უაღრესად დიდი პატივისმცემელი ვართ კუტუზოვის სამხედრო და დიპლომატიური ნიჭისა, მაგრამ ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ „კუტუზოვის უბადლო დიპლომატიურმა ნიჭმა, დასავლეთ საქართველოს ბედი საბოლოოდ რუსეთთან დააკავშირა“ (გვ. 421). დასავლეთ საქართველოს რუსეთთან დაკავშირებას ბევრად უფრო ღრმა სოციალურ-ეკონომიური პირობები მოეპოვება, იგი ფაქტიურად მაშინ გადაწყდა, როცა ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა.

ნაშრომის ეპილოგი ეხება საკითხთან ნაკლებ დაკავშირებულ მოვლენებს: აქ ლაპარაკია რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოწინავე იდეებზე აღზრდილ ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობის ისტორიულ მნიშვნელობაზე და სხვ. (იხ. გვ. 466). ჩვენი აზრით, სასურველი იყო, ავტორს თავისთავად ამ საყურადღებო ეპილოგის მაგიერ თავისი დიდტანიანი ფუნდამენტური გამოკვლევა შეეკამებინა განმაზოგადებელი დებულებებითა და კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი დასკვნებით.

ნ. ქორთუას მონოგრაფიული ნაშრომი, რუსეთთან ახლად შეერთებული საქართველოს ბევრ სხვა დიდ მნიშვნელოვან საკითხსაც ეხება, რომელთაგან ჩვენ ამ წერილში მხოლოდ ზოგიერთებზე შევჩერდით.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მდიდარ დოკუმენტურ წყაროებზე დამყარებულ მონოგრაფიულ გამოკვლევაში, რომელიც საქართველოს ისტორიის ნაკლებად შესწავლილ უაღრესად რთულ მონაკვეთს ეხება, პირველადაა დასმული რიგი პრობლემებისა და მოცემულია ცდა მათი მეცნიერულად გადაჭრისა.

ავთანდილ იოსელიანი

ანოტაციები

ო. ბაკურაძე — **ლენინი როგორც ფილოსოფოსი.**

ნაშრომში გაშუქებულია მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ლენინური ეტაპი. ავტორი განიხილავს ლენინის ფილოსოფიური მოღვაწეობის ძირითად საკითხებს. დახასიათებულია ლენინის მიერ მარქსისტული დიალექტიკის, დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიის, ისტორიული მატერიალიზმის განვითარება. ნაჩვენებია ლენინის ფილოსოფიური ნაშრომების მნიშვნელობა თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკისათვის (გვ. 133, ტირაჟი 1000, ფასი 65 კაპ.).

აპოლონ შეროზია — **ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემისათვის.** გამოკვლევის ცდა განწყობის ფსიქოლოგიის მონაცემების საფუძველზე (რუსულ ენაზე).

ნაშრომში განწყობის ზოგადი თეორიის შუქზე გაანალიზებულია ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემები. ამასთან დაკავშირებით ავტორი მკითხველს სთავაზობს ამ თეორიის სათანადო ინტერპრეტაციას. იგი განწყობის თეორიას უპირისპირებს ფროიდიზმს, რომელიც, როგორც არაცნობიერი ფსიქიკურის ზოგადფსიქოლოგიური თეორია, იჩემებს მეცნიერებაში „კოპერნიკისდარი აღმოჩენის“ პრეტენზიას.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტთა ფართო წრეებისათვის, იმათთვის, ვისაც ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებათა სისტემის ამა თუ იმ დისციპლინასთან დაკავშირებით აინტერესებს ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური პრობლემები. ნაშრომი მომზადებულია დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. რედაქტორია ა. ფრანგიშვილი (გვ. 380, ტირაჟი 3000, ფასი 1 მან. 88 კაპ.).

ა. ბეგიაშვილი — **შემეცნების საწყისის პრობლემა ბ. რასელსა და ე. ჰუსერლთან** (რუსულ ენაზე).

წიგნი ეძღვნება უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური საკითხის — შემეცნების საწყისის გამოკვლევას.

ავტორი განიხილავს აღნიშნული პრობლემების გადაჭრის იმ ცდებს, რომლებიც ეკუთვნის თანადროული დასავლური ფილოსოფიის ორ წარმომადგენელს — რასელსა და ჰუსერლს.

წიგნში კრიტიკულად განხილულია ამ ორი ფილოსოფოსის ნააზრევი. ავტორი მიზნად ისახავს აგრეთვე გაარკვიოს, თუ რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს იმ მარცხისაგან, რომელიც გაანალიზებულ ფილოსოფიურ სისტემებს მოუვიდათ ზემოხსენებული პრობლემის კვლევისას. ნაშრომი მომზადებულია საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, ერთვის რეზიუმე ინგლისურ ენაზე (გვ. 121, ტირაჟი 1000, ფასი 56 კაპ.).

სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი (გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა).

წიგნი, რომელიც ქვეყნდება ძველქართული ფილოსოფიური ძეგლების სერიით, მომზადებულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში.

წიგნში „სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი“ ქვეყნდება ექვსი საერთო აპოფთეგმური კრებული, რომლებშიც თავმოყრილია მრავალი ფილოსოფიური და დიდაქტიკური შინაარსის მახვილგონივრული თქმა (აფორიზმი, სენტენცია, იგავი და მისთანები). ტექსტები დასაბეჭდად მომზადებულია ძირითადი ხელნაწარების მიხედვით. მათ უძღვის ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევი „ძველქართული საერო აპოფთეგმები“, და ერთვის საკუთარ სახელთა და არქაულ სიტყვათა ლექსიკონი (გვ. 100, ტირაჟი 2000, ფასი 43 კაპ.).

---

* გამომცემლობა „მეცნიერების“ მიერ გამოცემული ახალი წიგნები.

პალეოგრაფიული ძიებანი, II.

კრებული მომზადებულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. მასში მოთავსებულ ნაშრომებში განხილულია ქართული პალეოგრაფიის რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: სიტყვათა დაქარაგმება, სფრაგისტიკა, ჭვირნიშნები, პირობითი და ტექნიკური ნიშნები, ხელნაწერთა შემკულობა და სხვ; შრომები დამუშავებულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული, აგრეთვე ეპიგრაფიკული ძეგლების საფუძველზე. კრებულში გამოქვეყნებულ ყოველ წერილს ერთვის რუსული რეზიუმე. კრებულის რედაქტორია ნ. შოშიაშვილი (გვ. 128; ტირაჟი 600, ფასი 90 კაპ.).

ე. ჩადუნელი — **გაზეთ „დროების" პუბლიცისტთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებანი.**

ნაშრომი მომზადებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში. წიგნში გაანალიზებულია გაზეთ „დროების" პუბლიცისტთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებები. „დროებაში" ჟურნალ „საქართველოს მოამბის" ტრადიციები გაგრძელა. „დროების" პუბლიცისტები, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ზეგავლენით, თავიანთი ყურადღების ცენტრში სახალხო რევოლუციას აყენებდნენ. ეს მათ საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრის მთავარ მეთოდად მიაჩნდათ. წიგნის რედაქტორია ა. სტეფანიშვილი, (გვ. 112, ტირაჟი 1500, ფასი 54 კაპ.).

ა. ბრეგვაძე — **ჩაის მრეწველობის განვითარება საბჭოთა საქართველოში (ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი.)**

ნაშრომში განხილულია საბჭოთამდელ საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელებისა და ჩაის წარმოების ჩასახვის ისტორია. შესწავლილია ჩაის წარმოების განვითარების ძირითადი პროცესები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან შვიდწლედის ბოლომდე. გაანალიზებულია ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ჩაის სანედლეულო ბაზის ზრდა-განმტკიცებას და მის შესაბამისად ჩაის მრეწველობის განვითარებას. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს საქართველოს სსრ-ში ჩაის წარმოების განვითარების დაჩქარებაში, ნაჩვენებია საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის ადგილი სსრ კავშირისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივა.

ნაშრომი მომზადებულია ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, რედაქტორია ბ. ხასია (გვ. 183, ტირაჟი 600, ფასი 80 კაპ.).

ო. ავალიშვილი — **ფასები და რენტაბელობა საქართველოს სსრ შამპანური ღვინის მრეწველობაში.**

ნაშრომში (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი) მოცემულია შამპანური ღვინის მრეწველობის განვითარების მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური დახასიათება სსრ კავშირსა და საქართველოში. გაშუქებულია ფასების სახეები შამპანური ღვინის მრეწველობაში, რენტაბელობის დონე და შამპანურის თვითღირებულების შემცირების რეზერვები და ფაქტორები.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეურნეობრივი რეფორმის არსს და მისი გატარების პირველ შედეგებს. მოცემულია კონკრეტული მოსაზრებანი არსებული რეზერვების გამოყენების მიზნით. წიგნის რედაქტორია ვ. რეხვიაშვილი (გვ. 108, ტირაჟი 700, ფასი 50 კაპ.).

ა. აბშილავა — **აფხაზეთი სსრ მრეწველობის ისტორია, 1921-1941 წწ.** (რუსულ ენაზე).

ნაშრომში განხილულია აფხაზეთის სსრ მრეწველობის განვითარების ძირითადი საკითხები — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, ვიდრე დიდი სამამულო ომის დაწყებამდე. წიგნში ნაჩვენებია აფხაზეთის მრეწველობის განვითარების საწყისი დონე, ცალკეული დარგების წარმოშობა, დახასიათებულია კაპიტალური მშენებლობა, გაანალიზებულია მრეწველურ საწარმოთა განვითარების ტემპები. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა წარმოების ორგანიზაციისა და მართვის საკითხებს, მუშათა, საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის კვალიფიციური კადრების მომზადებას, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას.

ა. აბშილავას წიგნი მომზადებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტში, რედაქტორია კუპრავა (გვ. 263, ტირაჟი 1200, ფასი 1 მან. 47 კაპ.).

შინაარსი

წერილები

ა. **ბარამიძე**, მასალები ქართველი ხალხის ეთნოგენეზისათვის XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში 5

ვ. **კაკაბაძე**, არაცნობიერი ფსიქიკის ცნება კ. გ. იუნგის ანალიზურ ფსიქოლოგიაში 25

ქ. **ნეფარიძე**, განწყობა და ყურადღების სახეები 35

რ. **სირაძე**, სახის ცნება ბიზანტიურ ესთეტიკაში 45

გ. **ბერაძე**, მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქის წარმოშობის ისტორიიდან 57

ჭ. **იასაძე**, საფეიქრო ბოჭკოვან მასალათა დამუშავება ძველ საქართველოში . . 75

რ. **ჯეგულაძე**, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან ნუმიზმატური მონაცემების მიხედვით 91

რ. **ჭუტიძე**, მწარმოებლურ ძალთა გაადგილების, შრომითი რესურსების დაგეგმვისა და რაციონალური გამოყენების ზოგიერთი აქტუალური საკითხი 105

კ. **ელიზბარაშვილი**, აჭარის ასსრ მრეწველობა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში 119

ნ. **გვიშიანი**, ეკონომიური რეფორმა და ხალხის მასებს შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ამაღლება 133

ე. **ჟავთარაძე**, დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის დრამატული მოღვაწეობიდან . 147

კ. **მაჩაბელი**, გვიანი ანტიკური ხანის საქართველოს მხატვრული ვერცხლის შესწავლის ზოგიერთი საკითხი 153

ი. **კახაძე**, პრერუპტივების შესახებ არჩიბულში 163

ბ. **ბაზარაგლიძე**, უწინდებულო მიცემითბრუნვიანი კონსტრუქციების ტრანსფორმაციული ანალიზი რუსულში 171

ს. **სანიკიძე**, პრეფიქსაცია ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურაში 183

ცნობები და შენიშვნები

ნ. **გრებაძე**, ხალხური მეტეოროლოგიის შესახებ 193

ბ. **მიქაძე**, ფსევდონიმების კვალდაკვალ 197

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გ. **ჩუბინაშვილი**, პასუხი რეცენზენტებს 203

რეცენზიები და გამოხმაურებანი

ა. **იაშვილიანი**, საქართველო რუსეთ-თურქეთის ომში 217

ანოტაციები 225

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

А. Барамидзе, Материалы к этногенезу грузинского народа в грузинской историографии XIX века 5

В. Какабадзе, Понятие бессознательной психики в аналитической психологии К. Г. Юнга 25

Ж. Непаридзе, Установка и виды внимания 35

Р. Сирадзе, Понятие образа в византийской эстетике 45

Г. Берадзе, Из истории происхождения феодальных городов на Ближнем Востоке 57

К. Исакадзе, Обработка текстильных волокон в древней Грузии 75

Р. Кебуладзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным 91

Р. Кутидзе, Некоторые актуальные вопросы размещения производительных сил, планирования и рационального использования трудовых ресурсов . . 105

К. Элизбарашвили, Промышленность Аджарской АССР в период восстановления народного хозяйства 119

Н. Гвишиани, Экономическая реформа и подъем творческой инициативы и активности народных масс 133

Э. Кавтарадзе, Драматическая деятельность Д. Мегвинетухуцесишвили . . 147

К. Мачабели, Некоторые вопросы изучения художественного серебра в позднеантичной Грузии 153

О. Кахадзе, О преруптивах в арчибском языке 163

Г. Махароблидзе, Трансформационный анализ конструкций с беспредложным дательным в русском языке 171

Т. Саникидзе, Префиксация в английской научной литературе 185

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Н. Брегадзе, О народной метеорологии 193

Г. Микадзе, По следам псевдоним 197

Рецензии и отзывы

Г. Чубинашвили, Ответ рецензентам 203

А. Иоселиани, Грузия в русско-турецкой войне 217

Аннотации 225

რედაქციის მისამართი: თბილისი, 60, კუტუზოვის ქ. № 15
ტელეფონი: 37-24-07

შეკვ. 2337 უე 01338 ტირაჟი 1500

გადაეცა წარმოებას 11.7.69; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.9.69;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 20.13;
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.75;
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

6146/78

ფასი 1 მან.

Индекс 76183